

141
170 3



საქართველოს
რეპუბლიკის
საქართველოს

გეოგრაფია

6

1970

გნეოთოკი



სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მხატვრული
და საზოგადოებრივ-კულტურული ჟურნალი

ფულიყადი 46-ე

№ 6

035060, 1970 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ე ა რ ს ი

ირაკლი აბაშიძე — ლექსები	3
კონსტანტინე ბაშაძე — თამარ, რომანი. ვაგრძელება	4
შალვა ფორჩხიძე — ლექსები	11
რევაზ ჯაფარიძე — ვნების კვირა. რომანი. ვაგრძელება	15
ალექსანდრე ბეგაშვილი — ლექსები	41
დავით კვიციანი — მშვიდობით, უსიარო ბაძე — რომანი. ვაგრძელება	47
ხუბა ბაბუა — ლექსები	57
აკაკი ვალოვანი — სვანეთის თითოეტი ქალი. ხალხის ქრონიკები	60
ვიწო კალანდია — ლექსები	91
ნოდარ კაკაბაძე — სტუმარი. მოთხრობა	93
კლიმენტი გომიზაძე — ილიაობა. ბიოგრაფიული რომანი. ვაგრძელება	103

კრიტიკა და კულტურული

გაბრიელ მგებელიძე — ვ. ი. ლენინი და კართული საზოგადოებრივი აზარი	117
მ. სააკაძე, რ. შამალაშვილი — ვ. ი. ლენინის საპირველი მწერლები	128
ლავროსი კალანდია — იმდენი მიწა სად არის...	138
მოსთა რევიშვილი — „კინდლერის“ ახალი ტომები	149
გურამ გვირგვინი — ზღაპრის ახალი სივრცე	153

მ მ მ ნ ი ე რ ე ბ ა

აკაკი შანიძე — ტანუბანი თუ მსხიბანი?	159
როინე მებრძული — საქართველოს ისტორიის ზომიერადი საკითხის დათარი- ღებისათვის	167
დამიანე მელიქიძე — იოსებ ბატონის „სათნობათა კინის“ გამოცემის განთ	173



შალვა ამიხულაშვილი — განახლებული მთის მომღვაწელი
ბ. პაიჭაძე — „ალა-გავგაფ-ხანის თავდასხმა საბართველოზე“
თ. შაუხიშვილი — ახალი გამოცვლივა კოლხეთის ქალაქთა შესახებ

მთავარი რედაქტორი: ელგუჯა მალრაძე

სარედაქციო კომიტეტი:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამიჯარაშვილი, მ. ლეიბანიძე, ბ. ქლდნაძე, ა. სულაშვილი, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შინგაღია, ვ. წულუკიძე, მ. შილაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ნაპაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11-
პ/მგ. მდივნის — 98-55-12, ვანყოფინების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ანაწილად 7/V-70 წ., ხელმოწევი-
ლია დასაბეჭდად 20/VI-70 წ., ანაწილების ზომა
7¹/₄ X 12, ქილაღის ფორმატი 70 X 108¹/₁₆
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 16.8.

№ 11290. ტირაჟი 12,200 შუკე. № 1495.

საქ. კმ ცკ-ის გამოცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ირაკლი აბაშიძე

• • •

სტრიქონში სიტყვა
სულ არ დასწურო,
აზრს არ აჰხადო
ყველა სარქველი;
ლექსი ბოლომდე არ დაასრულო,
არ დაამთავრო ყველა სათქმელი.

ხომ სულ ვრთია,
შენს ღალატებს
გასცრის, გაცხრილავს

იმ ღვთის საცერი;
ღმერთი იქ იწყებს, სადაც თავდება
სტრიქონი მგოსნის ხელით ნაწერი.

სულ ნუ ამოთქვამ
შენს დიდ ზღვის ღელვას,
შშვიდად ითმინე
მგოსნის სათმენი,
რომ თავის სულშიც შენმა მკითხველმა
უძებოს სანთლით შენი სათქმელი.

• • •

არ არის ძილი,
ერთხელ რომელმაც
გამოგაძინოს სრულად და მაძღრად;
არ არის ზღვარი
— მიუწვდომელმა
შენს აღმაფრენას უსაზღვროს საზღვრად.

არ არის ცრემლი,
რომელიც ერთხელ

დაედოს წამლად შენს კაცურ მარცხებს;
არ არის სიტყვა,
რომელმაც შეტყვევოს
ამოგწვას სული და სულიც დაცხრეს.

იარე, სდიე შენს უკვდავ სევდებს,
ეს არის ნაღდად არსება შენი...
შენ გაჩნდი ქვეყნად —
რამეთუ სდევდე
უკმარისობის უკურნავ სენით.

კონსტანტინე გამსახურია

მ ა მ ა რ

კონსტანტინე

III ტალთვალა ამირახორი

გიორგობას მეჯინიბეთუხუცესი ეახლა ამირახორს და უპატაკა:

შენი ნაბრძანის სისრულეში მოვიყვანეთო.

სარიდანიშა თავისი შექალაქებული წარბები ზეაწკიბა და შეეკითხა:

რომელი ერთიო?

მას აგრე ეგონა, კლდეკარის ციხეში გამომწყვდეული დემნასეული ციხიონისათვის საჭურველის აყრას ეხებაო ეპ.

მეჯინიბემ კარგად უწყობდა, ამირახორს წინა ღამეს არ სძინებია, ამიტომაც მოახსენა: სელჯუკიანთა სულტნის მიერ წარტაცებულ ვერცხლის ბაგათა ნაცვლად სხვა ახალი დავდგითო.

ათიოდე უღელმა ხარ-კამენმა ჩამოიტანა ეს ბაგები დმანისიდან, სადაც ვერცხლის ქანდაკების ხელოსანნი მთელი წლის მანძილზე ამშვენებდნენ, აჩუქებდნენ ვერცხლის ბაგებს, რომელთა ზედპირზე ცხენების, ძროხებისა და ხარების თავ-კისერნი იყო ამოტვიფრული.

ამირახორს სამი მზგეფსის წინ ჰქონდა ეს ბაგანი დმანისში ნანახი და

ამიტომაც განცვიფრდა. ეგზომ მალე ვით შესძლესო ოსტატებმა ეს ყოველივე?

შეაქო კიდევაც ურმა ოსტატთა ამგვარი ხელმარჯვობა.

განსაკუთრებით ის ამბავი მოეწონა ამირახორს, ძროხებისა და ხარების რქებში მოოქროვილნი რომ იხილა. ძროხებისა და ცხენების თვალეში ქარვისაგან გაეკეთებინათ ოსტატებს.

„ჭერ თავლებისაგენ წავიდეთ, ირმაი ვნახოთ“, ეუბნება ამირახორი მეჯინიბეთა წინამდგომს და მცირე ხნის შემდეგ დასძინა: „შენ ეს მითხარ ზაქარიავ, გუშინ ხომ არ მოსულა არაბი ბეითალი გუშინწინ რომ დაგვიბრდა მოსვლას?“.

„ჩაღმოსანი მოხუცი მოვიდა წელან ერთი, იქაა, ძროხების თავლაში, მე ხომ არაბულის არაფერი გამეგება, ბევრი ვუჩიოინე, მაგრამ ვერაფერი გამაგებინა სტუმარმა“, მიუგო ამირახორს ზაქარიამ.

ადრიან ვაზაფხულზე ამირახორმა ახმობინა როგორც ტფილისელი, ისე მცხეთელი მკურნალნი. ნაირ-ნაირი წამლები ასვეს ცხენს, მაგრამ ვერას გახდნენ.

თავლების სათავსოში მისულთ დაი-

ნახეს, სამი მეჯინიბე მისდგომოდა ჩა-
ლმიან, თეთრწვეროსან სტუმარს, მუნ-
ჯურად, ხელების ქნევით რაღაცას ეკი-
თხებოდნენ სავსებით გაოგნებულს.

როცა ახოვანი ამირახორი შენიშნა
ჩალმოსანმა, ცალი მუხლი სოხანეს და-
ჰკრა დანდობილად, მარჯვენა მკლავი
ზეასწია და წამოიძახა:

„საბაჰ ხეირ“!

შემდგომ ამისა ბენგალურ ენაზე
სთქვა: ჯერ აროდეს მიხილავსო ქრის-
ტიანულ ქვეყანაში ძროხათადმი ეგზომ
დიდი პატივისცემა, რადგან ჩვენ, ჰინ-
დუსტანის მკვიდრთა, ძროხა ღვთაებ-
რივ არსებად გვეყავსო შერაცხილი.

ამირახორი გაოცა უცხო სტუმრის
ხილვამ, მას არაბი ბეთალი ჰყავდა ნა-
ხმობი და მის ნაცვლად ჰინდო მოსუ-
ლიყო. თავის ფაჩუნიერ, ეძალ წარ-
ბებს ქვეშ შეყუყუული ერთადერთი
თვალა დააფახულა და მანაც ბენგა-
ლურ ენაზე მიუგო სტუმარს.

„ჩვენ თუმცა ქრისტიანები ვართ,
მაგრამ ოდითგანვე მოგვდგამს ცხოვე-
ლებისადმი სიყვარული. ყოველ ახალ
წელს მზარეულთუხუცესი მიართმევს
მეფეს მოოქროვილ თავ-კისერს გარე-
ული ტახისას“.

გაოცებულმა სტუმარმა ეს უთხრა
ამირახორს:

„მე პირველად ვხედავ ბენგალურ ენა-
ზე მოუბარ ქართველს“.

„აწ განსვენებული ჩვენი მეფის, გი-
ორგის მიერ დესპანად ვიყავი წარგზავ-
ნილი ჰინდუსტანს, ბარე ათ წელს ესწა-
ვლობდი ბენგალურსა და ჰინდუსტანის
მრავალრიცხოვან ენებს“, მიუგო ამი-
რახორმა სტუმარს.

ახლა სახელი ჰკითხა მასვე.

„აბუ აბდალ ტანგ“.

ამირახორმა მკლავზე ხელი წაავლო
სტუმარს, საჯინბოსკენ წაიყვანა და
ეუბნება:

„ახლა, თამარ მეფის ავადმყოფი ცხე-
ნი მოვინახულოთ. იელისაგან მოიწამ-

ლა, ბეთალნი დავასიე, მაგრამ ჯერ
კიდევ ვერ მოარჩინეს“.

თავლაში ასზე მეტი ცხენი მისდგუ-
ნოდა ვერცხლის ბაგებს. მადიანად შე-
ეკცეოდნენ ქერს.

მოხუცი მეჯინიბე წინ წარუძღვა ამი-
რახორსა და სტუმარს და სოხანეზე
მწოლარე ირმისფერ ცხენთან მიიყვანა.
მკლავზე ხელი წაავლო ჩალმოსანს და
ეუბნება: „აბა შენ იცი, თუ მოგვირჩენ
ამ საყვარელ ცხენს“.

„სამან ვა ტალთან“!

ჩალმოსანი ბეთალი ცხენთან მივიდა,
ბუტბუტებდა, ულოცავდა სოხანეზე
მწოლარეს, მერმე მზრუნველი ხელე-
ბით გააღებინა ლაშები ცხენს.

დიღხანს აფათურა ჯიბეში ხელი,
ხელიკისფერი ფხვნილი ამოიღო პაწია
ქისაქიდან, ისევ გაახსნევინა ლაშები
ირმის, თავისი გრძელი თითები შეუ-
ყო შიგ, ფხვნილი შეაყარა დაბჩენილ
ხახაში.

ცხენს ხველება აუტყდა, ახველა, ახ-
ველა, ბოლოს წაიგრძელა კისერი და
პირზე მომდგარი დუეი გადმოანთხია.

ახლა ამირახორს მიუბრუნდა ჩალ-
მოსანი და მოახსენა: სულ მოკლე ხან-
ში განიყურნებაო თქვენი ცხენი.

კიდევ და კიდევ შეხედა ჩალმოსანმა
ირმის, ირმისფერ სხეულს ამშვენებ-
და მაყვლისფერი ფაფარი. წაიბუტბუ-
ტა ბეთალმა: ეგზომ ლამაზი ცხენი
ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო.

ამირახორმა ჯიბიდან ამოიღო ქისაქი,
ორი ოქროს ფლური მისცა ბეთალს.
მან ცალი მუხლი დაჰკრა თავლის სო-
ხანეს და მადლობა უძღვნა ამირახორს:
„მეტისმეტი საჩუქარი მომიძღვენით,
ამირახორო ბატონო“.

„არაფერია, შენ შორეთიდანა ხარ
მოსული, თუ ეგ ცხენი მორჩია, ამ სა-
ჩუქარს არ შეგაჭერებ“.

სტუმარი და მასპინძელი უკვე გა-
სულნი იყვნენ სასახლის ეზოში, როცა
თვალუბბრილა შეემა კამჩებმა ვერცხ-
ლის ქვევრებით გავსილი ურმები შე-

1 არაბულად: დილა მშვიდობისა

1 მესმის, გემორჩილებით!

მოიტანეს. ეს ქვევრები უცნაურად ვარკარებდნენ მზვარეში.

როცა ჩაღმოსანი და მისი სამი მზღუბელი ჳიშკრიასავენ გააცილეს სამმა მეჯინიბემ ამირახორმა კვლავ გადახედა ქვევრებს და დანდობილად გაიხარა ახალი ძღვენის დანახვისას.

ახლა ზაქარიას მიუბრუნდა იგი:

„სწორედ ასეთი ქვევრები წარსტაცა ჩვენი მეფის თამარის მამას, გიორგი მეფეს იმ შჯულძაღლმა სულტანმა, ზაქარიავ.“

მადლი უფალს, ჩვენი დიდი თამარი სულჯურთხეული გიორგი მეფის ნატერფალთ რომ მისდევს. ციხეთა და მონასტერთა განახლებასა და ახალ-ახალთა აშენებას ეწევა და არც ისინი ციხე-სასახლის დამშვენებას ივიწყებს.

მე უკვე მივალწიე სიკვდილის ზღურბლამდის, ზაქარიავ, და უფალმა უწყის, ჩვენი სვედავსილი სამშობლოს აღორძინებას თუ მოვესწრებო.

გუშინ პალესტინიდან აუწყეს მეფე თამარს: ჯვაროსნები ზედიზედ დაამარცხეს სელჯუქებმა ანატოლიაში, კილიკიასა და პალესტინაში, სვეგამწარებული სომხეთის ციხენი და მონასტერნი დააქციეს და, როგორც სჩანს, არც ჩვენ დაგვადგება კარგი დღე.

კეისარი აღექსი კომნენიოსი დიდ გასაჭირში იყო. იგი თავგამოდებით ებრძოდა მრავალი წლის მანძილზე სელჯუქიანთა სულტანებს და ამირებს, მიუხედავად ამისა, ის შლეგი ჯვაროსნებიც ბიზანტიას ავიწროებენ, სამეფო ქალაქის კონსტანტინეპოლის აღებას ამირებენ თურმე“.

ამირახორმა საჩვენებელი თითი მიიბჯინა ნაოჭებით დაღარულ შუბლზე და წაიღვდუნა:

„კომნენის უნიათო ვაჟის სახელი არ გამახსენდა, ზაქარიავ.“

არაფერია, იგი ხსენების ღირსიც არაა, იცოდე.

ჯერაც უფლისწულობის ეამს იგი მრავალგზის დაამარცხეს სელჯუქიანთა ამირებმა სირიასა და პალესტინაში,

კეისრულ ტახტზე ასვლისას დაიქანა. მე, მე, გამახსენდა... უფლისწული ისააკ ანჯლოს, ჰოდა, მან დაეძაფრა ქრისტეს აღდგომის კვირაძალში იერუსალიმს უთუოდ ავიღებო“.

ესა სთქვა ამირახორმა, მარჯვენა ხელი წელზე მიიბჯინა და ეუბნება მზღუბელს:

„მე უძილარი ვარ, ზაქარიავ, მოდი დიდი მუხის ქვეშ დავიმუხლოთ, იგი ალბათ მოსწრებია ჩვენს დიდ მეფეებს, გიორგი პირველსა, მის ვაჟს ზაგრატ მეოთხეს კუროპალატსა და პანიპერსევასტოსს მეფეს სრულიად საქართველოსას დიდ დავითს და მის ვაჟს, დემეტრეს.“

მანდ დავსხდეთ მცირე ხანს, მერმე მე გაგეცლები, მეფეს ჩვენსას ვეახლები და ბიზანტიელი სტუმრების მოსვლას მოვეუცდი“.

დიდი მუხისქვეშ, ტაბაკები დაედგათ მსახურთა, ამირახორის მობრძანება რა იხილეს, ზეწამოიჭრნენ. მათ ვერცხლის ბალთებიანი ქამრები და ვერცხლით მოზიჯული სატყერები უმშვენებდა წელს.

მზარეულთხუცესსა და მეჯინიბეთ ეამარ რა იხილეს საზეიმოდ მორთული ამირახორი... მას ბროწეულისფერი ყაბაჩა ემოსა, წვეტწამოსხმული ქუდი ეხურა თავზე, ამ მაღალ ბოზოხს თრიითინას თეთრი ბეწვი დაყვებოდა მთელ სიგრძეზე და ყოველივე ეს სიმადლეს ჰმატებდა ისედაც ახოვანსა და პირლამაზ მოხუცს.

ამირახორმა მარჯვენა მიიჩრდილა თავის ერთადერთ თვალზე, უახლოესი კოშკის კედელს გახედა, მზის საათის ისარი ეძება ამოდ, და ეუბნება ზაქარიას:

„წუხელ უსიამო ამბავი უპატაკეს ჩვენს მეფეს თამარს პალესტინიდან მოსულმა ქართველმა ბერებმა: იერუსალიმში კვლავ წარსტაცა თურმე ჯვაროსნებს სელჯუქიანთა ამირამ ნეჯმ ედდინ ილლაზის ძმამ; იმ ილლაზისა, რომელსაც ფრიად დიდი დამარცხება აგემა

დიდგორის ველზე დავით მეფემ. ამ ბოლო ხანს ფრიად შემოძვრიდა ამ ერთადერთი თვალის სინათლე, ზაქარიავ, შენ ალბათ ჩემზე უკეთ პხედავ, რა ეამია ნეტავ?“

„მეცხრე ეამია, სარიდან ბატონო“, მოახსენა ზაქარიავ.

ახლა კვლავ გადასწვდა ამირახორი იერუსალიმში მომხდარ სავალალო ამბებს:

„ერგას ათასი მონასპა შესწირეს ამ დამარცხებას იმ უნიათო ჯვაროსნებმა. სელჯუქიანებმა დაარბიეს უფლის ტაძარი, ვერცხლისა და ოქროსაგან ნაქანდაკები ხატები და ჯვრები ტომრებში ჩაჰყარეს და ეს ნადავლი განუკითხავად აჰკიდეს აქლემებს.

ეგ სვედავსილი ისაყ კომნენი ამაოლ ებრძოდა სელჯუქიანთა სულტანს სალაღინს, მერმე ის იყო ისაყ კომნენი შეიპყრეს და დილეგში მოაშთვეს.

სომხეთი და ბიზანტია უდიდესი განსაცდელის წინაშე წარსდგნენ.

მეფის ჩვენი საორსმკვერეტელმა გონებამ და მონასპათა და მათ სპასალართა სიმამაცემ თუ არ გვიშველა, არა მარტო ამ ვერცხლის ბაგებსა და ვერცხლის ქვევრებს წარგვტაცებენ, ციხეებსა და მონასტრებს ნამჟასავით გადაჯგავვენ მაგ უშველონი.

ალბათ თვალმბსდა დაუტოვებენ ჩვენს სვეგამწყრალ ხალხს სატირლად. ვაჰმე რა დროს ვებრღები, ზაქარიავ, დამიბრუნებდეს უფალი ნეტავ ჩემს სიკბაუქეს, გაგიხარია, ჩვენი სამშობლოს მტრებს იქვე შევრეკავდი, საიდანაც გაიმოძვრნენ.

ჯერაც უწყვერული ჰბაუკი ვიბრძოდი დიდი დავით მეფის ლაშქარში დიდგორზე, შენ კარგად უწყვი, ამ ომში მომხვდა სელჯუქიანთა მონასპის მიერ გადმოსროლილი წამახული ქებიური მარჯვენა თვალში და სამუდამოდ დამივისო იგი.

არაერთგზის მითქვამს ჩემივე თავისთვის, ზაქარიავ: დაე, დამევისოს ერთად ერთი თვალის სინათლეც, ვიდრე მამულის ჩემის დაქცევას მოვესწრებოდე.

ან რაღად მინდა ეს ერთადერთი თვალისა, უკეთუ ვერ ვიხილავ სვეტრთველს გულგულადან ანისამდის, სიკოფსიიდან დარუბანდამდის განფენილს.

ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა ირანსა, თურანსა და სირიაში, ათასგზით წარღვნით წარხოცოს გასაგისი სელჯუქიანთა.

ამირახორის ნაცვალი ვიყავი, ზაქარიავ, როცა სელჯუქიანთა სულტანმა მოაოხრა ისნის სასახლე“.

„ამირახორის ნაცვალი თუ ამირახორი, სარიდან ბატონო?“ შევეკითხა მოქრძალეზულად ზაქარიავ.

„არა, ამირახორის ნაცვალი. ამირახორი შემდგომ ამისა გავხდი.

გიორგი მეფემ ბრძოლის ველი დასტოვა და ნაჰარმაგვეში გამაგრდა სპიანად.

მერმე ის იყო ისნის ციხე-სასახლე ცხარე ბრძოლით აიღეს სელჯუქიანებმა, ვერცხლის ბაგანი და ვერცხლისავე ქვევრები ურმებზე დაჰყარეს და ისე წაიღეს, არა მარტო ეგ, ტფილისურ სასახლეებიდან და ეკლესიებიდან გატაცებული ოქროისა და ვერცხლის ხატნი და ჯვარნი.

ამიტომაც გავიხარე, ზაქარიავ ჩემო, როცა ვერცხლის ბაგათა და ქვევრთა სასახლეში შემოტანა ჩემი ცალი თვალით ვიხილე.

ამ ცალი თვალით ვუქვერეტ, ზაქარიავ, მომავალს, წლეულს იგრიკას თვეში ას ათ წელს გადავცდი, ას ათს კი არა, ას ოცს, თუ გნებავს, გამთქვი ლამაზმანებთან, მე ისინი ამიერიდან აღარ დამპირდებიან. იყო დრო, როცა მათ ვუმალავდი ჩემს ასაკს“.

ზაქარიამ გაიღიმა, მიჯრით მიწყობილი თეთრი კბილები გამოაჩინა აბორციულ წითელ ტუჩ-პირიდან და ეუბნებოდა ამირახორს:

„რად გიკვირს ეგა, სარიდან ბატონო? ეგრისში ას ორმოცდაათ წელში გადამდგარა ბედის მთავარეპისკოპოსი ევგრაფი“.

ამირახორს ეამა ეს ამბავი და განავრძო:

„დარდი ნუ გაქვს, ჩემო ზაქარიავ, მე ისეთი ჩანი დამანათლა სულეკურთხეულმა მამაჩემმა, არა მგონია ბევრს მოებოვებოდეს ასეთი. ას ორმოცი წლისა მონაზვნად აღიკვეცა მამაი. შემონაზვნებმა განა ურიგოა, მაგრამ მე ჯერ ომები-სათვის უნდა შემოვიწახო ჩანი.

თუ არსთაგანმირიგემ ინება და კვლავ ცოცხალი დაერჩი, ომის ღმერთმა მარინმა თუ ვაგლახად გავგწირა, პაპისეულ თორს გადავიცეამ, მამისეულ მუზარადს თავზე დავიხურავ, დიდპაპისეულ ხმალს წელზე შემოვირტყამ, ყრმა მონასპათა ლაშქარს წავუძღვები და გავამხნეებ“.

მზარეთლეთუხუცესი ეახლა ამირახორს. ჯერ თავყანისცა და ღვინით სავსე ჯიხვის ყანწი შესთავაზა, მაგრამ ამირახორმა გაიღიმა და უთხრა მზარეთლეთუხუცესს:

„მე დღეს ნაშუადღევს უნდა ვეახლო მეფეს ჩვენსას. ბიზანტიელ ღესპანებს მოგვით. როგორ შემიძლია თუნდაც ოდნავ ნაღვინევი დავესწრო დარბაზობას. უშანგი ჩემო.

ორიოდე ყლუბი ჩამისხი მაგ მოზერის ყანწში. როცა ბიზანტიელი სტუმრები წავლენ, დმანისიდან ჩამოტანილ ვერცხლის ბაგებისა და ქვევრების გამო უნდა ვუპატაკო მეფეს“.

ესა სთქვა ამირახორმა, მოსვა მცირედი მოზერის ყანწიდან და მიხედა ცხელ ბეჭს ირმისას: ამირახორს შიოდა, იამა ნესტოებამდის მოღწეული სუნი ბეჭისა.

მზარეთლეთუხუცესს წამახული გრძელი დანა ეჭირა ხელში. ირმის ბეჭი მთლად სიფრიფანად დაეთალა, თავისი გრძელი მკლავით მისწვდა ნათლის წვეტს, წამოიღო, წამოიღო, ვარს შემოავლო უზარმაზარ მუხის ტანს და მოწიწებით მიართვა ამირახორს.

გულიანად გაიცინა მან და ეუბნება მზარეთლეთუხუცესს:

„ეს რა გიქნია, შე კაიკაცო, ეს ბეჭი ისე ოსტატურად დაგითლია, იმ სულდალის, სულტნის ისპანანურ სასახლემ-

დის მისწვდება უთუოდ“. ამის თქმა იყო და ერთობლივი სიცილი მსმენებს შეინახეთა.

ახლა ესა სთქვა მზარეთლეთუხუცესმა: „ოდესღაც ამირახორის სასახლიდან მისივე ეზოს ქიშკრამდის უწევდა ნათალი ბეჭისა“.

ახლა ეს ჰკითხა ამირახორმა:

„ჰო, მაგრამ რამდენი მანძილი იყო ამირახორის სასახლიდან მისივე კარიბჭემდის, ჰა? როცა შენ ასეთივე ბეჭი მოგვართვი?“

მზარეთლეთუხუცესმა მიუგო:

„მე აგრე მსმენია, ამირახორო ბატონო, სულეკურთხეული პაპაჩემისაგან: ერთი უტევანის მანძილზე სწვდებოდაო ნათალი ბეჭისა. მე ეგრე მსმენია და სიმართლე უფალს უკეთ ეცოდინება“.

„აბა მე ერთ რამეს გეტყვი, უშანგი ჩემო, მეფე თამარის ცხენი ირმაი ვერცხლის ნაღვებით მყავდა დაჰედელი, ჯერ წინა ფეხს წამოიღებდა, მერმე ორივე უჯანსა და საკუთარი კბილებით იძრობდა ჩემს მიერ ნაძღვენ ნაღებს“.

ამ ამბავსაც ერთობლივი სიცილი მოჰყვა.

„აბა მე უკეთეს რამეს მოგახსენებ, ამირახორო ბატონო: ცხენების თავლებში ერთი თეთრი ვირი მიბია, ეს ვირი გაპარულა თურმე ამ სამი წლის წინად, პალესტინას ჩასულა, იერუსალიმში ჯვაროსანი რაინდები შეხვედრიან მას. გაოცებულან, თეთრი ვირის ნახვა არაეის მოსწრებიაო, და ჰკითხეს თურმე ჯვაროსნებმა ჩვენს თეთრ ვირს:

ვინა ხარო, თოვლისებრ თეთრო ვირო?

და მიუგო თურმე ჩვენმა თეთრმა სახეღარმა მკითხავთ:

„მე იმ ვირის შვილის, შვილის, შვილის, შვილის, შვილიშვილის შვილიშვილი ვარ, უფალი ჩენი იესო ქრისტე რომ მჭდარა იერუსალიმში“.

ჯვაროსნებმა ფრიალ გაიხარეს, ჩვენს თეთრი ვირის ეგზომ წარჩინება რა შეიცნეს. რაინდებმა მუხლი მოიყარეს სა-

ხედრის წინაშე, ოქროს ნალებით დას-
ვედეს იგი. ბოლოს ის იყო ამ დიდმა
პატივისცემამ ისე გაათავებდა ჩვენი
თეთრი ვირი, ადგა, ბაღდადს ჩავიდა,
ხალიფას ეახლა და ტახტი დამითმეო,
უბრძანა.

ცხადია, ხალიფას ტახტი ვერ მიატო-
ვეს მას და როგორც ჰხედავ, აგერ აბია
ჩვენი ცხენების დიდ თავლაში.

აგრე უთქვამს, ამირახორო ბატონო,
ბრძენკაცს: „შლეგი თუ შეაქე, ტახტ-
საც მოგთხოვსო და ნატახტარსაც“.

ერთობლივი სიცილი ატყდა. კვლავ
იამა ეს ყოველივე ამირახორს და
სთქვა:

„ეჰე, შენ ისეთი ოხუნჯი ყოფილხარ,
ჩემო უშანგი, მკვდარსაც კი გააცინებლი
უთუოდ“.

შარეულთუხუცესი გამოემშვიდობა
ამირახორს, მეჯინიბენი თან გაიყოლა.

ზაქარიამ მიიხედ-მოიხედა ირგვლივ
და უთხრა ამირახორს:

„ჩვენო ბრძენკაცო სარიდან ბატონო,
მთელი ქვეყანა მოვივლია ჰინდუსტანი-
დან ბიზანტიამდის. მაუწყე ერთი, დი-
აცთაგანი თუ ვინმე მკდარა სამეფო
ტახტზე ოდესმე“.

მკითხავს ეს მიუგო ამირახორმა:

„მე ერთი ამბავი მტკიცედ ვუწყი,
ჩემო ზაქარიავ, ალბათ შენც კარგად
გეცოდინება: დიაცთაგანს მეჩეთებში
არ უშვებენ მუსულმანნი. ტახტიო? ის-
პაპანში იყო ერთადერთი შემთხვევა: იმ
სულძაღლის მალიქ შაპ სულტნის
ცოლყოფილმა ტაჟურკან ხათუნმა საკუ-
თარი ქმარი მოაწამვლინა, შემდგომ ამი-
სა დიდხანს ებრძოლა თავის გერს, ბარ-
ქიარუქს ან, როგორც ჩვენში იტყვიან
ხოლმე, ბარქიაროვს. ბოლოს ის იყო,
ტაჟურკან ხათუნი შეიპყრო ბარქიარო-
მა, დამსაკის ციხეში ჩაადგეს ეს სულ-
ძაღლი დიაცი და გვემით ამოხადეს
სული“.

ახლა ასეთი რამე ჰკითხა ზაქარიამ
ამირახორს:

„ეს მარქვი, სარიდან ბატონო, დიაც-

თავანი ხომ არავინ მკდარა ოდესმე ბი-
ზანტიაში კეისრისეულ ტახტზე“.

„მე ბარე ათ წელს ვაწავი-ბიზანტიაში
ონში კეისრის კარზე დესპანად, მაგრამ
აროდეს მსმენია, დიაცთაგანი ასული-
ყოს კეისრის ტახტზე, თუ არ მივიღებთ
მხედველობაში ორივე უნიჭო იმპერატ-
რისსებებს თეოდორას.“

ზაქარიამ ისე წაიგრძელა თავისი და-
ნაოკებელი კისერი და ეუბნება ამირა-
ხორს.

„იმ სულმნათი დავით მეფის მამიდა
მარიამ ვანა ორგზის არ იჭდა კეისრი-
სეულ ტახტზე?“.

„მარიამ ზაგრატიონი ბასილისა ფრი-
ად დარბაისელი იყო და დიაცთა შორის
უტურფესი, მაგრამ შორს იღვა სახელ-
მწიფურ საქმეებისაგან. ორგზის დაქე-
რივების შენდევ თავისი ძმისწულის,
დავით მეფის სასახლეში ცხოვრობდა
ნაჭარმაგვევში.“

ამას ნატრობდა ნიადავ თურმე: ჩემს
მშობლიურ მიწაში უნდა დავიმარხო,
მერმე ის იყო ვაჟმა მისმა კონსტანტი-
ნემ წილი დაიღო კეისრის ალექსი კომ-
ნენის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმუ-
ლებაში. ალექსის ბრძანებისამებრ შე-
იპყრეს კონსტანტინე და დილეგში ჩა-
ადგეს.

ეს ამბავი მოხსენდა მარიამს ნაჭარმა-
გვის სასახლეში. მისივე აიყარა ბასი-
ლისა და ბიზანტიონს წავიდა. მერმე ის
იყო შეევედრა თავის შვილობილს, ალ-
ექსიუს კომნენიოსს: შეუწოდებო ჩემს
ერთადერთ ძეს ცთომილებანი მისნი.

კეისარი ალექსიუს აროდეს ყოფილა-
სხვა მბრძანებლებსაგანთ გულბოროტი,
აპატია კონსტანტინეს ქაბუკურნი
ცთომილებანი. მერმე ის იყო კონს-
ტანტინე გადაურჩა დამსახურებულ
განაპატივებას“.

მკითრეოდენ ხანს სდუმდნენ ორივე-
ნი, ბოლოს ამირახორმა დაარღვია დუ-
მილი და ეკითხება ზაქარიას:

„ჰო, მაგრამ რად იკითხავდი, ზაქა-
რიავ, ყოველივე ამას?“

„შენ უკეთ უწყი, სარიდან ბატონო,

რა რიგ თაყვანსცემ თამარს, ჩვენს უფლისწულს, აწ უკვე სამეფო ტახტის მპყრობელს. ამას ყოველივეს მოგახსენებ არა თუ უსაგნო ცნობის წადილი-საგან შეძრული, არამედ იმის გამო, რომ მე დიხაბც ვშიშობ, ამ ყრმა ასულმა ვედარ შესძლოს დიდთა საქმეთა დაადგას თავი.

შენ უკეთ უწყვი, სულკურთხეულმა გიორგი მეფემ დაარღვია ბაგრატიონთა სამეფო კარზე ოდიოთანვე არსებული კანონი: მამისეული ტახტი უბირველესად განკუთვნილი იყო ძეთა შორის ხნით უფროსისათვის. არა?

უფროსი ვაჟი დემეტრე მეფისა იყო უფლისწული დავითი და არა გიორგი ბაგრატიონი, რიცხვით მესამე“.

ამირახორი მცირე ხანს სდუმდა, მერმე თავი აიღო და ეუბნება მოხუცს: „სხვა ვხა არ იყო, ჩემო ზაქარიავ, დემეტრე მეფეს უფლისწული გიორგი უფრო უყვარდა, ვიდრე უფლისწული დავითი, როცა დემეტრე გარჯაიცვალა, დავითი მცირეოდენ ხანს იჯდა ტახტზე, მერმე იგიც მოკვდა, დემნა ყრმა იყო და ცუნღრუკი, ამიტომაც ავიდა ტახტზე სულკურთხეული გიორგი“.

ამირახორი გიორგი მეფის კარზედაც იყო ნამსახური, ამიტომაც გაიხარა მოხუცმა და ეუბნება ზაქარიას:

„მადლი უფალს, ზაქარიავ, ჩვენი ყრმა მეფე მამისეულ ნატერფალთ რომ მიბყვება ეგზომ გულმოდგინედ,

ვაჰმე, სიკვდილის ზღურბლთან რომ ვარ უკვე მიღწეული და უფალმა უკეთ უწყის, ჩვენი სვეგამწყრალი მამულის აღზევებას თუ მოვესწრები.

მე ამირეჯიბი ვიყავი, როცა სომხეთიდან გადმოსულმა სულტანმა მოაოხრა დმანისი, ისნის სასახლე და ნარიკალა აიღო ბრძოლით. სწორედ მაშინ წარგეტაცეს ვერცხლის ბაგანი და ვერცხლის ქვევრები.

ამიტომაც გაეიხარე, ზაქარიავ, როცა წელან ეიხილე ხელახლა მათი შემოტანა. მართალია, მე უკვე მიხრწნილებამი

ვარ გადამდგარი, მაგრამ ბრძოლას უნარი ჯერ არ დამიკარგავს.

შენც უწყვი ალბათ, ზემო-ღმრთისა ათაბაგი მანუჩარ ბრძოლის დროს მოკლეს მტრებმა ბირთვისის ციხის მისადგომებთან.

მე არასოდეს მჩვევია ჩემთა წინაპართა ქებით გულის მოხება, რადგან მარადეამს ვუწყობდი: მხოლოდ თავქეფა ხელმოცარულთ სჩვევით საკუთარ წინაპართა გმირობით ქადილი.

ეგეც უთქომს, ჩემო ზაქარიავ, ბრძენკაცს: ეცადე მოყვასთა შენთა მამაცობა ადიდო და საკუთარი გმირობის გამო დაიდუმო.

ეს უკვე მესამე წელია, რაც მე ერთგულად ვეშახურები მეფე თამარის კარს.

ეკ, აღარც კი ვიცი, ისნის ციხის მამლების ყივილს თუ გავიგონებ ხელ დილას...

ეხლა თავლებისაკენ წავიდეთ და ირმაი მოვიჩახულოთ“.

საცხენე თავლებში პირველ ბაგაში ქერს ახრამუნებდა თამარის ცხენი, დიდი დავითის ულავის ქუჩაის თანამოსახლე. მან მაყვლისფერი თვალები შემოანათა ახალმოსულთ.

მათ ჩაუარეს ბარე ათ ულავსა და იაბოს თამარის მარქაფიდან. ამირახორი თხემის რქებზე ეფერებოდა მათ. შემდგომ ამისა მოინახულეს მანდატურთუხუცესის, ჭყონდიდელის, კათალიკოსის იაბონი.

ამირახორმა გაიხარა, რა იხილა, თამარის ცხენი ირმაი მადიანად შეექცეოდა ქერს. კარგა ხანს დაყოვნდა. ცხენს აღარ ახველებდა. საჩიდანმა დალოცა ჩალმოსანი პინდო და სთხოვა ზაქარიას ეხმოთ ბენგალელი ბეითალი ახალი ნობათის კვლავ მისაღებად.

მესტუმრეტუხუცესი ეახლა ამირახორს და მოახსენა: ბიზანტიელი სტუმრები გვეწვივენ და მეფე თამარი დაუყოვნებლივ გიხმობსო.

ღამით გარეჯის უდაბნოში

• • •

აქ უბირ ქარებს უთარეშნიათ,
ამოუშვრიათ ღვინო ჭურებში,
ვაზის ფესვს ველარ უხარებია
მონღოლურ ცხენის ნაფეხურებში.

აქ ბრაზიან კაცს გადაურუჯავს
მღვრიე თვალებით მწვანე ბალახი...
იტყვირებიან ქვაბები მუნჯად
კარს შეხმობია სისხლის ტალახი.

სახურავიდან ამოდის კვამლი,
შეულანძლიათ სიწმინდე ერის,
გადმოეკიდა საყდრის თავს ძალით
გამომწყვდეული, ქდამფრთხალი ბერი.

დააკვდა თვალი ტრამალს გაჯეგილს,
სევდა ლოდებად გულზე მოშება,

თითქო მე ვიყო დავით გარეჯის
გამოქვაბული და მყუდროება.

მკერდს მიკორტნიან კუტკალიები
და ტანზე ურცხვად მაყრიან ეკლებს,
ნეტავი ვიდრე სულ გავიღვევი,
მიმღურსმონ დამსკდარ გარეჯის კედლებს.

დაურღვევია ჟამს გუმბათები,
დამზრალა ძველი ხატების ფერი,
მათ ცოდვას როგორ აუთავდები,
ერთად დაუკლავთ სამასი ბერი.

ალარც ორღანი, ალარც წინწილა,
საყდრებში მარტო მწუხრი გროვდება,
აქ დრომ ქარიშხლით გადაიწივლა,
ღარჩნენ ქვაბები და მყუდროება.

• • •

უადაბნო სიცხით იღვშება,
მიწა იბერება სისხლით,
გარეჯელთ ვერავინ მიეშველა,
ცარგვალი მობრუნდა რისხვით.

საყდარს გარს უვლიან ბერები
ანთებულ სანთლებით და სავეს ხონჩით,

სამშობლოს შევლას შესთხოვენ ვედრებით,
და სცვივით ცრემლები საკმეველის
ხრჩოლვით.

ცა ჩამობნელდა კუპრით,
უიარაღოდ დაეცა მტერი,
ურწმუნოთაგან არარა უკვირთ,
გვამებს გადასილავს მტვერი...

აღდგომა დილით ზარები კვიან,
საყდრებში ხატები იწვის.
ბერის ანაფორა გუმბათზე ჰკიდა,
ყურში მაცხოვრის გოდება წივის.

ქვაბებში ჩიტები ფრთხებიან,
მონასტრის კედლებს სამუშაო მზარავს;
ძვლები თავთუხის ნალექში ფხვნიან,
„მეტეოლებს და ტანში მზარავს“...

აქ ოფლით მიწა ვინ გააჯერა,
ქვაზე გუთანნი ვინ ამოკვეთა,
ვინ შეაფარა თავი გარეჯას,
ქვაბებში სული ვინ გამოკეტა?

აქ ქვებზე სისხლი ჯერ არ ამშრალა
და მყუდროება ქვაბებში ტირის.
გარეთ იზრდება ძეძვი და ჩალა,
თეთრად ჩამოსდის ნანგრევებს კირი.

სქელი კედლები ფართოლოდება
დროს ძუ მგელივით დაუბილია,
და წვიმის წვეთი, შიგ რომ გროვდება,
აღბათ, ირმების რძეზე ტკბილია.

ძველ გალავანში არავენ დადის,
მხოლოდ ჩიტები სვამენ ქვაბის წყალს,
უდაბნოს კენესა ზეცამდი ადის,
ნეტავ აქ ვისი ძვლები დამიწდა?

მოდის და ამ წყლით ამივსე პეშვი,
ან ამ სვეტების ზვევნიტ გამალახე.
კლდე ელავს, როგორც მამონტის ეშვი,
და შიგ გაუდგამს ფესვი ბალახებს.

ხავსის საბანში აზმორებს ლოდი,
დაუფენია მზეს ძოწეული.
სარკმელს შეზრდია ასკილის ტოტი
და უნაზესი რტო ბროწეულის...

შსსიანის საყდრის ჩივბი

მოფრინდნენ შენი საყდრის ჩიტები,
ჯერ ყანები და მზე დამილოცეს,
და მერე, როგორც ლურჯი იები,
მოედვნენ ჩემი ფაზისის ბორცვებს.

მწვემსი ბიჭები ლოცვა-ვედრებით
კურატს გიკლავდნენ შენ, ფასიან!

მისწი-მოსწიეს ეამი ნისკარტით,
მაჩვენეს შენი რძისფერი ტერფი,
ამოტვიფრული ლოდზე წალკატით
და წარმართული კოცონის ფერფლი.

მოქონდათ შენტან ტოტი ვენახის,
და იყო ყურძნის მარცვლების ჭყვლეტა...
დუღდა წარმართულ შრომის ხელხვაი,
მეამა შენი ხატების ჭედვა.

ქვებზე აკენკეს წარსულის ხავსი,
სულს ჩამიღვარეს შენი მზე ბედად,
ცრემლის წილ ნათლით ამივსეს თახი,
მიკურთხეს ჩემი ვენახი — დედა!

შენ აქ ჰკვატეს მზე გაუყავი
და მისი ტყუპი დარჩი ფაზისთან.
მე ქართველ ტომთა მისხი ვიყავი,
ვიღწვოდი პონტოს შუქით დაზვიინჯად

გადამაფრინეს ლეგენდებს იქით,
მკერდზე მაკურეს პონტო საპებით...
დაკურეს ნისკარტი ფირფიტებს თიხის,
ჩამომიმარცვლეს ძველი ზღაპრები.

ხან შენი საყდრის ვუსტვენდი ჩიტებს
და პეშვით მწიფე ხორბალს ვაჭმევდი.
ხან ფერიებთან ვმღეროდი ტივზე
და არ ვტყვდებოდი შენგან ნაჭედი.

გარინდულიყვენენ მზეზე კერპები
და ფესქვეშ სრესდნენ ჯამთა სიავეს.

კეთილ მწვემსებთან დამეს ვათევდი,
მათთან ვეძებდი სიმღერის ჯადოს...
შენი კოცონის ფერფლში გაეთეთრდი
და დღემდე სული შემრჩა უზადო.

შენს ნაფეხურებს ვუცქერ გონებით
და სულში უფრო ბობოქრობს პონტო,
დგანან ფაზისთან ბრძენი მოგვები,
ფერსთით გიფენენ ვენახის ფოთოლს.

და ვცნოსავ სურნელს წარმართულ ფამის,
გარდასულ ფერთა მასმვე სარამუნს
შემახმა ტანზე ფაზისის შლამი;
მოხედე პონტოს მზეს, ფასიანე!

გზა და კნებაკრები

მზე დედამიწას ცხელ ძუძუებს გადმო-
ულაგებს,
და ვენახები ირმებივით მზის სხივებს
წოვენ...

მოწყვთავს თაფლი მწიფე გულაბებს
და დიონისე შეხითხითებს ღვინიან კოპეს!

წმინდა ჭალებში აუნთიათ კავრები შეიდ-
ფრად,
მწყემსმა ბიჭებმა ყვავილები მიართვეს
კირკეს...
ვაზის ფოთლებში თოვლივით მკერდს ვერ
მალავს ნიშვა,
წალკა კნებამ ფაზისის კიდე!

მზე ჭინიანობს და თბილ სილაში
თოთო ბალღივით ფშვინავს ნაყოფი,—
მალალ ბალახში დაგორავს ვაშლი,
ვინ არხევს ხეებს უცხოდ გაფოთლილს!

ქალები დაჰყენენ ვაფების ნებას,
თავს აფარებენ მეწამულ კარვებს...
დიონისე თუ თვითონ მზე თერება,
ვერ აუხსნიათ სისხლჭარბ კენტაერებს.

დაძუნძულებენ პონტოს რიყეზე;
დააქვთ მზის ჭინი და გახელემა,

კამეჩის ტყავებს მკლავზე იწყვეტენ
და მუხლს იყრიან ნაზ ღვთაებებთან.

მზეს თბილ სილაში ჩაუღვრია კეთილი
თესლი,
და თეთრი ნიშვა თითქოს ვარდებს აწო-
ვებს ძუძუს...

კრფს ჭრელ ყვავილებს ჭაბუკი მწყემსი,
მიაქვს მინდვრები ფუტკრების ზუზუნს!

ხმელ ლაქაშებში ჩაუნთიათ კოცონი ჭინ-
კებს,
მოედო ქედებს ლურჯად ვაზის ფოთლების
კვამლი.
ვერ შორდებიან ფერიები ფაზისის კიდეს,
წმინდა სილაზე ღვთაებრივი სჩანს ნატერ-
ფალი.

მალალ ბალახში დატანტალებს ტიტველი
ბალღი,
ნიშვებს ხინათლით აუვსიათ ლურჯი კარ-
ვები.
იწოვენ ვნებას მზის ძუძუდან მიწაზე
დაღვრილს,
შეჭიხინებენ მზეს კენტაერები...



შენა ხარ სუნთქვა შორი მინდვრების,
მდინარის პირას, ლელიანში შე რომ ვი-
ნატრე,

შენ არასოდეს არ დაბინდდები,
თვალეში მზეა და სამშობლოს მეტი სი-
ნათლე.

შენ სერაფიმის გიხდება ფრთები
და სათნოება მაცხოვრის ხატის.

შენი სხეული საესება ვნებით,
როგორც უდაბნო აგვისტოს ხვატიო.

ყელზე აგისხავს შავი ხალები,
ფერი გაქვს ხორბლის თუ შემოდგომის,
შენ ნურაფერზე ნუ გაჯაერდები,
ხელი დაგიცავს შენ შენი ლომის.

ჩვენ არ გვივლია იმ დღეს უიღბლოდ,
მამულის მთები თვალწინ დალაგდნენ,
თუმცა გვერჩია ყოფნა უღვინოდ,
მაინც ლხინისთვის თავი გადავდეთ.

ლიახვზე ბადე ვერ დავაყარეთ,
ან კი ბადისთვის სად იყო მოცლა,
ბალახზე ძმობის ცრემლი დავღვარეთ,
ხელაპყრობილნი ვიდექით ლოცვად.

ფლატეში თოვლის მოჩანდა ჭილო,
ტანს გვისუსხავდა ხევის სიგრილე,
მზე ძირს გვიფუნდა სხივების ჭილოფს,
მთები ბიბლიურს ჰგავდნენ გვირგვინებს.

გათიბულ იყო ყანები ქერის,
გლეხის იღბალი და სალოცავი,
ტყეში ჰყვავდა ათასი ფერით
კურკანტელა და მწიფე მოცხარი.

თავს დაგვდიოდა სხივი დამდნარი
და თითქოს ვხვრეპდით ფერების ღელეს,

ღვინიან ჯამით ფეხზე ამდგარნი
მზეს წარმართივით ვუშვერდით ხელებს.

თითქოს ვიდექით აღსავლის კართან,
თითქოს ხატის წინ მთებზე ვილოცეთ,
პირველყოფილი სიწმინდის დარად
იქ შეურყვნელი დუღდა სიცოცხლე.

გლეხები ახალ თივას ზვინავდნენ,
ქალები კრეფდნენ მოცვსა და სოკოს,
მერე ყვავილებს ყელზე იბამდნენ,
ეფარებოდნენ ზვინების კორომს.

ქალაში ღვეღვზე მწვადი შხიოდა,
ლიახვის თელნი გვიშლიდა მადას,
თითქოს მზე ღვინის ჯამში დიოდა
და ჩვენ გვინდოდა მზე გვესვა თავად.

გვიან გათვლეთ ხაო მდგლოთა,
გზას გვიღობავდა ფერდობზე ნარი,
დავეშვით თავქვე, ქართლი გველოდა,
ვით გაღებული სამოთხის კარი.



ჰნეპის კვირა

არმაენი

წიგნი პირველი

კარი მეორე

თავი VI

გვირაბის ყელში, სადაც ნიკო მიქი-
აშვილი, შურა ჩილაჩავე და ევგენი არ-
ტემიძე მუშაობდნენ, კოსტა გოიაევიმა
სწორედ უკანასკნელი ფორნის გასტუმ-
რების წინ გამოიარა. კოსტა ისე დაღ-
ლილი ჩანდა, ფეხებს ძლივს მიათრევ-
და. ურიკაზე ამჯერად ერთმანეთში ჩად-
გმული ძროკუნჭულო ვედროები, წე-
რაქვები, ძალაყინი, გაბმული ხერხი,
რამდენიმე მოკლეტარიანი ნაჯახი და
სხვა ხანძარსაწინააღმდეგო იარაღები
ეწყო. კოსტას თითქოს კიდევაც გაუყ-
ვირდა, დაუსრულებელი ლოდინისაგან
სულწასული ევგენი არტემიძე რომ
გვერდში ამოუდგა და მუგუზალებივით
გავარჯარებული თვალები სახეში მო-
ურიდებლად შემოანათა. ევგენის ეს
შემოხედვა უკვე ბრძანებას უდრიდა
და თუმცა კოსტა გოიაევი გულში ჭერ
კიდევ იმედოვნებდა, უგუნურ და აშკა-
რად სახიფათო წამოწყებაზე იქნებ რო-
გორმე ხელი ავაღებინოო, ახალი ეკვის

გასამხელად სიტყვის თქმა ვერ გაბედა.
კოსტა თითქოს საკუთარი ნების წინა-
აღმდეგ მოქმედებდა და რაც უფრო მე-
ტი იყო ეს შინაგანი წინააღმდეგობა, ის
მით უფრო ღრმად ექცეოდა თავისი
ახალგაზრდა ძმადნაფიცის გავლენაში.

ევგენი ცდილობდა, ზედმეტს არა-
ფერს შეჰკითხოდა და მისახვედრს
უმალვე მიმხედარიყო. რამდენიმე სა-
ათის წინ, როცა ამავე გვირაბში ქვი-
შით სავსე კასრით დამძიმებულ ური-
კას მიაგორებდნენ, მას წარმოდგენაც
კი არ შეეძლო, თუ ძუ დათვივით
ფრთხილი და ზოზინა კოსტა გოიაევი-
აზრის ამგვარ სიმკვირცხლეს, ეშმაკო-
ბას და გამომგონებლობის უნარს გამო-
ამტყავნებდა.

კოსტამ საკმაოდ გაბედული გეგმა
წაშოაყენა. გეგმა, ეტყობა, წუხანდელი
მოფიქრებული ჰქონდა, ანდა უფრო
ადრე ყოველი შემთხვევისათვის შე-
ედგინა. „კარგი მუდო ხარ! — ფიქ-
რობდა გულში ევგენი, — კაცმა რომ
შეხედო, ჰიანჭველას ფეხს ვერ დააბა-

ვებს, თავში კი ვერ უყურებ რა ამბები უტრიალებს?“ ასე იყო თუ ისე, კოსტას გეგმა ეგგენის გეგმაზე უფრო გონივრული და შედარებით ადვილად შესასრულებელი ჩანდა.

საჭირო იარაღსა და საჭურველს კოსტა დღისულ მოაგროვებდა წყალსაწრეტ გვირაბში და შემდეგ და შემდეგ ნაწილ-ნაწილ გაიტანდა დიუნების დასავლეთ კალთებზე ამზორილ ლერწმონს.

იარაღის ამ გზით გატანას თავისი სიძნელე ახლდა: გვირაბში, უფრო კი ხერელში, მხოლოდ სოხვით თუ გაძვრებოდა ადამიანი, მაგრამ მას, სამაგიეროდ, უპირატესობაც ჰქონდა: წყალსაწრეტი დღენიდან ჩაბნელებული იყო და თვიდან თვემდე შიგ კაცი არ შეიხედავდა. კოსტას საქმეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისიც აადვილებდა, რომ ლერწმოვანი დიუნების ზოლს მისდევდა და რადგანაც ეს ადგილი ქვიშიანი იყო, სანაპიროს პატრულები ზედ გავლას ერიდებოდნენ. ისინი ყოველთვის ვიწრო ბილიკს ირჩევდნენ დიუნების ძირში, რადგან ბილიკიდან ორასამი ნაბიჯის მოშორებით, მთელ სიგრძეზე, სანაპირო დანაღმული იყო და იქ უნებლიეთ თუ განზრახ ფეხის შეღება ყოველ სულდგმულს მომაკვდინებელ საფრთხეს უქმნიდა.

ყველაფერი გასაგებია, — გადაულაპარაკა ეგგენიმ კოსტას და ნაბიჯს შენელებით აგრძნობინა, რომ ამ ადგილიდან უკან დაბრუნებას აპირებდა. — როდის მივაკითხოთ?

— ხვალ! — გოიავეს შესამჩნევად უთრთოდა ხმა, ის ახლაც თავს ებრძოდა და ცდილობდა, ამ გადამწყვეტ წუთებში სულის წონასწორობა შეენარჩუნებინა. — შრთხილად იყავით, ეგგენი, თუ ჩემი ძმობა გწამს. რა დროს ვაგვაგებენ და დავუცემიან, შენ გაცვებ?

— ფიქრი ნუ გაქვს, კოსტა.

— მარტო იქნები?

— ორი ბიჭი მომეხმარება.

— შამშე და კაკო?

— არა, სხვები. შეიძლება მეოთხეც წამოვიყვანო. შენ ის მიფიქრე კოსტა, ეს კოტე ჩინჩაბაძე ვინღა...
— არის... — გოიავი უსიამოვნოდ შეიშუშუნა.

— მე მაგ სახელის და გვარის არავინ მახსოვს.

— არის, როგორ არა, კაცი ჩვენთან იყო.

— აჲ რას აკეთებს?

— აბა, მე რა ვიცი, ბიჭებმა თქვეს, კაცოს გაცემა მაგისი საქმეაო.

— რას ამბობს..

— მე არ ვიცი, მე არ მიყურებია.

— რომ გაგვესაღებინა?

— შენ, რომ კაცმა ყური დაგიღოს...

— მაჩვენე მაინც რომელია.

— კი, ოღონდ შენ ფრთხილად იყავი. ახლა მეტს ნულარ გაგჩერდებით ერთად. შეგვაჩვენე.

— აბა, მაშ ასე, კოსტა!..

„მეოთხე“ როცა ახსენა, ეგგენი არტემიძე შალიკო ნოზაძეს გულისხმობდა. საველე სამზარეულოს მაღალ კოფოზე წამოჭდარი ტანმორჩილი შალიკო დღეში ორჯერ, დილასა და შუადღისას, დაიარებოდა საწყობში მომუშავე გერმანელებისა და თავისიანების დასაპურებლად და თუ სურვილსა და მოხერხებულობას გამოიჩინდა, თავისუფლად შეეძლო სამალავში გადანახული მთელი იარაღ-საჭურველი, ან მისი ნაწილი მაინც, კრომენიდან გაეტანა და ზანდფორტის რომელიმე მიყრუებულ კუთხეში დანიშნულებისამებრ ჩაებარებინა. მაგრამ ვიდრე ნიკო მიქიაშვილის პირით ნოზაძეს მოელაპარაკებოდა და საქმეში მონაწილეობის მიღებაზე დაითანხმებდა, ეგგენი ჯერ კოორდინაციას უნდა შეხვედროდა და მისგან საჭირო მითითება მიეღო — სად, როდის და ვისთვის გადაეცა დაპირებული იარაღ-საჭურველი.

ეგგენის არ უნდოდა თავის თავისთვის გაემხილა, რომ ვან-ლემერენების მყუდრო ქერქვეშ ხელახალი მოხვედრის შესაძლებლობა გულს უჩვეულო

სიხარულით უვსებდა და ამ სიხარულის მიზეზი არა თვით კოორი, ან ვაჟკაცური სიტყვის შესრულებით აღძრული თავშეკავებული სიამაყე, არამედ ვან-ლემერენების ნადრევიდ დაქალებული გოგონა ლინკა იყო.

„არა! — ჯიუტად შესძახა ევგენიმ და შეეცადა ოდნავ ნაღვლიანი, ფარული ცეცხლით ანთებული ლინკას სახე როგორმე თავიდან მოეშორებინა. — სისულელეა! ახლა ამეების დრო არ არის...“ მაგრამ რა „ამეების“? მას უცებ გაახსენდა აღზნებული ლინკას ჩურჩული წყალდიდობის მეორე დღეს, როცა ტორფით გაღუღუნებულ ბუხართან ევგენის სასკოლო ატლასი მოურბენინა და სთხოვდა, გვაჩვენე, შენი სამშობლო გეორგია თუ იბერია დედაპიწის რომელ კუთხეშიაო. ევგენის თავისი გულსტეკენაც კარგად ახსოვდა. შემდეგ ისიც მოაგონდა, როგორ გაუმზილა ქალმა ოჯახის ყველაზე დიდი საიდუმლო. რითაც უცხოელისადმი წრესგადასული ნდობა გამოხატა, მოაგონდა და დაუოკებელი სურვილი დაეფულა, რაღაც ისეთი რამ ჩაედინა, რაც ლინკას სიხარულსა და აღტაცებას მოჰგვრიდა.

„მაგრამ მაინც სიღინჯე გმართებს, — წინდახედულად არიგებდა საკუთარ თავს ევგენი და შეუბოვარ წინააღმდეგობას უწყევდა გულში უჩუმრად შემოპარულ ადამიანურ სისუსტეს, რისთვისაც სახელის დარქმევა აზრადაც არ მოსდიოდა. — ის, რასაც შენ აკეთებ, ბავშვური თამაში არ არის, როგორც იტყვიან ზოლმე, ცეცხლთან თამაშია...“

ევგენი თავის სიცოცხლეში დღეს პირველად გრძნობდა იმ ბუნდოვან და გარდაუვალ პასუხისმგებლობას, რომელიც მისი ასაკის ადამიანებს ცხოვრებაში როგორღაც ერთბაშად და თავისთავად ეკისრებათ და რომლის შეგნების მეოხებითაც გუშინდელი ცხვირმოუხოცელი ბიჭი მამაკაცად გადაიქცევა. თუ სხვა დროს ნათლად ვერც კი წარმოედგინა, თავისი საქციელის გამო როგორ შეიძლებოდა პასუხი ეგო, როგორც მოზრდილ ადამიანს, დღეს ყველას მა-

გიერად პასუხისმგებლად თვითონ გრძნობდა თავს. ეს ახალი გრძნობა სიმხნევესა და თავდაჯერებას მიატებდა.

„რა უცებ გავზრდილვარ, — ფიქრობდა ევგენი, — ნეტავი როდის და რაწაირად მოხდა ჩემში ეს გარდატეხა? ლინკამ რომ ეს იცოდეს...“

მას გაახსენდა კოორის მოკრძალებული თხოვნა და სახეზე აღმური მოკეიდა. ოჯახის მამა ორმხრივ უფრთხოვდა თავის სახლში უცხოელი ახალგაზრდა კაცის ხშირ-ხშირ სტუმრობას და ეს არც ევგენის წინაშე დაუმალავს. კოორის თხოვნა არტიმძეს ხელ-ფეხზე ბორკილებად დაედო და თუმცა ნაცნობი ოჯახის მონახულების სურვილი და ცთუნება დიდი იყო, ის თავს იკავებდა და ერთფეროვან, გაუთავებელ საღამოებს, მოცალეობის ქაშს, ოცეულის ყაზარმად გამართულ ბინაში, ანდა ამღვრეული ზღვის უმიზნო ზვერვაში ტარებდა. ვან-ლემერენების ოჯახის მონახულებას დღეს გადაუღებელი საქმე მოითხოვდა და ამით წათამამებულმა ნაცნობ ჩიხში დამშვიდებული სინდისით შეუტხვია.

ახალი დადამებული იყო, კომენდანტის საათის დადგომას ზევრი აღრაფერი აკლდა და ჩაბნელებულ ქუჩებში მხოლოდ აქა-იქ გაისმოდა აჩქარებული ფეხისხმა, რომელიც ერთხანს კიდევ სწვდებოდა ყურს და მერე ორი თუ სამი მოსახვევის იქით წყდებოდა. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. ღამის ამ დროს ყველა ცდილობდა ფათერაკს მორიდებოდა და საკომენდანტო საათის დადგომას საკუთარ ოთხკედელსა და გამომწყვდეული შეხვედროდა.

ინჯიას მიერ ბოძებული საგანგებო საშვი ევგენის ნებას აძლევდა გარნიზონში დაკანონებული წესრიგისათვის ანგარიში არ გაეწია და, თუ საჭიროდ ჩასთვლიდა დღე-ღამის ყოველ დროს ქუჩაში გამოსულიყო, მაგრამ ამ საშვის იმედი მას მაინც ნაკლებად ჰქონდა და ყოველთვის ცდილობდა, ღამის პატრულებისათვის, იმდამინდელი შემთხვევის შემდეგ, ასე რომ გაფხიზლდნენ და ასი

ყურა და ასი თვალი გამოიხედა, თავი შორს დაეჭირა — ვინ იცის, ვინ როგორ გუნებაზე შემხედვებო და ეს მართალიც იყო.

ჩაბნელებულ ჩიხს ერთხელ კიდევ მოავლო მზერა, წაპით გაიჩინდა, საეჭვო რამ ხომ არაფერი ისმისო და სწორედ მაშინ, როცა ზარის დაარეკვას აპირებდა, მისი ყურადღება ხმამაღალმა ჩურჩულმა მიიქცია. გაქცევა უკვე დაგვიანებული იყო. ამას ვაითუ დიდი აურზაური მოჰყოლოდა. ევგენი ერთ აღვილზე გაიყინა და ხელი უმაღლვე შარვლის უკანა ჯიბისკენ გაეჭკა. იმავე წამს ქალის თეთრი, რბილი ხელები მხარზე შეეხო და ევგენის მთელ ტანში ქრუანტელმა დაუარა. ეს თეთრი ქალიშვილი ბნელაშია ცი იცნო, ორივე ხელი მხარებზე მოჰხვია, სახეში ჩაჰხედა და ჩურჩულით ჰკითხა:

— აქ ვის ელოდები, ლინკა, რისთვის გამოხედი ქუჩაში მარტო?

— შეგაშინეთ?

— დედა და მამა შინ არიან? — ევგენიმ ფრთხილად მოაცილა ქალის მხარს მარჯვენა ხელი, პისტოლუტი ჯიბეში ჩააცურა და დიდი შეიკრა.

— მამა შინ არის. თქვენ გელოდებით. რად დიკარგეთ ასე? დედა ძალიან წუხდა.

„შენ? შენ, ლინკა?“ — კიდევ იკითხა ვიღაცამ ევგენის სულში, მარამ ვაგი ჯიუტად სდუმდა და თავის გრძობებზე არაფერს ამბობდა.

— მე ისე მეჩვენება, რომ აქ მარტო არა ხარ, ლინკა, — თქვა მან ერთი წამის შემდეგ, რათა სანატრელ ქალიშვილთან მარტო ყოფნა თუნდ სულ ცოტა დროით გაეხანგრძლივებინა. — აქ კიდევ ვიღაც არის თქვენს გარდა... — ეს რომ უთხრა, ევგენი მწვავედ გაეწწწლა ეჭვმა: თუ მართლაც ვინმე იყო, ის ვინმე უთუოდ ვაგი იქნებოდა. „მერე რა შენი ჰქუის საქმეა! — შეუწყრა თავს ევგენი, — დამიხედეთ ერთი ეჭვიან რაინდს! შენ ვინა გკითხავს, ბალი ათი შაურიაო?“ მაგრამ ეს გონების

კარნახი იყო. გული სულ სხვა რამეს ეუბნებოდა.

თითქოს ევგენის აფორიზმების მიზნებს მიუხედა და თავის გამართლება მოიწადინაო, ლინკა ვაეს მოსცალდა და თვალის დახამხამებაში ისევე მის წინ გაჩნდა. ევგენიმ ამასობაში ბინდებულს თვალი შეაჩვია და დაინახა, რომ ლინკას გვერდში მონოხნის თალხებში გაბეული ჩათქვირებული ქალიშვილი უდგა. მისი გახამებული თეთრი გულსპირი, მხრებსა და მკერდზე რომ გადმოეფინა, და ამავე ფერის ფარფლებიანი ხილაბანდი ბნელაში თოვლივით ქათვად და ქალიშვილის სახეზე რაღაც არაამქვეყნიურ შუქსა სცემდა.

ევგენი ქალს ხარბად დააკვირდა. ის თითქოს საღლაც ენახა და ახლა მეორედ თუ მესამედ ხედებოდა. „ნუთუ ის არის? — გაიფიქრა მან და ქალს ერთხელ კიდევ ახედ-დაჰხედა. — ორნი არ იყვნენ? გივი ანთიძე რომ გაეხუმრა...“

— თქვენ დაგავიანდათ, ევგენი, — მიმართა ვაეს ლინკამ, მეგობარ ქალს ორივე ხელი მოჰხვია წელზე, ამოეფარა და თავი მისი მარჯვენა მხრის უკან იდან გამოჰყო. — ცოტა ადრე რომ მოსულიყავით, აქ თქვენს ამხანაგებს ნაზავდით. იცით, ვის? — და თვითონვე უპასუხა: — მიტოს! და გოგის.

— მიტოს და გოგის? — უანგარიშოდ გაიმეორა არტემიძემ, — როგორ, თქვენ უკვე იცნობთ მიტოს და გოგის? საიდან? როგორ?

— ვიცნობთ. — თავდაჯერებულად შეიხუტა ლინკამ. საღამოობით მოდიან ხოლმე. ლოტოს ვთამაშობთ. თქვენ არ მოგწონთ? ყველა ვთამაშობთ. არ შეიძლება?

— შეიძლება, როგორ არა, მაგრამ... — ევგენი დაიბნა. მას უცებ გაახსენდა გოგი გარსევანიშვილი, იმ დღეს ველოსიპედს რომ მოაქროლებდა ქუჩაში და გულზე ციცილი წაეკიდა. „აი, თურმე რომელ გოგოებს აქებდა და ვის თავს მახარებდა. ლაწირაკი!“

— თუ ნებას დაპირთავთ, ჩემს მე-

გობარ მარსელას გაგაცნობთ. — ევგენი ლინკას ხმამ გამოარკვია. „სწორედ მონაზვნების გაცნობა მაკლდა!“ — გაიფიქრა მან და ერთბაშად აღსდგა მენბიერებაში შურა ჩილაჩავას მიერ სახუმაროდ თუ სერიოზულად ნათქვამი სიტყვები. „ღმერთო, ნუ გადაარქვ, მამ ეს არის მიტო გიგაშვილის გულისტოლი?“

— მე არც კი მეგონა, თუ მონაზვნებს მამაკაცის გაცნობის ნება ჰქონდათ, — უმისამართოდ თქვა ევგენიმ და მარსელას რბილ და არაჩვეულებრივად ცხელ ხელს ხელი სათუთად მოუქირა. — ჩვენს ეკლესია-მონასტერში სულ სხვა-ნაირი წესებია. — მან ეს ისე საქმიანად შენიშნა, თითქოს ხსენებული წესები ჩაბუღებულბული ჰქონოდა და ისევ ლინკას მიუბრუნდა: — თქვენმა მეგობარმა მარსელამ გერმანული იცის?

— პირდაპირ მიმართეთ, ევგენი, მე რატომ მეკითხებით?

— ვატყობ, მორცხვი ქალიშვილია და არ მინდა შეკითხვებით გაეწითლო.

— თქვენ ნამდვილი ჯენტლმენი ხართ, ჰერ ევგენი, არა, მარსელა? მე ეს კარგა ხანია შეენიშნე, მომწონს ჯენტლმენი მამაკაცები, მართლა, აქ რატომ ვდგავართ? შინ შევიდეთ. მოიცათ, ევგენი, არ დარეკოთ, მე გასაღები მაქვს.

— მე გავიქცევი, — გერმანულად წასჩურჩულა მეგობარს მარსელამ, — უკვე გვიანია.

— კომენდანტის საათი იწყება, — ევგენის უეცრივ მოაგონდა, რისთვისაც იყო აქ მოსული და კვლავ მოუთმენლობა დაეუფლა. — ფროილიან მარსელა, სამწუხაროდ მართალს ამბობს, ლინკა, ახლა ქუჩაში ყოფნა სახიფათოა.

ევგენი და ლინკა ერთხანს კიდევ იდგნენ სადარბაზო კართან, ვიდრე მარსელას თეთრი ხილაბანდი და გულისპირი მოპირდაპირე სახლის კუთხეს არ მოეფარა და, როცა ევგენი დარწმუნდა, ახლა კი მარტო ვართო, ქალიშვილს კვლავ მხრებში ჩასჭიდა ორივე ხელი და ჩურჩულით ჰკითხა:

— ნამდვილად მითხარი, ლინკა, ჩვენი ბიჭები აქ რისთვის დამხანაურები?

— ხელი გამიშვით, ევგენი, ისეთი რამეს რატომ მეკითხებით?

— მე ამის ნება მაქვს!

— ოჰო! ვინ მოგვით ეს ნება? მე კი პირიქით მეგონა...

— სერიოზულად ამბობთ? — ევგენის ხმა გაეზარა. მან აღაღებულად ველარ იპოვნა სათქმელი სიტყვა. ქალმა დაასწრო:

— გამიშვით ხელი! — და როცა თავი გაათავისუფლა, დაუმატა: — აი, ასე. ეგ რა ტირანული ჩვეულება გქონიათ! ტყუილად კი არ ამბობენ, სამბრეტელი მამაკაცები ტირანები არიანო. — მას ეტყობა მოსწონდა ეს მაგარი სიტყვა „ტირანი“ და ამიტომაც რამდენჯერმე გაიძეოდა.

— უღდად ნუ გამიგებ, ლინკა, — ზოდიშის მოხდის კილოზე, თითქოს შეშინებია, კიდევ უარესი რამ არ წამომცდესო, ფიცხად დაიწყო ევგენიმ. — მე მხოლოდ ის მინდა, რომ საწყენი არაფერი შეგხედეს...

— რატომ გგონიათ, რომ მაინცდამაინც სხვა მაწყენინებს? იქნებ თქვენ თვითონ მაწყენინოთ? იქნებ... თქვენ მე ბავშვად მთვლით. ჩემთან სერიოზულ ლაპარაკსაც არ კადრულობთ. აბა, გზედეთ და მითხარით, რომ ეს ასე არ არის! ამას მე ვერ მოვითმენ. გესმით? არავის შეურვეობა მე არ მჭირდება. მამაჩემს და თქვენ ტყუილად გგონიათ, რომ... — ქალს ცრემლები მოეძალა. ხმა აუკანკალდა და სიტყვა გაუწყდა.

ევგენი მთლად დაიბნა. აღარ იცოდა, რა ეჭნა, ეს თავნება პატარა ქალიშვილი, ყველა თავისი ქალური ღირსება უკვე საკუთარი ხელი თითივით რომ იცოდა, რით დაეშოშმინებინა.

— მოიცათ, ლინკა, რას ამბობთ... — წაიღულულა მან, — გინდა, ვინმემ გაიგონოს?

ახალგაზრდა ქალ-ვაჟის ეს უცაბედი შეხლა-შემოხლა, ვინ იცის, რით დამ-

თავრდებოდა, ქუჩის მყუდროება რომ ანაზღად რკინის საკეტებისა და ჭაჭვე-

ბის ჩხარუნს არ დაერღვია და კარი არ გაღებულყო.

საქართველო
საბჭოთაო

თავი VII

აირველი, რაც ევგენი არტემიძემ კოორ ვან-ლემერენისაგან შეიტყო, კაკო ცუცქირიძისა და შამშე მღვდელაძის ამბავი იყო. ზანდამის მისადგომებთან აღფრთხილებული ხიდის ყურში ენახათ ორ ენაზე — გერმანულად და ფლამანდიურად მღვდელი მოკლე წერილი, რომელიც იუწყებოდა, რომ ამ ამბის მოქმედნი ყოფილი სამხედრო ტყვე ქართველი ბიჭები შამშე მღვდელაძე და კაკო ცუცქირიძე იყვნენ. ზანდფორტის მომიჯნავე ადგილებში დივერსიები არცთუ ისე იშვიათად ხდებოდა ხოლმე, მაგრამ სარკინიგზო ხიდის აღფრთხილება პირველი შემთხვევა იყო და ამან ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

მამ, შამშემ და კაკომ შესძლეს ხელსა და ხელს შუა გასძრომოდნენ გესტაპოსაც და ადგილობრივ პოლიციასაც და ადგილობრივ იატაკქვეშა ორგანიზაციის თუ ცალკეულ პირებს დაკავშირებოდნენ.

კოორი კვლავინდებურად მშვიდი და მუდგრეველი იყო. როცა ევგენის ამ ამბავს მოუთხრობდა, სტუმარს თვალს არიდებდა და სადღაც ოთახის სიღრმეში იტყობოდა. ევგენი მოთმინებით უსმენდა და ერთხელაც არ ცდილა ამ წუთს გაგონილი ამბის გამო თავისი აზრი, მოწონება ან გულისტკივილი გამოეთქვა.

კოორის ისე გამოჰყავდა, რომ კაკო და შამშე საკუთარი თავის ანაბარა იყვნენ და ადგილობრივ იატაკქვეშეთან ან ვინმე ცალკეულ პირებთან კავშირი არ ჰქონდათ. ევგენი ადვილად ხვდებოდა, რომ მასპინძელი ჯერ ისევ უნდობლად უყურებდა და მისი ეს ნაკლებ სარწმუნო დასკვნებიც ამ უნდობლობის ცოცხალი დადასტურება იყო.

არც კაკოს და მით უმეტეს არც შამ-

შეს, რომელიც თვით გერმანულსაც საშინლად ამტკრევედა, ფლამანდიურისა ინჩი-ბინჩიც არ გაეგებოდა და სხვათა დაუხმარებლად ამ ენაზე აბა როგორ დასწერდნენ, ესა და ეს ხიდი მავანმა და მავანმა ავაფეთქეთო! ამას გარდა, რას ჰამდნენ, რას სვამდნენ, დღისით სად იმალებოდნენ და ღამეს სად ათევდნენ? ეჭვი არ იყო, ერთიცა და მეორეც ადგილობრივ მკვიდრებთან შეთანხმებულად მოქმედებდნენ და მათთვის რომ გამოაშკარავების საშიშროება აეცილებინათ, ჯანი ვავარდესო, ყველაფერს თავის თავზე იღებდნენ.

განა ეს გარემოება კოორისათვისაც ცხადი არ უნდა ყოფილიყო? მაგრამ ის თავს იკატუნებდა და გულუბრყვილო დუმისს არჩევდა.

ევგენიმ ერთი დაპირება დააპირა, მოდი, ეთხოვ, იქნებ როგორმე დამეხმაროს და მღვდელაძესა და ცუცქირიძესთან პირისპირ შემახვედროსო, მაგრამ ამ განზრახვაზე ხელი უშალვე აიღო, რადგან კოორი უსათუოდ გააწილებდა და პირში ჩალს გამოაგლებდა. არადა, შამშესთან და კაკოსთან შეხვედრა, თანაც რაც შეიძლება უმოკლეს დროში, საშურო და აუცილებელი საქმე იყო. მათ როგორმე უნდა შეეცვალათ ადგილსამყოფელი და ბატალიონის დისლოკაციის რაიონს შორს გასცოდნენ. თუ ამას არ იზამდნენ, ქართველებსა და გერმანელებს შორის ურთიერთობა დღითიდღე გამწვავდებოდა და შეიარაღებული გამოსვლის ფარული სამზადისი, რაც თავის მხრივ ამდენ ხიფათსა და საშიშროებასთან იყო დაკავშირებული, ამაოდ ჩაივლიდა.

არტემიძის ცნობას, იარაღ-საჭურჭლის გამოტანის და უხიფათო ადგილზე მიზიდვის საქმე უკვე მოგვარებულიაო,

კოორ ვან-ლემერენი გულგრილად შეხვდა, ევგენიმ ჭერ ის გაიფიქრა, ვითუ ვერ გავაგებინეო და ცნობა გაიმეორა, მერე კი გაჩუმდა და დაელოდა, რას ეტყოდნენ. სწორედ ამ დროს ბავშვების ოთახის კარი გაიღო და ოთახში, სადაც მამაკაცები თაობირობდნენ, ლინკამ შემოიხედა — ჩაი მზად გახლავთ და მობრძანდითო.

— მე ვერ დავრჩები, ბიჭები მგლოდებიან, — ლინკას მაგიერ კოორს მიმართა ევგენიმ, როცა კარი მიიხურა და ისინი ისევ მარტო დარჩნენ და ადგა. — სად წავიღო, შინ მოგიტანოთ?

დაღვრემილმა და ფიქრებში წასულმა კოორ ვან-ლემერენმა მხოლოდ ახლა ასწია თავი და ახალგაზრდა სტუმარს გამჭოლი ცისფერი თვალები მიაპყრო.

— როდის აპირებთ გამოტანას?

— ზვალ, ნაშუადამევს, — დარწმუნებით მიუგო ევგენიმ. — ოღონდ მიიხაროთ, სად წავიღო და ვის ჩავებაო. იარაღი უკვე მოგროვებული იქნება. იქ ერთ წუთს გაჩერება არ შეიძლება. პატრულები თუ გადააწყდნენ, დაეიღუპებით და ეგ არის. პირველ პარტიას ორი ველოსიპედით გადმოგიტანთ, შემდეგ კი, თუ მშვიდობა იქნა, იქნება საველე სამზარეულოც გავრიოთ საქმეში.

კოორი კარგა ხანს ფიქრობდა, მობერებულ ადგილს არჩევდა კრომენიდან ჩამოტანილი იარაღის მისაღებად და ბოლოს არჩევანი კანალიზაციის ჭაზე შეაჩერა. ეს ლითონის ხუფით თავდახურული ჭა ვან-ლემერენების სახლის უკან იყო, ეზოში. პარალელური შესახვევის მხრიდან ეზოს საცალფეხო ჭიშკარი ჰქონდა. ჭიშკრით თითქმის მთელი წლის მანძილზე არავინ სარგებლობდა და ის დღენიადაც ჩაკეტილი იყო. ევგენის გამოჩენის დროისათვის კოორი ჭიშკარს ღია დატოვებდა და იარაღის მომტანებს სრულ თავისუფლებას მისცემდა. ის ამჯერადაც სიფრთხილეს იჩენდა და თავისთვის და თავისი ოჯახის წევრებისათვის ძნელი მდგომარეობიდან გამოს-

ავალს იბევებდა. თუ ვინცობაა, ევგენი და იმისი ხელისშემწყობნი პატრულებელ სიფრთხილეს ვერ გამოიჩინდნენ და გატაცებული იარაღის კვალს პოლიციის ან გესტაპოს მამებრები მოჰყვებოდნენ, ვან-ლემერენს სრულიად დამწვიდებული სინდისით შეეძლო ეთქვა, ამ ამბისა არაფერი ვიცი, ბოროტ მოქმედები ჩემს ეზოში უკანა ჭიშკრით, ჩემდა გაუგებრად შემოპარულანო.

ევგენი არტემიძემ წყენა გადაყლაპა. ის და მისი ამხანაგები წინასწარვე გამეტებული იყვნენ: ეს დინჯი და ანგარიშიანი ჩრდილოელი თითქოს ჰადრაციის დაფას უჭდა და შორს გამიზნულ სვლებს აკეთებდა. „რა გაეწყობა, — ფიქრობდა ევგენი, — მდგომარეობის ბატონ-პატრონი ეს არის. არ დაყაბულდები და, ვინ რას გეხვეწება — შეაყოლე, საიდანაც მოსულხარ!“

— ჭიშკრის გასაღები მაინც მოგეცათ, — უთხრა მან ოთახიდან გასვლის წინ თავის სიტყვაძვირ მასპინძელს. გულში კი გაიფიქრა: „რა შვილი მოგცემს! ვერც გაამტყუნებ: ეთქვათ, ჩავეარდი და მაგისი ეზოს გასაღები ჭიბეში მიბოგნეს, პირიდან სისხლს არ არწყევინებენ?“

— არ არის საქირო. — დინჯად თქვა კოორმა და რაკი სტუმარი წასვლას ჩქარობდა, თვითონაც ადგა, ადგა და ტანმორჩილ არტემიძეს ზემოდან დააცქერდა. — დარდი ნუ გექნებათ. ჭიშკარი ღია იქნება. ბოქლომს მხოლოდ ყსიდად დავადებ. — მერე კარისკენ გაიხედა, ხმას დაუწია და ფრთხილად დასძინა: — თქვენ ლინკასთვის ხომ არაფერი გითქვამთ?

— როგორ გეკადრებათ!..

— ეს არის ჩემი პირადი თხოვნა... ლინკა ჭერ ბავშვია. კონსპირატიულ მუშაობას ფიზიკური გამძლეობა და სულის სიმხნევე უნდა.

— თქვენ, მე ისე ვატყობ, არ იცნობთ თქვენს ქალიშვილს და ის ისევ პატარა და სუსტი გოგო გგონიათ, — შებებდა ევგენიმ, — ასეც

ხდება ხოლმე. მეც სუსტი ვიყავი ოპში წამოსვლის წინ. დედაჩემს ეგონა, გაჭირვებას ვერ გავუძლებდი და სული ამომხდებოდა. როგორც ხედავთ, არაფერი მსგავსი არ მომხდარა. რაც მიმაქვს, ორი იმდენის წაღება შემიძლია.

— მე ვიცოდი, რომ მაგას მეტყობდით. ლინკამ ჩავაგონათ. მე ტალანში ვიდექი და ყველაფერი მესმოდა. თქვენ თავშეკავებული ყმაწვილი ხართ. ცხოვრებას მართლაც ბევრი უსწავლენია. იქნებ ამის თქმა ზედმეტად ნაადრევია იყოს, მაგრამ მაინც გეტყვით. მე თქვენ გენდობით.

— გმადლობთ, ბატონო კოორ, — გულმხურვალედ მიუგო ევგენიმ და ამ ახმახი, ხმელ ჩალსავეით გამოშრალი კაცისადმი წრფელი მადლიერების გრძნობით განიმსჯელა.

— ახლა კი გაგიდეთ, თითო კიქა ქანვეერი დავლიოთ და ზედ ცხელი ჩაი დავაყოლოთ. Muti-ს მგონი კარტოფილის კატლეტებიც აქვს. რუსული კატლეტები! გველოდებიან. მიკვირს, ლინკამ მეორედ რომ აღარ მოგვაკითხა.

— დიდი მადლობა, ბატონო კოორ, — თავისი სურვილის წინააღმდეგ იუარა ევგენიმ, — ერთ წუთსაც ვერ დავიცდი. ახლავე ბიჭებს უნდა გავუარო.

— მაშ, უსიკვდილოდ ხვალ ლამ აპირებთ?

— უსიკვდილოდ. იარაღი უკვე გამოტანილი დაგეხვდება. თუ მაშინვე არ გამოვარიდეთ, დილას პატრულები იპოვნეან და მერე კაპუტ!

— ახლა აქედან გასვლა არის საქმე... მომყევით! — თქვა კოორმა, ტორშერი, რომელიც კუთხეში იდგა და დარბებმაგამანულ ოთახს მოცისფრო შუქით ანათებდა, გვერდზე გადადგა და ევგენისდაგასაოცრად იატაკში ჩატანებული კარი ასწია. სარდაფიდან ნესტისა და თავგვისწამლის სუნი ამოიჭრა, დიდი ხნის კარგაუღებელ ბედელში რომ დადგება ხოლმე. ხის ვიწრო კიბეზე კოორი პირველი ჩაეიდა, იატაკის კოჭებს შორის მხრები ფრთხილად

ჩაატია და სარდაფში სინათლე აანთო. სინათლე მალე უკან დარჩა, რეინე ალაბეღზე მიაბიჯებდნენ ხის კარებას და რაღაც ხარახურით ავსებულ ყუთებს შორის. მალე ოჯახის უფროსმა კედელს ხელი მოუფათურა და კიდევერთი ფიცრული კარი გააღო. ისინი ხის იატაკიან მომცრო ოთახში აღმოჩნდნენ. ოთახში სინათლე არ ენთო, მაგრამ კიბესთან მობრღვევით ნათურის შუქზე, რომელიც აქამდე აღწევდა, ევგენიმ დაინახა, რომ მოპირდაპირე კედელთან, იატაკზე, ტრელი ძროხა იწვა და ნებივრად იცოხნებოდა. ადამიანების დანახვაზე ძროხამ დაიფრთვინა, ბრიალა თვალები ჩირალდნებივით მოანათა ორივეს და ოდნავ წამოიწია, მაგრამ პატრონი იცნო, დამშვიდდა და კვლავ არხეინად განაგრძო ცოხნა.

ევგენი ახალა მისვდა, რომ ბოსკელში იყვნენ და სახლის მთელი გეგმა თვალნათლივ წარმოესახა. აბა, როგორ წარმოიდგენდა. თუ ბავშვების ოთახიდან გარეთ ისე გამოვიდოდა, რომ მეზობელი წინა ოთახის, ხოლო იქიდან კი ტალანის და ბინის ერთადერთი სადარბაზო კარის გავლა არ დასჭირდებოდა!

„ლინკა ალბათ სახტად დარჩება, — გაიფიქრა მან, — ჩვენ ის საღამოს ჩაიზე გველის, კოორმა კი ამ დროს საიდან სად გამომიყვანა! რად დასჭირდა ეს? ლინკასთან ზედმეტ შეხვედრას მომპირდა თუ ამ საიდუმლო გზის ჩვენებით თავის ნდობას და კეთილ განწყობილებას მიმტკიცებს?“

ეზოში რომ ამოვიდნენ, ზანდფორტის ცა წვრილ-წვრილი ვარსკვლავებით მოჭედული დაუხვდათ. გრილი ზღვაური ქროდა. ეზოში ალუბლები შრიალუბდნენ. საღდაც მამალი ყიოდა და ეს ერთადერთი ხმა ლამის მყუდროებას რომ არღვევდა, უფრო მძაფრად გაგრძნობინებდა ირგვლივ გაეფებული სიმშვიდის შეუვალობას.

„რა მშვენიერი ღამეა!“ — გაიფიქრა ევგენიმ და განუსაზღვრელად მოუნდა თავისი ეს აღტაცება ხმამაღლა გამოეთქვა და გულში ჩაგუბებული

აუხსნელი სიხარული ვისთვისმე გაე-
ზიარებინა. ოდნავ წინ გადახრილი, საქ-
მიანი კოორი გერაფერ ამას ვერ ამ-
ჩნევდა, გულდაგულ მიაბიჯებდა და
გზადაგზა ფეხს არადებდა ნაირნაირი
ყვავილების კვლებს. ნაყარი მიწა ფეხ-
ქვეშ ზამბარასავით იზნიჭებოდა და მთე-
ლი სამყაროც თითქოს რაღაცნაირად
არამყარი და ჰაეროვანი იყო.

— ეს არის ჭა, — თქვა კოორმა და
მინის ზედაპირიდან ოდნავ ამოწნეტილ
პრვეალ სარქველთან შეჩერდა. — აი,
სახელურს ასწევ და... ადვილად იხდებ-
ა. ერთი ჩახტებით, მეორე ზევიდან
ჩააწოდებს. ეს კიდევ კიშკარია. — ის
ღობისკენ მიტრიალდა და ვარსკვლავე-
ბის შუქზე შავ ბოქლომს ხელი მოუ-
ფათურა. — აი, თქვენს თვალწინ და-
ვადებ. ახლაც აქედან გადით. გაღე-
ვისას ხელი შემოჰყავით ამ ხერელ-

ში. აი, ასე, ხედავთ? — კოორმა რკა-
ნის საცალფეხო კიშკარი გააღწია და
ევგენის ის ხერელი უჩვენა, საიდანაც
ხელი უნდა შემოეყო.

— თუ ყველაფერი კეთილად დაბო-
ლოვდა, როდის შემქლება თქვენი ნა-
ხეა? — გაუბედავად იკითხა ევგენიმ
და თვალწინ ღინკა წარმოუდგა, —
პირობა ხომ არ დაგაეფიყვად?

— ყველაფერი მოგვარდება, თქვენ
მაგის ჭავრი ნუ გაქვთ.

— ზეგ შეიძლება? — ევგენი არ მოე-
შვა.

— ნუ ჩქარობთ. ჭერ საქმე დაგვირ-
გვინდეს.

— ნახვამდის, კარგად შენახოთ... —
ევგენიმ ორივე ხელი გაუწოდა მასპინ-
ძელს და მაგრად ჩამოართვა. — ყველა-
ფერს ვეცდები. თუ შევძელი, შევეძე-
ლი თუ არა და, ექ!

თავი VIII

პროტესტანტული ეკლესიის კოშკზე,
ამ პატარა ქალაქის შუაგულს — ბაზ-
არის მოედანს დასავლეთის მხრიდან
რომ გამოსცქეროდა, რელიგიური ომე-
ბის მომსწრე საათმა ორი დარეკა და
დინჯად დადუმდა. თითქოს ზარების
მიწყნარებას უცდიდნენო, ზანდფორ-
ტის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე
უბნიდან გამავალ გზაზე, რომელიც
ბლუმენდალისაკენ მიემართებოდა და
შუა ადგილას ზღვისპირა სოფელ კრო-
მენისაკენ უხვევდა, ორი ველოსიპედი-
სტი შურდულავით გაიჭრა. ველოსიპე-
დისტებს თავიანთი მანქანები ძალღო-
ნის უკიდურესი დაძაბვით მიჰყავდათ
და თუმცა ორივე ველოსიპედს ფან-
რები ჩამქრალი ჰქონდა, მგზავრები
შაინც საკვირველი სიხუსტით მისდევ-
დნენ გზის შუაგულში გავლებულ
თეთრ ხაზს — ამ ბნელ ღამეში მათ
ერთადერთ საიმედო ორიენტირს. ვე-
ლოსიპედისტებმა თითქმის მთელი
თხუთმეტი წუთი იარეს დაუბრკოლე-

ბლივ, სვლა მხოლოდ გზაჯვარედინთან
შეანელებს და ისევ წინ გაუტიეს...

სწრაფი მგზავრობისათვის დრო სწო-
რედ შესაფერი იყო. ნაშუალამეცს
ქვეყნის ყველა გზაზე, მათ შორის ამ
გზაზეც, ყოველგვარი მიმოსვლა წყდებო-
და ზოლზე და მარტოხელა მგზავრე-
ბის წინსვლის დაბრკოლება არაფერს
შეეძლო. მაგრამ აი, წყვილი სინათ-
ლის სხივმა გაჰკვეთა. იგი ზღვის მხრი-
დან შემოიჭრა და უნაპირო ველზე გა-
ნართხმულ უჯუნეთს შიგ გულში ლამ-
ვარივით გაუარა.

რა იყო ეს?

დაზვერვაზე გასული კატერი ბრუნ-
დებოდა თავის ბაზაში თუ შემხვედრი
ავტომანქანა მოჰქროდა კერამიკული
აგურით მოჭიქულ გზაზე?

ორივე შემთხვევა მგზავრებს საფრ-
თხეს უქმნიდა და მათ სვლა შეანელებს,
რათა თუ საქირო გახდებოდა, ჩამოქვე-
ითებულოყენენ და თავი გზისპირა ბუჩ-
ქნარში შეეფარებინათ.

პროექტორის კაშკაშა შუქმა ბოლო

აქნია. ახლა ცა გაპყვეთა. იგი ერთ-
ნანს მქრქალ ღრუბლებში დაფოთა-
რობდა, შემდეგ შებარბაცდა და დიუ-
ნების რუხი ზოლის გადაღმა გაწოლილ
უტყვ ზღვაზე მოქრილ ხესავით დაეცა.

„შექურაა! — მიხედნენ ველოსიპე-
დისტები და ორივეს ვულზე მოეშვა.
— ნაპირს ზვერავენ. ვაი იმას, ვინც
პროექტორის შხამიან შუქში მოექცე-
ვა!“

სინათლის დანახვის შემდეგ, რომელ-
საც ველოსიპედისტები თვალს ვერ
აშორებდნენ, ირგვლივ თითქოს უფრო
ჩამოხეულდა და გზა ძნელი გასარჩევი
გახდა. თვით თეთრი ზოლიც კი შეე-
რია ნაერთო ფონს. ველოსიპედისტებს
ყურადღების მთელი დაძაბვა უხდე-
ბოდათ, რათა გეზი არ გაემრუდებინათ
და უცნაურად აცანცახებულ თეთრ
ზოლს აღლოთი მაინც მიჰყოლოდნენ.
მათდა ბედად, გზა ლარივით სწორი
იყო, არსად უხვევდა და ეს ღამის ამ
მგზავრობას ნაკლებ სახიფათოს ხდი-
და.

ორივეს კარგად ახსოვდა, რომ კრო-
მენის იარაღ-საქურველის საწყობიდან
ექვსასიოდე მეტრის მოშორებით, გზა-
ზე, მას შემდეგ, რაც მომდევნო გზა-
ჯვარედინზე ზღვის მხარეს გადაუხვე-
ვდნენ, გერმანელებს საკონტროლო-
გამშვები პუნქტი ჰქონდათ მოწყობილი
და მას თვითონვე სდარაჯობდნენ. პუნქ-
ტის ჩაკეტილ შლაგბაუმთან ყოველ-
თვის იდგა ორი გერმანელი მეავტო-
მატე და მათ ნებადაურთველად, დღი-
სითაც კი, გზაზე ძე-ზორციელი ვერ
გაივლიდა. ველოსიპედისტებს დიდძალ
სიფრთხილზე მართებდათ. გზაჯვარედინი
უკვე შორს აღარ იყო. იქ, შესაძლოა,
მოტოციკლისტები პატრულობდნენ და
ფარნებჩამქრალი მანქანები გზის აქეთ
და იქით ეყენათ. თუ საექვო რამე შე-
გინშნეს, მოტორილებსაც ვერ მოას-
წრებ — ღამის უკუნეთს ავტომატე-
ბის ცეცხლით გააჩახჩახებენ.

— ნიკო, — ჩურჩულით დაიძახა
ერთმა და თავისი ველოსიპედი ამხანა-
გის ველოსიპედთან სულ ახლოს მია-

გდო. — ხომ არ ჩამოვსულიყავით, პა?

— აქედან შორია, ეგვენი, ჩურ-
ჩულითვე მიუგო მეორემ. — თანაც ამ
წყვეულ არხს ვერ უყუტებ?

ის მართალს ამბობდა. გზას ზღვის
მხარეს, საითაც მათ მიეჩქარებოდათ,
ბეტონის კალაპოტში ჩასმული, საკმა-
ოდ ვანიერი არხი მოსდევდა, იმდენად
ვანიერი, რომ ტანთგაუხდელათ შიგ
გასვლა, ისიც ტვირთით, უკუნ ღამე-
ში, შეუძლებელი იყო. უახლოესი
ხიდი სწორედ გზაჯვარედინზე ჰყვეთ-
და არხს და უხიფათო გადასვლაც სწო-
რედ იქ შეიძლებოდა. ფეხით სავალი
გზაჯვარედინის იქითაც ბევრი იყო.
ასიოდე ნაბიჯზე, ვიღრე საკონტროლო-
გასამშვებ პუნქტს ზედ წაადგებოდნენ,
მათ ველოსიპედები თავისთვის აღვი-
ლად მისაგნებ ადგილზე უნდა დაემა-
ლათ და, კვალი რომ არ დაეტოვებინ-
ათ, გზა დიუნებისაკენ წყალ-წყალ.
მთავარი არხის რომელიმე წვრილ ვან-
შტოებში განეგრძოთ.

ერთგან ველოსიპედისტებმა სვლა
შეანელებს და გზას დააკვირდნენ. ის
ოდნავ, სულ ოდნავ ელავდა მქრქალი
ღრუბლებიდან გამომქრთალი ვარსკვლავ-
ების შუქზე. თუ თვალი ორივეს არ
ღალატობდა, გზაჯვარედინი მათ წინ
იყო. სამი-ოთხი წუთის სავალზე. ნდო-
ბოდნენ და განეგრძოთ გზა?

ეგვენი ველოსიპედი შეაჩერა, ძირს
უხმოდ გადმოვიდა და მანქანა გზას
იქით, არხის პირზე გადააყუდა. ნიკო
მიუხვდა, თვითონაც სწრაფად დაქვეით-
და და ასე დარჩა.

ეგვენი ნაპირ-ნაპირ გაპყვა გზას.
დროდადრო ჩერდებოდა და სულგანა-
ბული აქეთ-იქით იყურებოდა. შემ-
დეგ წინ წახიზარა და გზა თითქმის მი-
წაზე განრთხმულმა განაგრძო. ირგვ-
ლივ ღამის გამოუცნობი სიჩუმე სუფე-
ვდა. მას მხოლოდ ვაკეზე, ბეტონის
კალაპოტზე მომდინარე წყლის მშვი-
დობიანი შხრიალი და რომელიღაც ღა-
მის ფრინველის შორეული კვნესა და
ლულუნო არღვევდა. გზაჯვარედინი უკა-
ციოელი იყო. ვარსკვლავების შუქზე

მოელვარე გზები ერთმანეთს გადაჭდობდნენ და თავთავიანთ მხარეს იღუპალი გააფთრებით მიისწრაფოდნენ.

„დრო ტყუილად დავკარგეთ!“ — გაიფიქრა ევგენიმ და მოტრიალდა. უკან სირბილით დაბრუნდა. მაშინვე ველოსიპედი დაითრია, წინ გააქანა და ზედ სირბილშივე გადააჯდა.

გზაჯვარედინს რქით, ახალ გზაზე, თავდაღმართი იწყებოდა. მათ ასე ეჩვენებოდათ და ეს სიარულს აადვილებდა. რამდენი წუთი იქნებოდა გასული, რაც ზანდფორტიდან გამოვიდნენ — ოცდათხუთმეტი, ორმოცი, ორმოცდახუთი? არაუმეტეს ორმოცდახუთისა! თუ ასე იყო, მათ განკარგულებაში რჩებოდა კიდევ სამი საათი, ბევრი-ბევრი სამი საათი და ოცდაათი-ორმოცი წუთი, რადგან ექვსზე ინათებდა და საქმის ბოლომდე მიყვანა უკვე შეუძლებელი გახდებოდა.

საკონტროლო-გასამშვები პუნქტის წინ მარჩიელობა აღარ დასკირვებიათ. შლაგბაუმის ძელზე განათებული წერტილები ღუოდნენ და საღარაჯო ზიხურის ყრუ კედლების ქუქურუტანებში სინათლის წერა-წერილი ზოლები ატანდა. ეტყობოდა, შიგნით არ ეძინათ. ცოტა კიდევ გაიარეს და როცა შეატყეს, საგულშაგოსთან უფრო მეტი მიახლოება უკვე სახიფათო იყო, სწრაფად ჩამოქვეითდნენ და ველოსიპედები გზის მარჯვენა მხარეს, მაღალ ბუჩქნარში გადაიტანეს.

უცებ ორივე მიწას გაეკრა და სუნთქვაც კი შეწყვიტა.

ზანდფორტის მხრიდან გზაზე მანქანა მოჰქროდა და მისი ფარების კაშკაშა შეუქი მინდვრებში შორს სცემდა.

რა მანქანა იყო? აქეთ, კრომენისაკენ გადმოუხვედა, თუ პირდაპირ, ბლუმენდალისაკენ განაგრძობდა გზას?

ევგენი და ნიკო გაუნძრევლად იწვნენ ბუჩქებში. მანქანის ძრავის გუგუნით თანდათან მოახლოვდა. ევგენისა და ნიკოს ეჩვენებოდათ, რომ ეს მოახლოება მთელი საუკუნე გრძელდებოდა. გრძელდებოდა და ბოლო კვლავ არ

უჩანდა. აი, მანქანა გზაჯვარედინზე გადმოუხვევს და თავდაღმა, ზღვისკენ დაეშვება. ვაითუ ფარების შექუე ველოსიპედების მონიკვლებულმა ნაწილებმა დაიწყო ბრწყინვა და ამ საეჭვო ბრწყინვას მანქანაში მსხდომებმა ყურადღება მიაქციონ?

— ნიკო, გესმის, კაცო, — უცნაურად შეცვლილი ხმით დაიხრიალა ევგენიმ და ნოტიო მიწაზე წინ გახობდა. რათა ბუჩქებს შორის გადაყირავებული ველოსიპედი თავისი ტანით დაეფარა. — გადაეფარე მაგ სატიალეს. ბრჭყვიანი არ დაიწყოს!..

მისამბეღიან სატვირთო მანქანას, ქვეყნის ერთი ნაწილიდან მეორე ნაწილისაკენ გაავებული ბლუილით რომ მიჰქროდა და იქაურობას აზანზარებდა. ბედად, აქეთ არ გადმოუხვევია, გზა ბლუმენდალისაკენ განაგრძობ.

ნიკოს ხველება ახრჩობდა. სანამ ველოსიპედზე ისხდნენ, არაფერი, მაგრამ როგორც კი სხეული ნაშუალაშვის ცვარით დანამულ მიწას შეეხო, თითქოს გულგვამში სულთამხუთავი ჩასჯდომიყო, ფილტვებში ჩაგუბებული ჰაერი ერთბაშად ყელს მოაწყდა. ნიკო პირზე ზელს იფარებდა, გულში თავისი გაჩენის დღეს სწყევლიდა, რომ სენი უდროოდ დროს მოერია, ცდილობდა, ისე მოეხერხებინა, რომ მისი ხველება ევგენის არ გაეგონა, მაგრამ თავის შეკავება ყოველ წუთს უფრო ძნელი და ძნელი ხდებოდა. არხში რომ ჩააბიჯეს და გზას წყალ-წყალ დაადგნენ, ნიკომ როგორღაც სული ამოიქვანეთუ სასწაული მოხდა? მას სწორედ ფეხის დასველებისა ეშინოდა. წყლის თქაფუნს, რასაც წინ მიმავალი ევგენის ყოველი ნაბიჯის გადადგმა იწვევდა. ბრმად მისდევდა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თავი როგორ შეემაგრებინა, თუ ეს წყეული ხველება და სულისხუთვა ხელახლა შემოუტევდა. მთელი ათი თუ თხუთმეტი წუთის მანძილზე, რაც დიუნების ზოლამდე მისვლას დასკირდა, მხოლოდ ორჯერ წამოახველა და ისიც მსუბუქად. დაწინაურებულ

ევგენი წინასწარ დადებული პირობისამებრ დიუნების ძირში უტედიდა. თავიდან ფეხებამდე გაწეული ნიკო რომ წყლიდან ამოვიდა ის მიწაზე იჯდა, ფეხთ გაეხადა და ფაყვეყელიან ჩექმებიდან წყალს აქცევდა.

— შენ აქ ღარში, ან დიუნების წვერზე ახოხდი და დამელოდე. — მოაგება მან მიქიაშვილს, ჩექმები მარჯვედ ჩაიკეა და ზეზე წამოხტა. — სულ არ უნდა წამომეყვანე. როგორმე შერას უნდა მივწვდომოდი.

— ჩემი ბრალი ხომ არ არის, ევგენი, — შესაბრალისად დასძრა ხმა მიქიაშვილმა.

— წვერზე ახოხდი და დამელოდე. — ორის წასვლას ისევ ერთის წასვლა ჯობია, იქნება უფრო ადვილად გავადღწიო.

— მარტო რას მოერევი, კაცო!

— რასაც მოერევი, იმას წამოვიღებ. მეორედ ვაებრუნდები, რა ვქნათ, აბა! ამ სიტყვებზე ევგენი სიბნელეს შეეჩია. მალე ისევ გამოჩნდა. დიუნების წმინდა ქვიშაში თითქმის მუხლებამდე ეფლობოდა და ზემოთ და ზემოთ მიცოცავდა. ნიკოსაც არ დაუყოვნებია. როგორც კი ფეხსაცმელებიდან წყალი გამოაქცია და ტოლაღები ხელახლა დაიხვია, უკან გამოუდგა. მის გამწარებას საზღვარი აღარ ჰქონდა — ხველება ისევ დააწყებინა. ევგენი უკვე აღარ ჩანდა. საგანგებოდ გამტყიცულ ფქვილივით წმინდა ქვიშაზე აღმა მიმავალი კვლი დაეტოვებინა.

ნიკო რომ ქვიშის ბორცვს ზემოდან მოექცა, თვით დიუნების ზოლისა და ზედ გამშენებულ მეჩხერი ლერწმოვანის მეტი ვერაფერი დაინახა. სად გაქრა ევგენი? სილაში სიარული პირდა. თუ ჩვეულებრივ ნიდაგზე კაცი ამ მანძილის გავლას ათ წუთს მაინც მოუნდებოდი, წყეულ ქვიშაში იმავე მანძილის გადალახვა ორმაგ და სამმაგ დროს მოითხოვდა. ნიკომ თვალი გადადევნა ნახევრად უდაბურ ვიწრო ზეგამს, რომელიც ზღვასა და ხმელეთს ერთმანეთისაგან ჰყოფდა. ზღვა საკვირველად

წყნარი და მდუმარე ეჩვენა. ნიკომ სუნთქვა შეიგუბა და მხედველობა დაშაბა. სწორედ ამ დროს ზღვაზე სინათლის თვალისმოპყრელმა ქაელმა იფეთქა. სინათლის ეს უეცარი აკაშაშაშება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ნიკო მაშინაღუდად მიწას გაეკრა და სახე ნოტიო ქვიშაში წარგო. როცა თავი წამოსწია, მძლავრი პროექტორის აკაშაშა შეუქი ზღვის გლუვ ზედაპირზე დაძროდა და დაეინებით რალაცას ეძებდა. უდაბური ზღვა სიცოცხლის ნიშანწყალს არ ამეღვენებდა. ის კვლავინდებურად წყნარი იყო და გამდნარ ტყვიასავით ლაპლაპებდა. ნიკოს წამით ევგენიც კი მიივიწყდა. სინათლეს მისჩერებოდა და ცდილობდა ზღვა და ნაპირი შექუქრასთან მობადრაგე გერმანელი პატრულების თვლით დაენახა.

პროექტორი ერთბაშად ჩაქრა. ირგვლივ უკუნი სიბნელე ჩამოწვა. ახლა ათიოდე წუთი მაინც გაივლიდა, სანამ სიბნელეს თვალს შეაჩვევდი. ნიკო ალაზბედზე დაჰყვა დიუნის ციკაბო კალთას და თავი რომ შეემეაგრებინა, გზადაგზა ხელს ლერწმის ღეროებს და ქვიშაში გაბარჯლულ ბუჩქებს ავლენდა.

— შენა ხარ, ნიკო? — უცებ ხმამალალი ჩურჩული გაიგონა და გველნაკებნივით შემოტრიალდა, — ნიკო! — კიდევ უფრო ხმამალლა დაიძახა თითქოსდა მიწიდან ამომპერალმა არტემიქემ.

მიქიაშვილი უხმოდ გამოტრიალდა და გულდაგულ წავიდა იმ მხარეს, საიდანაც ევგენის ხმა ესმოდა. ახლოს რომ მივიდა, განცვიფრებისა და ალტაცებისაგან კინაღამ ხმამალლა შეჰყვირა. ევგენი მუხლებამდე ჩაფლულიყო დიუნების ქვიშაში და ოფლს იწმენდა, წინ კი მჭიდვორგებული აეტრიატების მთელი გროვა და ხურჭინის თელებივით ერთმანეთზე გადაბმული ტოლის ორი ყუთი ეყარა.

— რა ენა ჩაგივარდა! — შეუტია მან გადატანილი მღელვარებისა და ჩქარი სიარულისაგან სუნთქვამოხშირებულ

მიქიაშვილს, თანაც თავისებურად კმაყოფილებით ჩაიხიბოთხითა. — წაიღე ესენი და არხის პირზე დააწყე. მე ერთ გზას კიდევ მოვასწრებ. კოსტას ვენაცვალე, მძაღნაფიციც ამისთანა უნდა!

— თავზე დაგვათენდება, ევგენი! — შეჰხედა ნიკომ. — ძალიან კი ნუ გათამამდები ახლა. კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს. ეს წაგველო და წავსულიყავით.

— დანარჩენი იქ დავტოვო? — ევგენიმ ისევ ჩაიხიბოთხითა და აფრეული ნაბიჯით თითქოსდა ღრმა თოვლში უკან გატრიალდა.

მიქიაშვილმა ხმა გაკმინდა. სულის სიღრმეში ის არტემიდის მოხერხებითა და გაბედულობით მოხიბლული იყო და ახლა ამ აგდებულ კილოსაც, ევგენის სიტყვებს მოუშორებლივ რომ ახლდა, ბუნებრივად თვლიდა. ავტომატების გროვას დასწვდა, თაშმებში აკანკალებული ხელი გაუყარა და მხარზე მოიგდო. ტოლის ყუთების წამოკიდება გაუჭირდა, რადგან ევგენის ყუთები გრძლად გადაეხა ერთიმეორეზე, მაგრამ ბოლოს ამასაც დასძლია და მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ სანამ ტვირთს იკიდებდა, ქვიშაში მუხლებამდე ჩაფლული იყო. ხელახლა მოუხდა ყუთების მოხსნა. ქვიშიდან ამოძვრა, დაიხოქა და ცხვირწინ დალაგებული ყუთები, რომელთაც სარეცხის საპნის გულისამრევი სუნი ასდიოდა. ისე აიკიდა. გზა ჩოქელა განაგრძო. ქვიშაში ისე ღრმად აღარ ეფლობოდა, მაგრამ ამგვარ სიარულს, როცა ყოველი წუთი მთელ სიცოცხლედ გიღირს, უამრავი დრო მიჰქონდა.

ევგენიმ როგორღა შესძლო გაცილებით უფრო გრძელი გზის გადმოლახვა? ის ნაპირ-ნაპირ, დანაღმული ველის ზღვარზე ივლიდა. ნაპირის ქვიშას, წამდაუწყუმ წყალი რომ ლოკავს, ხრემიც ურევია და იქ გავლა იმდენად ძნელი არ არის. თუ ასეა, მაშ იარაღის ახალი პარტიით დატვირთული ევგენი სულ მალე უნდა წამოსწეოდა.

ეს ასეც მოხდა. ნიკოს ჯერ კიდევ

ვერ მიედწია დიუნის წვერამდე, რომ არტემიდემ ჭვემოდან მოაწვდინა წყვი და შეუჩერებლივ დიუნის კალთაზე ამოზობდება დაიწყო.

ნიკომ სტვენით გასცა პასუხი. ავტომატის წინ გამოჩრილი მჭიდები ზედ ნეკნზე აჭერდა და ეს აუტანელ ტკივილს ჰგვრიდა. შეჩერების და მხარზე ტვირთის შესწორების დრო არ იყო. არხამდე როგორმე უნდა გაეძლო, მაგრამ იქით? ამ ადგილამდე, სადაც ველოსიპედები ჰქონდათ დამალული, მძიმე და მოუხერხებელი ტვირთი ზურგით უნდა ეთრიათ. ისიც წყალ-წყალ...

ნიკოს თვალწინ წარმოუდგა პატარა, ორთვლიანი, ღონწიალა წისქვილი მთის გამჭვირვალე მდინარე იწახე. წისქვილიდან ჩანდა თხმელის ქალა, ტყიბულისაკენ მიმავალი თეთრი გზა, ზოტევის აღმართებზე რომ მიიკლავნებოდა და ასწლოვან ცაცხვებში ჩაფლული ამბროლაურის ძველთაძველი კოშკები. ყოველივე ამას ის ისე თვალნათლივ ხედავდა, რომ უცნაური მღელვარებით საგან ტანზე ოფლი დაასხა. მხარზე ფქვილით გატენილი ტომარა ჰქონდა გადაკიდებული და აღმართში საოცრად მოკლე-მოკლე ნაბიჯებს ადგამდა. ტომარა მძიმე იყო, ბევრად უფრო მძიმე, ვიდრე მას ტარება შეეძლო, მაგრამ ამაზე უფრო მძიმეც რომ ყოფილიყო, შინამდე მაინც უნდა მიეტანა. ბედმა სამუდამოდ აკვიდა ეს ტომარა და ის სამუდამოდ მისი სათრევია. ვერსად ვერ წაუხვალ, შენია, შენი ხვედრია და შენ უნდა ათრიო!

ნიკოს თვალებიდან სიმწრის ცრემლებმა გამოჟონა. ავტომატის მჭიდე კიდევ მეტი გააღმასებით აწვებოდა ნეკნზე და სუნთქვას უგუბებდა. ერთი ცხელი კურცხალი ზედ დაწვზე დაეცა და ის ადგილი, რომელზედაც ცრემლის სისველეს გრძნობდა, უეცრივ ისე მოექვა, უმალ გაიბრძოლა, იქნებ ხელის ზურგით მიეწვდევო. ორივე ხელი გაკვეებული ჰქონდა. თავიც კი ვეღარ გადაღრიცა, რომ დაწვით მხარს შეჰხებოდა და ამით ოდნავი შეება ეპოვნა.

მეოთხე ასეულის ქართველი მეთაური ფელდფებელი გივი მინდიაშვილი, რომელიც ზანდფორტში მდგომ თავის ერთ-ერთ ოცეულში სტუმარივით გამოჩნდებოდა ზოლმე და მერე ორი-სა-ში დღე რჩებოდა, დილაადრიან ბატალიონის შტაბიდან მოსულმა შიკრიკმა გამოაღვიძა. ობერლეიტენანტი ვასო ინჯია ევგენი არტემიძეს იბარებდა.

გივის გულზე არ ეხატებოდა ეს ზედმეტად თავდაჯერებული და ასევე ზედმეტად პატივმოყვარე ცხვირმოუხოცელი ბიჭი, ევგენი არტემიძე, რომლის გარშემოც ბატალიონში საკმაოდ არასასიამოვნო ხმები დადიოდა და როცა ახლად გამოღვიძებულ მინდიაშვილს შტაბიდან გამოგზავნილმა შიკრიკმა მისი გვარი უხსენა, ასმეთაურის ისედაც უსიხარულო სახეზე ცუდად შეინდებული ათვალწუნება და თავგაბზრება გამოიხატა. რისთვის შემოუგდეს ეს კიდეც არტემიძეა ასეულში? რა საქმეს აკეთებენ ასმეთაურის ზურგსუკან?

მინდიაშვილის აშკარად მტრული დამოკიდებულება არტემიძის მიმართ იმიტოც მწვავდებოდა, რომ მისი და მთელი ოცეულის წინაშე არტემიძეს თავი ამაყად და თითქმის გამომწვევად ექიჩა. თუ ამ მეტიჩარა უნტეროფიცრისა და ობერლეიტენანტი ინჯიას ურთიერთობას გაითვალისწინებდი, ამის ახსნა ძნელი არ იყო. იმის გამო, რომ ბატალიონში თვით ყოვლისშემძლე ინჯიას კეთილი განწყობილებით სარგებლობდა, არტემიძე სხვა მეთაურებს და მათ შორის გივი მინდიაშვილსაც, ძალად არ აგდებდა და გულში, ალბათ, კიდევაც დასცინოდა.

ზოდამორეულმა ფელდფებელმა მორიგე მოიხმო, უბრძანა, ვაჟბატონი არტემიძე გააღვიძეო, თვითონ კი ფეხები საწოლიდან გადმოჰყარა და თუმცა ოცეულის წამოშლა და სამუშაოზე გამწესება ჯერ კიდევ ადრე იყო, ჩაცმას შეუდგა. არტემიძის მოსაყვანად გაგზავნილი მორიგე — ნაადრევად თმა-

შეთხლებული, ტანმოორჩილი უნტეროფიცერი ზურაბ ჯაოშვილი, ზემოიშვრელი გეოგრაფიის მასწავლებელი, მაშინვე შემობრუნდა მეზობელი ოთახიდან. თურმე ნუ იტყვით, ევგენი არტემიძეს ოცეულის განლაგებაში არ სძინებია. მისი ლოგინი აუშლელი და ხელუხლებელი იყო. მაშასადამე, საღამოს ამოკითხვის შემდეგ ყაზარმაში ფეხი არ შემოუდგამს და უპატრონო ძაღლივით საღდაც დაწანწალებს!

გივი მინდიაშვილს სიბრაზისაგან კრიკა შეეკრა. არტემიძის აქ არყოფნა თვითონ შემთხვევით რომ აღმოეჩინა, რაღა თქმა უნდა, იფიქრებდა, რომ ვაჟბატონი უნტეროფიცერი თავის მფარველ ვასო ინჯიასთან ბრძანდებოდა, ან მის რომელიმე უწმინდურ დავალებას ასრულებდა, მაგრამ ახლა რაღა ეფიქრა, თუკი ინჯია თავად ეძებდა ერთგულ დამქაშს?

მან ის იყო დააბირა ბრძანების გაცემა ოცეული ფეხზე დაეყენებინათ და თავნება არტემიძე თუნდაც ქვესკნელიდან ამოეყვანათ, მაგრამ კეთილგონიერებამ სიფიცეს სძლია და საქმე რომ არ გაემწვავებინა, შტაბის შიკრიკი დაითხოვა — ბატონ ობერლეიტენანტს მე თვითონ ვეახლებიო. იმავე წუთს, როგორც კი შიკრიკი წავიდა და ხის კიბე ბრავაბრუვით ჩაირბინა, მინდიაშვილმა თავის მეთაურზე პრანაკლებ შემოთხუთებულ ზურაბ ჯაოშვილს კითხა. გერმანელებმა თუ შეიტყეს არტემიძის არყოფნის ამბავიო. თუ ეს ამბავი გერმანელებსაც ეცოდინებოდათ, მაშინ დაფარვის ცდა უკვე უაზრობა იქნებოდა და ასმეთაურს ახლავე უნდა მიეღო საკირო ზომები.

ზურაბმა ასმეთაური დაამშვიდა: გერმანელები ჯერ გულისძილში ყოფილიყვნენ. არა მგონია, ვინმემ რაიმე იცოდესო.

— კარგი, წადი, — მინდიაშვილმა მორიგე დაითხოვა, მაგრამ მალე ისევ უკანვე მოიხმო. — იცი, რა ქენი, ზურა?

აშლუ მაგ წამხდარის ლოგინი, იქნება სადმე ახლოს აგლია და მოუთრეს!

— ახლავე, — მიუგო იმით მადლიერმა ჯაოშვილმა, რომ გივი თავისი თანაშემამულის დანაშაულის მიუფრეხებას ლამობდა და განკარგულების შესასრულებლად გაემართა, მაგრამ როდემდე შესძლებდა მინდიაშვილი არტემიდის დაფარვას? ოცეულში თითქმის ყველა ქართველმა ჯარისკაცმა და უნტეროფიცერმა იცოდა, რომ ევგენი არტემიძე ხშირად იკარგებოდა ხოლმე, ვოგონებში სიარულს იმიზეზებდა. სად იყვნენ ეს „ვოგონები?“ ვინ იყვნენ? როგორ შესძლო ევგენიმ მათთან დაახლოება? ყველა ეს კითხვა კითხვადვე რჩებოდა, რადგან შინ მობრუნებული არტემიძე თავგადასავალს არავის უყვებოდა და ამით განაწყენებული ამხანაგებზე გაურბოდნენ ზედმეტი ცნობის-მოყვარეობის გამოძეგნებას. დროდარო, „დასაკარგავად“ წასვლის წინ, ევგენი პურსა და ძეხვს შოულობდა და თან მიჰქონდა. ისე ჰგავდა, რომ საქმეში სურსათ-სანოვავის მთავარი საწყობის გამგე მაქს ბიდას თანაშემწე შლოიკო ნოზაძეც უნდა ყოფილიყო გარეული. მაგრამ უკვე მოწიფული ვაჟკაცი, ოჯახის მამა, იკადრებდა ამისთანა საქმეში ცხვირმოუხოცელ ბიჭთან ამხანაგობას?

ზურაბ ჯაოშვილი და ევგენი არტემიძე, ისევე როგორც ოცეულის მეზობლათა დიდი უმრავლესობა, ერთმანეთს კრუსინიდანვე იცნობდნენ. ისინი საფრანგეთის ქალაქ ლიონშიც, ატლანტიის ოკეანის სანაპიროზე, ერთად მოხვდნენ და თითქოს კიდევაც მეგობრობდნენ. არტემიძე იქ სულ სხვა კაცი იყო. სულ სხვა აზრები და მისწრაფებები ასულდგმულეობდა. აქ რაღა დაემართა? ხასიათით წყნარ და მუდამ დამთმობ ზურაბს გულწრფელად აკვირვებდა და ვერასგზით ვერ აეხსნა მისი უცნაური შეცვლა, რაც ბატალიონის საფრანგეთიდან გადმობარგებას და ზანდფორტში დამკვიდრებას დაემთხვა. ასეულებში ატეხილი ბოროტი მითქმა-

მოთქმისა ჯაოშვილს არაფერი სჯეროდა, რადგან ევგენის იმდენად კარგად იცნობდა, რომ მსგავსი ამბის წარმოდგენაც კი არ შეეძლო, მაგრამ მისთვის ბევრი რამ მაინც გამოცანა იყო და ამ გამოცანას ამოხსნა სჭირდებოდა.

ამეამად არტემიძე იარაღის საწყობში მიუშაობდა. იქ ვასო ინჯიას ბრძანებით და თვით ევგენის ნება-სურვილით გადაიყვანეს. საწყობში მომუშავე რაზმს, ვინ იცის, ცალკე ბუნკერიც გამოუყვეს შიგ კრომენიაში და, დილასადამოს წინ და უკან უქმად რომ არ ატარონ, დამესაც იქ ათევიანებენ? განა ყველა ასეული და თუნდაც ხუთი-ექვსი კაცისაგან შემდგარი წვრილ-წვრილი ჯგუფები თავიანთი სამუშაო ადგილის მახლობლად არ ცხოვრობენ?

ზურაბს ეს გონიერული აზრი მაშინვე დაებადა, როგორც კი ევგენი არტემიდის არყოფნა შეიტყო, მაგრამ ამ ამბის გამო მინდიაშვილი ისე აღშფოთებული და პირგამეხებული ჩანდა, მეტაურს თავისი მოსაზრების გამჟღავნება ველარ შეჰბედა და დუმილი არჩია. ზურაბი ახლად მიხვდა საკუთარი გუमानის უსაფუძვლოებას: თუ საწყობში მომუშავე რაზმს ცალკე ბუნკერი მართლაც გამოუყვეს, ბატალიონის სრული პატრონი ვასო ინჯია, ვის ხელშიაც ძალაუფლების ყველა ძაფი თავს იყრიდა, შიკრიც ოცეულში რატომ გამოგზავნიდა ევგენი არტემიდის მოსაძებნად? განა სხვებზე ადრე თვით არ ეცოდინებოდა, რომ ის ოცეულში არ უნდა იყოს და სხვაგან უნდა ეძებონ?

„აქ რაღაც ამბავია!“ — გაიფიქრა ზურაბ ჯაოშვილმა და ისევ წინა ოთახს მიაშურა, ახალ ვარაუდსა და ეჭვებს ასმეთაურს გავუზიარებ და რაიმეს ვილონებო, მაგრამ, სამწუხაროდ, მინდიაშვილი ოთახში აღარ დაუხვდა.

„სად წავიდა ასე ადრე? — კინაღამ ხმამაღლა წამოიძახა მან, — ქუჩაში ამ დროს ისევ დამრწიან საკომენდანტოს პატრულები და ქართველებზე ნადირობენ. გერმანელებისათვის ჩვენ ყველა

ერთი ვართ, ჯარისკაციც და მეთაურიც! საშიშია...“

გარეთ გავიდა, კიბისთავიდან ძირს, სადარბაზო შემოსასვლელში გადაიხედა და შემდეგ კიბეზე დაეშვა.

კიბეზე სამი ნაბიჯიც არ ექნებოდა ჩავლილი, როცა ქვემოდან ხმამაღალი ლაპარაკი შემოესმა. ზურაბი კიბის ბაქანზე შეჩერდა და გაფართოებული თვალები ყურთამდე გაღებულ სადარბაზო კარს მიაპყრო. იქ გვი მიწვინდია შვილი იდგა და უცნაურად სახე შეცვლილ, უჭუდო და კისერმოღლეტილ ევგენი არტემიძეს ცხვირწინ მუშტებს უტრიალებდა.

ზურაბმა ვერც კი შენიშნა, როგორ ჩაიბრინა კიბის უკანასკნელი საფეხურები და სადარბაზო კართან გაჩნდა. საგრძობლად წვერწამოზრდილი, გამზდარი და ხანგრძლივი უძილობისაგან თუ სხვა რაღაც ვასაპირისაგან სახეგაცრეცილი ევგენის დანახვამ კიდევ უფრო განაცვიფრა. ამ წუთას საიდანღაც შოსულ ევგენის სახე მთლად შეშლილი, მიუკარებელი და რალაცნაირად გაუცხოებული ჰქონდა. ამას გარდა ის თავიდან ფეხებამდე სველი იყო. სისველისაგან გამუქებულ და დარბილებულ ჩექმებში, ეტყობა, ჯერ ისევ ჭყაპუნობდა წყალი და დიდი ხნის მოუპრიალებელ იატაკზე თანდათანობით ტბას აყენებდა. გიმნასტურა და შარვალიც ასევე უღვთოდ სველი და დიუნების წმინდა ქვიშაში ამოვლებული ჩანდა.

— დამნაშავე ვარ... — უმისამართოდ წაიღულღულა არტემიძემ და გაშტერებული თვალები მოენისლა. — დამაგვიანდა, ადრე უნდა მოვსულიყავი.

— ეს კაცი შემშლის! ისე ლაპარაკობს, თითქოს მეზობლის ატამი გეკრიფოს უნებართვოდ! — მინდიაშვილი ოდნავ მოაღბო ევგენის გულითაღმა სინანულმა, მაგრამ უკანასკნელი სიტყვები მაინც დამცინავად წარმოსთქვა. — მოდექი აქეთ! — ის გატრრალდა და სადარბაზო კარის მარცხნივ, ოდესღაც მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი, ამჟამად კი დამშეული ვირთხე-

ბის სათარეშოდ ქცეული ნახევრადბნელი ოთახის კარი შეაღწეა და შევიდა გადარეული, ან შენი — სიტყვა მანქანა კარი მკიდროდ მიხურა და სამივენი ოთხკედელშია აღმოჩნდნენ. — სად დადიხარ, სად დაეხეტები, არ გეშინია მაინც, კაცო?

— გეშინია, — თქვა ევგენიმ და ბაგე მოიკვნიტა.

— თუ გეშინია, ვერ დაეტევი შენს ტყავში? სად იყავი, საიდან მოდიხარ? რამ დავასველა ასე, ან ქვიშაში რა გინდოდა? ეთქვათ, პატრულს გადაყროდი, ხომ აღვიღზევე მიგახვრეტდნენ! არ გახსოვს, რა თქვა იმ დღეს ბრძანებმა? თუ შენთვის ცალკე ბრძანება უნდა გამოვიდეს. სად იყავი?

— მაგას ვერ გეტყვი, გიცი.

— ვერ გეტყვი? — მინდიაშვილმა ოდნავ აუწია ხმას და ზურაბ ჯაოშვილს გადახედა, რომელიც კვლავ ენაჩაყარდნილი იდგა და ჯერაც ვერ მიმხვდარიყო, თუ უცნაურად დაღვრემილი და გამზდარი ევგენი არტემიძის თავზე რადოლაბი ტრიალებდა. — ვერ გეტყვარას ჰქვია! აბა, ვის ეტყვი?

— არავის.

— იქნება არ მენდობი?

— ნდობა რა შუაშია.

— აბა?

— თუ ნდობა გინდათ, თქვენ თვითონ მენდეთ.

— ეგ რა პასუხია. შენ რაღაც არეულად ლაპარაკობ, უნტეროფიცერო... ზურა! — ჩამოყარდნილი უხერხულობის დასაფარავად ასმეთაური ჯაოშვილს მიუბრუნდა. — წადი ერთი, ხალხი ააყენე. უკვე აღგომის დროა. პო... საკუქნაოში იქნება ჩასაცემელი გამონახო რამე. გამოიცივლის ეს ვაჟბატონი. ასე თუ ობერლეიტენანტს გამოეცხადა, კარგ დროს გაატარებს! მოხსენება საჭირო არ არის. მწყობრი დააწყე და ბერაიას გაატანე სასადილოში. მე რე მე თავად მივხედავ. ზურაბ! — ბრძანების შესასრულებლად დაძრულ ჯაოშვილს მინდიაშვილმა კართან დააწია. — თუ შტაბიდან განმეორებით მოვიდეს ვინ-

მე, მე შემატყობინე, ისე არ გაისტუმროს. — და ბოლოს, როცა თავიდან მოშორებით აშკარად უკმაყოფილო ზურაბმა კარი გაიხურა, გვიე კვლავ კუთხეში ატუხულ ევგენი არტემიძეს მიუტრიალდა. — მე რამდენი ხანია მინდოდა შენთან ლაპარაკი და რამდენჯერაც დაეპირე, არცერთჯერ შემთხვევა არ მომეცა. ხან არა ვარ აქ, ხან...

— მე კიდევ უფრო ადრე მინდოდა, — როყოდ შეაწყვეტინა არტემიძემ. მას ჯერ კიდევ არ დაეიწყებოდა, რომ ერთი წუთის წინ ამ კაცმა „უნტეროფიცერი“ უწოდა.

— როგორ? — თავი ასწია მინდიაშვილმა და ბეჭებში გაიმართა.

— მე უფრო ადრე მინდოდა მეტქი.

— ჰო, ნუ გამოვიძვეთ ახლა, ვის ადრე უნდოდა და ვის გვიან. მთავარი ის არის, რომ შენთან მოსალაპარაკებელი მქონდა. მოვილაპარაკოთ?

— გისმენთ, — ნიშნად თანხმობისა არტემიძემ მხრები აიჩეჩა.

— ოღონდ ერთი პირობით: მე გულახდილი ვიქნები. გთხოვ, შენც გულახდილი იყო.

— კი, ბატონო.

— შენზე სხვანაირი ხმები დადის ბატალიონში.

— ვიცი.

— მერე? როგორ უყურებ ამ ამბავს?

— მე მგონია, ყველას არ სჯერა.

— ყველას არა, მაგრამ სამაგიეროდ ბევრს სჯერა.

— რა ვქნა, როგორ ვუყურო?

— მართალია თუ არა ეს ხმები?

— არ არის მართალი.

მინდიაშვილი წამით შეყოყმანდა, ადგილზე ტყებნა დაიწყო, მცირე დუმილის შემდეგ კი ისევ იკითხა:

— მაგის რაიმე საბუთი გაქვს?

— საბუთს ნუ მომთხოვ, — დინჯად მიუგო არტემიძემ. — საბუთები გვიან გამოჩნდება. მაინცდამაინც გინდა საბუთი? — ის მოულოდნელად გაფიცბდა და აენტო. — აი, შემომხედე! — წინ ნაბიჯი გადმოდგა, მინდიაშვილს ოხშივარ-ავარდნილი მხარბუკი მიუშვი-

რა, მერე მისი ხელი აიღო და თავისი ხელით სველი გიმნასტურა მოისინჯა. — ხედავ საბუთს? ამის მეტს ვერაფერს მკითხავ. ჯერ ვერ ვეტყვი. იმიტომ კი არა, რომ არ გენდობი. უფლება არა მაქვს...

მინდიაშვილი გაოგნებული იდგა და სახეწამონთებულ არტემიძეს გამომცდელად შეჰყურებდა თვალებში. ერთხანს არც ევგენი იღებდა ხმას. სველი ტანსაცმელი ტანზე მიჰკრობოდა და სიცივე ძვალ-რბილში ატანდა. ის ოდნავ, სულ ოდნავ კანკალებდა, მაგრამ ყოველი ღონით ცდილობდა გაუნძრევლად მდგარიყო და წარბიც არ შეეხარა.

— თუ უფიქრდები, — დაიწყო გვიე მინდიაშვილმა, — შენ მე საკმაოდ უხერხულ და თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში მაყენებ. რით, იცი? იმიტომ, რაც თქვი.

— შენ თვითონ მთხოვე, გულწრფელი იყავიო.

— მერე? ერთი სიტყვა კი თქვი გულწრფელად? ნუკი მამავემბე! შენზე მეტი ოცი პერანგი მაინც გამიცვეთია, ბიჭო, ცოლი რომ თავის დროზე შემერთო, შენოდენა შვილი მეყოლებოდა. იცი ეს? — და ის ისევ იმას დაუბრუნდა, რითაც დაიწყო: — საერთოდ არაფერი არ გითქვამს. მე ჩემი თვლით ვხედავ, რომ რალაც ამბავია, რომ რალაც ამბავში ხარ გარეული, მაგრამ ამბავი, რომელშიაც შეიძლება კაცი გაერიოს, ევგენი, ხომ იცი, ათასნაირია. ამას გარდა, ნუ დაგავიწყდება, მე ჯერჯერობით ასმეთაური ვარ და გარკვეული ვალდებულება მაქვსრია. აბა, შენ იყო ჩემს ადგილზე და ამდენი ხალხის ბედ-იღბალი გეპაროს, მაშინ ვნახავდი, რა ბიჭიც იქნებოდი! ახლა რა ვუყო, შვილებს გეფიცები, ძალიან მეთანაღრება გული, მაგრამ იძულებული ვაგებდები, ყველაფერი ობერლიტენანტს მოვახსენო. რა ვქნა აბა? ადგეს და იმან გადაწყვიტოს!..

— შენი ნებაა! — თავისთვისაც მოულოდნელ გამომწვევ კილოზე თქვა არტემიძემ და განზე გაიხედა.

— თუ რასაკვირველია, შენი საიდუმლო იმასთან წინასწარ შეთანხმებული არ არის, მწარედ დაუმატა თავის სიტყვებს გივი მინდიაშვილმა და გაჩუმდა, აბა, რას იტყვისო. — ჰო, მართლა! — წამოიძახა წამიერი ღუმელის შემდეგ, — ამ ოცი წუთის წინ შეიკრიბი იყო. გიბარებს.

— ინჯია? — თითქოს შიშველ ხორცზე გახურებული შანთი მიაღდესო, ევგენი ისე შეკრთა და მინდიაშვილს სიციხიანი თვალები შეანათა. — მარტო მე?

— ალბათ. გეძებეთ. ვერ გიპოვნეთ. შენ თურმე...

— ისევ კაკოს და შამშეს კვალის მოსაძებნად გამგზავნის.

— აკი ხმები არ არის მართალიო?

— თუ მართალია, შენ გგონია, მართლა არ ვიცი მაგათი გზა და კვალი? — ისროლა ასმეთაურის გესლიანი გადაკრებით მოთმინებიდან გამოსულმა არტემიძემ.

— იცი? — მინდიაშვილმა ხმას დაუწია და ევგენისთან, რომელიც უკვე ნანობდა, რა ეშმაკად აფიქარდი, ენას კბილი რად ვერ დაეადგიო, უფრო ახლო მივიდა. — მართლა იცი, სად არიან და რას აკეთებენ?

— სად არიან შეიძლება, ზუსტად არ ვიციოდე, თუმცა არც მაგის შეტყობა არის ძნელი, მაგრამ რას აკეთებენ, ის კი ვიცი.

დაინტერესებულ მინდიაშვილს მან რამდენიმე სიტყვით მოუთხორო, რაც წინა საღამოს ვან-ლემერენისაგან ზაანდამის სარკინიგზო ხიდის აფეთქების ირგვლივ გაიგონა, ისიც დაამატა, აფეთქების ადგილზე ფლამანდიურ და გერმანულ ენებზე შედგენილი წერილები უპოვნიათო, ოღონდ ის კი მოხერხებულად დამალა, თუ სად და როგორ ჩაიგდო ზელთ ეს ძვირფასი და საგანგაშო ცნობა.

მინდიაშვილი მღუმარედ უსმენდა. ემჩნეოდა, რომ მან უკვე იცოდა ეს ამბავი, გულში არ იწონებდა კაკო ცუცქირიძისა და შამშე მღვდელაძის მოქმე-

დებას და ევგენიც გრძნობდა ამას, ბოლოს, არტემიძემ რომ თხრობდა... დაამთავრა მან მოკლედ შეკრებილ მღვდარათმაში ორმხრივად შეჭრილი მზით დამწვარი შუბლი მოისრისა და ფიქრიანად თქვა:

— მე შენ იმათზე უფრო ჭკვიანად მიმაჩნობარ, ევგენი და არა მგონია, მაგნიირი სისულელე ჩაიდინო. ჩემი მდგომარეობის კაცისათვის (ხომ იცი, ოჯახის პატრონი ვარ) ძნელია ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ შენს ყმაწვილკაცობას ვენდობი და ვებედავ: ახლა რომ გითხარი, ობერლეიტენანტს მოვახსენებ შეთქი, შენ ამას, რასაკვირველია, სერიოზულად ნუ მიიღებ. ოღონდ ნურც გათამამლები. — უკანასკნელი სიტყვები მან განსაკუთრებული ხანჯასმით წარმოთქვა და ხმის კილოც როგორღაც სულ სხვანაირი, თითქმის მეგობრული გაუხდა. ზოგი რამ მეც დამიჯერე შეკაცო. შენზე უფროსი ვარ, შენზე მეტი მინახავს და, ნუ გეწყინება, ჭერჯერობით შენზე მეტიც ვიცი. თავს ნუ დაიღუპავ. ტყუილ-უბრალოდ თავის დაღუპვა ვაქცობად არავის ჩაეთულება. სულელს დაგიძახებენ. ახალგაზრდა კაცი ხარ, ცხოვრება წინ გიღვეს. გათავლება ეს ოხერი ომი და ავად იქნება თუ კარგად, დაებრუნდებით შინ. რა იცი, ეგ სიცოცხლე და ახალგაზრდობა კიდევ რაში გამოგადგებს! აგრე სულელურად, კაკო და შამშე რომ იქცევიან, ვის რა გაუკეთებია, მაგათ რომ გააკეთონ. მესმის, ყველა ერთად ვყოფილიყავით. ეგეც რა დიდი ამბავია. ამხელა თვალუწვდენელ ევროპაში ერთი საცოდავი ბატალიონი გინდა ყოფილა და გინდა არა! მართალს არ ვამბობ? მე გთხოვ; ევგენი, თუ შეგიძლია პირადად შეხედე ან შუამავლის პირით რაიმე გადასცე. შეუთვალე ორივეს — გაეცალონ აქაურობას! გადავიდნენ ბელგიაში, იქიდან საფრანგეთში მოახერხებენ შესვლას. საფრანგეთში ახლა დიდი ამბებია. იქნებ ჩვენთანესაც შეუერთდნენ. ახლომახლო მაგათი ჩხირკედლოაობა ჩვენ, მთელ ქართველობას, ვინც პოლანდიაში მოე-



ხვდით, უბედურებას მოგვეტანს. გაეცალონ და რაკი მობრუნებისა და შემორიგების პირი აღარა აქვთ, მოშორდნენ ბატალიონის განლაგებას. ეს ბრძანება იქნება. თორემ იცოდეთ, ჩვენ თვითონ გამოვალთ მაგათ დასაპერად და ამას რაც მოჰყვება, შენ უჩემოდაც კარგად იცი. ასეთია ლოლაძის, მელიქიას, გონგლაძის, მაჩაიძის, ქარჭაშაძის და ჩემი გადაწყვეტილება. ასმეთაურები ჯერჯერობით ჩვენ ვართ და სანამ ბრატენერს და ინჯიას სხვებით არ შევუცვლივართ, ბატალიონის ყველა მებრძოლი ისე უნდა მოიქცეს, როგორც ჩვენ ექვსს მიგვაჩნია საჭიროდ. შენ, პირადად, გაფრთხილებ: თუ ჩვენს ბრძანებას გადახვალ და დედის წინ მორბუნალ ციკანივით ატროკდები, საქმე ჩვენთან გექნება. ვასაგებია, რაც გითხარი?

— ვასაგებია, — დამნაშავე შეგორდივით წაიღულულა არტემიძემ და ახლალა შეამჩნია, რომ ამ კეთილამჯდარი გამოცდილი და მტკიცე ხასიათის კაცის წინაშე ფარ-ხმალი უკვე დაყრილი ჰქონდა.

— ახლა მე ავალ, ჯაოშვილს გამოვგზავნი. — კიდევ უფრო რბილად უთხრა გივი მინდიაშვილმა, რაკი შენიშნა, ჩემი სიტყვებით ჯეროვანი შთაბეჭდილება მოვახდინეო. — აქავე ჩაიკვი და გაიქეცი ინჯიასთან. ნახე, რა უნდა. — და მან იმით კმაყოფილმა, რომ მოვალეობა პირნათლად მოიხადა, წასვლა დააპირა.

— ამხანაგო გივი, — ევგენი ყოყმანობდა, ყოველივე მოსმენილის შემდეგ ამ უფროსი კაცისათვის როგორ მიემართა და იღბლად ენას უეცრივ მოვარდა მიმართვის ეს ძველი, წლების განმავლობაში თითქმის მივიწყებული ფორმა. — რაკი ასეა, ერთ წუთს მოიცადეთ.

— ჰო, გვიანია უკვე. ოცეული სამუშაოზე უნდა გავისტუმრო. მეც წასასვლელი ვარ.

— მოკავშირეები ხომ ემზადებიან მეორე ფრონტის გასახსნელად?

— ალბათ. მერე?

— თქვენ არ გწამთ, რომ ვმზადდებით?

— როგორ არა მწამს! მაგრამ მსხვერპლს

მწამს, რომ არა ჩქარობენ. ცოტა რომ აჩქარებულყვენ, ომი ახლა რა ხნის დამთავრებული იქნებოდა! აგერ მესამე წელიწადი იწურება, სისხლისაგან ვიცლებით. სად არის მეორე ფრონტი!

— იქნება. ბოლოს მაინც იქნება! — რალაც არაჩვეულებრივი აღზნებით შესძახა არტემიძემ და უძილობისაგან ამოწითლებულ თვალებში ცუცხლი აუგვიგვიზდა. — არ შეიძლება რომ არ გახსნან მეორე ფრონტი. ამას გერმანელებიც არ მალავენ. იმ დღეს ინჯიამაც თქვა და ბრატენერმაც. ანდა იმათი თქმა რად გვინდა! თავი არ გვაბია, ჩვენ თვითონ არ ვიცით? ახლა ყური მიგდეთ: ჩვენს ბატალიონს ხომ შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს მოკავშირეებს, თუ ისინი ინგლისიდან კონტინენტზე დესანტის გადმოსხმას მოინდომებენ? პლაცდარში ხომ არის საჭირო, სანაპიროზე ფეხი ხომ უნდა მოიკიდონ!

— ჩუმაღ, ბიჭო, შენ მართლა გივი ხომ არა ხარ?

— შეუძლია! — ევგენი ხმაძალალ ჩურჩულზე გადავიდა, მაგრამ ახლა კიდევ უფრო აღზნებული ჩანდა. — შეუძლია და კიდევაც გააკეთებს თავის საქმეს!

— რა იცი, შენ, ვინ რას გააკეთებს. რას მიედმოედები, მართლა გინდა თავი დაიღუპო და უდანაშაულო ამხანაგებიც თან იძღვანო?

— არავისაც არ ვიძღვან მე, გივი, რაკი საქმე გულახდილობაზე მიდგა და შენ, უფროსი კაცი, მე, ლლას, მენდე, ახლა მეც მაცალე და რის თქმაც შემიძლია, გეტყვი.

— ჩუმაღ მაინც ილაპარაკე, ყურს არავინ გვიგდებდეს, ეს ოხერი!

— ერთი კვირა არც არის, რაც მე აქაურ იატაკქვეშეთს დავუკავშირდი.

— გადამრევს ეს კაცი პირდაპირ! — მინდიაშვილმა ხელი ხელს შემოჰკრა, არტემიძეს ხარბად მიაჩერდა და ისე-

დაც დიდრონი ჩხია თვალები საცრის-
ოდენა გაუხდა.

— ჯერ კავშირი საბოლოოდ მოგვე-
რებული არ არის, მაგრამ მალე ყველა-
ფერი რიგზე იქნება. იარაღის შოვნა
დამავალეს. გამოსადეგლად. ხომ იცი,
იმათაც ეშინიათ. გამცემი. და პროვო-
კატორი ახლა ყოველი ბუჩქის უკან
იმალება.

— მერე შენ იცი, რომ თავად არ ჩა-
უვარდი ხელში პროვოკატორებს? გერ-
მანელებს აქ ბევრი მომხრე ჰყავთ, ყვე-
ლა შენიღბულია. კიანჭველის ბუდეზე
ფეხი დაგიდგამს?

— ვიცი! — ფიცხლად და დარწმუნე-
ბით მიუგო არტემიძემ. — როგორც მე
მე ვარ და შენ — შენ!

— ვაითუ ცდები, ბიჭო, მაგისტანა
დროს ადვილად შეიძლება შეცდეს კა-
ცი. თუ ჩავარდი. სიცოცხლედ დაგიჭ-
დება. ინჯია არ დაგინდობს. მარტო შენ
კი არა...

— მე ყველაფერი წინახწარ გავზომე
და გავითვალისწინე. ჩავარდნა, რა თქმა
უნდა, მოსალოდნელია. საქმეს ისე ვერ
გააკეთებ, რაიმე კვალი არ დასტოვო
მაგრამ ცდა ბედის მონახვევით.

— რა ჰქენი მერე, იშოვნე იარაღი?

— ვიშოვნე.

— ჩააბარე კიდევაც?

— კი.

— შე შამაძალო... — თავისდა უნე-
ბურად მინდიაშვილს ხმა აუთოთოლდა.
ევეგენის მხარზე ხელი დაადო და ერთ-
ხანს ისე იდგა, რადგან ამის მეტი საა-
ლერსო სიტყვა ვერ. იპოვნა. — შეგე-
კითხო, მარტო ხარ თუ არა?

— რა საჭიროა.

— იქნება კვალზე მოგდევინ და ამ
წუთში აქაც შემოვიდნენ!

— ფიქრი ნუ გაქვს, წყალ-წყალ ვია-

რე. ეშმაკიც ვერაფერს გაიგებს. რაღა
კი გამოვასწარი...

— აგრე გგონია. კაკოშაძე: ვერაფერ-
ნა, ალბათ. არა, ეს საქმე კეთილად არ
დაბოლოვდება. ეშმაკივით ვიცი. რაც
გითხარი, ხომ ყველაფერი კარგად დაი-
მასსოვრე?

— კი ბატონო.

— ნახავ და გადასცემ. თუ ვერ ნახავ,
შუამავლის პირით შეუთვლი. ეს მარტო
ჩემი აზრი და სურვილი არ არის. ექვსი-
ვე ასმეთაური ამას ფიქრობს და ხალ-
ხიც ამ აზრისაა.

— მესმის! — ევეგენიმ ნაძალადეგად
გაიღიმა და ოდნავ გაეყევა სათქმელი. —
მე თქვენთვის არაფერი მითქვამს. სი-
ტყუაზე ვამბობ... — განმარტა მან. —
თუ ღმერთი გაწყრა და ჩავევარდი... —
უნდოდა ეთქვა, რაც არ უნდა მიყონ,
ცხელი შანთითაც რომ დამდაღონ,
ზურგზე ვარსკვლავიც რომ ამომამტრან
და ფრჩხილებიც დამამტრან სათითაოდ,
ვერ მათქმევიწინებენ, ვის, სად და რა ვუ-
თხარიო, მაგრამ სათქმელი შუაზე გაუ-
წყდა, რადგან სახლი ერთბაშად შეზან-
ზარდა და სადარბაზო შემოსასვლელის
მხრიდან ხის კიბეზე ატეხილი ბრახა-
ბრუხი მოესმათ. ეს იმას მოასწავებდა,
რომ ოცეული ქუჩაში ჩამოდიოდა და-
საწყობად. მალე ყოველგვარი ხმაური
მიწყდა და ისევ სამარისებური სიჩუმე
ჩამოვარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ
ხელზე მოსამსახურეთა ნახევარდბნელ
ოთახში, რომელსაც სენაკს უფრო დაუ-
ძახებდნენ, ზურაბ ჯაფარიძე შემოვიდა
და, ასმეთაურის ბრძანებისამებრ, ევეგე-
ნის საკუქნაოს თაროზე ხანგრძლივი
დებისაგან დანესტიანებული, ვილაცის
ნაქონი შარვალ-ხალათი და სქელლან-
ჩებიანი ჩექმები შემოუტანა.

თავი IX

ზანდამთან სარკინიგზო ხიდის აფე-
თქება, რასაც სამხედრო საკურგლითა
და მოწყობილობით დატვირთული ეშე-

ლონის კატასტროფა და ათობით ადა-
მიანის მსხვერპლი მოჰყვა, ქართული
ბატალიონის აქ დაბანაკების შემდეგ



გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ მიმართული პირველი დიდი და საბედისწერო დივერსიული აქტი იყო. მსგავსი რამ მტრის ჯარების მიერ დაკავებული ჰოლანდიის მიწაწყალზე, უფრო კი ომის პირველ და მეორე წელიწადს ქართველების გამოჩენამდეც ხდებოდა ხოლმე, მაგრამ ბოლო დროს იმპერიის ფარულმა მტრებმა თავი აქაიქ ისევ წამოაყვეს და დღე ისე არ გაივლიდა, დაბა ზანდფორტში მდგომ ბრაიტენერის შტაბს რაიმე გულის შემალონებელი ამბავი არ შეეტყო.

წინააღმდეგობის ადგილობრივმა კერებმა, რომლებიც ღრმა იატაკქვეშეთში ეწეოდნენ თავიანთ ძირგამომთხრელ საქმიანობას, რაღა თქმა უნდა, მაღალი ჩინის გერმანელ სამხედროებზე ნაკლებ როდი იცოდნენ მოწინააღმდეგვის ძალების განლაგება დასავლეთ ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში. მიუხედავად იმისა, რომ კონტინენტის ეს კუთხე მოკავშირე სადესანტო არმიების შესაძლო გადმოსხდომის რაიონად იყო მიჩნეული, აღმოსავლეთის ფრონტზე შექმნილი სავალალო მდგომარეობის გამო, იგი თითქმის მთლიანად დაიცალა გერმანული რეგულარული ჯარებისაგან. როგორც არ უნდა ცდილიყავ, ამ ამბავს საიდუმლოდ ვერ შეინახავდი. აბა, სადამდე და როგორ უნდა შეგეხანას!

საქმეს ვერც ახლახან გამოსულმა საგანგებო კანონმა უშველა. კანონი მოლაყებებისა და ეგრეთწოდებული „კაპიტულანტი ოფიცრობის“ წინააღმდეგ იყო მიმართული. თვით გერმანიაში მყოფ და ფრონტებზე მებრძოლ გერმანელ სამხედრო მოსამსახურეთა შორის ცოტა როდი აღმოჩნდა ისეთი, ვინც „სოლიდარობა გამოუცხადა ჩვენს მტრებს“. „გაზეთები „დას რაიხი“, „ბერლინერ ბერუნენ ცაიტუნგი“ და „მიუნხენერ ნოიე ნახრიხტენი“ ყოველდღე პირველ გვერდზე ათავსებდნენ დიდრონი შავი ასოებით აწყობილ ლოზუნებს, რომელიც თითქმის მთელ გვერდს ჰფარავდა: „არ დაუჭერო იმას,

ვინც შენ ჩაგხურჩულებს!“ „საჩუქრულ“ კი ბევრი, ზომიერ ბევრი გუნდმა მთელმა ზამთარმა და გაზაფხულმა გერმანიისა და მის მოკავშირეთა დაბაქალაქების საშინელ ნგრევასა და აწიოკებაში გაიარა. ახალწლის ღამეს ინგლისურმა „მოსიკიტობმა“ უწყალოდ დაბომბეს გერმანიის მანქანათმშენებლობის გული ბრაუნშვაიგი. ათასობითა და ათათასობით ტონა ფუგასური ცეცხლგამჩენი ბომბები დააყარეს მაგდებურგს, ბერლინს, მიუნხენს და მიინის ფრანკფურტს. მთელ თვეს იწვოდა და ნაწილ-ნაწილ ფეთქდებოდა იარაღ-საქურველით გაძევილი ანგარები საფრანგეთსა და იუგოსლავიაში. ამერიკული „მფრინავი ციხე-სიმაგრეების“ პირველი შემადარწუნებელი სტუმრობის შემდეგ სოფიაში საალყო წესები გამოცხადდა. ქალაქმა გაიხიზნა დაიწყო. დასავლეთში თავმოყრილი შეიარაღებული ძალები, რომელთა კონტინენტზე გადმოსხმა ყოველდღე და ყოველ წამს მოსალოდნელი გახდა, მოკავშირეებმა გამოცდილ მხედართუფროსს ფელდმარშალ დუაიტ ეიზენჰაუერს დაუქვემდებარეს. ლონდონში მოკავშირეთა გაერთიანებული შტაბი შეიქმნა. ჰიტლერი მძვინვარებდა. მან თანამდებობიდან გადააყენა მოღალატე თუ უნიჭო გენერლები კიუხლერი და კლიუგე. აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთი დაჯგუფების სარდლობა ფელდმარშალ მანშტეინს მიენდო, ჩრდილო დაჯგუფების მძიმე ბრძოლებს კი გენერალი მოდელი წარმართავდა. ცენტრში ფიურერის უერთგულესი კაცი ფელდმარშალი ბუში იბრძოდა. პოტსდამის კათედრალში ყოველდღე პარაკლის იბდიდნენ და განსაცდელში ჩაეარდნილი სამშობლოს ბედსა და ხსნას მაღალ ღმერთს ავედრებდნენ. გენერლების გადაყენებამ და ერთთა ნაცვლად მეორეების აღზევებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. რუსები შეუჩერებლივ მოიწვედნენ წინ ყველა ფრონტზე 26 მარტს, დილაადრიან, ისინი თავიანთ

სახელმწიფო საზღვარს მოადგენენ მდინარე პრუტთან. ღამით რადიოში გამოვიდა გერმანიის იუსტიციის მინისტრი რუდოლფ ტირაკი, ფრიდრიხ ბრაიტნერის სისხლით ნათესავი დედის მხრიდან. ვისი სახელითაც მთელი საგვარეულო ამაყობდა, და გერმანელ ხალხს მოუწოდებდა გადამწყვეტ წუთებში სულის მხნეობა შეენარჩუნებინა.

„გაკეთებული იქნება ყველაფერი, რის გაკეთებასაც კი იუსტიცია შესძლებს, რათა ჩანასახშივე აღიკვეთოს ძირგამომთხრელი საქმიანობა!“ — ოდნავ შეძრული, მაგრამ მაინც მტკიცე, რწმენით აღსავსე ხმით ამბობდა რადიოში ტირაკი.

აპრილის თერთმეტს რუსები ჩეხოსლოვაკიაში შეიჭრნენ. საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგურმა გადმოსცა გენერალისიმუს იოსებ სტალინის საპასუხო მილოცვის დებეშა პრეზიდენტ ედუარდ ბენეშისადმი...

მეორე დღეს გადადგა იტალიის მეფე ვიქტორ ემანუილი. მან თავისი პირით განაცხადა, ჩემი ვაჟიშვილი პრინცი უმბერტო იტალიის მეფედ იმ დღესვე ეკურთხება, როგორც კი მოკავშირეთა არმიები რომში შევლენო.

შექმნილი ვითარება პოლანდიის გერმანულ გარნიზონებს, რომლებშიაც საკუთრივ გერმანელები უკვე უმცირესობას შეადგენდნენ, საკეთილოს არას უჭადდა და უბედურების პირველი მაცნეც სწორედ ზანდამის სარკინიგზო ხიდის ვერაგული აფეთქება და სამხედრო ეშელონის კატასტროფა გახდა.

ბლუმენდალში დაბანაკებული სს-ის პოლკი წვრილ-წვრილ ჭვეგანაყოფად დაანაწევრეს და მთელი მხარის დაბეზსა და გზების გასწვრივ გაყოლებულ დიდრონ სოფლებში სადამსჯელო რაზმებად ჩააყენეს. თვით პოლკის უფროსი, ორმოცდაათს მიტანებული ავადმყოფური შესახედაობის ობერგრუპენფიურერი ისევ ბლუმენდალში იჯდა და თავის რეზიდენციას დიდი შეიარაღებული ამალის თანხლებით თუ მოშორდებოდა. მას სრული საფუძველი ჰქონ-

და სიფხიზლე გამოეჩინა. იმავე დღეს, სარკინიგზო ხიდი რომ დაეფეთქებინა და ეშელონი არხში ჩაჩვენეს, ბლუმენდალის სახლების კედლებზე, ქიშკრებზე, დობებზე, ისიც ხალხის თავშეყრის ადგილებში, გაჩნდა ბეჭდური წესით შესრულებული პროკლამაციები, გერმანულსა და ფლამანდიურ ენებზე, რომელშიაც უეჭველი სიკვდილით ემუქრებოდნენ „თაგვიქამია ობერგრუპენფიურერს“, თუ ის ჭკუას არ იხმარდა და აქაურობას არ მოშორდებოდა.

ყველასდა გასაოცრად, ამ ფურცლებსაც თავზეხელაღებული ქართვლები შამშე მღვდელაძე და კაკო ცუცქირიძე აწერდნენ ხელს.

„თქვენი დღეები დათვლილია, — ღაღადებდნენ ფურცლები, — მიწას ცეცხლი მოეკიდება თქვენს ფეხქვეშ. ვიდრე კიდევ დროა და მოკავშირეები არ მოსულან, გაგვეცალეთ! ჩვენი ძალები აურაცხელია, ჩვენ ყველგან ვართ...“

მთლად ახალბედა და გამოუცდელი მაძებარიც კი მიხვდებოდა, რომ ჰარლემის შორიხლო, შესაძლოა თვით ჰარლემშიაც, ავაზაკ იატაკქვეშელთა კარგად შეიარაღებული ჯგუფი მოქმედებდა და ამ ორი უცხოელის სახელისა და გვარის ქვეშ საშიშ დამანაშავეთა მთელი ზროვა უნდა გეგულისხმა.

მაიორმა ფრიდრიხ ბრაიტნერმა, რომელსაც გულში ჯერ კიდევ არ განელებოდა მინისტრი კუზნენის მგზნებარე სიტყვებით დანთებული ცეცხლი, სასტიკი ბრძანება გამოუშვა და ასეულებში დაგზავნა. ბრძანების შინაარსს თვით ვასილ ინჯია აცნობდა ხალხს და თავის მხრივაც ცდას არ აკლებდა, როგორმე წესიერება დამყარებულყო, რათა ხელისუფალთ საშუალება მისცემოდათ შეეპყროთ ნამდვილი დამანაშავეები და მათ მიმართ კანონის მთელი სისასტიკით ემოქმედათ.

ბრაიტნერის ეს ახალი ბრძანება კრძალავდა სამხედრო მოსამსახურეების გასვლას მათივე ჭვეგანაყოფების განლაგებიდან. იგი განურჩევლად ყველასათვის, თვით გერმანელ რიგით და უმც-

როს მეთაურთა შემადგენლობისთვისაც კი, სავალდებულოდ იყო გამოცხადებული და ბრძანების დამრღვევს ადგილზევე ანგარიშის გასწორება ემუქრებოდა.

ობერგრუპენფიურერმა, როგორც სსის ოფიცერმა და სამხედრო წოდებით უფროსმა, ფრიდრიხ ბრაიტნერი ბლუმენდალში მიიწვია და, როგორც ჩანდა, რიგიანადაც შეახურა, რადგან თავმოყვარე, ბატონობას ჩვეული და უსაშველოდ ამაყი ბრაიტნერი უკან გამხეცებული დაბრუნდა და ცხელ გულზე, ვასო ინჯიას თანდასწრებით, აღიუტანტს ბრძანების ტექსტი უკარნახა.

ინჯია ხედავდა, რომ განრისხებული მაიორი შეცდომას შეცდომაზე უშვებდა, იცოდა, რომ გულის აყოლა საქმეს უფრო გააფუჭებდა, რადგან სიფიცხეს მხოლოდ ისინი იჩენენ, ვისაც მტრის ასალაგმავად და ქუჩის სასწავლებლად მეთი აღარაფერი დარჩენია, შექმლო სასარგებლო რჩევა-დარიგებაც მიეცა ბატალიონის მეთაურისათვის, მაგრამ კარგად ხედავდა, რომ მას ახლა არავინ მოუსმენდა და შესაძლოა, მაიორი თავის წინააღმდეგაც კი აემხედრებინა: ბოლოსდაბოლოს, თვითონაც ხომ ქართველი იყო...

ვის ვის და ვასო ინჯიას სხვებზე უკეთ მოეხსენებოდა თავისი ამაყი ხალხის ზნე და ჩვეულება. ბატალიონში მომსახურე ბიჭების დიდი უმრავლესობა. მართალია, ბოლშევიზმის შხამით იყო მოწამლული, მაგრამ რომელ პარტიისაც არ უნდა ეკუთვნოდეს, ქართველი კაცი მაინც ქართველი კაცია. თავმოწონეობას და პირადი ღირსების დროშის ფრიდალს მას ვერაფრით მოაშლევინებ. მოკვდება და არ ვაგეთლევიდება, თავს ყულფში გაჰყოფს და საკუთარ დაფურთხებულს კი არ ალოკავს, ესვრი — გესვრის, უმტრობ — სამმაგ მტრად მოგვიიდება, ღალატით შემოვლას დაუპირებ — მიწაში ჩაძვრება და იქ დაგარტყამს, სადაც არ ელი.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ბევრის მნახველ და გამომცდელ

ინჯიას ზარავდა ყოველივე ამის გახსენება, მაგრამ იგი სიამაყესაც მჭვრიტს რადგან მსგავსი თვისებებით მჭვეწნად მხოლოდ რაინდული ბუნების მქონე ერები არიან დაჯილდოებული.

ობერლეიტენანტი ბედნიერი კაცი იქნებოდა, თუნდ ერთხელ მაინც რომ მოეხერხებინა ბრაიტნერის წინაშე გული გადაეშალა და ამ თავდაჯერებული ნაციისათვის მიახლოებით მაინც გაეგვიზინებინა, თუ საქმე ვისთან ჰქონდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბრაიტნერი თავისი ცოდნის ნაკლებობას არცერთ დარგში არ უჩიოდა და, ამდენად, არც „ველური ტომიდან გამოსული“ გველივით ჰქვიანი ობერლეიტენანტის რჩევა-დარიგებებს საჭიროებდა.

„პიტლერის სამხედრო მანქანის თავდათავი მანკიც ეს არის! — ფიქრობდა ვასო ინჯია. — ყველა გერმანელი თავს ადამიანის ეტალონად თვლის და დედამიწაზე მოსახლე სხვა ერები საკუთარ ფეხის მტვრადაც არ მიაჩნია. გერმანელებს, მართალია, სხვების წინაშე ბევრი უპირატესობა აქვთ, მაგრამ ისინი რომ ცოტა უფრო წინდახედულად, სალი გონებით მოქმედებდნენ, იქნებ მართლაც მოეხერხებინათ მსოფლიოს დაპყრობა. ჯერ ერთი, ნება-სურვილისა და საბოლოო მიზნის ასრულება მაშინ უფრო უმტკივნეულოდ შეიძლება, როცა ყველაფერი შენს ხელთ იქნება და მეორეც: განა არა სჯობს ყველაფერი ათთვისო, ყველაფერს ჩასწვდე, ყველაფრით გამდიდრდე და მრავალფეროვან მსოფლიოს უწინამძღვრო, ვიდრე ყოველივე ნაცარტუტად აქციო და დედამიწის ზურგზე თავი იაქესავით დაიტოვო?“

ყოველი ამგვარი ფიქრის შემდეგ, რაც იქნებ ცხრა მთას იქით დარჩენილ სამშობლოში გატარებული მშვიდობიანი ცხოვრების ნაშთი და შორეული ანარეკლი იყო, ინჯიას ტანზე ცივი ოფლი ასხამდა და დაავადებული კუჭიც გულის შემლონებლად დაუწყებდა ხოლმე წვას. ფიქრი, აკრძალული ფიქრი, რომლის ხმამაღლა გამეღანება არამც-

თუ უთვისტომო ემიგრანტს, თვით რაიხის უპირველეს პირთაც რომ გარდაუვალ უბედურებას მოუტანდა, ინჯიას სულს უღრღნიდა და ძილსა და მოსვენებას უკარგავდა. ნაცისტების სიტყვასა და საქმეში მას თავისი შესწორებები შეჰქონდა და ღრმად დარწმუნებული იყო, თუკი რაღაც განგებით ამ შესწორებების განხორციელება მოსახერხებელი გახდებოდა, მსოფლიო საერთოდ და ყველა ერი ცალ-ცალკე მიიღებდა იმ აღთქმულ წეს-წყობილებას, რომლის დამყარებაზეც მრავალი გარდასული თაობა ამოდო ოცნებობდა.

მაგრამ ინჯიას არც ისტორიული მომენტის შეფასებისა და თვით ამ მომენტში გარკვევის უნარი აკლდა. მან კარგად იცოდა, რომ ევროპაში დამყარებული ახალი წესრიგის რაიმე შესწორება-შელამაზებაზე ფიქრი წყლის ნაყვა და ფუქი ოცნება იყო. საკითხი პირდაპირ, ყოველგვარი ორჭოფულობისა და ყოყმანის გარეშე იდგა: ან მომხრე უნდა ყოფილიყავი ნაცისტების მიერ დამყარებული „ახალი წესრიგისა“ და ან მოწინააღმდეგე. აქ მესამე არჩევანი არ იყო და უცხოობაში დაბერებულ კაცს, ვინც ოდესღაც საკუთარ სამშობლოში გამეფებულ ძალადობას გამოექცა, იმავე ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის დაუმცხრალი წყურვილი ნაცისტის ბატონების ბარიკადასთან დგომას აიძულებდა. ამიტომაც იყო, ისე გაფაციცებული რომ უთვალთვალებდა ბატალიონის ყოფილი უფროსის მაიორ იოსტის ყოველ ნაბიჯს, ამიტომ ამოიღო თელში საექვო პოლიტიკური შეხედულებებით სინდისდამძიმებული პაუპტმანი ვებერი, ამიტომ უსერავდა გულს ფრიდრიხ ბრაიტნერის სიფიცზე და ამიტომ ცდილობდა, ის, რასაც ბატალიონის მეთაური თავისი უსაშველო ქედმაღლობის წყალობით აფუჭებდა, რბილი სიტყვითა და მოხერხებული, საზრიანი მოქმედებით თვითონ გამოესწორებინა.

ასეულებსა და ცალკეულ ჯგუფებში ბატალიონის მეთაურის ახალი ბრძანე-

ბის გამოსაცხადებლად ინჯია შოფრის ანაბარა გაემგზავრა. მანტრის წესდება, რაღა თქმა უნდა, საშიშროებასთან ჩუბ დაკავშირებული, მაგრამ თავისი საქმის სისწორე და ქეშმარიტება ინჯიას ისე გულწრფელად სწამდა, რომ საშიშროებას არ მორიდებია. ქართველ მებრძოლებსა და მეთაურებს, მათთან ერთად სხვებსაც, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ დროული კაცის ეს გაბედულება და ბევრი მიმნდობი ხელქვეითის გულს ის ამ გზით უფრო ადვილად მოინადირებდა.

ინჯიას ნაომარი ინგლისური „ჯიპი“ დააჯაყავებდა სანაპიროს გზებზე. „ჯიპი“ ახალი შეკეთებული იყო, მაგრამ ამორტიზაციის მოწყობილობა ისევე მოშლილი ჰქონდა და თუარ დროის უქონლობა, კაცი ისევე ფეხით სიარულს ამჯობინებდა. შოფრის უკან, ზეთით დალაქავებულ კუჭყიან სავარძელზე მჯდომი ინჯია საცოდავად იწყანებოდა მანქანის ყოველ შეჩქარებაზე და თავბედს იწყევლიდა, რად დაეთანხმდი ბატალიონის მეთაურს, რა ჩემდა ქირად გავიპიროვნე ეს წყეული ჯაბახანაო.

„ჯიპს“ ხმაც თავისებური ჰქონდა. სმენავამაზილებული მებრძოლები შორიდანვე გრძობდნენ მის მოახლოვებას და ერთმანეთს პირიდან პირზე გადასცემდნენ, ფრთხილად, ბიჭებო, ინჯია მოდის, „ჯიპის“ ხმა გაევიგონეთო.

ინჯიას „ჯიპმა“ მოგზაურობა ბატალიონის ჩრდილო კიდიდან დაიწყო. ბრძანება ჯერ პირველი ასეულის მებრძოლებმა და მეთაურებმა მოისმინეს. ის უკვე ქართულ ენაზე იყო გადმოთარგმნილი და ინჯიამ თვით ასმეთაურ აკაკი მაჩაიძეს წააკითხა. პირველი ასეული განლაგებიდან ობერლეიტენანტი კმაყოფილი წამოვიდა. მებრძოლები და მეთაურები გულისწყრომას გამოსთქვამდნენ ხიდის აფეთქების გამო. ისინი განსაკუთრებით აღაშფოთა მათივე თანამემამულეების მღვდელაძისა და ცუცქირიძის გამომწვევმა საქციელმა. ორატორები წინასწარ დარიგებულებს ჰგავდნენ, მაგრამ ისინი ისე გააფთრე-

ბით გამოხატავდნენ თავიანთ აღშფოთებას, ინჯიას არცერთის გულწრფელობაში ექვი არ შეჰპარვია.

ნიკოლოზ მელიქიას ასეულში ბრძანებამ კიდევ მეტი აღტკინება გამოიწვია. სულ ბოლოს ხუთი მებრძოლი გამოვიდა მწყობრიდან და საჯაროდ ითხოვა, ახლავე, სხვებთან ერთად გავშვავთ მღვდელაძისა და ცუცქერიძის შესაპრობად მოწყობილ სამხედრო ოპერაციასში.

— ნუ აჩქარდებით, ყმაწვილებო, — დააწყნარა ისინი ვასო ინჯიამ და არა როგორც უფროსმა ხელქვეითებს, არამედ მამა-შვილურად ითხოვა ყველას თავთავისი ადგილი დაეკავებინა ასეულის მწყობრში. — საქმეს უთქვენოთ გავწვდებით. კარგი იყო, არ მომხდაროყო, რაც მოხდა, ეს სამაგელი ჩრდილი არ მოგვედგომოდა მთელ ქართველობას, მართო მე და თქვენს კი არა, ვიმეორებ: მთელ ქართველობას. ახლა კი, რაკი მოხდა, მადლობა ღმერთს, დიდი გერმანიის შეიარაღებული ძალების სარდლობას იმის ღონეც შესწევს უგუნურ მოღალატეებს თავისი დაუნდობელი მახვილით გაუსწორდეს.

და მან უცებ, უკანასკნელი სიტყვებისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად, უფრო კი იმავე მწყობრში მდგომი გერმანელების უხლის მოგების მიზნით, მთელი ხმით შესძახა:

— ჰაილ ჰიტლერ!..

ჯარს წამივ არ დაუყოვნებია. ომანიანად იგრიალა საპასუხო შეძახილი, იგრიალა და, ლითონის სიმძვით უკანასკნელ შესაძლებლობამდე გაკვიმულმა, ხმა გაკვიმინდა.

მაგრამ ბატალიონი დიდი იყო. ადრინად დიდიდან გვიან საღამომდე ინჯიამ ყველა ქვეგანაყოფის შემოვლა და ხალხის დამოძღვრა ვეღარ მოასწრო. ლოგინიდან დილაადრიან წამომდგარი ის იყო „ჭიშვი“ ჯდებოდა ნოე გონგლაძის ასეულში წასაძვლელად, რომ მანქანას უკანიდან სამუშაო ძველმანებში გამოწყობილი ახალგაზრდა უნტერ-ოფიცერი მოადგა და სწორედ მაშინ,

როცა ინჯიამ მანქანის კარი გამოაღო, რიხიანად მოახსენა, თქვენი მარცხენა სამებრ ესა და ეს გეახელობით.

ტიკვილისაგან გაჟამებული გამხდარი სახე ობერლიიტენანტმა უკან მოაბრუნა და ევგენი არტემიძე იცნო.

— მოდი, ბიჭო, აქ, — ხმადაბლა უთხრა, დაჯდა, მანქანის მორყეული კარი ჯახუნით შეიხურა და ზედ ნიდაყვით დაეყრდნო.

ევგენიმ თვალის დახამხამებაში შემოურბინა მანქანას მარჯვნიდან, ობერლიიტენანტის წინ სარივით დაერქო და გაკვიმული მარჯვენა ხელი წინ გადმოაგდო, რასაც დადგენილი წესითა და რიგით. „ჰაილ ჰიტლერ!“ უნდა მოჰყოლოდა.

— სადა ხარ ამდენ ხანს? — ინჯიას სახე მოეკუმუნა.

— ბოდიშს ვიხდი, დამაგვიანდა, ჰერობერლიიტენანტ, — იმავე რიხით მოუგო ევგენიმ და ხელი დაუშვა. — კერძის გამოსატანად გამავზავნა მინდიაშვილმა...

— მინდიაშვილი კიდევ მანდ არის. ბიჭო?

— ასეულში გეახლათ, ბატონო ვასო, ერთად გამოვედით.

— დავეწვი?

— ევლოსიპედით წავიდა და რა მოგახსენოთ.

— მოდი ახლოს! — და როდესაც არტემიძე ხელის ზურგით მანქანის კარის გამოკვთულ ანჯამას შეეხო, ინჯიამ ხმა დაიდაბლა. — ჩემ ოთახში შეხვალ. სკამზე სამოქალაქო ტანისამოსი აწყვია. ჩაიცვამ და პირდაპირ ბლუმენდალში. ნურავის გამოვლაპარაკებ. შენი გერმანულით გადარეე ვისმე, თავი შინაურულად დაიჭირე, ვითომ აქაური კაკი ხარ. მიხვდი, რას გეუბნებ?

— იქ რა გავაეთო, ბატონო ვასო?

— ეკლესიის შორიახლო იტრიალებ; დააკვირდები, ვინ შედის, ვინ გამოდის.

— იქ ვინ არ შედის, ბატონო ვასო.

— შენ ის გააკეთე, რასაც გეუბნებია! — მოხუცის თვალეზში რისხვამ გაკვესა, გაკვესა და უმაღლ მიინავლა. —

აი, ეს ათი გულდენი. ჯიბის ფულად გეჭნება. — ამ სიტყვებზე მან უბეში ხელი ღრმად ჩაიყო, ტყავის საფულე ამოიღო და ორად გაკეცილი ტკიცინა ხუთგულდენიანები ევგენის სათითაოდ გაუწოდა.

— რაიმე ეჭვია? — ჰკითხა ევგენიმ, როცა ფულს ართმევდა.

— ზედმეტ შეკითხვებს თავი დაანებე! — ინჯიამ ტყავის საფულე მოკეცა და ისევ უბეში ჩაიღო.

— იქ ესესელები დგანან, ბატონო, რომ ვინმემ დამიჭიროს?

— ნუ გეშინია, ყველაფერი შეთანხმებულია. შენს საბუთს აჩვენებ.

— პასუხისმგებელი ვინ არის, ბატონო ვასო, იქნება იმათ აიღეს და მიმახვრიტეს. ჰკუა კი არ დაუშლით...

— მე შენ, ბიჭო... — მოხუცმა აზრი აღარ დაამთავრა, თვალეებში კი ისევ

წყრომა გაუქრთა. — რომ გელაპარაკებო, არ გესმის?

— მესმის, ბატონო ვასო.
— აბა, სალამოს შედეგებს მომახსენებ. რაც ახლა გითხარი და დაგავალე მე და შენს შორის დარჩება. ხმა, კრინტი!

ინჯია სავარძელზე გასწორდა და შოფერი, მხრებში კისერჩაამყნილი ობერ-შუტცე, რომელიც ადრე ბატალიონის მეთაურ იოსტს ატარებდა და შემდეგ რატომღაც გადააყენეს, უფროსის მოძრაობაზე მიხვდა, ძრავი უნდა ჩავართოო და მაშინვე ოქროსძეწვეიან გასალებს მისწვდა. „ჯიბი“ დიდხანს არ იქოქებოდა. ევგენი კვლავ გაკვირული იდგა იმავე ადგილზე და ობერლეიტენანტის წასვლას უცდიდა. ერთი დაპირება დააპირა, მოდი, შოფერს სახელურს გამოვართმევ და მანქანას დავაჭოქინებო, მაგრამ უმალ გადაიფიქრა: ვაითუ ევგენი მოხუცს ეს დაცინვად მიეღო...

სხვიტორის დღიური

შემოხვევია საღ კლდეებს ნისლი,
უკან დავტოვე შავი ქალაქი,
უნდა ვიხილო სახლკარი მისი,
სად გავამხილო, არ მაქვს ნანახი!

კლდეს ზოგან ხავესი აჩნია ლაჭად,
რა ნაზად ყვავის თრიმლის ბურჭები,
მივალ, სანატრელ მის აკვანს ვნახავ,
სირცხვილის ტანჯვას გადავურჩები!

შავი ყვირილა მორბის, მოყვირის,
მაგრამ... რა მოხდა, ფერი იცვალა!
შავი კლდეებიც ფერად ნოხივით
ბალ-ვენახებად გადაიშალა.

გზისპირ გახშირდა ნაზი გვირილა,
ყაყაო წითლად აფუტქებულია,
ასე მგონია შავი ყვირილაც
მისი ნათელით გათეთრებულია.

გაშლილმა ქალამ მომტაცა მზერა,
რა გქნა, ვერ ვძღები მისი ყურებით,
უნდა ვიხილო აკაკის კერა,
დავკოცნო მგოსნის ნაფეხურები!

უნდა დავლიო ჩიხურა პეშვით,
უნდა ამიხდეს გულით ნატრული,
უნდა შევიჭრა სხვიტორის ტყეში,
უნდა ვისმინო ფრთოსანთ მაყრული.

უნდა ვეახლო იმერეთს რიდით
სულში სულს მივცემ, გულს ვაძლევ გულად.
უნდა გადავცე მოკითხვა დიდი,
რომ დამაბარა კახეთმა ძმურად.

მივეშურები ოცნების ფრთებით,
ვისწრაფი, ზურმუხტ მთაგორებს ვსერავ.
აჰა, გამოჩნდა სხვიტორის მთები,
სალამი, დიდი აკაკის კერავ!

აი აკაკის ვენახი

აი აკაკის ვენახი,
აქვე ხასხასა მდებოლა...
აი აკაკის ვენახი,
ეს მთელი საქართველოა!

აი აკაკის ვენახი,
ვაზი ჭივოს რომ ჩაჰკვრია...
ფოთლებზე ნამი კი არა,
ერის ცრემლები აყრია.

რქა გაპკვირტვია დალოცვილს,
ერის ძუძუს სწოვს ფესვებით...
უხვი ნაყოფი გამოაქვს...
პქვია აკაკის ლექსები.

ასი წლის ვაზი ყვავილობს,
ათასჯერ გადამეხილი...
თითო რქა მაჯის სიმსხო აქვს,
რქაზე აქვს გადაგრეხილი.

რა გადაახმობს, ფესვები
სულ ღრმად ვქნება გამდგარი...
გულში ხომ წვეწის მაგივრად
ერის სისხლი აქვს ჩამდგარი.

ზედ ეპკურება ცის ნამად
დიდი აკაკის გენია... *არქანელის*
მისი კეთილი ღიმილი *გულში*
მზის სხივად შემოჰფენია.

მაშინ თქვან ვაზის გახმობა, —
ერი მომსპარი გვენახოს,
მაშინ თქვან ერის მოსპობა,
მზე თუ ჩამქრალი გვენახოს...
ერი არ მოშლის ერობას,
შენც სულ იხარებ, ვენახო!

აი აკაკის ვენახი,
აქვე ხასხასა მდგელოა...
აი აკაკის ვენახი,
ეს მთელი საქართველოა!

ქ ა კ ა ლ ი

ორი ღმერთკაცი ცოცხალი გვიმზერს,
ორი გენია ყველას გულშია,
არაგვის პირზეც, ყვირილის პირზეც
კაკლებს ტოტები გადაუშლია.

დიდი აკაკი, დიდი ილია,
ორი ღმერთკაცი, ორი გენია...
ორივეს ეზოს საყვარელს ეგზომ
კაკლის ტოტები გადაჰფენია.

აქ, ამ კაკლის ქვეშ, დაბრძანდებოდა,
ან იქნებ აქვე ედგა მაგიდა...
შაჭრად დნებოდა, თაფლად დნებოდა,
ვარდი სცვიოდა ოქრო ბაგიდან.

ალბათ ამ ჩრდილში დაბრძანდებოდა,
სანამ საეანშმო ცეცხლი ბოლავდა...
ვიდრე დიდ მგოსნად დაბრძენდებოდა,
აქ ცელქი ბიჭი კაკლებს კროლავდა.

გახსოვს, კაკალო, ყმაწვილობისას
მისი ლახტი და მისი შურდული,

გახსოვს კაკალო, ერის დიდ მგოსანს,
რომ ჩაუფრინდა თმაში ბულბული?

შენ კარგად გახსოვს ერის გენია,
მისი სათნო ხმა, სათნო იერი,
მას შენი ჩრდილი გადაჰფენია,
ჩემო კაკალო, ხარ ბედნიერი!

მზის შუქთან მისი შუქიც გმოსავდა,
წვერი ღრუბლებში აგიშვერია,
დიდი აკაკი შენს ფესვს ლოცავდა,
მიტომ გახმობა არ გიწერი!

ორი ღმერთკაცი ცოცხალი გვიმზერს,
ორი გენია ყველას გულშია.
არაგვის პირზეც, ყვირილის პირზეც
კაკლებს ტოტები გადაუშლია.

დიდი აკაკი, დიდი ილია,
ორი ღმერთკაცი, ორი გენია...
ორივეს ეზოს, საყვარელს ეგზომ
კაკლის ტოტები გადაჰფენია.

ჩ ი ხ უ რ ა

რა უდარდელად მოჰქრი, ჩიხურავ,
როგორ ხასხასებ მწვანედ, ტყე-ველო,
რა უდარდელად მოჰქრი, ჩიხურავ,
მბორგავო, კლდეში დაუტყველო!

მე შენს ნაპირას დავმდგარვარ ცალკე,
მიყვარხარ, გიცქერ პირმომლიმარე.
მგოსნის ემბაზო, პირველო სარკვე,
უსაყვარლესო ჩვენო მდინარე!

ზევით ბობოქრობ, ტყეს ამტერვე ტოტებს,
 აქ კი გულმშვიდად, ნაზი გრძნობებით
 ვალერსები ხავსსა და ლოდებს,
 თითქოს წასვლისას ემშვიდობები.

სხეიტორო, კალთა შემოგხვეია —
 გვეთავს ჩიხურა — ბასრი აღმასი.
 ტალღები მუხლზე შემოჰხვევია,
 აქ რომ დარბოდი ბიჭი ლამაზი.

ჩიხურავ, შენ ხარ მისი გამზრდელი,
 ეს მთები ფეხით დაუსერია.
 იქნებ „სულიკოც“, იქნებ „გამზრდელიც“
 შენს ნაპირებზე დაუწერია!

შენს ზვირთში მისი ცეცხლი ანთია,
 მიტომ გიხილე, მიტომ მოვედრე,
 შენ რა იცოდი, მაშინ „განთბადს“
 თუ შენს ნაპირზე წერდა პოეტი!

რა უდარდელად მოჰქრი, ჩიხურავ,
 როგორ ხასხასებ მწვანედ, ტყე-ველო,
 რა უდარდელად მოჰქრი, ჩიხურავ,
 მბორგავო, კლდეში დაუტყველო!

მე შენს ნაპირას დავმდგარვარ ცალკე,
 მიყვარხარ, გიცქერ პირმომცინარე,
 მგოსნის ემბაზო, პირველო სარკვე,
 უსაყვარლესო ჩვენო მდინარე!

აი სავანე

აი სავანე —
 ჩემი გულის ნატვრა ამხდარი...
 პატარა ქოხი, ღარიბული,
 აქვე — საყდარი...
 პატარა ქოხი, ღარიბული,
 აქვე — ფერდობი...
 წარსულის წლებში გადავფრინდი,
 ფიქრით ვერთობი.
 აი სავანე...
 სიზმარია თუ ზღაპარია...
 დიდი აკაკის სიყმაწვილე
 მას აბარია.
 აი სავანე —
 გადაშლილი ყვავილთა ნოხი...
 პატარა ქოხი, ღარიბული.
 ფიცრული ქოხი...
 აი სავანე.
 აქ აიდგა მგოსანმა ფეხი,
 გლესმა სიმაართლე შეაყვარა,
 სიმაართლემ — გლესი.
 აქ ამოიდგა
 საქართველოს ბულბულმა ენა,
 რომ საუკუნოდ

სამშობლოსთვის დაეტეხო სმენა.
 შრომის სიწმინდე
 აქ მის ძიძას რძეში ერია,
 სიკეთის სხივი
 აქ სავანის მზეში ერია.
 ჩვილ ყრმას სავანემ შემოჰხვია
 ზურმუხტის ფარჩა,
 მგოსნის გამზრდელიც
 „გამზრდელივით“ უკვდავი დარჩა.
 აი სავანე — გადაშლილი
 ყვავილთა ნოხი...
 პატარა ქოხის ღარიბული,
 უბრალო ქოხი...
 აი ამ ქოხში ირწეოდა
 მგოსნის აკვანი...
 მოველ, სავანის ველ-მინდვრებო,
 რომ გცეთ თაყვანი.
 მოველ, რომ გითხრათ,
 რასაც გეტყვით ყველა ქართველი:
 მაღლობის მეტი,
 ლოცვის მეტი
 რა მაქვს სათქმელი!

პოლინაზე

ქართული

მოდი ნახეთ, მიველ და გნახე

და სკობდა მანც, რომ არ შენახა.

ტ. ტაბიძე

მოდი, ნახეთ, მოველ და გნახე,
თავი დაგიკარ, თითქოს კაცი ხარ.
ჩამოგჭურია სევდისგან სახე,
მაღლა, მწვერვალზე ასულ ნაცხარს.

მოველ და გნახე, ისე ავმადლდი,
ჩემს დაბლა დარჩა ღრუბლის ქულები.
ახლოა ზეცა — ლურჯი ქალაღდი,
ზედ — თითქოს მთვარის ნაფეხურები.

მეგონა ქვეყნის მუფე გავხდი,
როცა ღრუბლებზე მაღლა ავედი.
მეგონა მთაზე დავიდგი ტახტი,
ფეხქვეშ გავიგე მწვანე ხავერდი.

გარდასულ დღეთა ნანგრევ-ნარჩენო,
გვამცნე, ქართველი მტერს ვით კაფაფდა.
ცრმულით ნაწული კირით ნაშენი,
გვიტხარ ამბავი მამა-პაპათა.

მოველ და გნახე. მითხარ, ცხადია?
იქნებ სიზმრების ხლართში გავები?
თვორტაიჭოსან ცოტნე დადიანს
მოაქვს და მოაქვს მტრების თავები!

დიდმა ვაჟაკმა, გმირმა ქართველმა
ჩოხაც, თეთრონიც წითლად შეღება.
წერეთლის ქალი — ტურფა ნათულა
თავის ოცნების გმირს ევებება.

მოველ და გნახე, გული დაღონდა,
ფიქრით წარსულის გავხდი მჭვრეტელი.
ქართველთა სისხლის ზღვა მომაგონდა,
სევდით მიმწერდი ციხის კედელი.

მაგრამ შევიმრე ცრმელი მომდგარი,
გულმა ფიქრები მოიგერია.
მდინარეებიც მთიდან მოშსკადარნი,
ხალხის სიხარულს მოცმდებარნი.

ეს ფიქრი ნისლი იყო წარსულის,
ხავსიან კედლებს გარა რომ ეხვია...
არ გამთელდება ხმალი სპარსული,
ზედ ვადის ძირში გავვიტყუია!

ავს და მაწყვეარს ბედმა უმუხთლა,
მტერმა ვერ მოგვსპოს, ვერ გადაგვთელოს!
მართლაც ცა-ფირუზ-ხმელეთურუმუხტად
გადაშლილია დღეს საქართველო!

გგოსნის საწოდთან

არც ოქრო-ვერცხლი,
ლალ-ზურმუხტი,
არც სპილოს ძვალი...
დრო-გამით უღვთოდ გაცრეცილი
ნივთები მკრთალი.

აი საათი,
დუმს, არ იძვრის დაობლებული...
ვერ გავცალე სევდიანი,
გაოგნებული.

გგოსნის მაგიდა,
გგოსნის ტახტი,
აკვანი გგოსნის...
გგოსნის აივანს
საქართველოს ნიაფი პკოცნის...

ეს ხომ პოეტის საწოლია —
უბრალო რკინა...
უბრალო რკინა,
მაგრამ მწერა ზედ მიმეყინა...



აი აქ იწვა,
 ამ საწოლზე,
 სიბრძნის მთოვარი,
 ძილშიაც
 ღვთისთვის
 საქართველოს ბედის მთხოვარი.
 აი აქ იწვა...
 მაგრამ თვალზე არ ჰქონდა რული,
 გულს უმდურავდა
 ერის აწმყო,
 ერის წარსული.
 ეზმანებოდა:
 მტერს ვმუსრავდით
 დასად და დასად...
 იღვევებოდა სამშობლოსთვის
 კელაპტრის მსგავსად.

ეს დიდი მგოსნის საწოლია —
 უბრალო რკინა.
 უბრალო რკინა,
 მაგრამ მწერა ზედ მიმეყინა...

აი აქ იწვა,
 ამ საწოლზე
 მკრთალი,
 სწეული...
 მოხუცს სიკვდილი

აქ მოუხტა
 მუხთლად, წვეული.
 კედებოდა, —
 თავის საქართველოს ენაცვლებოდა.
 მამულის ცრემლი
 თვალზე მძივად ემარცვლებოდა.
 კედებოდა, —
 თავის სამშობლოსთვის ცრემლი სდიოდა,
 ისე კვდებოდა,
 ხალხს ვგონა მზე ჩადიოდა.

აი აქ იწვა,
 ამ საწოლზე,
 სიბრძნის მთოვარი,
 ძილშიაც ღვთისთვის
 საქართველოს ბედის მთხოვარი.

ილიას უღელს ეწეოდა
 მოხუცი ცალად.
 წამოიჩოქა,
 აღარ ეყო მუხლებში ძალა.
 და ამ საწოლზე შემოუნთო
 სიკვდილის ალი,
 დიდმა მგოსანმა
 ამ საწოლზე დახუჭა თვალი.
 ისე დახუჭა,
 ცა-ფირუზის არ გაპყვა ვალი.

ღმრთის გუფა ხარ და იძნაბი

სხეიტორს ვმორდები თვალდანამული,
 ვნახე. ყრმობისას რა გახარებდა...
 დიდო მგოსანო, შენ ხომ მამული
 ხელში აყვანილს დაგატარებდა!

აქ სალოცავად ვიყავ მოსული,
 სხეიტორი ჩვენთვის წმინდა ხატია.
 ეგ შენი სახე ანგელოზური
 ყველა ქართველის გულში ჰხატია.

ეგ სახე ნისლის გამფანტველია,
 მზეა, დარია, გულის ხალისი.
 ის რა კაცია, რა ქართველია,
 ვინც შენი ლექსის ყადრი არ იცის.

ვინც თავის უკვდავ ლექსში აქსოვდეს,
 რაც ხალხს ახარებს, რაც ხალხს სწყენია, —
 ყველამ იცოდეს, ყველას ახსოვდეს, —
 სწორედ ის არის დიდი გენია!

შენ ხომ სამშობლოს გაზაფხული ხარ,
 შენ ხომ დიდების ტაძარს აგებდი,
 შენ ხომ უწმინდეს ხალხის გულიდან
 წყაროს წყალივით მორაკრაკებდი!

შენ ხომ შეგვასვი ლექსის ფილა,
 შიგ რომ შარბათიც, თაფლიც ერია.
 ხალხს შენი ლექსი, ესმის კი არა,
 ჰგონია თვითონ დაუწერია!

შენ ხომ იცოდი ვალი პოეტის —
გულზე ეხატოს ხალხის ფიქრები.
დიდი მგოსანი იყავ ყოველთვის,
ლეკის მეუფე ხარ და იქნები!

რა მგოსანია დღეს ის მგოსანი,
ვისაც ხალხისთვის არ უწერია...
ქარი წაიღებს ქარის მოტანილს,
დიდი სიცოცხლე არ უწერია!

შენ კი, — სიმღერის ღმერთად ითვლები,
სულ იღუღუნებს შენი ფანდური.

მამულში ბრწყინავს შენი რითმები,
ოქროს მარცვლებად მიმოფანტულინი
შენს ლინოთეხს

გულებს იზიდავ ანდამატივით,
სულს გვიცისკროვნებს შენი ჭაღარა.
შენი ლანდის წინ კრძალვით, პატივით
გალაქტიონმაც თავი დახარა.

შენ ხომ შეგვასვი ლექსის ფიალა,
შიგ რომ შარბათიც, თაფლიც ვრია.
ხალხს შენი ლექსი, ესმის კი არა,
პკონია თვითონ დაუწერია!



მკვიდრობით, უსიერო ტყუაბო!

ა მ ბ ა ნ ი

ღუმელი ჩამოვარდა. მანვე ალბათ ფიქრობდა, გაიხდის და გვერდში მომიწვებაო. მე თავს ძალა დავატანე და მასზე ფიქრი გულიდან ამოვიგდე. თუ გინდა მოინდომებ, შეუძლებელსაც შეძლებ.

...თვალი რომ გავახილე კარგა ვათენებული იყო. მანვეას ეღვიძა. ღუმელზე იჯდა და მიცქერდა.

— რატომ გაიწვალე თავი, სხვა შენს ადგილს ხვეწნა-მუდარას დამიწვებდა, მუხლებს დამიკოცნიდა. — თქვა მან.

— მე მუხლებს არავის დავუკოცნი.

— საინტერესო ტიპი ხარ.

— ჩვეულებრივი ახალგაზრდა ვარ, საქმიანი. ახლა ჩამობრძანდი და მომე-ლაპარაკე.

— რა გეჩქარება? გერმანელები აქედან წასვლას არ აპირებენ. არც პარტიზანები აიღებენ ხელს მათთან ბრძოლაზე ასე მალე. სიკვდილს მოესწრები.

— პარტიზანებთან არაფერი მესაქმება, არც სიკვდილს ვაპირებ.

— რაო, ანას სულ ჩაეტილი ჰყავდი და კალთაში ვიჯდა?

პასუხი აღარ გამიცია. ოთახის ერთ კუთხეში პირსაბანი ეკიდა. მივედი, წყალი სახეზე შევისხი. მანვეამაც ინება

ღუმელიდან ჩამოსვლა. ისევ უტიფრად გამიარა წინ პერანგის ამარა და ჩიხით-ხითა. მკლავში ხელი ეტაცე, არა, წინასწარ ეს განზრახული არ მქონია, მაგრამ იმ წამში არც კი ვიცოდი რას ვაკეთებდი. მეორე ხელიც ჩავკიდე და ისევ მოფუჭირე. შეჰყვირა. თითქოს გამიძალიანდა. გაიფართხალა, მაგრამ როცა ვაყურდა და ჩემს მკლავებში ჩაღნა, სწორედ მაშინ გავუშვი ხელი.

— ჩაიციოთ, ნადია. მე ჯერ უნდა გენდოთ, მერე მე ვიცოდე და თქვენ.

გაფითრდა, ტუჩები ჩაულურჯდა. სახეზე ორივე ხელი აიფარა და ნელა ჩაიკეცა. მე მისი ხალათი მოვიძიე. მოვახურე, წამოვაყენე და სკამზე დავსვი. — ახლა თუ რამეს მაჭმევთ, დიდი მადლობელი დაგიჩები! — ვთქვი.

— მეშინია! შენი მეშენია, შენ ჩვენი დაგვლუბავ! — ტირილი წასკდა.

— ჩემი ნურაფრისა გეშინიათ. — გამეცინა. — უკადრისს მე არ ჩავიდენ. მტრისა და მოყვრის გარჩევა შემიძლია, თავის შეკავებაც შემიძლია.

— ასე ახალგაზრდა და ასეთი ნებისყოფა?

— თქვენ ლამაზი ქალი ხართ, ლამაზი კი არა, შეიძლება ვინმემ ძალიან ლამაზიც კი გიწოდოთ. სილამაზე დიდი სიმ-

დიდრეა, მაგრამ ძალიან თვითდაჯერებულიც ნუ იქნებით. სილაშხით ყველას კი ვერ გადარევთ. წუხელ გეწვიეთ, პირველად შეგხვდით და ასე ერთბაშად, ყოველგვარი გრძნობების გარეშე რომ ჩაგხვეოდით ერთმანეთს, ალბათ საკუთარი თავიც კი შემეზიზნებოდა. თქვენც გულზე ხელი დაიდეთ და გამოტყდით, თქვენც დღეს ჩირადაც არ ჩამაგდებდით, ასე მგონია, ერთიორად დავმცირდებოდი თქვენს თვალში: გულლია ადამიანი ჩანხართ და ეს დასაფასებელია. ბოლოსდაბოლოს საორდლისოდ ხომ არ შეგხვედრივართ ერთმანეთს? ასე არ მითხარით, გერმანელები აქედან წასვლას არ აპირებენო! არ წავლენ და ნურც წავლენ. პარტიზანებიც იბრძოლებენ მათ წინააღმდეგ. მე და თქვენ კი ორცეცხლშუა ვართ, ან ერთნი მოგვიდებენ ბოლოს, ან მეორენი. ღუმელზე თუ არ დაგვაკლეს, სადმე გზაში ჩაგვისაფრდებიან, ან ტყვიას დაგვახლიან. ან ყელს გამოგვადარავენ. გამცემისა და მოლაღატის ბოლო, ტყვია რომ არის ხომ იცი?

რას იზამ. ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი და ჩვენც უკან დასახვევი გზა მოჭრილი გვაქვს. მივყევთ ანას, დავემორჩილოთ, რაც შეიძლება ზუსტად შევასრულოთ მისი დავალება. იქნებ მოხდეს სასწაული და გადავრჩეთ.

ასე ნუ მიცქერით, ლამისაა მეცეთ და თვალები ამოქაწრთ. ნუ აჩქარდებით. მე თქვენს გულწრფელობას ვუბასუხებ. მინდა მეგობრად მიგულოთ და ცოტა დაფიქრდეთ. თქვენ უკვე ვიცნობენ, როგორც თქვით, უკვე შეგისრულებიათ ანას დავალება. მეც მინდა რაღაც გავაკეთო მისთვის და გამომიყენეთ. ოღონდ, ვიმეორებ, თავს არ გაფიჩრავ. მეც მინდა ვიცოცხლო და საკუთარი თვალით დავინახო თუ რა მოხდება ამ ცოდვილ მიწაზე. ფიქრით თავს ნუ იწუხებთ. ვიცო, ახლა წვალობთ, გინდათ გაიგოთ ვინა ვარ, მეგობარი თუ მტერი. ამას ჩემზე უკეთ ვერავინ აგისწიოთ. მე მთლად სანდო არა ვარ, ვმერყეობ,

გულს ვებრძვი. არ იფიქროთ, მე მინოდეს, არა, მაგრამ სტილილზე კი ვზრუნავ. ერთ დავალებას შევასრულებ, კარგად შევასრულებ და მერე ჩემს გზას ვეწევი. არ გილაღატებთ, მენდეთ. ღალატი სიბინძურეა.

— როცა ანას დავალებას შეასრულებ, შენც მოლაღატე იქნები...

— ვიქნები და ვიყო. ერთხელ-მეოთხე, მტკიცედ ვუთხარი ანასაც.

— და გგონია მერე მოისვენებ? მოგასვენებენ? არა, ჩემო კეთილო, შენ არც კი იცი მერე რა მოგელის!

— არც მინდა ვიცოდე, არც მინდა ვიფიქრო იმ მერეზე.

— მე შენ პირველ შეხედვისთანავე მომეწონე როგორც მამაკაცი. ახლა მომწონხარ როგორც ადამიანი და გეფიცები, თუ რამ წმინდაა ჩემთვის, ხელს შეგიწყობ, წადი და გაიხარე!

— რა არის თქვენთვის წმინდა, ნადია?

გაშტერდა, ტუჩები აუცახცახდა, ფერი დაეკარგა და ერთბაშად აქეთიწინდა.

— არაფერი, არაფერი არაფერი!

ტიროდა. ზღუქუნებდა, მაგრამ არც ერთი წამით სიბრალული არ მიგვრძნია მისდამი. მას რომ ვეჩიჩინებოდი, მე ისევ სტიობას ვხედავდი, ვხედავდი მის ნაპერწყლიან თვალებს, მესმოდა მისი კბილების ღრუბალი და მაშინ მჭეროდა, რომ ამ ზნედაცემულ ქალს ოდესმე ის ბიჭი მოუღებდა ბოლოს.

მაგრამ მე? მე თვითონ რატომ ვიჭყულეტ ტვინს? რა შეგონებებით ველაპარაკები ქალს, რომელსაც ანას არა ერთი დავალება შეუსრულებია. ამ დავალებებიდან ერთი ცნობილია, მან გასცა და დაახვრეტინა სტიოპა სენკევიჩის დედა. მისივე მეგობარი პატრიოტი ქალი. იქნებ უფრო მძიმე დანაშაულიც აქვს ჩადენილი. ახლა ტირის, ზღუქუნებს, მოთქვამს. რაც წმინდაა ჩემთვის, იმას გეფიცებით, მითხრა წელან. რომელ წმინდზე ბედავს ლაპარაკს ეს ნაგვის მატლი!

— მაშ რატომ შეეუტიე? რატომ მივე-

ცი დაეკვების საბაბი? ნუთუ ყოველივე კვლავ ჩემდაუნებურად ხდება. ნუთუ კიდევ ვერ ვისწავლე ჭკუა?

ასე იყო ანასთანაც. მასაც ბევრი ეკამათე, ვებრძოლე და ნაყოფიც მივიღე. იქნებ ასე სჯობს, რას გაიგებ ახლანა სჯობია და რა არა...

მამხევე აღარ ტირის, თვალუბზე ცრემლს იმშრალებს. თავი ჩაუღუნავს და მგონი არ აპირებს წამოდგომას. ეშველა, შემომხედა, ხელი გამომიწოდა და მითხრა, ამაყენეო. ხელში ხელი ჩავკიდე და წამოვაყენე. ზედ ტანზე მომეკრა. მომეწება, ხელს აღარ მიშვებს, თვალუბი ამღვრევია და ლულულუღებს.

— არაფერი, არაფერი არ მინდა, ოღონდ ისევ ისე ჩამკიდე მკლავები, როგორც წელან, მაგრად, რაც შეიძლება მაგრად. რომ ძელებმა ტყაცუნი დაიწყოს. შენ არ იცი ეს რას ნიშნავს ჭალისათვის. კაცმა ეს არ იცის. ჭალი კი ჭალი მაშინ შენია. ჭალს მკლავის ძალა უნდა აგრძნობინო და დაიმონებ. ეს გახსოვდეს, სხვებთან მაინც გამოიყენე. ახლა ვისაუზმოთ! — ხალათი ჩაიცვა, ხელები დაიბანა და ლუმელს მიადგა.

ტყუამწვარი თვალის დახამხამებაში გაამხალა. არაყიც მოიტანა. ისევ ისე მივუსხედით მაგიდას ორივე, როგორც იქ, ბუღაში ვკვებოდით ხოლმე მე და ანა.

— სვამ?

— ცოტას. მაგრამ შენი ხათრით დავლევ!

— ლოთები მძულს. ლოთისგან ყოველგვარი სიბილწეა მოსალრდნელი. ჭიქა არაყში სულს მისცემენ. მუდამ აქოთებულნი არიან და უმეტეს მათგანს კაცობა არა აქვს. — არაყი დაასხა და მომამწოდა.

— თქვენთვისაც დაისხით!

— არ მინდა, წვეთიც რომ დავლიო, დავფერები, ისედაც მთვრალი ვარ, შენ დალიე, ღმერთმა შეგარგოს!

— არ მომწამლოთ! — გავიღიმე.

ჭიქა ხელში შეაცვივდა, ისეთი ფერი დაედო, შემეშინდა, ჭიქა სახეში არ მთხოვოს-მეთქი, გავიციე და არაყი

გადავკარი. მან ბოთლს ხელი დაავლო და ტუჩებზე მიიყუდა. ბოთლი ხელიდან გამოვტაცე და მაჭიდაზე დავდგი. გუხუმრე-მეთქი, ევთხარი.

— მშიშარა ყოფილხარ! — ტუჩები ამრიზა.

— არა ვარ მშიშარა, ვეცდები ამაში მალე დაგარწმუნოთ. ახლა მითხარით, რა გაქვთ განზრახული. როგორ უნდა გავიციო ის ცურანია თუ ვილაც... ნაღია ხელს შეგიწყობსო. ყველაფერში დაგეხმარებაო. რაში უნდა გამოიხატოს თქვენი ხელის შეწყობა. მე ყველაფერში თქვენი დახმარება არ დამჭირდება, მხოლოდ გზა მიჩვენეთ, ვინმესთან მისწავლეთ და მერე ვეცდები ჩემი ჭკუითა და გონებით ვიმოქმედო.

— ჯერ ჭამე! — მითხრა მან. — ჭამე და ცოტა ილაპარაკე!

— კი ბატონო! — გავიღიმე და ტყუამწვარს შევექეცი. ისიც მადიანად მიერთმევედა.

— დღეს თუ არა, ხვალ აქ გერმანელები მოვლენ, მარტო იანოვოში კი არა, ყველა სოფელში ჩადგებიან და იქნებ ჩვენს ჩაურევლადაც დაიჭირონ ცურანნი. თუ ეს ვერ შესძლეს, ცოტა რამ ჩვენც მივანიშნოთ.

— რა იცით, რომ აქ გერმანელები მოვლენ?

— პარტიზანებმა ბოგუშევსკზე თავდასხმა რომ მოაწყვეს არ გაგიგია?

— საიდან, ვინ მეტყოდა?

— ანა!

— კი, რალაც მაგდაგვარი მითხრა, მაგრამ მე ყურადღება არ მიმიქცევია.

— ბოგუშევსკშიც შებედეს, კომენდატურას ტყვია დაუშინეს, წარმოგიდგენია? ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ თუ ამას გაბედავდნენ...

— უყურე შენ! მოკლეს ვინმე?

— არ ამხელენ, თორემ ბარე ასი ფრიცი მოუკლავთ. ამიტომ გზავნიან სოფლებში დამსჯელ რაზმებს.

— მე რალა მეშველება? აქ რომ დაიჭირონ, კაპუტ. იქნებ სამერმისოდ გადავდოთ ეს საქმე, ა?

— რაჟი მოხვედი, რაჟი გადაწყვიტე, სჯობია მოილიო. ახლა გაქვს დრო. იქნებ ცურანი და მისი ამხანაგები გერმანელებმა ჩააძაღლონ. ჩვენ წყლიდან მშრალი ამოვალთ, რასაც გვინდა იმას ვიტყვი.

— ასე სულელები როგორ იქნებიან? გერმანელები მოვლენ და ისინიც მიიშალებიან ტყეში! — ვთქვი ნაღვლიანად. — ამ სოფელში პოლიციელები ხომ არიან?

— სამი პოლიციელია. მათთან სიტყვას არ დაგამადლი. დასახერტად თუ წაგეყვანეს, ვეცდები დაგიხსნა. — გაიცინა.

— დიდი შეღავათია! — მეც გავიცინე. თუთუნის შევახვიე და სანამ მოუკლებდი, ნაღვს ნებართვა ვთხოვე. კინალამ გადაიროია, ისე გეხარადა და, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დამიქნია თავი თანხმობის ნიშნად. თუთუნის კვამლი მიყვარსო. თუთუნის კვამლს მამაკაცის სუნი აქვსო. სულ მამაკაცზე ფიქრობდა ეს ოჯახქორი.

— ამ სოფელში ერთი ბიჭი ცხოვრობს სტეფანე სენკევიჩი. — სტეფანეს ხსენებაზე ყურები ვცქვიტე. მან განაგრძო: — მე და დედამისი ახლო მეგობრები ვიყავით, ერთად ვმასწავლებლობდით სკოლაში, მერე დახვრიტეს ის საწყალი.

— რატომ?

— კომუნისტი იყო, მეტისმეტად იქაჩებოდა და ვილაკამ ვასცა. სახლიც დაუწვეს. ბიჭი მეზობლის ქალთან ათევს ღამეს. სულიწმინდა არც ის ქალია, მან რაღაც იცის. ოდესმე მოეკითხავთ და თუ არ იტყვის, ვათქმევინებთ. ის ბიჭი შენ უნდა გაიცნო. ეს ადვილი საქმეა. უთხარი რომ ფრონტზე შენ და მამამისი ერთად იბრძოდით. მამამისი მალალი, შავგვრემანი კაცი იყო. სახელად ივანე ერქვა. დანარჩენი შენზეა, რაც გინდა ის მოჩმახე, ბიჭის გული მოიგე და გზაც გაგეხსნება. საქმარისია?

— ამჯერად კი! — მიეუბნე და მაგი-

დიდან ფინური დანა ავიღე. გრძელ, ლამაზი დანა იყო, ბეჭდებს ნაშრომავდა.

— მოგეწონა? — გეგგნებოდა.

— ძალიან!

— შენი ფეშქაში იყოს. თუ ოდესმე თავის მოკვლა გადაწყვიტო, მაგ დანას ნუ იხმარ, მაგით რომ მოკვდე, გულდამწყდება.

— არა, საერთოდ არ ვაპირებ თავის მოკვლას. თუ მაინცდამაინც გამიჭირდა, თუ უსაშველო დამადგა, სხვა იარაღიც მეშოვება. ამ დანით კი... — გამეღიმა, დანა ხელში შევატრიალე. — ამ დანითაც შეიძლება კაცის მოკვლა. პირდაპირ გულში უნდა ჩასცე და მორჩა-სახუქრისათვის მადლობელი ვარ, მაგრამ მე რაღა გისახსოვრო, რომ არაფერი გამიჩნია?

— რაც შენ გაგაჩნია იმას თუ არ მიჩქებ, ძალით წაგიღებ!

— მთელი ჩემი სიმდიდრე ეს ტყაუბი და ერმაკის გამონაცვალის ხამის შარვალ-ხალათია მხოლოდ. ინებე!

თითი დამიქნია, გაიკეკლუტა.

ავღდექი.

— ახლა წავალ, ნაღია. რაჟი რაღაც ვიცი, აღარ დავაყოვნებ და დღესვე მოვსინჯავ. ვცდი ბედს, იქნებ გამიზნაოთლოს. გერმანელები მართლა რომ მოვიდნენ ხელცარიელი ხომ არ დაგხედებთ. ოღონდ სახლი მიმსწავლეთ, არ მინდა კითხვა-კითხვით დავაემპო ვინმე.

— წადი და ღმერთი შეგეწიოს!

— ღმერთი გწამს?

— სიტყვამ მოიტანა თორემ რა საწამებელია, მთელი ცხოვრება ამირია, დანის პირზე დავდივარ.

— მერე ღმერთი რა შუაშია!

— ყველაფერზე ნუ მეკამათები. ეზოდან რომ გახვალ, ხელმარჯენივ იარე. სოფლის ბოლოს ვადი, იმ ქალის სახლი ბოლოდან მეოთხეა. უკან რომ დაბრუნდებ, თვალი გეჭიროს იმ ბიჭზე, ეშმაკის ფეხია. ამ ეზოში ჩამოსული თუ დაგინახა, მოგვამა საქმემ ჭირი. მამამისის სიტყვა კი არა, თვითონ ივანე

სენკევიჩი რომ მოუყვანო, აღარ გენდობა.

— ასე ახლოს გიცნობს?

— მიცნობს, ახლა წადი. მე სპირტის ქარხანაში გადავალ, პოლიციელებს ვავაფრობილებ. თუ შეგხვდნენ გზაში, ნადიას სტუმარი ვარ-თქო, უთხარი და არ დაგაკავებენ. ახლა მოდი და ერთხელ მაინც მაკოცე.

— იცით, წუხელ მთელი ღამე არ მძინებია... ნუ ამრევთ. ახლა ცოტა და მშვიდებული ვარ და გამიშვით.

— წადი!

ტყაპუჭი ჩავიცვი, ქუდი დავიხურე. მან კარები გამიღო, ზურგზე ხელი დამკრა და სიცილით მითხრა, — ამაღამ მაინც ჩემი ლუკმა ხარო.

ჭიშკრისკენ არ წავსულვარ. ეზოს გავყევი, საბძელთან ბოსტანში გადავედი, აქედან კარგად ჩანდა სპირტის ქარხანა. ამ ქარხანაზე ლაპარაკით ურები მქონდა გამოჭედილი, ახლა შევხედე და გამეცინა. საში საბძლის მაგვარი რაღაც ფიქრული ერთმანეთზე მიშენებული, ცოტა მოშორებით სახლი დგას, ალბათ ქარხნის სამმართველოა შიგ მოთავსებული. თუმცა განა საქმე ქარხნის სიდიდესა?

პოლიციელები ალბათ ამ სახლში არიან მოკალათებულნი.

მშვენიერი დილაა. არ წვიმს და ალბათ მალე მზეც გამოაჭყიტებს. რახანია მზის სითბო არ მიგვრძნია.

ბოსტანიდან-ბოსტანში გადავედი, ვიარე და რაღაც ჩიხისმაგვარ გზაზე აღმოვჩნდი. ამ ჩიხს გავყევი და სოფლის მთავარ გზაზე ამოვყავი თავი.

იქნებ მითვალთვალებს მახინჯა, სჯობია ისე ვიარო, როგორც მან მასწავლა.

სათუთუნე ამოვიღე, თუთუნი შევახვიე და მოვუკიდე. ნელა გავყევი ქუჩას. ყოველ სახლს, ყოველ ვასაძრომს ვუკვირდები და ვიხსამებ. ჩემს დღეში მყოფი კაცისათვის ეს აუცილებელია.

აგერ სულ განცალკევებით აბანო დგას. აქაურებს აბანოები ძალზე პრიმიტიულად, მაგრამ შეიძლება ითქვას,

მოხერხებულადაც აქვთ მოწყობილი. ზოგიერთ შეძლებულ მოსახლეს ნაკლებრივ უდგას ეზოში აბანო. უფრო სწრაფად კი ოთხ-ხუთ მეზობელს ერთი აბანო აქვთ და რიგრიგობით იბანენ.

ერმაკვს საზიარო აბანო აქვს. ბუღაში მისიგლის ხუთი ექვსი დღის შემდეგ მქონდა საშუალება იმ აბანოში ტანი დამებანა. ეს გვიან ღამით მოხდა.

აბანოში ჩვენებური ყორეს პრინციპით დიდი ღუმელია აგებული. ღუმელის ორივე მხარეს გრძელი სკამები კიბის მსგავსად მიყვება მალა. ღუმელს ახურებენ და შიგ წყლით სავსე მოზრდილ ქურჭლებს დგამენ. თვითონ აბანო აქაურ სახლივითაა ნაშენები. ფიქვის გათლილ ძელებს ერთმანეთზე ალაგებენ, შორის ხავსს აფენენ. ხავსს ისე მჭიდროდ კრავს ძელებს, რომ შიგ სიცივე კი არა და სინათლის სხივიც არ ატანს. აბანოს ორმაგ ჩარჩოიანს პატარა ფანჯარას უტენვენ.

იმ ღამეს ჯერ ანამ დაიბანა, მერე მე და ერმაკი შევედი აბანოში.

ისეთი ბული იდგა, უცებ სულის მოტყამაც კი გამიჭირდა. ღუმელში ცეცხლი გიზგიზებდა, ფანჯრის რაფაზე კრაქი ხრჩოლავდა. ერთი ქვაბი ცხელი წყლით იდო სავსე. კედელზე ცოცხები ეკიდა. ცოცხებს ვეძახი, თორემ ეს არყის ხის წვრილწვრილი ტოტებისაგან შეკრულ კონებს უფრო ჰგავდა. ერმაკმა ერთი კონა მე მომაწოდა, ერთიც თავად დაიჭირა ხელში. კიბის პირველ საფეხურზე დავდა და თავზე შეზავებული წყალი გადავიღო. წყალს ქვაბიდან რაღაც თეფშის მაგვარი ქურჭლით იღებდა, ტანზე იხსამდა და თან ცხელ წყალში ამოვლებულ ცოცხს გვერდზე იტყაპუნებდა. მეც მას ვბამავდი. ცოტა ხნის შემდეგ ერმაკმა საფეხურით მალა აიწია. იმ ქურჭლით წყალი გავარვარებულ ღუმელს გადაასხა. ცხელმა ორთქლმა თავლები დამწვა.

ერმაკი სულ მალა მალა მიიწევიდა. სულ ბოლო საფეხურზე დავდა. ცოცხი ტანზე მოიტყაპუნა და დამიძა-

ხს. ზევით ამოდით. ავედი. მაგრამ იქამდე ვერ მივალწი, კინალამ გავიგულდერაც უფრო მივიწვევდი ზევით, მით უფრო მეწვოდა სხეული. ცოცხს მეც ვიტყაპუნებდი ტანზე, მაგრამ ვეღარ გავუძელი და პირველ საფეხურზე დავეშვი ერთმაცი სიამოვნებისაგან ღრუტუნებდა. ბოლოს ტანზე სუფთა წყალი გადავივლეთ და ჩავიცვით. ეს ამბავი აბანოს დანახვაზე გამახსენდა. სოფლის კვალობაზე ასეთი რამ, რა თქმა უნდა, მოსაწონია.

წუხანდელი ჩვენი თავშეყრის ადგილს რომ ჩავუარე, სახლს ცალი თვალით გადავხედე, წამითაც არ შევჩერებულვარ, გზა ვანვაგრძე. სოფლის ბოლოზე გავედი და ისევ უკან გამოვყევი ქუჩას. ამ ხნის მანძილზე ქუჩაში, ან ეზოებში კაციშვილი არ შემინიშნავს.

სონიას ეზოში ფრთხილად ჩავიპარე და საბძელთან მივედი. კარი ღრიჭოდ იყო დატოვებული, შევედი. ერთ მხარეზე თივა ელაგა. თივა ნელა ირწეოდა. ცოტაც შევიწიე და სტიოპას თავზე წავადექი. ბიჭს თივაში ჩამხობილს ეძინა. მეც იქვე ჩამოვჯექი და მის ვალეიძებას დაველოდე. ლოდინი ღიღინას არ დამჭირებია. ბიჭმა თითქოს იგრძნო, რომ ვიღაც უთვალთვალედა, ვიღაც მის ახლოს სუნთქავდა. უცებ ვადმობრუნდა და შავი თვალები მომაჭყიტა. ეტყობოდა უცებ ვერ მიცნო. თვალებში ხელები ამოისვა, დამაკვირდა და გაიცინა, მერე წამოხტა და ხელი გამომიწოდა.

— შინ არ შეგიშვათ? — მკითხა.

— შემიშვა, ჩემო სტიოპა, კარგადაც მიმიღო და ბევრი საგულისხმო ამბავიც გამიმხილა.

— დედაჩემიც ახსენა?

— დედაშენიც ახსენა და მამაშენიც იცნობდა?

— კი იცნობდა.

— მამაშენს ივანე ჰქვია?

— დიახ!

— ეს არაფერი, ჩემო სტეფანე, მაგრამ მავ ჭალმა ვაცილებით მეტი იცის. იცის რომ შენ ბიცოლა სონიამ შეგი-

ფარა, რომ ეს სონიაც „სულიწმინდა“ არ არის და მოვა დრო რომ მას ყველაფერს ათქმევინებენ. ასე რომ აქამდე სახლში ამხანაგების მოსვლა აღარ შეიძლება. მეორეც, დღეს თუ არა, ხვალ სოფლები გერმანელებით გაიტვდება. ნაღია ეცდება თავი გამოიჩინოს და თუ სხვა ვერა, იმ შენს კეთილ ბიცოლა სონიას დაასმენს. ფრთხილად უნდა იყოს. ის ბიჭი ეშმაკის ფეხიაო, მითხრა შენზე. მან ბევრი რამ იცისო. არ დაგინდობს. შენი მოშორებით, კვალს დაფარავს, მაგრამ მე თუ ვეტყვი, რომ შენ მჭირდები. პირიქით კალთას გადაფარებს და დაგიცავს.

ბიჭი აშკარად დაიბნა.

— მე ხომ მენდობი სტიოპა?

— ძია ლეონმა ასე მიბრძანა და...

— ლეონი ხვალ-ზეგ შეგვატყობინებს ადგილ-სამყოფელს, ჩვენც მისი „გაცემის“ ინსტენიურებას მოვაწყობთ. ეს იმას ნიშნავს, რომ არავინ დაიჭირონ, ხოლო მე მათ ნდობას მოვიპოვებ. დაჯექი. შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ და ასეთ უბრალო ოპერაციაში უნდა გაერკვე, გაიგე?

— ვერ გავიგე და არც მინდა გავიგო. იცოდეთ, თუ ძია ლეონი თავის პირით არ გეტყვით თავის ადგილსამყოფელს, მე... მე... რომ ამკუწოთ, მაინც ვერაფერს მათქმევინებთ. ახლავე წავალ ტყეში, თვითონ სტელმახს ენახავ და ყველაფერს ვუამბობ.

— ჩვენ ყველანი ამხანაგი სტელმახის ბრძანებას ვასრულებთ, სტიოპა. ერთხელ რომ გეტყვიან, ტვინში ლურსმანივით უნდა ჩაიჭედო და იმოქმედო. წადი ტყეში და ცურანიც ნახე. როგორც დაგარიგონ ისე მოიქეცი. ისიც გახსოვდეს, რომ შენ ჩვენი მეკავშირე ხარ და ყოველთვის ასე არ უნდა მეკამათო. ჩვენ მრავალჯერ შევხედებით ერთმანეთს, ბევრად უფრო რთული და სამძიმო დავალებების შესრულება მოგვიხდება და აქედანვე ნუ ავიშლებით, თორემ არაფერი გამოვა. ჯერ შენს ბიცოლა სონიაზე მოვიფიქროთ. არამც

და არამც იგი გერმანელებს სოფელში არ უნდა დახედეს, უნდა წაიყვანოს სადმე.

— მე მას დაეცე!

მოდო და ელაპარაკე ასეთ უტეხ ბიჭს. სტიოპა გვერდით მოვისვია. მხარზე ხელი მეგობრულად გადახვდევ და შევეცადე რაც შეიძლება დაწვრილებითა და დალაგებით ამეხსნა ყველაფერი. არ ვიცი განგებ ისულელებდა თავს თუ მართლა არ უნდოდა ჩემი დაეჭვრებინა. მთელი საათი მაწვალა, მოთმინებიდან კინალამ გამომიყვანა. ბოლოს ძლივს დავიყოლიე და შევთანხმდით. თუ დღეს გერმანელები სოფელში არ მოვიდოდნენ, სალამოს იგი ტყეში წავიდოდა, ცურანს ინახულებდა და მისგან სიტყვას მომიტანდა. მანამდე ბიცოლა სონიას მეზობელ სოფელში გადაიყვანდა. ბევრი კი მაყბედა, მაგრამ საბჭოლიდან მაინც კმაყოფილი გამოვედი.

... გერმანელები არც იმ დღეს და არც მეორე დღეს არ გამოჩენილან. სტიოპამ ღამით ცურანი ინახულა და მეც შემახვედრა მასთან. მაზნეგას საკმაოდ დამაჯერებლად ვუთხარი, რომ სონიასა და სტეფანესათვის ხელი არავის ეხლო, ორივე მჭირდება-მეთქი.

მე და ლეონმა გაცემის ინსცენირების გეგმა შევადგინეთ. პარტიზანების ერთ ჯგუფთან ერთად ლეონი მახლობლად მდებარე ხუტორში უნდა მისულიყო. მაზნეგა პოლიციელებს აცნობებდა ამის შესახებ და ჩვენის ანგარიშით პოლიციელები თავის მხრივ ბოგუშევსკს შეატყობინებდნენ.

ხუტორში ერთი დავრდომილი მოხუცი თედორე იაცუკი ცხოვრობდა. იგი სარეცელზე იყო მიჯაჭვული. წყლის მიმწოდებელიც კი არ ჰყავდა და იანოველები სამადლოდ უვლიდნენ. ხანდახან რომელიმე დედაკაცი ააკითხავდა, საკმელს მიუტანდა.

მოხუცმა კარგად იცოდა, რომ ცურანი და მისი ამხანაგები გერმანელებს

ცოცხლად არ დანებდებოდნენ, უბრალოდ ეს დამე არ ჩაფიქვდა. ცურანისთვის სიტყვა არ შეუტარებია, იმ წამსვე დაეთანხმა. თავის მხრივ მოხუცმა ერთი რამ თხოვა ლეონს, რაზედაც დიდხანს უარობდა ცურანი, მაგრამ ბოლოს დაეთანხმა. იარაღის ხმარება არ შემიძლიაო, რეკოლვერი კიდევ რომ მომცეთ, ჩემთვის უჭმიაო. ხელუშმბარა დამიტოვეთო, ისეთი, მათელი რომ მოვადრო და უცებ აფეთქდესო. დაიფიცა, თუ არ გამოიჭირდა არ ვიხმარო.

იმ დღეს მაზნეგას ეს ამბავი მივახარე. ცურანი უკვე ხელში მყავს-მეთქი... ამალამ თედორე იაცუკის ბინაში მოვლენ და ასეთი შემთხვევა ხელიდან არ უნდა გაუშვათ-მეთქი. ამას რომ ვეუბნებოდი, ვცდილობდი აღტაცება არ დამეფარა. მგონი კარგად გავითამაშე ჩემი როლი. რადგან ნაღია წამითაც კი არ დაქვევებულა. მეგონა, პოლიციელებს ჩარევა საჭმეში, რომელიმე მათგანს ბოგუშევსკში აფრენდა. მაგრამ გერმანელების წყალობას დახარბებული ვიძვერა თავად წავიდა რაიონში და სალამოს გერმანელებთან ერთად დაბრუნდა. ამჯერად გერმანელები უხმაუროდ შემოვიდნენ სოფელში და სპირტის ქარხანაში დაბანაქდნენ. მაზნეგას უნდოდა, მეც წარვედგინე მათთვის, დიდხანს მეხვეწა და მიმტყიცა, მათთან ნაცნობობა და სიახლოვე სადმე წავადგებო, მაგრამ უარი ვუთხარი, რითაც დიდად ვაოცებული დარჩა. ანასაგან ნაბრძანები მაქვს, რომ შენ და შენს ამხანაგებს ვარდა არავის შევხვდეთ-მეთქი.

ნაღიას ერთი თანამზრახველის გვარი უკვე გაგებულა მქონდა და როცა ლეონს შევხვდი, ვუთხარი. ვიცნობ, მაგრამ არ მეგონა თუ მაგ ურწმუნოს ამხანაგი გახდებოდაო, აწი მე ვიცოდე და იმანო.

მაზნეგამ იანოველი პოლიციელები მაინც დამაყენა თავზე. რაღა უნდა მექნა? გვეცანი და ხუტორზე თავდასხმის ჩემი გეგმაც გავანდე მათ.

ოპერაციის წინ, ბუდიდან სწორედ ის ნაგანიანი პოლიციელი ამოვიდა ფორანით. ჩემი დანახვა-სულაც არ გაკვირვებია. ისე მწყურია ცურანის სისხლი, ბუდაში ვეღარ მოვისვენებო. მე ვუცქერდი მის კროლა თვალებს, წითურ, ნაჭრილობევ სახეს და თვალწინ ჩვენი პირველი რაზმის განადგურების სურათი მედგა.

ნაშუალამევს გერმანელები ხუტორისკენ დაიძრნენ. წინ პოლიციელები გარეკეს. ხუტორს სამი მხრიდან შემოარტყეს ალყა. ეს ხუტორი ჩვენდა საბედნიეროდ ისეთ მოხერხებულ ადგილას იყო გაშენებული, რომ ერთი მხრიდან კაცს ადვილად შეეძლო ტყისკენ წასვლა. გერმანელებმა ეს გზა კარგად იცოდნენ, მაგრამ ტყისკენ ვასვლა ვერ გაბედეს. მოშორებით შეტყვიამურქვევები ჩაასაფრეს და ამით დამშვიდდნენ.

ალყა თანდათან ვიწროვდებოდა. გერმანელები ნელ-ნელა მიიწევდნენ ხუტორისაკენ. ძირითადი ჯგუფი გზას მიყვებოდა. ამ ჯგუფს წინ ერთ-ერთი იანოველი პოლიციელი მიუძღვოდა. ხუტორს ორმოციოდ ნაბიჯით რომ დაუახლოვდნენ, პოლიციელმა შიშით თუ სულწასულობით იაცუკის სახლს ტყვია დაუშინა. გერმანელებმა იმავე წამს სამი მხრიდან გასხნეს ცეცხლი და ყვირილით გაიქცნენ ხუტორისაკენ. თვითონ ცურანი ამ დროს უკვე იქ აღარ იყო.

გერმანელებს ოცდახუთმა კბილებამდე შეიარაღებულმა პარტიზანმა შეუპოვარი ბრძოლა გაუმართა. პარტიზანებმა სულ ახლო მოსულ გერმანელთა პირველი რიგი მთლად მოცელეს და წინასწარ დათქმული ბილიკით ტყისაკენ გაიქცნენ ორი პარტიზანი დაიჭრა მხოლოდ.

იაცუკის სახლიდან სროლა რომ შეწყდა, გერმანელებმა სახლში ჯერ პოლიციელები შეგზავნეს, მერე თავადაც შეეცვიდნენ და დაერდომილ მოხუცს თოფის კონდახები დაუშინეს. იგი არ კნესოდა. ბალიშში იყო ჩამხობილი და პირი ისე მოექუმა, კბილებს სულ ლა-

წა-ლუწი გაუდიოდა. კონდახის ცემით რომ გული იჯერეს, მერე თედორე წიხლის კვრით გადმოაგდნენ საწოლდან და უძლურ სხეულზე ჩექმებით შედგნენ. გერმანელი ნალით დაჭედვილ ჩექმას ისე გაშმაგებით სცემდა, რომ ყოველ დარტყმისას თავად ყვიროდა. თედორემ უბეში წინასწარ ნაგულავებ ხელუყმზარას მავთული ააგოჯა, უნდოდა იატაკზე დაერტყა, მაგრამ ამის თავი უკვე აღარ ჰქონდა, მუცელქვეშ ამოიღო და ზედ დააწვა.

უხ! უხ! უხ! სცემდა ჩექმას და კვლავ ღრიალებდა ფაშისტი, მერე მალლა აიწია და როცა ორივე ფეხებით დაახტა მოხუცის სხეულს, ყუმზარის აფეთქების ხმამ მთელი სოფელი შეძრა. ყუმზარამ ოთხი გერმანელი, ერთი პოლიციელი და რა თქმა უნდა თვით თედორე იაცუკიც ნაფლეთებად აქცია.

გერმანელებმა დახოცილი ამხანაგები სოფელში ჩამოიტანეს. სპირტის ქარზნის მახლობლად დაამარხეს. და იმ სამარგისთან ის პოლიციელიც მიახვრიტეს, ვინც ხუტორთან მისვლისას გაისროლა ტყვია.

გერმანელებმა ეს სროლა „ბანდიტების“ გამაფრთხილებელ ნიშნად მიიჩნიეს. მაზნევამ მათი მადლობა დაიმსახურა.

გადარჩენილმა გერმანელებმა ბოგუშევსკის კომენდანტს ასე უპატაკეს: „ხუტორში განადგურებულ იქნა პარტიზანთა რაზმი, მოკლულია სამოცამდე ბანდიტი, ორი პოლიციელი, ზოლო იატაკქვეშელი ამჯერად ხელიდან გაგვისხლტა“.

ბუდაში იმ ღამესვე დავბრუნდი. მაზნევას გამოვეთხოვე, სტიოპას უნახავად არ მინდოდა წამოხვლა, მაგრამ მისი ნახვა მაშინ არ მოხერხდა. მაზნევამ ცოტაზე გამომაკილა. მე მას დავბირდი, რომ ანასთან გავადმერთებდი. ამ ოპერაციას სულ მის მოხერხებასა და გამჭრიახობას მივაწერდი და როგორც კი საშუალება მომეცემოდა, ვინახულებდი.

ბუდასკენ მიმავალ ნაცნობ შარას

დაედექი. მივდიოდი და ხან თედორე იაცუკე ვფიქრობდი, ხან სტეფანე სენკევიჩზე. მოხუცი იაცუკის გასაოცარი თავგანწირვა გაუგონარ გამირობად მიმანდა და რა ვიცოდი თუ მერე და მერე ბევრი მსგავსი და უფრო მეტი სასწაულების მოწმეც ვავსდებოდი.

ხალსშია ქვეყნის ძალა. სიბრძნე და სიყვითე. ხალხია ამა სოფლის ბატონ-პატრონი და როცა შენი ხალხს სჯერა, როცა გენდობა ირწმუნე შენი გამარჯვება და იარე წინ.

თედორე იაცუკისთან აღამიანები უმაღ მოკედებთან, მაგრამ მარჩენალ მიწას არ დაგითმობენ, ამაყ სულს არ წაგაბილწევენებენ.

მაგრამ ხალხში მახნეებიც არიან და სუშინსკებიც. ისინიც ამ დალოცვილ მიწაზე იზრდებიან, ამ მიწით საზრდობენ, ამ ნაყოფიერ ველებზე თესენ ხორბალს და ამ ტყეებითა და ტბებით ტყებიან.

ვაუჭირდა ქვეყანას და ამ სულმდაბლებში გაიღვიძა შიშმა და სიბილწემ. პირველსავე ყვირილზე მტრის წინაშე განერთსნენ და საკუთარი მძორის გადასარჩენად მეზობლისა და მოკეთის ლალატიც იყისრეს.

დადგება ქამი ანგარიშსწორებისა და ვაი მაშინ მათ!

ბიკო სტიოპა! შენ უნდა მოესწრო იმ დღეს, იმ ბედნიერ დღეს. გხედავდი მუხლებზე დაჩოქილი რომ შეთხოვდი ლეონ ცურანს, დედაჩემის გამცემი მე მომაკვლევინეო. დაგპირდა ლეონი და ალბათ კიდევაც შეგისრულებს გულის წადილს, მაგრამ...

შენ ზომ უმწიკვლო სულის ბიკი ხარ, ჩემო სტიოპა. შენი ბავშვური სულა წმინდაა, როგორც სხივი მზისა. შენ უნდა გაანათო და გაათბო ეს გაცივებული ქვეყანა და არ მინდა სისხლში გაისვაროს შენი პატარა ხელები.

შენ ახლა ლეკებს უნდა იზეპირებდე. სულსა და გონებას პოეზიის მადლით, იმდიდრებდე და როცა დადგება ქამი, როცა გამარჯვებულნი ტყედ აღვ-

მართავთ სისხლში ათასგზის გასკრილ ხელებს, შენ და შენისთანაგნებუნა განწმინდონ სული ჩვენ და ახლა ნუ მოითხოვ საკუთარი ხელით გული გაუხვრიტო მას, ვინც გუშინ გეოგრაფიას გასწავლიდა. ჩვენ, შენს უფროს ძმებს, მამებს დაგვითმე მისი თავი, ჩვენ გავუსწორდებით მათ. რომ შენ დარჩე მზის სხივივით სუფთა და უმწიკვლო.

მივეყვები გზა-შარას, კმაყოფილი და ასეთი ფიქრები არა და არ მანებებენ თავს.

ცდებიო, მესმის იდუმალი ხმა. ვინაა რომ მეძახის? იქნებ თვით დამე, უმთვარო, უვარსკვლავო დამე. იქნებ ეს დადუმებული ნაპურალი ველები, მიწა, სტიოპას დედის სისხლით, თედორე იაცუკის სისხლით სველი მიწა.

იქნებ ხალხი, ამ მიწასთან გასწორებული ხალხი.

თუ ასეა, გნებდებით. შენ გნებდები დამეც, უმთვარო, უვარსკვლავო დამეც!

გნებდებით ნაპურალი ველებო, სისხლით დანამულო მიწავ. შენ გნებდები სულით გაუტეხელო ამაყო ხალხო.

მე თვითონ მივეცე იარაღს ბიჭს, მე თვითონ ვასწავლი როგორ უნდა დალიოს დედის გამცემის სისხლი.

აგერ, ამ დანას მივეცე, მახნევას ნაჩუქარ დანას. დაე, საკუთარი დანით დაკლას დედის მკვლელი.

ცხენის ფრუტუნმა და მიწაზე ფლოქების ცემამ შესწყვიტა ჩემი ფიქრი და გულთან დაეა. რევოლვერი მოვიმარჯვე. გზიდან გადავედი და იქვე ნაპურალში ჩავეტუქდი. ფორანი იანოვოდან მოდიოდა. სწორედ ჩემს ახლო დადგა.

— დაჯექი წაგიყვანი — მეძახის ფორანზე მჯდომი კაცი და მაშინვე ეცნობ ნაგანიან პოლიციელს. რევოლვერი უბეში ჩავიდე. ფორანთან მივედი. პატარა ფორანი იყო. მაგრამ ორი კაცი თავისუფლად მოვეწყვეთ. პოლიციელმა ცხენს შეუძახა. ფორანი დაიძრა.

ცხენი ნაბიჯით, ბაკუნ-ბაკუნით მიდის არც პოლიციელი აჩქარებს. კუნაპეტი ღამეა. გზა ზოგან პირდაპირ მინდორზე გადის და ალბათ ეშინია ცხენი გზას არ აცდეს. პოლიციელს მუხლებზე ავტომატი უდევს. ავტომატი მე იქნებ ვერც კი დაშენახა, მაგრამ ფორანზე რომ აეუდი, მან განგებ გაისწორა მუხლებზე ავტომატი, კონდახით ოღნავ შემეხო. ვინ იცის რა გაიფიქრა.

ფორანი ნელა მიგორავს. შარაზე, ხანდახან ცხენი დიფტრუტუნებს და მხოლოდ მისი ფრუტუნი არღვევს ღამის მყუდროებას.

— ხომ ნახე როგორ ძალღივით მიასვრიტეს იანოველი პოლიციელი? — თქვა მან და თავი ჩემკენ მოაბრუნა. ალბათ უნდოდა სახეში შემოეხედა, გაეგო რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩემზე მისი სიტყვები.

— ნახვით არ მინახავს, გავიგე!

— კაცმა რომ თქვას დასახვრეტი კი იყო, მაგრამ მაინც მეცოდება!

— რატომ იყო დასახვრეტი? იმას რას ერჩოდნენ. გერმანელებს ხელი მოეცაბათ, ის ვიღაც ცურანი თვალსა და ხელს შუა გაუძვრათ, გაბრაზდნენ და „ჩვენთანზე“ იყარეს ჯავრი.

— მშობარა ყოფილა, ან იქნებ, ვინ იცის, იმათი შემოგზავნილიც კი იყო.

— ტყუილია, ეგ არ მჯერა!

— აბა რატომ გაისროლა ხუტორთან მისვლისას. ეცლია სხვებისთვის. რატომ გაიხადა საეჭვოდ საქმე. შენ გერმანელები სულელები ხომ არ გგონია? — აჟუ! აჟუ! — შეუძახა ცხენს. ცხენმა ისე აიჭნია კუდი, რომ იმ კუდის ბოლო სახეში მომხვდა.

— იქნება შიშით დააჭირა თითი სასხლეტს, ხდება ასე. შენდაუნებურად აკეთებ რაღაცას და არ იცი რას აკეთებ. არაფრის გულისათვის არ უნდა დაეხვრიტათ. — ვიქანები და ვიცავ იმ პოლიციელს.

— ერთი იმისი დედაც... — შეიგინა

და გააფურთხა. — მაინც არ მომწონს ეს ამბავი. ოპერაცია კი ურანგოდ ჩაფიქრებული არ იყო, თუმცა ჰქონდა ნაკლიც.

— რა ნაკლი ჰქონდა?

— ტყისაკენ გასაქცევი გზა უნდა მოეკრათ, ვერ მოიფიქრეს, იმ გზაზე პოლიციელებს დავაყენებდი.

— ასეთი კარგი აზრი თუ დაგებადა, ვერ თქვი? ან თვითონ დაედგებოდი იმ გზაზე.

— მე? თავი კი არ მტკივა. სულ უკან უკან ვიხევდი, ვიმალებოდი. სულელი კი არა ვარ. ცურანს მაინც შევხვდებო, იგი მაინც ჩემი წერაა.

— ახლა არაფერი გამოგვივიდა და...

— მაზნევა ქარაფშუტაა, სანდო კია, მაგრამ ქარაფშუტაა, მისგან ვაიგე რომ ხუტორში იკრიბებოდნენ?

— მე ანგარიშს მხოლოდ ერთ ადამიანს ვაბარებ.

— უჩემოდ არაფერი გამოგივათ. ცურანი მე უნდა გაეთოყო. პირადად უნდა მიგვეპრო კომენდანტს. მე და ივანე სუშჩინსკი დიდი ხანია ვნადირობთ მასზე. ივანემ ოჯახი აუწიოკა, შვილი მოუტლა — ერთხელ შევიპყარიოთ კიდეც. ფორანზე თოკით დავაკარიოთ, მაგრამ ვიღაცამ ახსნა და თავს უშველა. ეშმაკია, კურეიშინოში რომ გგონია, უცებ ლდენევიჩში ამოყოფს თავს. იქნება არც დღეს იყო ხუტორში.

— იყო, მე ეს ნამდვილად ვიცი!

— თედორე იაცუკმა გითხრა?

— იაცუკი ვინაა? — ვკითხვ ყანიდად.

— ის დავრდომილი ძაღლი, ყუმბარაზე რომ აფეთქდა.

— არა! მე ის მოხუცი არ მინახავს.

— ვიცი, ბიჭმა გასცა. იმ ბიჭს საყვედური არ უთხრათ, არ დააფრთხოო. რაკი ერთხელ გაბედა, მეორეჯერაც არ დიხბევს უკან. ცურანი აუცილებლად უნდა მოკვდეს. მისი თავიდან მოშორება ახლა პირველი საქმეა. ყველა ჩვენგანს იცნობს.

ქიდე ღაპრები

კაცობის ყადრი ჭირში იცნობა,
მე ლხინში მოეხვედი აქაც, იყალთოვ.
ღმერთმა სიკეთით გადაგიხადოს
ეს გულუხვობა და მასპინძლობა!

მე კი, ვეცდები — ვისწავლი რამეს,
არ წავალ, კიდევე დავრჩები ცოტას:
აქ უსწავლია ოდესღაც შოთას
და უთევია ლოცვებში ღამე...

კვლავ ამაგზნებენ ბიჭები წერად, —
საჭირო რითმას დამიმალავენ,
მაგრამ მე გულით ვიგრძნობ ალავერდს,
ვით თანაგრძნობით მოპყრობილ მზერას.

გავეპარები მასპინძელს ღამით,
დავანთებ კოცონს ალაზნის პირას
და მხრებზე ნაბადწამოსხმულ ფირალს
ასჯერ შემაკრთობს ფოთლების ჩქამი...

ოვალწინ მიდგახარ და ვხვდები, გრემო,
დროცა და გულიც რად გემონება —
ქვეულა ნიჭად და გემოვნებად
კაბური ღვინის მადლი და გემო.

კიდევე დავრჩები, ჩემო კახეთო,
უკეთ შევიტებო მანავის მადლი —
არ გაუტებხო მეგობრებს ხათრი
და შუა გზაზე არ მომახედო.

ბ რ ე ბ ი

მზე უკვე სხივებს ამაოდ ხარჯავს,
მოიწევს ნისლი ყოველი მზრიდან:
წადი, იარე, საითაც გინდა —
გზა არ თავდება და გრემიც არ ჩანს!

გზა კი გრძელდება და არ ჩანს გრემი.
რა იქნა? რომელ სულიერს ვკითხო?
ან რად მგონია — მომდევნო თითქო,
თითქო ფეხდაფეხ მომდევნო მგლები!..

არსად ჭაჭანებს ძეხორციელი,
ალაზნის ველზე ფიფქივით ვქრები.
და, აი! ნისლებს მოარღვევს გრემი,
ვით ჩემი სულის ექო ძლიერი.

ბებერო! ხედავ, შეერჩი ქვეყანას
შენი იმედით და ღვთის წყალობით,
თუმცა ძალიან დიდხანს ვწვალობდი —
გულზე ძვირფასი ფერფლი მეყარა...

შემრჩა ენა და შემრჩა მარჯვენა,
მწამდა — სიმტკიცე შენი მიხსნიდა,
აღმონაცუნო ჩემი სისხლიდან
ჩემივე სისხლის გადასარჩენად!

წიწავს ჩემივე ჯიუტი ჯიში
შემკრთალი სულის იდუმალ სიმებს.
და გზას უკაფავს დამწვეულ იმედს.
თანდაყოლილი ვჭვი და შიში...

ბ ა ხ ი



და, აი, გული კედელს ასკდება:
ცად აღუპყრია ვიღაცას ხელი
და განწირულად — უკანასკნელად
გზის დასასრულთან ხმამაღლა მღერის.

საიდან ისმის გრძნეული ხმები?
ან ვულკანივით დამცხრალ ცხოვრებას
რა ძალით ძალუმს — უმღეროს ვნებას
და სიყვარულის უბიწოებას!

ვინ მღერის? ანდა რად მერვეება —
ამონახეთქი ვედრება მკერდით
ბუხრის ყელიდან ცეცხლის ვნებად
ამოდის თითქოს და ღრუბლებს ერთვის.

გუგუნებს ტაძრის მაღალი თალი
და ქარში ეღერენ წვიმის ნოტები,
და ბალი, როგორც მუსიკა ბახის,
ზეცას აწყდება სველი ტოტებით.

და, აი, მიწყდა, გადილო წვიმამ.
და გამჭვირვალე, როგორც ანკარა
წყაროს მხედები — შორეთი ბრწყინავს,
ხელუხლებელი და უანგარო.

ყ რ უ მ უ ნ ჰ ი

ასავსავებდა უაზროდ ხელებს —
დამორცხვებული იდგა უცნობთან...
თანაუგრძნობდნენ და ისიც ყველას
თანაუგრძნობდა.

აწელებოდა მრუდე დაისი,
ან თუ ქუხილი მოსდევდა ელვას,
ის ყურს უკდებდა ყრუ დედამიწის
ვნებათა ღელვას:

რასაც ბუნება უბრალო ვნით
ამხელს ყველასთვის ან განზრახ ნიღბავს,
ზღვად იწვა მისი გონების, სმენის
და სულის მიღმა —

მისთვის სიჩუმე ერქვა სახელად
ყოველგვარ ხმაურს და მან იცოდა,



რატომ ითხოვდა სიტყვით გამხელას
მარადისობა:

ან რას ნიშნავდა გამხელა სიტყვით,
ან კიდევ, ქარში ხეების ტყდომა —
ზოგჯერ ძაბილის და ზოგჯერ კითხვის
ნიშნებად დგომა.

მე კი მაკრთობდა, სიტყვასთან შეზრდილს,
ბედს მინდობილი ფოთლების ცვენა
და მოცახცახე ცაცხვების ქესტი —
ყრუმუნჯის ენა.

ო, უცნაური სურათი დილის:
მახსოვს, მან ხელი ჩამჭიდა მაგრად,
მერე კი ტყისკენ გაუყვა ბილიკს
და ნისლში გაჭრა...

მე ტყესთან ნაბიჯს ვანელებ ისევ,
ტყე კი სავსეა იდუმალებით,
და უკვე მთელი ბუნება მიმზერს
მისი თვალებით.



აკაკი გელვაანი

სვანეთის თეთრი ქული

ხალხს ქაონიკაბი

წმინდა კვირიკესა თავსდებობითა მოგახსენეთ ჩვენ, ხალხშელთა ერთობილთა... არცავე ისაღ სავედროდ გავხადოთ ხალხღესი.

ქალთა და უშვილის ხევთა სათემო აქტებო, XIV ს.

1. კვირიკეს ზარი

საფიხვეში ზარის ხმა გაისმა წუნარი, შორეული, იდუმალი, ავის მარწმუნებელი.

მონადირემ პირველად მალა აიხვდა: ციურბი ზარის ხმა ეგონა. შეცდა. დაბლა რეკავდნენ. როგორ მოუვიდა? ეს ხომ წმინდა კვირიკეს და ივლიტეს ეკლესიის ზარის ხმაა!

წმინდა კვირიკემ მიწის ღრმა წიაღში გაიღვიძა და შეწუხებულ დედას ჰკითხა:

„რა მოხდა, დედაო. ივლიტი, რისთვის რეკავენ სვანები ზარს?“

„რა ვიცი, ჩემო კვირიკე. რაკი სვანები რეკავენ, მამ შეხედიე ქაონიკათ“, — მიუცო წმინდა ივლიტემ და ისევ საუკუნო ძილს მიეცა.

ზარი კი ისევ რეკავდა. მყინვართა მარადიულ ღუმელში მართლაც ციური ზარის ხმას ჰგავდა, უღროსი და უცნაურს.

ამ ლავეარდი ისე ნარნარი და გაშვირავალეა, გგონია ხელით მისწვდები ცის თაღს. რეკავენ.

მთაში ჰაერი თბელია, საფიხვე კი სოფლიდან შორს არ არის, და რა გასაკვირია, ზარის ხმა რომ ჰქულებში აღწევს.

გასაკვირი ისაა, რა გაიგეს ასეთი, ამ სადავ დღეს რომ წმინდა ლავირკას ზარი შეურთეთაო.

„რალაც ამბავია, უნდა წივიღე. — გაიფიქრა ნაწვევებში ისტორიული რომანიდან.

მონადირემ. — მაინც კვირბატი დღეა, ვერაფერი გაიმეტა მოწყალე დაღმა“.

კაქიანი თოფი მზარზე გადაიღო, დაღმართს დაუყუა.

— ამიზ! — მოესმა ფრთხილი ძახილი.

— ვინ არის? აჰ, ჩარგაზ, შენა? საით მოსულხარ? შენც ხელცარიელი მერევენები. გამიგონია, დალი სწყალობსო ჩარგაზს, სარეცელს უზიარებსო, ჩანს, ტუფილი უთქვამთ.

ჩარგაზი დაღვრემილია.

— სანადიროდ არ ამოვსულვარ დღეს სარეცელში, ამიზ. მგონი, ახლა დალის წყალობა ველარ გვიშველის, ზომა ღმერთს უნდა შევებვეყოთ.

— ზარისაც ამისთვის რეკავენ? გამაგებინე. რა მოხდა?

ჩარგაზმა პასუხის მაგიერ საფიხვეებს გახედა.

— ამიზ! — სიცოლით დაღძაბა ნეგობარს.

— რა იყო, ჩარგაზ?

— შენგან გამიგონია:

მონადირეს მაშინ ვაქებ, ზურგზე ვიხვი ეკიდოსო, შევარებულს მაშინ ვაქებ, გულზე ცეცხლი ეკიდოსო.

— მამ ამქერად ვერ შემაქებ, ჩარგაზ: არც ვიხვი მკიდია ზურგზე და არც ცეცხლი მიკიდია გულზე.

— შენებრი ვეცაკი ამისათვის გულს არ გაი-

ტესს. მესხი ხარ ნამდვილი. მუხლიც ისე ვიკ-
რის, მკლავიც, და ლექსის თქმავე მესხურად გე-
მარჯვება. ქალი კა... — ჩარგაზმა უღელსებზე
ზელი გადაისვა. — ქალზე ასე გამიგონია: თუ
ეოლი არ გვაეს, არ შეირათო და თუ გვაეს,
ვიყვარო.

— სიტყვა-პასუხის ნიჭი არც შენ გლან-
ტობს, მაგრამ დღეს ენაზე კლიტე დაგადევს.
— აღარ იტყვი, რა მოხდა?

— ვიტყვი. მელახიდან კაცო მოვიდა, ბიჭი
თასელიანი. მიწებს გვიზომავენო.

— ამაიზმა შენელი შეიქრა.

— ზინწებო? მერე და რისთვის გვიზომავენო
მიწებს?

— არ ამბობენ. ალბათ საჭიროაო. ბოჭქული
თურმე პასუხის გაცემასაც არ კადრულობს.

— რას იყადრებს, სენათის მთავარი თანი-
შემწეად ჰყავს! თენგიზი რას ამბობს, ეცრინა ბა-
ტონი?

— თენგიზი რას იტყვის? ვერაფერი ბედნა
ყოფილა სენათის ბატონობა, თუ ბეჩოს ბო-
ჭქულადაც არ გამოდგა. ჩვენ კიდევ, საწყალ
კლუხებს, ვინ რას ვეკრუვის! გადი, ხარო, და
გამოდი, შენ ვინა გვითხავს, რა ხარო!

— ამის სათქმელად ამოხვედი? — ჰკითხა
ფიქრის შენდევგ ამბიზმა.

— ჰო, მთებზე დაეიარე. ჩხუნდერშიც ეყავი.
მწყემსია თუ მონადირე, ყველა უნდა ვაზნით
საჩქაროდ. სენათი იყრიბება. მელახს კაცება
უნდა ვაფრინოთ. შენი ვაგზანა უნდათ. ბედზე
შეგებელი. შენ ხომ ცარიელი არ დაბრუნდებო-
დი, ჩიხებები კი ახლა შორს არიან.

— ჰო, ვალმა გორაზე გადასვლას ვაპირებდი...
ამ ფრიალოზე სისხლისფერ ყვავილს ხედავ?

— ფრიალოსაც ძლივს ვხედავ.

— ჰოდა, იმ ფრიალოზე, ნაბრალის იქით,
ქუჩის ბუნტებთან იზრდება ის ყვავილა.

— რომელი ყვავილი, ამბიზ?

— სახელი არ ვიცი, სისხლივით წითელია და
შლამანდილივით ფესვმავარი. რამდენიც გინდა
წყვიტო, თხარო, თელო, ცეცხლი შეუწიო, ზე-
დაც დაწიო, მაინც ულორტებს იფრის და სის-
ხლივით წითელ ყვავილს გაშლის.

— ხალდეში უთვალავი ყვავილია, — მოქნა-
რებით დაუმოწმა ჩარგაზმა. — მზე გადაიხარა.
ამაიზ, დროა დავუყვით ამ დაღმართს.

— ვიდრე დაღმართს დავუყვითო, მე ამ ალ-
მართს აუყვები, ჩარგაზ: ის ყვავილი უნდა მოე-
წყვიტო.

— რა ყვავილი, ბიჭო? შენი ბაბუა ქაშვულა-
თი დარღით მოკვდება...

მაგრამ ამაიზი ძმადნაფიცს აღარ უსმენდა.
არჩევით მსუბუქად მიჰყვებოდა ცოცხალი კლდის
შფერისებულსა და ნაბრალებს. ხან გაუჩინარდებო-
და, ხან ისევ გამოჩნდებოდა და ასე ივიდა ქუ-
ჩის ბუნტებთან, სადაც მეწყამელი ყვავილი იზ-

რდებოდა. დამხარა, ფრთხილად მოსწყვიტა და
გამობრუნდა.

ჩარგაზმა ძლივს თავისუფლად გამოისუნთქა
უსაყვედურა თავნებობა და თან დააჯანა:

— ნამდვილი ხეით ხარ, ამბო!

— ეს ლანძღვაა თუ...

— ხეით ხომ ჩვენებურად გულფიცები და
მეიერცხლია!

— მართალი ხარ, ჩარგაზ! ასეთები იყენენ
ჩვენი ძველი წინამძებნი, კალდეველები

— ქალდეველები! კაცი იფიქრებს, ვრთი ყრუ
გლეხია, ხალდეს ტალსს არ ვასცილებიაო, ქვეყ-
ნის ამბები კი იცის... ეჰ, საღ იყარგება კაცის
ნიჭი!

ამაიზ გელოვანი ლაზობრელი გაბუჯა, მაგ-
რამ ბავშვობიდანვე ნახევრად თავის დედულეთ-
ში იზრდებოდა, ხალდეშმა, სიბრძნითა და სი-
კეთით სახელგანთქმული პაპის ქაშვულად ქო-
ხაძის სახლში. არჩივის მართეფსავით სულ სი-
მალისკენ მიუწევდა გული, ხალდე კი ჰალდა,
როგორც ცა. თვითონაც ცნობისმოყვარე და კე-
თილი იყო, ხალდეშელებმა საერთარი შვილივით
შეიყვარეს და შეითვისეს.

აი, ახლაც ხალდეშია. მხოლოდ იმ წლებში
დაუძვინარა თავი, როცა სწავლობდა.

სენათში სკოლა არ იყო და ქალაქში ვაგზა-
ნის სახსრები ღარიბ სენას საღლა ჰქონდა, მაგ-
რამ მამამისმა ფარნაოზ გელოვანმა თავისი
ოღინდელი გვაროვნული სიამაყე არ დაამო და
როგორც იქნა მოახერხა შვილის ვაგზანა გუ-
თისის სამრევლო სკოლაში.

ღიღბანს არ დასცალდა ამაიზს სწავლა.

პირქუმ ზედამხედველზე გამოთქვა სამასბრო

ლექსი, ამისათვის გაიციტეს, მთებს დაუბრუნდა.

უკვლოდ არ ჩაქვლია მოსწყველობის წლებს.

შეითვისა ბევრი რამ, შეიყვარა ქართული

სიტყვა, შეიძინა ვეფხისტყაოსანი, შეიარყვლა

თითქმის ზემირად და თილისმასავით უფრთხი-

ლდებოდა, უბით უტარებდა თვით საჩიხეებში.

ახლაც წამოუღია. მამის და უფროს დას თით-

ქმის გამოეპარა. თან ხუმრობით ბარათი დაუ-

ტოვა:

დავექმ წერად ანდერძისა საბრალისა საუბ-

რისად.

ჰე, მეფეო, ვაგებარე ძებნად ჩემდა საძებრი-

სად...

რას დაეტებდა ამაიზი ხალდეს საჩიხეებში?

ეჭნება წინამართა, კვალს? ან იქნებ მეწყამულ

ყვავილს, ფრიალოზე რომ მოსწყვიტა?

— ამაიზ, რად გინდა ეს ყვავილი? — ეკით-

ხებოდა გზაში ჩარგაზ ქოხაძე. და გაბუჯა ასეთ

პასუხს აძლევდა:

— ამბობენ, ვისაც ამ ყვავილს ანუქებ, ვულს
განუქებსო.

— ვინ გინდა გული განუქვს?

— აბა რა ვიცი! ამ ყვავილს ვეფხისტყაოსან-

ში შევიანახე... ვნახოთ, ვინ ჩაიხედავს უძირო ზღვაში.

ხალღე!

თერთმეტი ზვიადი კოშკი დგას სოფლის გუშავად.

სიბერისაგან დიდი, ფიჭვი წამოქცეულა. შუასოფელში დიდი წყარო შორეულხეხებს. მზიარული, შეთქმანი ბიჭები არჩევივით დაბტთან კოშკის ეზოში.

მთებში ვიღაც გვიანი მგზავრი მღერას, რუხი კლდეები და ბებერი მწვერვალები აძლევენ ბანს, ხრამები ურულ ბუბუნებენ და არყისბეები წყნარად შრიალებენ.

კლდე-სოფლის თავში, ყანის განაპირას ერთი მწირი და ხროკი ფერღობია, სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობა, მხოლოდ პატარა ფიცრული სახლი დგას კენტიდ და პატარა ტურტურული ლიბეც აქვს შემოთვლებული კარ-მიდამოს. ეს კარავია, ყანაში მუშაობის დროს დასასვენებლად აგებული. შალამანდილას ჰგავს და ამ ბალახებით ვიტიცი ჩანს. თითქმის ყოველ 'ხანთარს, რაკი თოვლი უხვად მოდის — და სვანეთში როდისღა არ მოდის თოვლი უხვად? — ზვადი დაქანებს და ხევში ჩასილავს ქვა-ლოდბში, გაზაფხულზე კი ისევ გამოჩნდება, თითქოს ზვიადან დაბრუნებულაო. ეს კაცთან განვიანის ყანაა და მისივე კარავი.

თუმცა აღარ ცხელა, მაშერალს ჟვალს ჩოხა გაუხდია, პროსიფერი ახალღის ამარა დგას უყანაში, გრძელ შავ უღრამებს იგრებს და ვერცხლისფერ შიგბს ვასიქერის, ამინდი ხომ არ შეიცვლებაო?

ამინდი შეიცვლება, სისხლის ფერია დასაღლეთი, შვად დაწინწკლული.

უკვე მიმწუხრი იყო, ამინდი და ჩარვანა რომ სოფელში ჩამოვიდნენ.

დავვიანებულ მომკელი წელში გაიმართა, შებლზე ოფლი ჩოხის სახელოთი შეიწმინდა და გაიღიმა:

— მშვიდობით მოსულხართ!

— მშვიდობით და ხელცარიელი.

— ეჰ, სულ ხელცარიელი არა ვართ? ცოდვის კითხვია გლეხის ცხოვრება, ღმერთს არ უქნია კაცის ზედი!

— მარტობელა კაცის ზედი! შეუსწორა ამიოზმა.

— გინდ მარტობელა იყოს, გინდ მრავალთაგანი საბარლო ადამიანი! ხნავ, თესავ, მღერი, თლი, ნადირობ, წვალრობ, ზრუნავ; იბრკე, ზრდი, ილაქს იწყვეტ; და შაინც არ ილევა საზრუნავი.

— სწორედ ესაა, კაცთან, მისი ბედნიერება. მხოლოდ იმით გვასანუქრებს ღმერთი, რომ საზრუნავს არ გვიღებს.

მომკელი ჩაფიქრდა და თქვა:

— უცნაურია, ამინდ, მაგრამ კაცი რომ დაუფიქრდება, მართლა ასეა. აი, ახლა თუ მი-

წასაც წავგვართმევენ, საზრუნავიც არაფერი გვექნება და მოგვდებით კლდეც.

— ნუ გეშინია, კაცთან, მიწას ვერ წავგვართმევენ, თუ ერთად ვიქნებით. ამაღ რეკავი კვირაიეს სერია.

დადილი-დამშეთლებმა ქამბულათის სახლს მიაშურეს. მისი დიდი ოჯახის წევრი იყო ჩარვანიც.

— ბიტის ვაუმარჯოსი — მიესალმა ქარვად მულახელს ამინდი.

— ღმერთმა ინებოს შენი მშვიდობაც ამინდი!

შებლგასნილი შეხვდა ქამბულათი გაწილემბულ მონადირეებს. — დალი, კარგო კაცებო, არ სწყალობს იმას, ვინც დაღს არ სწყალობს, რა ეუშრად შეგიკრავთ შებლი? ღმერთი ყოველდღე არ იძლევა სიკეთეს.

დიდი ოჯახი შეიჯარა. საქმეზე სიტყვა არაფერს დაუჭრავს. ვახშამი მზადდებოდა. მანდილოსნები საქმეში იყვნენ და წყნარად ღამარაკობდნენ, ბავშვები თამაშობდნენ, კაცები კი დეც ამინდზე, ზვებზე და მოსავალზე საუბრობდნენ.

დღეს აქ ბიტი იოსელიანიც იყო, მულახის ზევის გამოგზავნილი კაცი. სახლის ჭერა აიწევდა, რომ კარგი ამბავიც მოეტანა ძვირფას სტუმარს, მაგრამ საწყენი ამბით დააღონა ხალღეშეღების მახეში და გარეგნული სინჭვიდის ნიღაბი ცუდად ფარავდა მასმინელთა გელის ურვას.

საკმაოდ ილაპარაკეს ზეთა ბედსა და უნებლობაზე, სიმტკიცესა და ლალატზე, გაკვირებასა და დაღბინებაზე.

მერე დემილი ჩამოვარდა.

— შერგილი! — ვისმა ქამბულათის ომხიბნი ხმა.

— რა იყო, ბაბუა?

— ვადი, შვილო, გერმანს დამიძახე. უქია არაყი დაველიოს.

ყმაწვილმა თითი შებლთან წიღო და მსმველი ფეხით მიწის ბერღვას მოჰყვა.

— შეშინია, ბაბუა.

— რისა, ბიჭო?

— მგლების. ავსულებს.

— მგლების ნუ გეშინია. ნურც ავსულთა გეშინოდეს მხოლოდ ადამიანის.

— ადამიანის?

— ჰო, კაცის.

— ბაბუა, ამიოზმა მითხრა, კაცი კაცის წამლიაო.

— ჰოდა, კარგად უთქვამს, ნეტის კოდნა ჭერ არ გინდა, ახლა წადი, შეზობლებს დამიძახე.

— მერე, ზღაპარს მერცხვი?

— ზღაპარი ადვილია, სიმართლე ჭირს, თორემ...

შერგილმა გოდორივით დაწინელ დიდ გა-

ლას გადახედა. ქანდარახე ამყარდ იქლა მთის არწივი და ანაღვერდალივით თვალებს ახრიალებდა.

ეს არწივი პატარა შერგილს მამამ ჩამოუყვანა საჭიბველიდან. ბარტყი ბუდბდან გადმოვარდნილიყო, ზრამში ევდო თურმე ფრთათიტეხილა... შერგილმა ბინა მიუჩინა, მოუტარა, აკამა, და შეიყრა მეგობრობა არწივის შეიღთან.

გერასიმემ ჩანთა შეისწორა მხარზე და
წასვლა დააპირა.

— ისე, რომ ჩამოხვალთ, გერასიმე
ფოსტალიონი არ დაივიწყოთ, ერთ ჰი-
ქას მაინც დავლევ, ზურაბიას სადღეგრ-
ძელოს!

— სად მიხვალ, კაცო? — ხელი წაა-
ტანა ირაკლიმ ფოსტალიონს, — ვინ გი-
შვებს?

— რა გინდა ახლა? დეპეშა ხომ მოგი-
ტანე?

— მერე? ასე გინდა წახვიდე? ამ ამ-
ბის მომტანს ეგრე უბრალოდ რას გავი-
შვებ? დღეს ჩემი სტუმარი ხარ!

— სტუმარიო? ააჰ! — შეიცხადა გე-
რასიმემ, — ხომ ხედავ ამ ჩანთას, და-
რიგება არ უნდა? — გერასიმემ ტყეის
ჩანთა, რომელიც ეურნალ-ვაზეთებით
გვერდინად ჰქონდა გამოჰქედილი, წინ
წამოსწია და ირაკლის მიუშვირა.

— მაგას მოასწრებ, დარდი ნუ გაქვს!
— დააიშვია ირაკლიმ ფოსტალიონი და
მკლავში ხელი გაუყარა.

— ჰე, ბიჭო, მაცალე? — ფეხს ით-
რევს გერასიმე.

კარგა ხანს იწიეს აქეთ-იქით. ბოლოს
ირაკლიმ დაიყოლია ფოსტალიონი და
ორღობეში ერთად გააბოტეს.

— ასე, შე კაცო, კახეთში ხარ და მო-
იშალე ეს იმერლობა, მაინცდამაინც

ჩოხის კალთა უნდა დაგახიო? — გაუცი-
ნა ირაკლიმ და გერასიმეს მზერაზე ხე-
ლი გადასდო...
შეზღუდულია

• • •

გერასიმე ესაძე პირტიტველა ბიჭი
იყო, ომიდან მძიმედ დაქრილი რომ
დაბრუნდა. ცოტა მომჯობინდა თუ არა,
ახალგაზრდა კაცს, აბა შინ რა გააჩერე-
ბდა! ფრონტისათვის უვარგისმა (ოპერა-
ციის შემდეგ მარჯვენა ფეხი ოდნავ და-
უმოკლდა), თავალებით იწყო სოფლი-
დან სოფელში ქალაქიდან ქალაქში სია-
რული და თან დაჰქონდა განთქმული
იმერული ყვითელი სიმიწი, რომელ-
საც ან ჰყილდა, ან არადა ათას წერილ-
მანში სცვლიდა.

ასე, უთავბოლო მოგზაურობისას კა-
ხეთის ერთ სოფელში შავგვრემანი, შა-
ვთვალწარბა გოგო მოეწონა და დაქორ-
წინდა კიდევ. ის დღე იყო და, გერასი-
მეს იმერეთისაკენ პირი აღარ უქნია.
იშვიათად თუ ჩააკითხავს იმერეთში ახ-
ლობლებს და კვლავ ოჯახისაკენ მიე-
შურება...

სიბერეში გერასიმემ ფოსტალიონო-
ბას მოჰკიდა ხელი. დადის და დააქვს
ეურნალ-ვაზეთები. სოფელი დიდია,
ხალხი — სტუმართმოყვარე და კეთი-
ლი.

გერასიმეს არ ახსოვს, ოდესმე ვინ-
მეს ოჯახის კარი შეეღოს და იქიდან
კარგა შემთვრალი არ გამობრუნებულ-
იყოს, ან ვინ გამოუშვებდა ისე, გულ-
მხიარულსა და ტკბილ მოხუცს.

გერასიმესაც მეტი რა უნდა, ასწევს
ჰიქას, აგაშენოთო, და გადაჰკრავს...

დღესაც, სანამ ირაკლის შეხედებო-
და, გერასიმეს რამდენიმე კომლი უკვე
ჩამოვლილი ჰქონდა და, იცოცხლეთ, კა-
რგადაც იყო „დასველებული“.

ირაკლის, რასაკვირველია, ეს არ გა-
მოჰპარვია და დროდადრო სიტყვაში გა-
დაუკრავდა ხოლმე:

— გერასიმე, ორ ბოთლში მაინც ხომ
ხარ?

— აბა, არა? თავმოწონედ ისვამს

თითებს ულვაშებზე გერასიმე, — აი მუცელი იმიტომაა, ჩაისხა რაიმე, თვა-რა, მიქელ გაბრიელი რომ მოგადგება კარს და წაყვანას დაგიპირებს, მერე რას შობი?

გერასიმემ გზადაგზა მინც მოახერხა ვაზეთების მირიგ-მორიგება და ირაკლის ქიშკარამდის ჩანთა საგრძნობლად შეამსუბუქა.

ქიშკართან ირაკლის წინ გაუსწრო და ხმამაღლა დაიძახა:

— ელენე, ელენე, სამახარობლო, სამახარობლო!

აივანზე თავშლიანი ქალი გადმოდგა და სახეგაბრწყინებულმა ეზოს გადაღმა, ღობესთან მომდგარ ფოსტალიონს გახედა.

— წერილი კი არა, ქალო უარესია, უარესი!

— უი, დამიდგეს თვალები! — კალთებზე დაირტყა ხელები ქალმა, — რა მოხდა, გერასიმე, აღარ იტყვი?

— რამ შეგაშინა, შე ქალო, მე ახლა ცუდ ამბავს მოგიტანდი თუ? — ჩაიქირქილა გერასიმემ, — დეპეშაა, დეპეშა, ზურაბია ჩამოსულა თბილისში და გეპატიებინა, ვაიგე?

— აგრემც შენ ვაიხარებ, შენ მონაგრებაში! — ფაცხა-ფუცხით ჩამოიარა კიბე ელენემ და ქიშკარს მიაშურა.

— აა, ახლა კი მეკუთვნის სამახარობლო! — გერასიმემ ირაკლის გადახედა და ეშმაკურად ჩაუკრა თვალი.

* * *

გულისგამაწვრილებლად ეინელდავდა როცა მატარებელი ნელი სვლით შემოვიდა სადგურში და გაჩერდა.

ბაქანზე ჯერ ირაკლი ჩამოხტა, ჩემოდანი ჩამოიტანა. მერე ზურაბიც ჩამოხტა. იგი რატომღაც მიბუზულიყო. და ირგლივ ყველაფერს უხალისოდ, კუმტად მოსჩერებოდა. ზურაბს კრაველის ქუდი ეხურა, საყვლოზე ბეწვშემოკერებული რატიანის პალტო და შავი, გაზიკვიებული ფეხსაცმელი ეცვა.

ბაქანი სწრაფად გაიარეს და სადგურის უკან, მოედანზე გავიდნენ. ირაკლიმ იქაურობას მრავლოთხლოდ ახლომახლო არც მანქანა ჩანდა და არც ხალხი. მხოლოდ სადგურის განაპირას, გზის მხარეს, ფარდულის ქვეშ, რამდენიმე კაცი შეუუულოყო და მოთმინებით ელოდა ავტობუსს. ფარდულის გვერდით, მღვრიე წუმბეში ბატის ქუქულები ჭყუმპალაობდნენ.

ირაკლიმ ზურაბს ბოდიში მოუხადა, ახლავე მოვბრუნდებო, და ფარდულისაკენ გასწია. ჯერ არც კი იყო ფარდულს მიახლოვებული, რომ იქიდან ვილაყამ გამოსძახა:

— შემოდი, ირაკლი!

— ოპ, ვერ გიცანი, იოსებ! — მიესალმა ირაკლი ფარდულის კუთხეში მჯდომ სესიკელაანთ იოსებს.

— ჩამოვიდა ზურაბი?

— „ქვეყანას გაუგია“

— კი, ჩამოვიდა!

— მანქანას ზომ არ ეძებ?

— კარგი იქნებოდა, თუ რამე გამოჩნდებოდა.

— მგონი ყარამანამ უნდა ჩამოიაროს, ხომ იცი, მატარებელს არ გააცდენს!

— ვითომ? რომ არ ჩანს! — ირაკლინ სოფლისაკენ მიმავალ გზას გაჰხედა.

— აგერ, ყარამანაც! — უცებ შეყვირა ვილაყამ, — ძაღლი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირეთ!

ფერდაკარგულმა „მოსკვიჩმა“ რახარახით და ბტუნვა-ბტუნვით მოედანს შემოურბინა და სადგურის წინ შედგა. ირაკლიმ სიჩხილით გასწია მისკენ.

— გამარჯობა, ყარამან! — თავი შეყო ირაკლიმ მანქანაში.

— ღმერთმა გაგიმარჯოს!

— ქალაქიდან სტუმარი მყავს და ნუ გამაწბილებ, შენი ქირიმე, ამარბენინე სოფელში!

— კი კაცო, მაგაზე უარს გეტყვი?

„მოსკვიჩმა“ ხელმეორედ შემოურბინა მოედანს, ფარდულთან სესიკელაანთ იოსები ჩაისვეს და რახარახით შეუყვირნენ სოფლის შუკას.

მთელი გზა გადაუღებლად წვიმდა. მანქანა ლაწალუწით მიიგრინებოდა ოღროზობით გზაზე. მგზავრები, მისი რახუნის რიტმზე, ერთდროულად იქნევდნენ თავ-ისერს. დროდადრო ხან მარცხნივ მიეწყობოდნენ და ხან კი — მარჯვნივ. სოფლის მოედანზე, საბჭოს წინ, იოსები ჩამოიტოვეს. ცოტას რომ გასცდნენ, ირაკლიმ თანჯარაში თავი გაყო და იოსებს გასძახა, საღამოს აუცილებლად შეწყვიეო.

„მოსკვიჩი“ გაჭირვებით მიუყვებოდა ორლობეს. ღობეებს გადაღმა ტოტებ-ჩამოხლეჩილი, მთლად გაშიშვლებული ხეები გარინდულიყვნენ.

ერთგან „მოსკვიჩმა“ რიხიანად ამოიგმინა; ძეძვიან ღობეს მიენარცხა და დადუმდა.

— ერიპა! — ჩილაპარაკა ყარამანამ და კარი გამოაღო.

— რა მოუვიდა? — იკითხა ირაკლიმ.

— თხრილში ჩავევრდით! — ყარამანამ გადასელა დააპირა.

— მოიცა, იჯექი, მე გადავალ!

კარგა ხანს იბუღრავეა მანქანამ. ირაკლი მთელი ძალით ეჭაჩებოდა. რამდენჯერმე ფეხი გაუსხლტა და ტლაპოში ჩავარდა. ცხვირ-პირი მოეთხუპნა. ზურაბს წარბიც არ შეუხრია. იჯდა მოკუნტული, ენაჩავარდნილივით უძრავად და მოწყენილი, არაფრისმთქმელი თვალებით გასცქეროდა შარას, მიჯრით ჩამდგარ დანისლულ მთებს.

„ყველაფერი რა საცოდავად გამოიყურება?“ — მხოლოდ ეს გაიფიქრა ზურაბმა და ირაკლის ლაფში ამოსვრილ ტანსაცმელს ირიბად გაჰხედა.

მანქანა კვლავ აკვანივით ირწეოდა. ვერაფრით ვერ დააღწია თავი წებოვან. აყალო მიწას.

„განა იტყვის მაინც, ცოტას წაგეშველებითო, რა! — გაიფიქრა ირაკლიმ და ზურაბისაკენ გააპარა მხერა — კაცს რომ გული არ მიუწევს, არც უნდა შეუჩნდე. დედაჩემს რა ეუთხრა, თორემ ეგრე რომ მკოდნოდა, ქალაქში წასვ-

ლაზე ხელს ავიღებდი, არა და, უყურე ახლა, ამის მოქუფურულ სახეს, ეეჰ!“.

მოპირდაპირე ეზოდან გამხდარ, აწვწილი მამაკაცი გამოვიდა, რეზინის ჩექმები ეცვა და თამამად მოაბიჯებდა გუბეებზე.

— ჯიუტობს, ირაკლი? — იკითხა გამხდარმა და მანქანის მისაწოლად, ირაკლის გვერდით შედგა.

ზურაბმა იცნო ილიკო მასწავლებელი. და, ცოტა არ იყოს, ეუხერხულა მანქანაში მარტოდმარტო ჯდომა. კარი გააღო და გადმოსვლა სცადა, რომ ყარამანამ ხელეზი გაასაესავა, როგორ გეკადრებო.

— ჩამოვიდა ზურაბი? — ხმადაბლა იკითხა ილიკო მასწავლებელმა. მერე წაიხარა და ზურაბს ღიმილით მიესალმა. ზურაბმა სავასუხოდ კრაველის ქუდი მოიძრო და თავი მდაბლად დაუქნია.

— დალილია და ვერ გადმოდის! — პირი მოსწმინდა ირაკლიმ.

როგორც იქნა ამოათრიეს მანქანა და გზა განაგრძეს.

— მაინც გიცნო ილიკო მასწავლებელმა! — დაარღვია სიჩუმე ირაკლიმ.

— მეც მაშინვე ვიცანი, სრულებით არ გამოცვლილა? — სცადა გალომება ზურაბმა.

— სხვათა შორის, მაგის ბიჭი ლენინგრადში სწავლობს, ფიზიკურზე!

— რომელი, დავითი?

— ჰო, დავითი, კარგი ბიჭი დადგა. იმ დღეს აქ იყო, მთელი სოფელი შემოიარა, ვინღა არ ინახულა, გულიანი ბიჭია!

ორლობე, როგორც იქნა, ჩაათავეს, მერე პატარა აღმართიც მოილიეს და ჰიშკრის წინ შედგნენ.

ძრავა ჩაქრა და ახლა უფრო მკაფიოდ ესმოდა მოძალეებული შხაბუნა წვიმის შრიალი.

ჯერ ირაკლიმ დატოვა მანქანა. მერე ზურაბიც გადმოვიდა. პირველი, რაც თვალში მოხვდა ზურაბს, ძეძვის ჩაქედილი ღობე იყო. ნახევრადწამოქცეულ ხის სახლს გალავანივით რომ ერტყა. მერე ეზოში ახელილ ყვითელ ტალასს

მოავლო თვალი. შემდეგ სასიძინდესთან მგრავილ ძროხის ნაკელზე შეაჩერა მხერა, მძაფრი უსიამოვნო სუნი მოდოდა. ამ სურათმა ზურაბი უფრო ცუდ გუნებაზე დააყენა. იგი გულგრილად, ცივად გააჟურებდა ეზოში მოწყლავუნე დედაკაცს, რომელიც, ხელგამოწვდილი, ნელ-ნელა უახლოვდებოდა მათ.

— შენ გენაცვალოს ელენე დეიდა! — ესმის ზურაბს მოხუცის ხრინწიანი ხმა. ზურაბმა ნაძალადევი ღიმილით გადადგა ნაბიჯი და მაშინვე შედგა. წინ დიდი, მღვრიე გუბე დახვდა, და დაეხარა მისი გარს შემოვლა.

— მოდი, ვაკოცო, შვილო! — ელენემ დაუბრუნებლად გადმოლახა გუბე. ზურაბის გამოწვდილი მარჯვენა ხელი მკერდზე მიიკრა, მერე მიიზიდა და დამპყნარი ტუჩებით კოცნა დაუწყაო.

— კარგი, დედი! შენიშნა ირაკლიმ, — ნუ შეაღონე!

ზურაბი უყოყმანოდ გაჰყვა წინ მიმავალ ქალს, რომელიც იზოდინებდა, შემოდგომობით სოფელში კაცი ვერ გაივლისო. წუხდა ელენე, ეს ვერანა, რაღა შენ ჩამოსვლაზე ჩამოიქცაო!

ზურაბი კიბესთან შედგა და სახლს მუშტრის თვალით დაუწყაო-ცქერა. სიძველისაგან დაფხავებული შენობა ფრთამოტეხილ ფრინველივით, გვერდზე წაფერდებულყო.

— დამიბერდა სახლი! — მოიბოდიშასავით ირაკლიმ, — მასალა უკვე მაქვს. გამოზაფხულდება თუ არა, მშენებლობას დავიწყებ!

მერე მიიმედ აჰყენენ კიბეს. საფეხურები ზოგან ავარდნილიყო და ფეხის დადგმაზე უჩვეულო ხმას გამოსცემდა. ზურაბმა რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა აივანზე, მერე მოაჯირს დაეყრდნო და ისევ ეზოს გადაავლო თვალი. ისევ სასიძინდესთან დახვავებულ ნაკელს მიამტერდა, სადაც ქათმები ახორხლილიყვნენ და გულდაგულ ქექავდნენ.

— ოთახში შემოდი, შვილო?

— არა! — თავი გააქნია ზურაბმა, — აქ მიჩვევია!

— მოიკა, მაშინ სკამს გამოგიტან! —

ელენე ოთახში შეცუხცუხდა და სკამი გამოარბენინა. ზურაბს არცეცნა და პალტოს გახდა, ისევ დაუშენა მზე და ეზოში მორიალე ირაკლის გადახედა.

ირაკლი კარგა ხანს სახლის წინ ტრიალებდა. ღობეზე მიბმულ ძროხას, თივა დაუყარა, აჰყვიტინებულ გოჭებს, რომლებიც ჩარახულ კარს გამალეობით ეხეთქებოდნენ, სალაფავი დაუსხა, მერე შეშა დაიჩეხა, აივანზე აზიდა და ჩანავლებული ღუმელი ააგუზგუზა. აივანზე სულ მალე ნეკერჩხლის სასიამოვნო სუნი დადგა. ირაკლი დროდადრო ზურაბს მიუბრუნდებოდა და თბილად გაუღიმებდა ხოლმე.

— მარანში ხომ არ ჩამოხვალ? — როგორც იქნა შებედა ირაკლიმ, მუმისავით მჯდომ ზურაბს, — ახალ ქვევრს თავი მოვხადოთ?

— მაპატე რა, — საცოდავად დაიღრიჯა ზურაბი, — ვერ გამოგყვები, ღვინის მძაფრ სუნზე თავი მტკიცდება!

— როგორც გინდა? — აიჩეჩა მხრები ირაკლიმ და დაკარწახებული მაჯეზით მარნისაკენ გასწია. ღვინის ამოღებას რომ მორჩა, ზურაბს მიუბრუნდა. პატარა ხანს სოფელში უნდა ჩავიდეთ და იმავე მანქანას უკან გაჰყვა. ამასობაში ელენემ სხვენიდან ზამთრისათვის გადანახული ხილი კალთით ჩამოიტანა, სინზე დააწყაო და ზურაბს მაგიდაზე დაუდგა.

— აბა, გასინჯე ჩვენი ხილი. რა ხანია, აღარ გიგემნია?

— გმადლობთ, რაზე სწუხდებოდით? — ზურაბმა მხოლოდ ერთი ცალი თხილი გაკენიტა, ისიც ჭიანი გამოდგა და დანარჩენისათვის ხელი აღარ უხლია.

ღუმელმა თავი მოიხელა. ელენემ გობით სიძინდის ფქვილი გამოიტანა და ზელვას შეუდგა.

— ეხლა მაინც გაიხადე პალტო, შვილო!

— იყოს, არ მიშლის! — ზურაბმა პალტოს კალთები აიკეცა, ზედ მიმხმარი ტალახი მოიფშენიტა და ჩამოიბერტყა.

— სოფელში ტალახი თავს არ მოგანატრებს! — შენიშნა ელენემ. ზურაბი მიხვდა, რომ ახლა სრულებით უადგილო იყო პალტოს წმენდა და ცივად გაუშვა ხელი.

— გახსოვს, როგორ გიყვარდა ჩემი გამომცხვარი მჭადები?

— კი, როგორ არა!

— ჰოდა, ახლაც დაეცხობ.

— ნუ წუხდები, ძალიან ვთხოვთ? სრულებითაც არ მშია!

— აბა, რას ამბობ, შვილო, ნამგზავრს როგორ არ გეშეება?

„ძალიან გულიანი ბიჭია!“ — რატომღაც გაახსენდა ზურაბს ირაკლის წელანდელი სიტყვები, ილიკო მასწავლებლის ბიჭზე რომ საუბრობდნენ.

ზურაბმა ქურდულად გააბარა მზერა ღუმელთან მოფუსფუსე ელენესაკენ. ქალს სახელოები დაეკაბიწებინა და გაცხელებულ ტაფაზე მჭადს აკრავდა.

„ლამისაა, ეს ხალხი, სულში ჩამიძვრნენ, აღარ იციან რით მასიამოვნონ?“ — გაუელვა თავში ზურაბს და კვლავ ეზოს გადაავლო თვალი.

ისევ წვიმდა. წვიმდა წვრილად და გადაუღებლად. ყველაფერი მოწყენილი და უფერული იყო. ზურაბი რატომღაც მოუსვენრობამ აიტანა. აღარაფერი აკმაყოფილებდა მას, არც გაფიცებული ღუმელი, აღარც ამ ქალის თბილი, დედაშვილური საუბარი, რომელიც ასე საოცრად აგონებდა აქ გატარებულ ბავშვობის წლებს.

იგი ისე წამოიშრათა სკამიდან, თითქოს ვიღაცამ აიძულაო. მოაჯირს მიადგა და იჭაურობას უაზროდ მიაჩერდა. ბოლოს კიბის თავთან შედგა, ერთი კი გადახედა ელენეს და კიბეს ჩაუყვია. ისე იუჩქარებლად ჩადიოდა, თითქოს საფეხურებს ითვლისო.

— სად მიხვალ შვილო? — ზურაბს ელენეს შემოფოთებული ხმა წამოეწია და ადგილზე გაშეშდა. ამხელა კაცი ბავშვივით აიტკიცა სახეზე.

„არა, მაინც სად მივდივარ?“ — თავის თავს ჩაეკითხა ზურაბი და ზანტად შემობრუნდა.

— ამ თავსხმაში რა ძალა გავდგას, საცა ირაკლიც ამოვა! ^{ერკენულში}

— გავალ, სოფელში ^{გაგვგვლნი} ბჭნებ ირაკლისაც გადავეყარო და ერთად ამოვბრუნდებით! — ძლივს გამონახა სათქმელი ზურაბმა. მერე ისე მსუბუქად განაგრძო გზა, გეგონებოდათ, მზრებიდან მიიმე ტვირთი ჩამოხსნესო.

ზურაბი ეზოში მიაბოტებდა და საოცრად გრძნობდა ზურგსუკან მოხუცის გამჭოლ მზერას.

„ველარ ვცნობ ამ ბიჭს! — გაიფიქრა ელენემ, — როგორ გამოცვლილა.“

ზურაბმა კარგა ხანს, ფეხით იარა მოსახვევში საბარგო მანქანა წამოეწია.

სადგურის მოსაცდელ დარბაზში რომ შეაბიჯა, მხოლოდ მაშინლა შენიშნა მუხლამდე ლაფში ამოსვრილიყო. ახალ ფეხსაცმელებს ადრინდელი პეწი დაპკარგოდა. შარვლის ტოტები ტალახისაგან გახევებულიყო და სიარულისას ხრამა-ხრუში გაჰქონდა.

ზურაბს დარბაზში ნაცნობი არ შეუნიშნავს და ცოტა არ იყოს, დამშვიდდა. მერე ბაქანზე გავიდა. იქ კაციშვილი არ ხანდა: მხოლოდ სამორიგეოსთან წითელქუდიანი მამაკაცი ვილაცას ხმამალა ესაუბრებოდა. ზურაბს რატომღაც არ ესიამოვნა წითელქუდიანის დანახვა და უკმაყოფილოდ შემობრუნდა. ისევ დარბაზს მიაშურა. მთელი დარბაზი ფუტკრის სკასავით ბუბუნებდა. ბილეთების სალაროსთან რამდენიმე კაცი იდგა. ზურაბიც სალაროსთან გაჩერდა და იქიდან ხელმოკრედ დარბაზს გადახედა. ერთ-ერთ სკამზე ვილაც მოხუცს პურის მოზრდილი ნაჭერი დაეკირა და მადიანად ილუკმებოდა.

ზურაბს მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ ძალღივით შიოდა. სწრაფად მიატოვა დარბაზი და სასადილოს დაუწყო ძებნა.

რესტორანში თავისუფალი მაგიდები ბლომად იყო. დახლიდარი დახლზე გადაწოლილიყო და ქალღღრღე რაღაცას იწერდა, დროდადრო თითისხელა მილეთულ ფანქარს ენის წვერზე დაისვამდა და ისევ ქალღღრღე დააჩერდებოდა.

ზურაბი ერთხანს კარებში იდგა. ორ-
კოფობდა, შესულიყო თუ უკანვე გა-
მობრუნებულიყო. შიშშიღმა მაინც წას-
ძლია, ისე ჩაიარა მაგიდებს შორის,
თითქოს ვიღაცას ეპარებოდა, და ფანჯრის
გასწვრივ, ცარიელ მაგიდას მიუჯდა.

დახლიდარმა უცხო მამაკაცის დანახ-
ვაზე, ხელდახელ მიალაგ-მოალაგა დახ-
ლი და ხელების მტკრევით ზურაბისაკენ
გაეშურა.

— გამარჯობა, ბატონო, რას ინებებთ?

— ლობიო არა ვაჭვთ?

— კი, ბატონო! — დახლიდარს სახე-
ზე ღიმილი გაუქრა და გაოცებისაგან
გაბანჯგლული წარბები ზემოთ აქანა, —
ლობიო როგორ არა გვაქვს, მაგრაჰ...

ზურაბი მიუხვდა დახლიდარს: ახლა
იტყოდა, ლობიოზე უკეთესიც ვაგვაჩ-
ნიაო, მაგრამ უმაღვე სიტყვა მოუტრა,
ლობიო, თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან
მიყვარს, და ვერავითარ ულუფაში ვერ
გავცვლიო. დახლიდარს სათქმელი პირ-
ზე შეახმა. მხრების აჩეჩვით გამობრუნ-
და და ლობიო შეუკვთა.

რამდენიმე ხანში, ზურაბს ლობიო
ჯამფრლით მოუტანეს და ვაკვრით შე-
ახსენეს, დასალევს რამეს ხომ არ ინე-
ბებთო. ზურაბმა ცივი უარით გაისტუმ-
რა მასპინძელი.

მოულოდნელად რესტორნის კარი
ფართოდ გაიღო და ბრაზბრუნებით, ჩან-
თაგადაკიდებული ფოსტალიონი შემო-
ვიდა.

— აჰა მშვიდობა! — დაიძახა მან და
დარბაზში მსხდომთ თვალი გადაავლო.
თითქმის ყველამ ერთხმად შესძახა, გე-
რასიმეს გაუმარჯოსო.

ზურაბმა მხოლოდ ცივი, არაფრის-
მთქმელი მზერა მიაპყრო ჩანთაგადაკი-
დებულ მოხუცს და, უნებურად გერასი-
მე გაახსენდა. ის იყო, სახემციინარი,
გულმხიარული, გერასიმე ფოსტალიონი.
ზურაბმა უცებ აღიდგინა მესხიერებაში
ეს კეთილი, ქვეყნის მოსარჩლე კაცი.
ისეთი გაახსენდა, როგორიც ახსოვდა
და ყურადღებით, დაეინებით დაუწყო
ცქერა. გერასიმე თითქმის არც შეცვლი-
ლიყო, ისეთივე რიხიანი ხმა, მანერა, თა-

ვისებური მოძრაობა... ოღონდ, ოღნავ
მოტეხილი ჩანდა. ზურაბს გაეღიმიეს
ქემა განაგროძო.

— გერასიმეს გაუმარჯოს! — ხელი
ასწია დახლიდარმა, — როგორა ხარ,
გერასიმე ბატონო!

— რავე ვიქნები შენი შემხედვარე! —
ულვაშებზე ჩვეულად გადაისვა ხელი
გერასიმემ და დახლს მიუახლოვდა.
ჩანთა მხრიდან მოიხსნა და ფეხებთან
ჩაიდგა:

— როგორ არის ქვეყნის საქმე? —
ღიმილით მისჩერებოდა დახლიდარი გე-
რასიმეს.

— დამისხი, ბიძია, ასი და სიმართ-
ლეს გეტყვი!

— შეგცივდა? — დახლიდარმა ღვი-
ნის კიჭა და არყის ბოთლი გადმოიღო,
პირთამდე გააბიძინა და გერასიმეს მი-
უტურა.

— აჰა, მოდის ზამთარი!

გერასიმემ „ასი“ სულმოუთქმელად
გადაპყრა, მერე თეფშზე დაქრილი კიტ-
რის მწილის ნაჭერი აიღო, დაყნოსა და
ჩაეპიჩა.

— რავეა ვაჭრობის საქმე, ისიღორე?

— რა უქირს, არის რა! — ისიღორემ
ხელმეორედ შეავსო კიჭა.

— რას შობი, კაცო? — თვალები
დააქუცია გერასიმემ.

— ჩემზე იყოს! — გაიღიმა დახლი-
დარმა და სავსე კიჭა გერასიმეს გაუწო-
და.

— აჰა! არ ამაშენა კაცი! — გერასი-
მემ, გაგვიმარჯოსო, და სულმოუთქმე-
ლად გადაპყრა. ამჯერად მხოლოდ პუ-
რის ნატეხს დაავლო ხელი და დაყნოსა.

— გვიკადრე, გერასიმე! — დაუძახეს
ერთ-ერთი მაგიდიდან.

— მერედა, სცალია ვითომ გერასი-
მეს? გმადლობთ ბიძებო, გმადლობთ!

— მოდი, კაცო, მოდი!

— არა! — ხელი გაასავსავა ფოსტა-
ლიონმა.

— ერთი კიჭა, შე დალოცვილო! —
დაეინებით მოითხოვდა ერთი მათგანი,
რომელიც ყველაზე ახალგაზრდა ჩანდა.

— ეჰ, გერასიმე! — მკერდზე მიიჩ-

ტყა მკილი გერასიმემ, — ბავშვივით გული რომ გაქვს, რას შობი ახლა?

ფოსტალიონმა ჩანთას ხელი დაავლო და თრევა-თრევით მასპინძლებსაყენ წავიდა.

— თქვენ კამპანიას გაუმარჯოს!

— ღმერთმა გაგიმარჯოს, გერასიმე! — მისალმნენ მოქვიფენი და ახალგაზრდამ ღვინით სავსე ჭიქა გაუწოდა.

ზურაბი გერასიმეს თვალს აღარ აცილებდა. გულში სინანულით გაივლო, წელან ღვინო რატომ არ მოვატანინე, ახლა ხომ მეც მოვიპატიებები სუფრასთან.

— აბა, დაილოცე! — არ ეშვებოდა ახალგაზრდა.

— რას შემომიჩინდი, ბიძია! — მიუბრუნდა გერასიმე ახალგაზრდას, — შენხელობას ღვინის კასრში ეძვრებოდი, აბა!

— გვითხარი რამე, გერასიმე:

— სიკეთე მოგცეთ, მტერი გაშორეთ! — გერასიმემ წრუბ-წრუბით გამოცალა ჭიქა და ისევ იმას დაუბრუნა, რომელმაც წელან სავსე მიაჩეჩა ხელეშში. ხელმეორედ შეუღვსეს.

— რას მიშობით, დავთვრები, ბიძია?

— ორი ჭიქა რას გიზამს, ქრისტიანო!

— აი, ისეთი ღვინოა, რომ, ორი კი არა, ერთმაც უკვე წამილიტინა თავში.

— ესდა და მორჩა!

— გაგიმარჯოთ! — ჭიქა გამოცალა და ახლა პირდაპირ მაგიდაზე დადგა.

— მიირთვი რამე, დააყოლე!

გერასიმემ შოთის პურის ნატეხს ზევიდან ჭითმის ბარკალი დაადო და ჩაილაპარაკა:

— გეგონათ გერასიმე არ დავთვრებოდა თუ? — მერე ჩანთა გაჭირვებით გადაიკიდა და ისევ დახლიდარს მიაშურა.

გერასიმემ მხოლოდ ახლა შენიშნა განაპირა მაგიდასთან, მარტოდ მჯდომი ზურაბი და, ცოტა არ იყოს, უცხო კაცის დანახვაზე, შეკრთა, ზურაბმა გერასიმეს თბილად გაუღიმა.

გერასიმე წამით შედგა და ზურაბს დაკვირვებით მიაჩერდა. მერე ზურაბისაკენ გაბედული ნაბიჯით გასწია. ჩანთა მოიხსნა, მაგიდასთან დადო, განუყრელი

იმერული ფაფანაკი თავიდან წაიძრარ და წელში მოხრილმა თქვა: **არაქა ნუღა!**

— მშვიდობა თქვენს მობრძანებულს, გვეიგე, რომ ჩამობრძანებულხართ!

— გამარჯობათ! — უცებ დაიბნა ზურაბი.

— არ თქვა, ვერ გიცანიო! — თითი დაუქნია გერასიმემ.

— კი, როგორ არა! — მეტი ველარაფერი მოახერხა მოულოდნელობით თავგზაბნეულმა ზურაბმა.

გერასიმეს პატივი აღარ დასპირვებია. გვერდ-გვერდ წავიდა და ზურაბის მოპირდაპირე სკამზე მძიმედ ჩამოჯდა. იდაყვები მაგიდაზე დააწყო და მასპინძელს ღიმილით გადახედა.

— ბიძია, ზურაბი არ ხარ შენ?

— დიახ, ზურაბი ვახლავართ!

— დედა, როგორ გარბის ეს წლები! — თქვა გერასიმემ, — შენ და ირაკლი თითისხელები იყავით, აწხელები აა! — გერასიმემ მარჯვენა ხელი იატაკისკენ გაიშვირა, — მე გერასიმე ფოსტალიონი ვახლავარ!

— კი, გიცანით, ბიძია გერასიმე... მაპატიეთ, რომ...

— აჰ, არ თქვა მაგი! ვახსოვს, უკან რომ დამდევდით შენ და ირაკლი, ტიტლიკანები და მომძახოდით, ველასიმე ბიძია, მამიკოს წელილი აღალ მომიტანე? — ჩვეულად ჩაიხითხითა გერასიმემ.

— დიახ, ყველაფერი მახსოვს! — ზურაბის სახეს ღიმილი აღარ სცილდებოდა.

— აბა, რა კარგები იყავით, ბიძიკო. ჭკვიანები, დამჯერები. ნეტა იმ დროს, ფი, დრო რა სახსენებელია, ის დასაქცივი ომი... მარა მე ვიყავი ახალგაზრდა. აჟ! როგორ გიყვარდათ შენ და ირაკლის ერთმანეთი?

ქალბატონი ელენე ხომ თქვენზე იყო გადაყოლილი. სულ იმას გაიძახოდა, რომ წავლენ, რალა მეშველებათ?.. მართლაცდა. გული უგრძობდა, ხომ იცი შენ, იმ დალოცვილის. ახლა, შენ ნუ მიწყენ, ბიძია ცოტა შემთვრალი ვარ, რას ვბუტუნებ თვითონ არ ვიცი!

— როგორ გეკადრებთ! — ზურაბმა პაპიროსი ამოიღო და თითებით დაუწყო სრესა.

— ის თუ ვახსოვს, ნათესაეებმა გარეთ რომ გამოგყარეს?

— როგორ არ მახსოვს! — სახე შეეცვალა ზურაბს, — ან რა დამავიწყებს?

— აბა, შვილო, იმ ბინძურებმა როგორ შეირცხვინეს თავი! მარა სამართალი კი ყოფილა, ხომ იცი შენ? ისე ამოწყდა მთელი ოჯახი, რომ ამბის მომტანიც აღარავინ დარჩენიათ!

— ეგვიცი, კირი დარევიათ! — დაუდასტურა ზურაბმა და პაპიროსი გააბოლა.

— აბა! — თავი ჩააქნია გერასიმემ, — მერე აღარ იტყვი რა ქნა ქალბატონმა ელენემ? მოგიდათ ხელი დედა-შვილს, და კაი ღვიძლი ნათესაეებებით შინ არ წაგასხათ?

ქვეყანა გაოცებას დარჩა, ღმერთმანი! ახლა როგორ ვივლიდათ, იმ ომიანობას. ცივ ნიავს არ გაკარებდა, შვილში არ გარჩევდა! ყოჩად ქალბატონო ელენე!

— ვიცი, ბიძია გერასიმე, ვიცი!

— მესმის, რომ პროფესორ კაცს საქმე არ გამოეღევა, მარა ორი სიტყვის დაწერას არაფერი უნდოდა, ხომ?

ზურაბი მიხვდა, საითაც უხვევდა გერასიმე და, ცოტა არ იყოს, უხერხულად იგრძნო თავი, თუმცა არაფერი შეიმჩნია.

— ელოდა, მარა როგორ ელოდა ელენე შენს წერილს! — განაგრძობდა გერასიმე, — დარდობდა ქალი, წუხდა. შეკლული ყავდა ირაკლი, ეუბნებოდა, წადი, ბიჭო, ნახე ის ხალხი, როგორ არიან, რაიმე ხომ არ უჭირთო, აბა?

ჰოდა, ვიფიქრეთ, ბევრი ვიფიქრეთ, რით დაგვეწყნარებია ეს ქალი და ბოლოს არ მოვიფიქრეთ? — გერასიმე უცებ შეჩერდა, მერე დასძინა, — გაფიცებ მამაშვილობას, არ გამთქვა ირაკლისთან!

— როგორ გეკადრებთ?

— რა მევიფიქრეთ იცი? ჰო, დავჯექით და შენს მაგიერ დავიწყეთ წერილებს წერა.

— ჩემს მაგიერად? — გაოცდა ზურაბი, — მერე?

— მერე რაა, ბიძია, თვემარ: გავიწყდა და, წერილი არ დაეწერა ირაკლის. ისე, ირაკლი ზედმიწევნით კაი ბიჭია, ხომ იცი შენ?

— ნამდვილად! — დაუდასტურა ზურაბმა.

— ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, იგი წერდა წერილებს, მე კი მიმქონდა ელენესთან. რომ გენახა რა დღეში იყო! მთელ სოფელს შეყრიდა, ჩემი ზურაბია წერილს მწერსო. გულში იკრავდა, კოცნიდა. მე ხომ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ზურ-მარილი არ მაკლდა, გლოცავდი და გლოცავდი... მარა, ბოლოს მართლა ვივლიეთ დეპეშა და ჩვენც მოვისვენეთ! ისე გაგახარა ღმერთმა, როგორც ჩვენ გავიხარეთ!

გერასიმემ სიგარეტი ამოიღო ჯიბიდან, თითებით მოსინჯა, ერთგან ენით დაასველა, ნაწიბური მიაწება და მოუკიდა.

— აჯერ, ინებეთ! — ზურაბმა პაპიროსი მიაწოდა.

— არა, ბიძიკო, ჩვენ უბრალო ხალხი ამასაც ეჭვრდებით!

ზურაბი შებრუნდა და დახლიდარს გასძახა:

— მეგობარო, ორი ბოთლი და რაიმე მისატანებელი მოგვიტანეთ?

— ააჰ! — ხელეში გაშალა გერასიმე, — სადაა ბიძიკო, ამის დრო? — მერე ჩანთას დასწვდა და წამოდგა.

ზურაბი ხელეში სწვდა ფოსტალიონს და სთხოვა ცოტახანს კიდევ ვისხდეთო.

— თავს არ შეგაწყენთ, ბიძია გერასიმე, მხოლოდ ორი სიტყვა მათქმევინეთ!

— კაი, აბა. სტუმარ კაცს რაეა გეტყვი უარს! — გერასიმე ისევე ჩამოჯდა და ჩანთა უფრო ახლოს მიიდგა ფეხებთან.

დახლიდარი ხალისიანად შეუდგა საქმეს. ხელახლა გააწყო მაგიდა. ღვინოს საუზმე მოაყოლა, მერე ცხელ-ცხელი მწვადები. ცოტაც მაცალეთ და, შეფიც-

ხებულ ხინკლებსაც მოგართმევთო, დიმილით ჩაილაპარაკა დახლიდარმა.

ზურაბმა ჭიქები შეავსო.

— კი, მარა? — დაარღვია გერასიმემ სიჩუმე, — აქით რამ წამოგიყვანა, ბიძია? — კისერმოღერებული შესციტნებდა ფოსტალიონი ზურაბს.

— რამ და, თქვენმა სიყვარულმა, ბიძია გერასიმე, გამოგყვევი ორლობეს და კი არ ჩამოვედი სადგურში?

— შენ... გენაცვალოს, ბიძია... გერასიმე! — გერასიმეს სასმელი მოკიდებოდა და ლაპარაკი უჭირდა. დროდადრო დაასლოკინებდა ხოლმე, მაშინვე იბოდიშებდა, დაებერდი და სასმელს ველარ ვიტანო.

— აბა! — მაგიდას დახლიდარი მოუახლოვდა, რომელმაც მათლაფით ხინკალი მოიტანა, — მიირთვიო, ჩვენებურია!

— გმადლობთ!

— ჰაიტ! — შეევირა გერასიმემ და ამღვრეული თვალებით ახედა ლოყებაწითლებულ დახლიდარს და ზურაბზე ანიშნა.

— იცოცხლეთ, ბატონო, იცოცხლეთ!

— მოდიო, ბატონო გერასიმე... — დაიწყო ზურაბმა.

— აჰ? მოიცა, ბიძიკო! — ხელი ასწია გერასიმემ, — წეხან ბიძია ვიყავი, ახლა ბატონი ვარ? არა, ფოსტალიონი და ბატონი ვის გაუგონია? უბრალოდ დამიძახე: გერასიმე-თქვა.

— მოდი, ბიძია გერასიმე, ქვეყანაზე პატიოსნებასა და სიყვარულს გაუმარჯოს! აღამიანობას გაუმარჯოს!

— აა, ეს არის საქმე, პატივყარილი და ფლიდი კაცი, რა კაცია; გაუმარჯოს, ბიძიკო!... — პირი გააწყლაბუნა გერასიმემ. ერთხანს სიმღერის წამოწყება სცადა, მაგრამ ხმის ნაცვლად, ყელიდან ხრიალი აღმოხდა და მაშინვე ჩანაშობდა.

— ახლა ცოტას კი ვაშაევებო, ხომ იცი შენ! — თქვა გერასიმემ, — თავის შენახვა გემართებს, ირაკლის მთელი სოფელი ყავს დაპატიეებული. მაგარი სმა იქნება.

— დარდი ნუ გაქვს, ბიძია გერასიმე, ამ სადღეგრძელოს იქ უფრო ლამაზად ვიტყვიო!...



კლიმატი

გიორგიანი რეზანი

მეზის, მეზის

იმ დილით ილიას პავლოვსკში მიეჭკარებოდა, მაგრამ სენატის პირქუშ შენობასთან ნაბიჯი მაინც შეიანელა. დამშვადებით ვერ ჩაუთარა გვერდით გაშლილ მოედანს. ოცდაათხუთმეტი წლის წინათ აქ დატრიალებულ ცოდვასა და უმედურებაზე ილიას ბევრი რამ გაეგონა... ვუშინ საღამოს დიასახლისის სუფრაზე დეკემბრის აქანყების მოხუც მონაწილეს შეხვდა და ძველ იარაღს ისევ პირი გაეხსნა.

პეტერბურგის პაპანაქებაში ჩარჩენილი სტუდენტები გრძელ მაგიდას შემოესხდნენ. ილიას შეუგვიანდა და სუფრის ბოლოს დაჯდა. ცოტა ხნის შემდეგ გვერდის ოთახიდან უზომოდ მაღალი, მსკრბში მოხრილი მამაკაცი შემოვიდა. მას თეთრი წვერი მკერდზე ეფინა.

— გაიცანით, ჩემი ძმა, ეფიმ ილიჩი! — მიმართა სტუდენტებს დიასახლისმა.

ეფიმმა ზედიდან გადახედა ზეზე წამოშლილ ბიჭებს და რიხიანად დასაბა:

— გამარჯობათ, ჩარისკაცებო!

— ესენი სტუდენტები არიან! — შეუსწორა დიასახლისმა.

— მერე რა. რუსეთში ყველა მამაკაცი სალდათია, შეფეს თვალეში უნდა შეციცინოს, ასე არ არის, ბიჭებო?!

სტუდენტებმა ჩაიციინეს, მოხუცმა კი განაგრძო:

— ჩვენ უფლება არა გვაქვს, მეფე არ გვიყვარდეს. შეფეს კი ჩვენდამი სიყვარულს წუ ვაიგონებთ. როცა მოეპრაიება ჩემოვალარჩობს, უკეთეს შემთხვევაში — დავხვრტს.

ჭარბელება. თბ. „მნათობი“, № 5.

— დიდი შეღავათია! — წამოიძახა ილიამ.

— მამა!

ეფიმს ილიას პასუხი მოეწონა და მის გვერდით გადმოჯდა.

სუფრა თაღარავითა და ბეწით არ ბრწყინებდა. მაგიდაზე დანა-ჩანგალი არ ეწყო, ბროლისა და ვერცხლის ტურტელი არ ჩანდა, სამაგიეროდ საკმელ-სასმელის გლეხური სიუხვე თვალს იტაცებდა. ხის ჭამები პირამდე საეცე იყო მოხარული და შემწეარა ზორციით, სიკოს თიმთიმა მწინლი, ლორი, ბლინი, კვერცხი... არუთ საუსე თუნგი სმა-ჰამის შადას აღვიძებდა. სუფრას შამპანური აკლდა და დიასახლისმა, ბოლოს, ისიც შემოიტანა.

ახალგაზრდობაში ეფიმი პეტერბურგში ცხოვრობდა, მოსკოვის ლეგიონში უბრალო ჩარისკაცი იყო, მაგრამ ვარკი სახელი ჰქონდა. ალექსანდრე ბესტუევი დიდად აღასებდა და ამით წახლისებელი ეფიმი თავს არ ზოგავდა.

ბესტუევი, საერთოდ, გვიან მოდიოდა ლეგიონში, მაგრამ 1825 წლის 14 დეკემბერს ალიონზე გამოცხადდა. მამინვე ეფიმი გამოიძახა და საიდუმლო გაანდო. მალე მთელ ლეგიონს მოეფინა სასახლეში დატრიალებული ამბება.

ქარ-უნევა მძინვარებდა, მაგრამ ბესტუევი სიცივეს ვერ გრწნობდა, სამკეთება ჭელი ზელში ევირა, შინელი შეხსნილი მქონდა და სენატის მოედნისაკენ ლეგიონს თვაწეული მიუძღოდა. მას გრენადერები და სახლეთა ეკიპაგის გვარდიელები მიჰყვებოდნენ.

პეტრე პირველის ძველთან სამი ათასზე მეტმა ჩარისკაცმა მოიყარა თავი.

ეფიმი წვრილ-წვრილად ჰყვებოდა დეკემბრის

ამბებს. ილია ვატაეებით უსმენდა. რაჟი დანტერესებული ყურისმგებელი შეხვდა. ეფიშმა გულში ჩაღვქოლ შოღმას ვხა მისცა, ილიასაც ეს უნდოდა. მეფის საწინააღმდეგო სიტყვის მომენა მას სიამოვნებას ჰკვირდა. ახლად დაწერილი „ჩემი თარაილი“ მოაგონა ეფიშის სიტყვებში.

რავინდ რომ ცარი ღრინავდეს. ჩვენის სისხლისთვის გრგვინავდეს. ვერ შეგვაშინებს ჩვენ ცარი, თუ გულში მშობა ბრწყინავდეს. ახლა სენატის ვაშლიდ მოედანზე ივლისის თაყარა მზე ბრიალებდა. პეტრეს ძველი ბრწყინავდა. ილიას კი თვალწინ წარმოუდგა აქ დატრიალებული დეკარისიტა ტრადედა.

ფიჭრაი ფიჭრაი დასჭრა. ილიას დაძაბული ოცნება შორეულ იტალიას ვადასწავდა... იქ გარბიდა ხალხის თავისუფლებისათვის იბრძვის. მერე რა დიდებულად იმარჯვებს! აიღო მესინა, სიცილიიდან აპენინის ნახევარკუნძულზე გადავიდა, ნეაპოლის მეფე დაამარცხა.

ილია დიდი ხანა თვალყურს ადევნებს ვარიზალდის. ერთი გაწევა კიდევ გაიწეა, მოინდომა მის დასამარებლად იტალიაში წასვლა. მაგრამ ნათესავები წინ აღუდგნენ და სურვილზე ზელი აღებინეს. ვარიზალდის გმირობის ამბებში თბილისში რომ ჩამოაღწია, შამინ ვიმინაზიაში იყო. მეოცნებე ყმაწვილმა თავისი გულისწოდებები ამხანაგებს გაანდო.

— ჩივეწერები ვარიზალდის რაზმში, ვიბროლებ!

ეს ძველი ფიჭრაი და ოცნება ახლა ვარიზალდის გამარჯვებებში კვლავ გაუღვია.

აი, ილია უკვე პავლოვსკია, მაგრამ ფიჭრაი ვარიზალდის გვერდით დგას, იბრძვის, ეხმარება ქვეყნის ვანთავისუფლებაში.

1860 წლის ათ ივნისს ვარიზალდი გამარჯვდა და თავის ქვეყანას თავისუფლების გვირგვინი დაადგა. ამ ამბავმა პეტერბურგში ცოტა დაგვიანებით ჩამოაღწია. ილიამ ეს შეცხრამეტე დღეს გაიგო, ეს იყო 29 ივლისს. იმავე საღამოს ახალგაზრდა პოეტის ფიჭრას და ოცნებაში წარმოიშვა მოცულობით პატარა, მაგრამ დიდი იმედით სახეც ლექსი.

მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკლის ხმა მტკვრების! სიმართლის ხმა ქვეყნად ჰქუხს დასართვენვლად შინობისა.

აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა და აღმივზნებს იმედს გულში...

ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტბილი გამოვინე ჩემს მამულში!

ეს ლექსი ყველა ქართველმა ზეპირად იცის, თითქმის ერთი საუბრეზე იგი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს ამჟღავნებს. ჯერ კიდევ ჩემი მოწოდების დროს ვანტიციუბული იყო ის აზრი, თითქმის პეტერბურგში ილიამ გაიგო, მეფე ყმობისაგან გლვებს თავისუფლებას.

სო. და ღმერთს შევედგა, ეს ხმა ტბილი ჩემს მამულშიც ვამაგონე.

ამ ლექსის გამოქვეყნების შემდეგ ეფიშმა ვადე-ელობა და თერამეტი წლის განმავლობაში მის სინათლე არ უჩვენა. მარტო პოეტის მახლობლუბზე იკოდნენ მისი არსებობა, ზოგმა ზეპირადაც ისწავლა.

ბოლოს, ნიკო ნიკოლაძე „ერებულის“ გამოცემას რომ შეუდგა, ილიას ეს ლექსი სთხოვა.

— ანათერი გამოვივა, ცენზორი არ გაუშვებს!

— ჯარი ნუ გაქვს, ცენზორს მე ვაეზბევთვალს! — მიუგო ნიკოლაძემ, ლექსი გამოართვა და „ერებულის“ პირველ ნომერში კიდევაც გამოაქვეყნა, მაგრამ თან შენიშვნაც დაურთო: „ეს ლექსი ვლუხების განათვისუფლების დროს ეკუთვნისო“. ამით მართლაც აუხვია თვალის მკაცრ ცენზორს, მაგრამ, ამასთანავე, დასაბამი მისცა ჩვენს მწერლობაში ვატრეკლებულ მითს.

პაეღ ინგოროყვა, როცა ილიას ნიწარმოებებს გამოსაცემად ამზადებდა, დაიჭვა ამ შენიშვნამ, მით უმეტეს, რომ იგი დედანში არ აღმოჩნდა და ამიტომ ნიკო ნიკოლაძეს მიმართა: ხომ — არა გაქვთ, თქვენ, რამე მასალა, „მესმის, მესმის“-ს რომ შეეხებოდესო.

ამ დროისათვის ნიკო ნიკოლაძე ღრმად მოხუცებული იყო, მაგრამ თავისი საყვარელი მეგობრის ამ ლექსის გამოქვეყნების ისტორია მანაც გაბხსენა და მკვლევარს აცნობა: — ილიამ თვითონ მიხზრა, რომ ეს ლექსი ვარიზალდის გამარჯვებაზე მიქვს დაწერილიო.

„ქუხს თავისი ბედისწერა ლექსებისა“ — ასე-ნის პაეღ ინგოროყვა.

მარტო ამ ლექსით არ ამოიწერება ვარიზალდისადმი ილიას პატივისცემა. ილიას სახლ-მუხე-უმს, რომელიც თბილისში, ორჯონიკიძის ქუჩაზეა მოთავსებული, პარვანდელი სახით შეუნახავს მწერლის კაბინეტი. აქ ჩვენ ენახეთ ვარიზალდის ბიუსტი. იგი ილიას სამეშაო ოთახის თვალსაჩინო ადგილას დაუდგამს.

გარდა ამისა, თავის პირველ ჟურნალ „საქარ-თველოს მოამბეში“ ილიამ დაბეჭდა დობროლე-ბოვის „მამა ვეიცე და მისი ქადაგებანი“, რომელშიაც ფართოდ არის გადმოცემული იტალიის მღელვარე ამბები.

ვარიზალდის გარდაცვალების გამო ილიამ თავისი გულისტკივილი და სიყვარული ჩააქსოვა საგანგებო წერილში. მან ვარიზალდის უწოდა „დიდი გმირი იტალიისა“, ხოლო შემდეგ ისევ დაუბრუნდა ამ საყვარელ ადამიანს და თქვა, ვარიზალდი იყო „ხმალი იტალიისა“.

ილიას თვალწინ ეს ამოღებული ხმალი მუდამ სიყვარულით ელავდა.



იხავ თბილისი

მამიდამ ილიას თემურისათვის დიდძალი ჩურხელა, ლღღისა და ატმის ჩირი გამოატანა, თან ერთი „მინთი“ შავი ღვინო, ბიჭს განზე მოითევანსო. ეს ნუგბარი მოსაკეთიბი ილიამ ცალკე გადააწყო და კადეტთა კორპუსის რუბნ შენობისაკენ გასწია.

საჭარბველოს სიბობსა და შვის შემდეგ, ილიას პეტერბურგში წამღვლი ზამთარი დაუხვდა. ნოტიოვამქდარი სიცივე ფვალ-რბილში ატანდა.

ილია ზქაბი ნაბიჭით მიდიოდა, ვასილის კუნბული მაინც არ ილეოდა, ნევა ისე უშფოთველად მიედინებოდა, თითქოს ქარყინეის მისთვის კრიბა შეეკრა. ნევა ყინვის აწყალი მდინარეა, წერ გაუჩრდილდა ხოლმე და მერმე ზედაპირს თეთრად მოსიარკავს.

ილია ნევას უუფრებდა, მაგრამ ფეჭით ისევე ალაზნთან იყო. ის ზომ დიუხანს ეფიციებოდა ალაზნის მუსს, მენახიბე ბიჭებთან ბანაობდა. პეტერბურგიდან ჩამოსულს, ეს უბერებელი ალაზნი გამოფიტული ეჩვენა, ის მუხაც გამაზნარია... „მუხა, რომლის ჩრდილქვეშ ვისხედით, ერთად მე და ის, ვინც აღმიჩნდა მე ცხოვრების ღმერთად“.

ეს „ცხოვრების ღმერთი“ — ელისაბედი, მკაცრმა მამამ ოთახში ჩაეკრა და „მუფის წინააღმდეგ ამხედრებულ სტუდენტს“ მთაროდა.

მაკრინე დარბაისელი და საზრიანი მანდილოსანი იყო, ილიასაგან მექარის წყრილი რომ მოეციოდა, შავი ღღისთვის შემონახული ფული ქონიდან ამოიღო და სოლომონს ეახლა, სოლომონმა იცოდა, რამდე იყო საქმე, მან უფრო ადრე მიიღო ბოლომთი სავე ბარათი. ამიტომ მაკრინეს სტუმრობა არ გააკვირვებია.

მანდილოსნის სალამს უგულოდ უბასუხა, ოთახში შეიწვია და გვიან ჰკითხა:

- როგორა ბრძანდებით?
- მე რა მიშავს, ბატონო, მაგრამ ბიჭმა ისეთი წიგნი მომწერა, ჩაჭრით ალარა ვარ, არ ვიცი, რამ გადარია?
- მე ვიცი. დროებამ შეშალა. ახალგაზრდებს არც შედე უნდათ, არც ბატონი, კიდევ კარგი, დროზე მოვიწირო.

მაკრინემ არაფერი უბასუხა, ჭიბეში ჩაიყო ხელი და ქალღღმში შეხვეული ფული ამოიღო.

— რა უქნა, ბატონო, ამ საქმის ჩაშლამ თავზარი დამყა, ღმერთმა იცოდეს, როგორ მინდოდა დამოყვრება, თქვენი ელისაბედი თავს მერჩაა და ახლაც მირჩევნია, მაგრამ მე რა შემიძლია, საქმე თქვენ გაგიფუძეებიათ.

- მე?!
- დიას, რაღაც მიგიწერით ბიჭისათვის. — შეაპარა მაკრინემ.
- კო, მერე, — მწირედ ჩაეცინა სოლომონს, აზურძენილ ქილვამზე ხელი ჩამოისხვა და მაკრინეს ისეთი თვალუბით შეხედა, მამაკაცი რომ ყო-

ფილიყო, კარგ დღეს არ დაფრტყნო. თან შელაპარაკება არ იკადრა და შეიშინა.

- მაინც, რისთვის ვასარჩევ?
- ფული მოგიტანე! — და ქალღღში შეხვეული ფული, მაგვრებე მორიდებით ჩამოღო.
- უკან წაიღე, ლატკი ხომ არ გგონივარ? — იყვირა სოლომონმა, სტუმარს ზერგი შეაქცია და ფანჯარასთან მივიდა.

მამიდა ილიას სოლომონს ვაჭვევამის ვასტუმრების ამბავს მარცვალ-მარცვალ მოუყვა. ბოლოს ისიც დაუმატა, სოფელში ხმა დაიარა, ელია საბედს ათსოვეს მამამისითა.

ამიტომ იყო, საპატარძლო სახლიდან არ გამოსულა და ილიას არსად არ შეხვედრია.

ილიას კი იმედი ჰქონდა, ეგონა, ჩაიყოვსიამ გული რომ ატყინა, იმ გულს ელისაბედის შალში განეჭრნავდა. სოლომონმა თავში ქვა იყეს, მე და ელისაბედი ფიცს არ ვაძებთო, მაგრამ ელისაბედი, ეს განებიერებული ქალიშვილი, სიყვარულში მტკიცე არ გამოდგა, მამის სურვილს დაჟევა.

გამწარდა ილია, თავისი დარდი და ვარაში ვერაყის გაანდო, ისევე ალაზნის მინართა, ამ მდინარისაღმდეგ მიძღვნილ ღვექში თავისი გული დაგრძნობა ჩაწერა.

ამიტომ იყო ახლა ნევას უუფრებდა და ალაზანი ედგა თვალწინ.

თემურის სამხედრო სასწავლებელი ვასილის კუნბულზე, ზედ ნევის პირას იდგა. როგორც გრიგოლ ორბელიანი აღნიშნავს, „გორნი კადეტის კორპუსი“ ერქვა მამინ. ეს სასწავლებელი თავის დროზე ვეატორინე მეორედი დააფუძენა, ეკატერინეს რუსეთის საზღვრების ვაფართობა ეწადა, მთავრობის ვადალხევა იმპერიის მხრების გასაშლელად, მიუბე ჩარისკაცებს უნდა დაეყროთ. ამიტომ დაარსა ეს სასწავლებელი ვაწერთნილი ოფიცრობა ადვილად შესძლებდა მეფის დამყრობლური წადილის შესრულებას... აღვექსანდრემ სასწავლებელი ფფრო სრულყო, ვაფართოვა, ვამშვენიერა.

ილია კომენდანტურაში მივიდა და თავისი მშა მოიკითხა. ნისლს ისე დაებურა ვველაფერი, კაკი ვერ ვაგვებდა, ღამე იჭო თუ დღე იწურებოდა.

მორიგემ ილიას მოუხმინა, მერმე ვიხერის ფანჯრიდან გამოყო თავი და დაიყვირა.

- ვაჭვევამე!
- თემური მალე მოვიდა და მძას ვადაეხვია.
- თვალბი დამაწყდა, ერთი კვირაა ფანჯარასთან ვდგავარ, სულ ქუჩას ვუფურებ, რატომ დაეავიანდა?
- არ ვიცი, ძლივს ვამოვალწიე, როგორა ხარ?
- არა მიშავს.
- ავად იყავი?
- თავი მტკიოდა. გრიგოლ ორბელიანი იყო.

ჩვენთან, ქართველებს ცოტაოდენი საბჭოთა მოვითქვანა.

— ვიცი, — მიუვო ილიამ, — ახლა წამოდ ჩემთან!

— წამოვალ მაგრამ უფროსს დავეითხებო.

თემური უკანვე გაიქცა ყაზარმაში. ცოტა ხნის შემდეგ გამობრუნდა, ხელში პატარა ქალღიღუკე.

— ხვალ სადამომდე გამათვისებულეს! — მიხატა მას.

ისევ წევის პროსპექტს გაქვენენ. გზაზე თემურმა ნათესავები მოიკითხა: ამასობაში ბინაშიც მივიდნენ. მაშინდა მაკრინემ მსხვილი, ყუთიანი ჩურჩხელები იცოდა, ლედვის ჩირიცი უტყბილესი გამოსდიოდა. თემურმა პირი ჩაიტკბარუნა, ხელ ლეინ დააყარა. ცოტა კიდევ ისაუბრეს და მერე ლოგინში ჩაწვენ. ილიას მალე ჩაეძინა. ყაზარმის მაგარ საწოლს მიჩვეულ თემურს ძმასთან, რბილ ლოგინში, ძილი არ მიეკარა. თემური ვაიღერსა, სიწმეშა და საბნელში თვალის მიღვლა, მაგრამ მაინც ვერ დაიძინა და ფრთხილად წამოდგა.

ბნელოდა, აანთო ლამფა, რომელსაც ილიას მხარეზე ქალღიღუკე ჩამოაფარა და მერე შარვალხალათი ჩაიკცა. მავიღანზე ბლომად ეწყო წიგნები, ქალღიღუკე. აქ იღო უბის წიგნაკიც. გადაშალა-გადმოშალა ეს წიგნაკი, ალაზნისადმი მიძღვნილი ლექსი მოუთმენლად ჩაიკითხა და მოიწყინა... ცოტა ხნის შემდეგ უფრო დინჯად მიჰყვა სტრიქონებს. ილაზნის ის ადრე მოსწყვეტეს, როგორც არც უბანავთა, დაბურული ყვარლიდან პირდაპირ აქ მოხვდა, ამ დიდ ქალაქში. ცივი ყაზარმა, დიდდაღამე „რას, დეა, რას, დეა“. ვაიტანჯა ბიჭი.

კიდევ ცოტა თუ გაძლო, მერე ეშველება, და ამთავრებს და ბედს ეწვეა, მაგრამ გაძლება არ უნდა?

თემურს ძალიან უყვარდა ილიას ლექსები. იშვიათი მახსოვრობა ჰქონდა და ერთი-ორჯერ წიკთხელი არ აეიწყებდებოდა. მან ახლაც ჩაიკითხა „ალაზანი“ და მერე ძმას გადახვდა. „რა არხეინად სიინავს, თითქოს დარდი არ ჰქონდეს“, თქვა თავისთვის.

ილიამ მახლობელ ნათესავებსა და სოფლის გოგონებებზე ბევრი რამ ახალა და საინტერესო უამბო, მაგრამ ელისაბედი ერთხელაც არ უხსენებია. ვერც თემურმა ჰკითხა, შოერცადა, საფიქარი ძმის დიდი სიყვარული და რიდი ჰქონდა.

სოფლი ჩაიკოცესათა თემურის სასწაელებლის ახლოს ცხოვრობდა, თემური ხშირად ხედებოდა მას, ჭედს შორიდებით უხდიდა და წითლდებოდა.

ილიამ ეს იცოდა. როცა თემური ეწვეოდა, მაშინვე მოუთმენლად ჰკითხავდა, სოფლი ხომ არ შეგხვედრიაო. ახლა კი, ილიას არყოფნაში, სოფლი ორჯერ შეხვდა თემურს, ერთხელ ილიაც მოიკითხა.

— ხომ არაფერი შეგიტყვია, როგორ არის? გაეხარა, სოფლიმ ილია რომ მოიკითხა, იცოდა მათი გაბუტვისა და დაშორების ამბები, ახლა სოფლის გული მობრუნებოდა, იფიქრა, და გასახარებლმა მიუვო:

— კარგად არის, მალე ჩამოვა.

— მაინც, როდის? — ჩაეითხა სოფლი და, მასუს რამ შეავიანდა, თვითონ განაგრძო, — დღეს და ხვალ თუ არ ჩამოვა, მერე მშვიდობით, პარიზს მივდივარ.

— დიდი ხნით?

— ერთი წლით, ადრე ვერ ჩამოვალ.

— ილიას მაინც ენახეთ, — ზმა გაეზზარა თემურის.

— რა საქირია, — ცივად მიუვო სოფლიმ, — მე ისე ვკითხე, მინდა ყოველთვის კარგად იყოს — გმადლობო!

— ნახვამდის თემურ, რამე თუ გვირდება, ნე მომერიდებო, მითხარო.

— თოფი მაქვს და მხარა, ჩემსითანა ჭირისკაცს შეტი რა უნდა?!

მასული მოეწონა სოფლის, გადატყეცილი წარბები მალა ასწია, თემურს გამოეშვიდობა და წავიდა.

„ახლა პარიზში იქნება, ვაიფიქრა თემურმა, რა შორს არის პარიზი! შორს არის ჩემთვის, ჩემთვის ყვარელიც შორს არის.“

ღამე არ ილეოდა. ილიას ახლა უფრო ხალვათად და მშვიდად ეძინა და სულაც არ გრძობდა, რომ მის პატარა ძამიკოს ფიქრი და ურჯა აწუხებდა.

გათენებას საშველი არ დაადგა. ილია უცებ ტახტზე წამოყდა.

— თემურ, რატომ აღეჭი?

— არ დამეძინა.

— ავიდ ხომ არა ხარ?

— არა.

— მაშ, დაწევი.

— ტყუილად რად დავწეე, არ შეძინება.

— მოდი, მე დაგაძინებ.

თემური ილიას ლოგინში შეუწეა. უფროსმა ძმამ მარცხენა ხელი თავქვეშ ამოსდო, მარჯვენა ზევიდან გადახვია. თემურს ჩაეძინა.

ერთი კვირის შემდეგ თემური დედოქოსის მთაზე წაყვანეს საშეკადინოდ, იქ თოვლტყუპში გაყვადები და მერე მთებსა და ღრეებში აღარ ვაგიჟარდებო.

პირველ დღეებში თემური ყოჩაღად იყო, მაგრამ ერთ საღამოს კარავში რომ დაბრუნდა, სიცხე მისცა. დილით ფერმიხდილი და დასუსტებულ მოსპიხტაში წაყვანეს. იქ ქალღიღუკე ეჭიმა გასიწჯა.

— რას მეტყვი, ეჭიმო, როგორაა ჩემი საქმე? — ჰკითხა თემურმა.

— კარგად.

— არ მოვკვდები?

— ნუ სყოდავ, სასიკვდილო რა გაქვს?



— მაშ, თუ ეგრეა, ჩემს ძმას არ შეატყობინოთ, ცოდვია, იდარდებს, იმას დარდი არ აქვია.
— არა, არ შევატყობინებთ! — დაამიგადა ექიმმა და წავიდა.

წამალი და რჩევა-დარიგება დაუტოვა. მაგრამ უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილ თემურს არაფერმა არ უშველა და ორ დღეში სამედიამოდ დაბუქა თვალი.

ილიას მეზი დაცვა. ტანჯვა და წუხილი ვერასდ ვერ დაიტია, ვერც გულში, ვერც სულში, ვერც ქალღმრთელს. ეს გულის გასახეტოი ამბავი ყვარელში არ უცნობებია. არ უნდოდა, ისედაც დასაფრული აღმზარდელი უფრო დაეხატა. მაგრამ როდემდის? ჭირი თავს ვერ დაშალავდა.

1860 წლის თოთხმეტ მასს მამიდა მაკრინეს სწამი ვაგზავნილ წერილში ილია მოთქვამდა.

„თქვენი წონი მომივიდა უფლით და როგორც ჩანს მაშინ არა გყოფნით ჩემი უბედურება. მაშინდებამ რა დაუშვეთ ეგრეთი ღმერთსა, რომ ეგრე უწყალოთ და შეუბრალებლათ გვიწამლავს დღევანდელ თანვერტ ტანვერტ. ჩემი პატარა თემურს სადღა არის, მაშინდებამ დაეკარგე საუკუნოდ პირველი და უკანასკნელი ძმა, შერე რა ძმა?!.. ვეღარა განაბეთ ის საწყალი და უბედურე; ნეტავი თავის ქვეყანაში, ვარშემორტყმულა ჩათავსებოთ მონიე მიცვალებულიყო. ვაინო, ჩემო პატარა ძმამო, ჩემო კარგო და ჭკვიანო თემურა, რაზედ დამოხლდე და დამავდე, შენ წახვედი, მოგეშორდი და შენ მაგვირად დაგვიგდე ნუგვეთი ცრემლი და წუხილი.

მაგრამ რაღას უშველით, მაშინდებამ ღმერთს ნება და ღმერთს რისხვა აღსრულდა ჩვენზედ! რა ექნათ? რაც გამოვზრდებოდნარ, სულ სიყვდილი შესისი ვარშემოვდა, სიყვდილის მეტი ბედი არ დავყოლია ჩვენ, მადლობა ღმერთს ამგვარ ბედისათვის. ნუ იწუხებთ მაშინდებამ, ამ ცხოვრების ღელვისაგან ბევრი მოგათმევენით და ესეც მოითმინეთ“.

მერმე პარათს არწავლა მოაწერა:
„ვაიმე საწყალი თემური! აღარ ვახსარებენ შენ ბედნიერებასად არც ძმა შენი უბედური, ვეღარც მამიდა და ვეღარც დედი შენი, სად წაბუდე, ჩემო საყვარელო ძმა! შემომხედე შე და შემიბრალო, რომ უშენოდ ასე ვიტანჯებ“.

ეს ტანჯვა ლექსს ვაანდო ილიამ. „შენთან დავმარტო. ჩემი თემურ, უყოველივერისი.. ქვეყნად ნუგვედ დამშთა მხოლოდ შე ცრემლი მწარე“.

ამ მწარე ცრემლმა დაწვა ილია და ქანშირთვლობა ისევე შეურყია.

„მე ვერა ვარ კარგად, — წერს მამიდას, — ჩემი სიმართლეც ძალიან დამილია, თუ ღმერთმა ბოლო არ მომიღო, კვლავ ამ დროს დაეპრუნდები შენ კურსდამთავრებულე, მაგრამ მარტო მე მოვალ შენ, მაშინდებამ. თქვენი პატარა თემური საუკუნოდ დარჩება აქ“.

დარდინი სწავლას გულს ვერ უღებდა, მაგრამ მონდობებსა და ხასიათის სიმტკიცეს მინიჭ

თავისი ვაჰქონდა. საღამოობით ცითხულბრდა, წერდა, დამხმარე სახელმძღვანელოებსაც იმარჯვებდა, რომ საყვარელ პარათესობრმანს წერილები არ ექვამა.

ვახაუხულის დამღვეს ილიამ მთავარი საგნები ჩააბარა, კარგი ნიშნებიც მიიღო, მაგრამ პეტერბურგში ვეღარ გაიყრდა. ცივმა, ნოტიო ჰავამ სუნთქვა შეუტყა, ექიმმა ურჩია, თავს უშველა, წალი შენს ქვეყანაშიო. და ისიც სამშობლოში გამოეშურა.

აქ ზოგიერთი გულღვარდობიანად დახვდა, როგორც ჩანდა, ილიას წერილი — „ორიოდ სიტყვა თავად რევან შალვას ძმს ერასთავის კონსტანტინედიან „შეშლილს“ თარგმანზედა“ — ყუმბარასავით გამოეცდარიყო და ნამსხვრევები ბევრს მოხვედროდა.

ამ წერილს პეტერბურგში დიდხანს წერდა. „ცისკარში“ მისი დაბეჭდვის ისტორიაც ინტერესს მოკლებული არ არის. წინამძღვრისთვის ილიამ მისწერა:

„აი ამ სტატიასა ვაგზავნი, ჩემი საკუთარია. თუმცა სხვა ვეგარა აწერია; მე არ მინდა გამოვჩინო, რომ ეს ჩემი დამწერილია მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა. შენც ძალიან შეგებეწეწები, რომ არ გამოაშკარო არავისთან, ხელღებით არავისთან; იმისათვისაც არ მინდა, რომ შენ მიუტანიო კერესელიძეს ეს სტატია, რადგანაც ის მიხედვება, რომ შენ ჩემის მეტი არავინ ვაგზავნის სტატიებსა. ისე უნდა მოიქცე, რომ თითონ რედაქტორს და ცენზორსაც არ შეატყობინო, კანონით იმით უთუოდ უნდა იცოდნენ, მაგრამ შენ, როგორც იცოც, სხვის მხრით დააქრე ისინი, რა მართლა და ახსნური ზემებრამე პარათელი ვეგარია და არა მომლოცო.“

ამას გარდა, თუ ვინიცობაა კერესელიძემ არ დაბეჭდოს, უთხარ როგორმე, რომ ეს ზემებრამე რომელიმე რუსის ეტრნალში ან ვახუთში ვაჩივლებს-თქო ქართველებთან და ვაგირჩევს შენ საკუთარ ლექსებსა-თქო.

იცოც, კერესელიძეს თავად რევან შალვას-მე ერისთავისა ეშინიან და იქნება იმისთვის არ დაბეჭდოს. ეს სტატია ჩიკვაიძეს ბახაკოს უნდა მიუტანო, აქამდის ის ქალაქში იქნება მოსულა. ესე, შენი ჭირიშე და შენი ჭკუისა, როგორც ვუთხრებდი ისე მოიქცე. ჩიკვაიძისთვის შე აქ ყუენადგერი მიითქმის, იმან თვითონ იცის, როგორც მიუტანოს კერესელიძეს“.

ქართული კულტურის მოღვაწეთა კონსერვატიული პანაკეი ამ წერილმა დიდი შეშფოთება და მიოქმე-მოთქმა გამოიწვია. ილიას წინააღმდეგ „ცისკარის“ ფურცლებზე ვაილაშქრა ბარბარე ქორჭამემ, რევან ერასთავმა, ალექსი-შესხიშვილმა, გიორგი წერეთლის მამამ, ექვთიმემ, და სხვ.

არც ილია იყო გარბიული. მას მხარში ამოუდგნენ: აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, სამსონ აბაშიძე და სხვ. ახალგაზრდებმა საპასუ-

ხო წერტილებში ძველი ბანაის შესვეურები მკაცრად გააქრტიცეს.

პეტერბურგიდან ახლადინამოსულმა ილიამ „ცისკარშივე“ შეტად აზრითანი პასუხი ვასცა თავის კრიტიკოსებს.

ასე დაიწყო „მამათა და შვილთა“ შეუპოვარი ბრძოლა სამოციან წლებში და თითქოს მიძინებულმა საქართველომ გამოიღვიძა.

ილია ცუდ დროს წამოვიდა პეტერბურგიდან. „პაწაწა ვაჯასიელუბის წრე“, სტუდენტთა მთელი სათვისტომო, მეგობრები ცუდ დროს დატოვა. მაგრამ შემორჩენილმა ავადმყოფობამ სასწველი არ მისცა, მეგობრებმა თითქმის ძალით გამოგზავნეს.

ილიას წამოსვლის შემდეგ პეტერბურგში იფეთქა: „სტუდენტთა არეულობამ“. უნივერსიტეტის შესაყრები დაარბახის კედელზე განდა მრისხანე მოწოდება:

„ჩვენ შევადგენთ ლეგიონს, იმპერო, რომ ჩვენს მხარეზეა ნათელი ვინება, საზოგადოებრივი აზრი, ლიტერატურა, პროფესორები, უფალავი რიცხვი თავისუფლად მოახსოვნი წრეებისა, დსავლეთ ევროპა საუკეთესო და მოწინავე ჩვენთანაა. ჩვენ ბევრნი ვართ, ჯამშეზე გაცილებით ბევრნი. საქმარისა ვაჩვენოთ მხოლოდ ჩვენი ძალ-ღონე. იცოდეთ, სრულას ჩვენს შიშართ ვერ გადავადვენ. უნივერსიტეტის გამო პეტერბურგში იფეთქებს ამბოხება“.

სტუდენტებში მთავრობა არასაიმიედო ძალას ხედავდა და მოინდომა მათი დათრგუნვა სწორედ ამან გამოიწვია სტუდენტთა ასეთი გააფთრება.

1861 წლის სექტემბრის პირველ რიცხვში გამოქვეყნდა ახალი საუნივერსიტეტო რეფორმა. მკაცრი და გამოწვევი იყო ეს ღონისძიება. ბევრ ღარიბ სტუდენტს სჭირად ათავისუფლებდნენ სოღე სწავლის გადასაძღისაგან, რაც დიდი შედეგით იყო. ახალი რეფორმა ხელმოკლე სტუდენტებს ამ შედეგათს ამიერიდან უსპობდა ამისთანავე სასტრკად იქრძალეობდა სტუდენტთა ყოველგვარი კრებები და შეყრებანი, გამოცდის ჩაუბარებლობის შემთხვევაში, იმავე ეტრსზე დაუტრეველად, სტუდენტი გაირიცხებოდა. სტუდენტთა ყოველგვარი ორგანიზაციის ხელმძღვანელებად არჩევის უფლება გადადიოდა უნივერსიტეტის მმართველობის ხელში. ვერაინ ვასცემდა ეპიკის სტუდენტთა საღაროდან რექტორის ან ინსპექტორის ნებადაურთველად. კიდევ სხვა მრავალ შემოღებასა და უფლებობას აწესებდა ეს რეფორმა.

რეფორმის გამოქვეყნებამ მაშინვე დიდი აზრზაური და შითქმა-მოთქმა გამოიწვია. ყოველ აუდტორიაში გროვდებოდნენ სტუდენტები, მსჯელობდნენ ამ რეფორმის შესახებ და მის ვატარებას წინააღმდეგობას უწყევდნენ.

აღუღების ტალა აღარ ცხრებოდა, პირიქით თანდათან მღერდებოდა და მრისხანე სახეს

იღებდა. სტუდენტთა ეს განწყობილება მშვენიერად იყო გამოხატული იმ დღეებში, ვინც ცუდ ბუღ პროკლამაციებში, ეს მბრტყლმკაცრებას ეცხავდა მთავრობას და მოუწოდებდა მთელ სტუდენტობას ბრძოლისაგან ძველი რევიმის წინააღმდეგ.

ათასობით პროკლამაცია გავრცელდა სტუდენტებში, ხოლო მედის დიდმა მოხელეებმა და წარჩინებულმა პირებმა ის ფოსტით მიიღეს.

სექტემბრის ბოლოს შეწყდა ლექციების ვითხვა. სტუდენტებმა გადაწყვიტეს დემონსტრაცია მოწყობა.

რუს და სხვა ეროვნების სტუდენტებმაც არც ქართველები ჩამორჩნენ. ქართველ სტუდენტთა მთელი სათვისტომო, რომელსაც ილია ხელმძღვანელობდა, მისი აქ არყოფნის მიუხედავად, ფეხზე დადგა.

„სექტემბრის 24-ს, — წერს ნიკო ნიკოლაძე — ისიც იყო ვისადილეთ მ. ი. სემიონოვის ქალთან, რომ სასადალონი შემოვიდნენ ორივე ლოლობერიძეები: ნ. ბ. და ბ. ლ. ლოლობერიძეებმა გადმოვეცეს, რომ სვალ მთელი სტუდენტობა დემონსტრაციაზე გამოდიოდა და ჩვენე გამოუტყულებლიე უნდა შვიდლათ მოწინაილდობა.

ბევრი კამათის შემდეგ ნიკოლოზ ლოლობერიძემ წასვლისას სიტყვა გვესროლა: ვინც მშინშარა ხართ, სახლში დარჩითო, ეს კი საქმით იყო იმისათვის, რომ არა თუ დემონსტრაციაზე წავსულყავით, არამედ თავი კედელზედაც შეგვეხეთა“.

ქართველი სტუდენტები ერთხელოვანად გამოვიდნენ დემონსტრაციაზე.

ეს წევროსანი ახალგაზრდები დიწვედ მიდიოდნენ შუკობრონი და თავიანთ რუს მოძიებებს გვერდს უშვებენდნენ. ილია ჭიჭიკაძის ლექსი — „ქართველი სტუდენტების სიმღერა“ — მაშინ თითქმის ყველამ ზემირად იცოდა და, სიმართლეს არ იქნება მოყლებელი თუ ვიტყვიო, ამ დემონსტრაციაზე ქართველები კიდევაც მღეროდნენ.

დღემ ამ რომ შვილა გაზარდოს, ეპავერ ჩვენისთანაო! იმერალ გამოსადექნი ვართ ყველგან და ყველასთანო.

შეუპოვრობა და მრისხანება ამ სიმღერას ძალას აძლევდა.

არ უძინა პოლიციას. ბევრი მოწინავე სტუდენტი პეტრეპავლეს ციხეში მოათავეს. ამან როდო ვატება მეამბოხეთა წინააღმდეგობა, პირიქით, აღაშთოთა ისეთა „წყნარი“ სტუდენტებიც კი, რომლებიც დემონსტრაციის წინააღმდეგნი იყვნენ და მეცადინეობის გავრძელებას მოითხოვდნენ.

სტუდენტთა საპროტესტო „ყრალობები“ ყველგან ტარდებოდა, უნივერსიტეტის ეზოში,

დარბაზებში, ნების განაპირა ქუჩებში და მოედ-
ნებზე.

ილია ამ დროს თბილისში იყო, თბილისში
იმყოფებოდა მეფე ალექსანდრე მეორე, თავისი
კოლონიის დაპატივსივლითად.

ნიკო ნიკოლაძე მაშინ პეტერბურგში სტუ-
დენტთა ნაბრკანდებზე იმართდა.

დასაწყა კიდევ ამისათვის, ციხეში ამოყოფი-
ნეს თავი, მაგრამ ეს არასოდეს არ უნანია. მო-
ხუცებულობაში თვალწინ დაუდგა ის მშვენიერ-
ი დღეები და მოგონებაში ჩანსწერა:

„ხელმწიფე ამ დროს საქართველოში იმო-
ფებოდა... იგი სტუმრად იყო ფელდმარშალ
თავად ა. ი. ბარიატინსკისთან. პეტერბურგის
მოთვრობა, სამხედრო გენერალ-გუბერნატორი
ანტონოვი და ობერ-პოლიტმეისტერი გენერალი
პატული ვერ შედეგდნენ უმისოდ რაიმე სას-
ტიკო ზომების მიღებას... ამიტომ, სანამ ხელ-
მწიფესთან მოაღწევდა მოხსენება სტუდენტების
არტულობის შესახებ (მაშინ რუსეთსა და კავკა-
სიის შორის ტელეგრაფი არ იყო) — და შეშ-
დევ მისგან მოვიდოდა მითითებანი, ღონე ესმა-
რათ ჩვენს საწინააღმდეგოდ, — ორ კვირაზე
მეტმა დრომ გაიარა. პოლიციისა და სამოსწავ-
ლო მოთვრობის სრული უმოქმედობის გამო
ჩვენ უკიდურესე ვიკრიზებოლთი, ვიგზდით
ახალ ამბებს, უმოთვრესად ღამე დატყალბებულ-
თა შესახებ, — ვუზიარებდით ერთმანეთს აღშ-
ფოთებს... უნდა ვუფიქროთ, რომ როცა ამიერ-
კავკასიაში მივიდა მეფესთან მოხსენება სტუ-
დენტების არტულობის შესახებ, კავკასიის და-
მპყრობმა ბარიატინსკიმ, რომელიც პარადი და
საყვარელი მეგობარი იყო ალექსანდრე მეო-
რის, ურჩია მეფეს არტულობის დატყვენებლავ
მოსობა იყო ეს მისი ჩრველი თუ არა, მხო-
ლოდ ამგვარი ბრძანება მართლაც მიღებულ
იქნა.“

მეფის მკაცრმა განკარგულებამ პოლიციის
ხელ-ფეხი გაუხსნა და აქანებულ სტუდენტთა
წინააღმდეგ უფრო მკაცრ ზომებს მიმართეს.

ილია კი ამ დროს უკარულში იყო, უკვე საკ-
მაოდ გამოყანმრთლებული რაკი ძალღონე მო-
იკრიბა, ისე წიგნებში და ჭაღალდებში ჩაუფდა.
თუმცა მაკრიწე უშლიდა, ეწინიოდა, ქვეყანა-
ჩინთ ფტრისა და გვარის გამგრძელებლა,
გრეგოლის დიდი ოქანბან, მხოლოდ ილია
იყო და იმასაც ავადმყოფობა საშველს არ
აძლევდა.

ყვარლის ბუნებამ და მაკრიწის ზრუნვამ ილია
გამოაყვთა, სწავლისა და შრომის ხალისი და-
უბრუნა. ამიტომ მივსალა წიგნებს, მამიდა კი
ფრთხილობდა, სატკივარში თავი არ წამოყოს
და ბიჭი ისევე არ ჩაადოს ლოგინშით. წიგნების
კითხვა აუტრძალა, ილიაც მის ნებას დაჰყვა,
არ უნდოდა მზრუნველი მამიდა საგონებელში
ჩაეგდო.

მთელი დღე წიგნს არ ვკარებოდა, დილით

რომ ისაუბრებდა, შერე ბაღებსა და ვენახებში
დადიოდა, ხილს ეტანებოდა, შეუძღვრებოდა
ატანდა, სახლს მოაშურებდას და... გრამდენიმე
ტახტზე ისვენებდა, ფიქრში ჩაეძინებოდა და
ღამეშივე არ ეღვიძებოდა. ღამე კი, როცა მთელი
ღღის ნაშრომ-ნაღავ მამიდას არხვინად ეგინა,
ილია ღამისას აანთებდა და მავიდას მიუყვ-
ნებოდა. ასეთ მოთსევენარ ღამეში შექმნა მან
ლექსი „მას აქვთ, რაკი შენღამი ვცანი მე სიყვ-
არული“. და „ჩემო კალამო“... კითხვითაც ბევ-
რი წიგნი წიკითხა, დარჩენილი საგნებიც
მოამხადა და შერმე, შემოდგომის სუსხმა
რომ დაჰკრა, ისევე პეტერბურგს მიაშერა

იმ დღეს, ილია სატახტო ქალაქში რომ ჩა-
მოვიდა, სტუდენტები, ჩვეულებრივ, უწევრის-
ტეტის მოთავს შესასველთან შეგროვდნენ.
მიუხედავად პოლიციის მიერ წინასწარ მიღ-
ებულ ზომებისა, მაინც ბევრმა სტუდენტმა მო-
იყარა თავი, მათ საპროტესტო სიტყვების თქმა
არც კი აცადლეს, ამკრად გამოჩნდა დიდძალი
გარი, რომელმაც შეამზობებებს ალყაშემოარტა
და შერეკა უწევრისტეტის ეზოში, რომელიც
მანამდე დაკეტული იყო.

ნამგზავრ ილიას არც დაუსვენია, მამინვე
უწევრისტეტს მიადგა. თან ახლდა კობა აფ-
ხაზი, ჩკარა მიდიოლდნენ, მაგრამ სტუდენტთა
კრებას მაინც ვერ მიუწერეს. არც მე, არც
ილია, სტუდენტთა კრებას არ დაესწრებო-
ვართ“ — წერს კოსტა აფხაზი, — როდესაც
მივედით კრებისათვის უკვე პოლიციის და ჭარს
ალყა შემოვრტდა.“

ალყაში მოაწვევდებულნი დააბატონრეს და
კრონშტადტის ციხეში მოათავსეს.

დაბატონრებულთა შორის იყვნენ: ნიკო
ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორ-
თქიფანიძე, ბესარიონ ლოლობერიძე, აბელ ჩო-
ლუყაშვილი, პეტრე ალხაზიშვილი და სხვ.
გაჯერებულნი ილია შინ მივიდა, ტახტზე
მიწვა, ხელები გულზე დაიკრიფა და თვალბი
ჭერს მიაპყრო.

არც კობა ვახლდით კარგ ხასიათზე, მაგრამ
მაინც სცადა მეგობრის გამხნეება.

— რას იზამ, ილია, გულს ნუღა ასკდები,
რაც იყო, იყო, მეცოდებიან თქვენი პიჭები

— მე არც ერთი არ მეცოდება. ვაჯაკცები
არიან, შესაცოდნი რა ჭირთ? — მკაცრად მი-
უტო ოლიამ.

— სუყველას ვარიცხავენ!

— არც ჩვენ გადავვისემენ ააეზე ხელს! —
ილია წამოდგა, მაგიდღან ქაღალდი აიღო და
დააწერა:

„ნიკო ნიკოლაძე, გადაეცი ყველა ქართ-
ველს, ყველა პატიმარს, რომ მეც თქვენთან
ვარ. „თავისუფლების მშობენელი ამ ქვეყნად
მართო თოფია, შინ უღლით გაქნილ ცხოვრ-
ბას, იმში სისხლის ღერა სჭობია.“ ქვევით

გარკვევით მიიწერა: „ილია ჰავეზაძე“ და მერე კოხტას მიუბრუნდა.

— მოდი, მოაწერე ხელი!

კოხტამ წეროდა ხელი მოაწერა, მაგრამ სიფრთხილის გრძნობამ მაინც წასძლია.

— ეს რომ შევეგზავნოთ, ხელში ჩაუვუარებოთ პოლიციას!

— ამხანაგებს ნუგვემი და იმედი სჭირდებათ!

— პოლიციას პოლიციური თვალი და ხელი აქვს, არაფერი გამოეპარება.

სის საკითხებმა ყოველმხრივ დასაბუთებია და განვითარებულა. ქართულმა რევოლუციურ-მარქსისტულმა პროლეტარულმა პუბლიცისტიკამ პროპაგანდა გაუწია პროლეტარული დეკტატურის ისტორიული აუცილებლობის მარქსისტულ-ლენინურ დასაბუთებას. ქართულმა ლენინურმა პუბლიცისტიკამ, მენშევიკებთან კამათის დროს; 1905 წლის პერიოდში და განსაკუთრებით მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, დასაბუთა, რომ პროლეტარიატის დეკტატურის სამშუალიბება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადსვლის პერიოდის ზოგადი კანონზომიერებაა. რადგან ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ბურჟუაზია და პროლეტარიატი შეურიგებელ ანტაგონისტურ წინააღმდეგობაში იმყოფებოდნენ. ქართულ კომუნისტურ პრესაში და ცალკე გამოკვლევებში, აგრეთვე, დისკუსიებში, რომელაც მიმდინარეობდა „დემოკრატიული რესპუბლიკის“ პირობებში, ქართულმა კომუნისტმა თეორეტიკოსებმა მ. ცხაკაიამ, ფ. მახარაძემ, მ. ტორიშვილემ, მ. ორახელაშვილმა, ს. ქავთარაძემ, ა. ერქომაშვილმა და სხვებმა ცხადვეს, რომ რევოლუციისა და დარწმუნების გზით „სოციალიზმის შემოღება“ არ მოხერხდება. ქართველმა კომუნისტებმა ცხადვეს ლენინური დებულება, რომ პროლეტარიატი თუ უარყოფს რევოლუციურ ბრძოლას, ევრ გაითავისუფლებს თავს ჩაგვრისაგან, რადგან სოციალიზმისათვის მის ბრძოლას ბურჟუაზიული დესპოტიზმი, სახელმწიფოებრივი ძალადობა უპირისპირდება. ქართველმა კომუნისტმა პუბლიცისტებმა ცხადვეს, რომ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის კლასობრივი ბრძოლის შედეგი ისტორია ამის დამაწყსტრებელია, რომ ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობის არსია დაიკვას კაპიტალისტური ექსპლოატატორული ურთიერთობა სამშედრო ძალადობის გზით. ქართულმა კომუნისტურმა პოლიტიკურმა პუბლიცისტიკამ გაიხიარა ლენინის თეზისი, რომ ისტორიაში გაბატონებული კლასები თავისი ნებით არ სტოვენენ ისტორიულ ასპარეზს და რომ ამ შემთხვევაში ბურჟუაზია არ არის არავითარი გამონაკლისი. ქართულმა კომუნისტებმა პუბლიცისტიკამ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ოქტომბრის რევოლუციის მავალიდგე დასაბუთა, რომ კაპიტალისტურ კლასზე დარწმუნება არ სჭირს, რომ კაპიტალისტები და მემამულეები პროლეტარიატის წინააღმდეგ უდიდესი დამბელობით და უადრესად მხეცერად სამხედრო ძალადობას ახდენენ, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამაჩვენების შემდეგ პროლეტარიატის მიმართ რესეთის მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგობა გააფორებული ვახდა. ასეთ პირობებში პროლეტარიატს სხვა გზა არა აქვს, თუ არა ის, რომ პროლეტარიატს დეკტატურის საშუალებით გატეხოს პრივილეგიური კლასების რეს-

ტერატორული ტენდენციები და მოწინააღმდეგეთა განადგურებით გზა გაიკაფოს სოციალიზმისაკენ, გაითავისუფლოს თავი და გაათავისუფლოს ყველა მშრომელი ბურჟუაზიული ექსპლოატაციისაგან.

ქართულმა კომუნისტურმა პუბლიცისტიკამ დაასაბუთა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა შეუზღუდავლი პოლიტიკური ბატონობა მუშათა კლასისა, მაგრამ ამ ბატონობის ერთ ძირითადი ნიშნითაგანია ძალადობა, რომლითაც არ ამოიწურება პროლეტარიატის დიქტატურის არსი. ქართულმა კომუნისტებმა პუბლიცისტებმა მიუთითეს იმ სფეროზე, რომლებშიც უნდა გამოიყენოს პროლეტარიატმა რევოლუციური ძალადობა, ხაზგასმული იქნა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა სოციალისტური მშენებლობის მთავარი იარაღია, რომ სოციალისტური სულისკეთებით მშრომელთა აღზრდა, სოციალისტურ მშენებლობაში მათი ჩაბმა, მშრომელთა ორგანიზაცია სოციალიზმის აგების მიზნით, სოციალისტური მშენებლობის მეცნიერული ხელშეწყობა მთავარი მხარეებია პროლეტარიატის დიქტატურისა. ქართულმა კომუნისტურმა პუბლიცისტიკამ დაასაბუთა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა რევოლუციური ძალადობისა და დარწმუნების შეთავაზების, შემოქმედებითი ამოცანების დიალექტიკური ერთიანობაა. ქართულმა კომუნისტურმა პუბლიცისტიკამ და საქართველოს პოლმედიკურმა ორგანიზაციამ პროლეტარიატის დიქტატურის არსის საკითხებში, მისი ფუნქციებისა და დანიშნულების საკითხებში საფუძვლად გაიხადეს ლენინის ის მოსაზრება, რომ პროლეტარიატის დიქტატურის, საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი ამოცანაა „კომუნისტური საზოგადოების შექმნა“¹.

ვ. ი. ლენინი წლებს განმავლობაში ისტორიულ განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მეცნიერულად ამუშავებდა სოციალიზმის მშენებლობის პრობლემებს, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ეტაპს. ტროცკისტებისა და მემარჯვენე სოციალისტებისაგან განსხვავებით, ლენინი ისაბუთებდა, რომ საბჭოთა კავშირის ქვეყნის შიგნით უფრო ბიძრობა აქვს ააშენოს სოციალიზმი და მოიყვანოს იგი საბოლოო გამარჯვებამდე. ამავე დროს ლენინი აღნიშნავდა, რომ გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის გატარების პირობებში იმპერიალისტები ვერ შესძლებენ შემსრინ რუსეთის პროლეტარიატი და დაამარცხონ პროლეტარიატის დიქტატურა ერთადერთ სოციალისტურ ქვეყანაში, რადგან, უთანაბრო განვითარების ეპოქის გამო, იმპერიალისტური ონაერები ვერ მოახერხებენ გამოეადნენ ერთიანი, მონოლითური ფარდნით სოციალის-

ტური რესპუბლიკის წინააღმდეგ. ლენინი მიუთითებდა, რომ, მართალია, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იმპერიალისტებმა შეწყვიტეს რევოლუციური ეტილობენ შეკრან ქრთიანი სამხედრო კავშირის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სახმედრო ძალით სოციალიზმის დამარცხების მიზნით, მაგრამ, იმპერიალისტურ ბანაკში უღრმეს წინააღმდეგობათა არსებობის გამო, მისი ნამდვილი რეალიზაცია შეუძლებელი იქნება.

ლენინი, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი, მუდამ ასწავლიდა საბჭოთა ხალხს და მსოფლიო პროლეტარიატის კომუნისტურ აენგარდს, რომ პროლეტარიატისათვის ყოველგვარი მოპარობა უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტულ ისტორიულ პირობებს, ცალკეული ქვეყნების ერთნულ თავისებურებებს. კერძოდ რუსეთში. სოციალისტური მშენებლობის დროს არ უნდა იქნას დაეწეული, რომ ეს მშენებლობა მიმდინარეობს აპიტალისტური გაჯეროების პირობებში, რომ რეალური ტენდენცია საბჭოთა კავშირზე მსოფლიო იმპერიალიზმის სახმედროთაედამსა. მეორე თავისებურება, მიუთითებდა ლენინი, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სოციალიზმის მშენებლობის დროს, ის არის, რომ რუსეთი წერილი გლეხური მეურნეობის ქვეყანაა, ამიტომ დიდია ხვედრითი წილი ქვეყნის მოსახლეობაში წერილი გლეხობისა, წერილი საქონლური წარმოებისა. აქედან ლენინს ის დასკვნა გამოჰქონდა, რომ სატოლიზმის მშენებლობა შეუძლებელია საბჭოთა კავშირში გლეხობის ინტერესებს გათვალისწინებულად, რომ საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა განამტკიცოს პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირი და, რაც მთავარია, ისეთი მოქნილი უნდა იყოს ეს ეკონომიკური პოლიტიკა, რომ მან შეძლოს გლეხობის სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმა. საბჭოთა კავშირის ამ წინაგანი თავისებურებების გათვალისწინების შედეგად ლენინი დაასკვნოდა, რომ სოციალიზმს არ შეუძლია ჩვენში განვითარდეს საავტორო სსაქონლო ურთიერთობათა განვითარებულად. ლენინს სოციალიზმის გამარჯვებისათვის ერთ-ერთ უძირითადეს რგულად მიანიდა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია. ლენინი, რომელიც გასულ საუკუნის 90-იანი წლებიდან, ისტორიულ პირობათა გამო, უდიდეს ყურადღებას აქცევდა პოლიტიკური ეკონომიკის პრობლემებს, ბრწყინვალედ ეჩვენებდა იმ პრობლემებში, თეროგობა რალი და ფუნქციები წარმოების საშუალებათა, მწარმოებელი დარგებისა, მძიმე ინდუსტრიისა სოციალისტურ კლავარშიობის პროცესში. ლენინი მოითხოვდა, რომ ყველაფერი გაკეთებულიყო იმისათვის, რომ ქვეყანა უმოკლეს ვადაში ჩამორჩენილი აგარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადასცემო-

¹ ლენინი. თხ., ტ. 27, გვ. 103. რუს. IV გამოც.

ლიყო. ლენინი მიუთითებდა და სერიოზულად აფრთხილებდა საბჭოთა ხალხს, რომ თუ ის ყველაფერს არ გაიღებდა, ინდუსტრიალიზაციისათვის არ გამოიჩენდა დიდ გზიარობას შრომაში, არ გაატარებდა მოპირინების უმჯობეს რეკონსტრუქციას, ვერ შეინარჩუნებდა სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრებს და ვერ დადგებოდა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გზას. ლენინი აღნიშნავდა, რომ მას შემდეგ რაც პურტუეზიული წარმოების წესი დამსხვრება და ეთიარღება სოციალისტური საზოგადოებაზე წარმოება, რომელიც ეყრდნობა წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საყუთრებას, წარმოების მიზნად იქცა საზოგადოების წევრთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის უზრუნველყოფა, სიღატაკის მოსპობა. ლენინი აღნიშნავდა, რომ ამ ამოცანის შესრულება სოციალისტური წარმოებას მაშინ შეეძლება, თუ იგი უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების უდიდეს აღმავლობას. ლენინი აღნიშნავდა, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა და ამის შედეგად პროდუქტების სიუხვის შექმნა ვადაწყვეტად დამოკიდებულია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, ისეთი დარგების განვითარებაზე, რომლებიც ტექნიკურად შეიარაღებენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგს და განსაკუთრებით, ტექნიკურ რევოლუციას მოახდენენ სახალხო მომხარების საგნების მწარმოებელ დარგებში. ლენინი, აგრეთვე აღნიშნავდა რომ საბჭოთა ეკონომიკის საერთაშორისო მდგომარეობა, ეკონომიკის თავდასხმის საშიშროება მსოფლიო იმპერიალიზმის მხრივ, ის გაჩემოება, რომ უახლოეს ხანაში მსოფლიო იმპერიალიზმი საცდელ-სადასაცოცხლო ომში ჩაებას საბჭოთა რუსეთს, თავს დაატყვის მას გააფრთხილდ და უღმობელ ომს, სოციალისტური პროლეტარიატს აეაღებს იზრუნოს ქვეყნის თავდაცვის მაქსიმალურ უზრუნველყოფაზე. ლენინი აღნიშნავდა, რომ თავდაცვის სიძლიერის ზრდა, ისტორიულ ამოცანებამდე მისი აყვანა შესაძლებელია მხოლოდ შიმში ინდუსტრიის უსრატეს განვითარებით, რადგან შიმში ინდუსტრიას შეუძლია აწარმოოს თავდაცვის თანამედროვე საშუალებები. ლენინი საბჭოთა ეკონომიკა და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს ასწავლიდა, რომ სოციალისტური რევოლუცია მაშინ ღირს რამედ, თუ ეს მას შეუძლია თავდაცვის უზრუნველყოფა; პროლეტარიატი ღირს იქნება მონობისა, აღნიშნავდა ლენინი, თუ ეს ის რევოლუციური ბრძოლებაში ვერ ისწავლის თავდაცვას, ვერ დაეუფლება სამხედრო მეურნეობასა და ტექნიკას, ვერ შესაძლებს აწარმოოს გზიარული და მრისხანე ბრძოლები უღმობელი და ძლიერი მტრის — მსოფლიო იმპერიალიზმის დასამარცხებლად.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ, სოციალიზმის გამარჯვებაში შიმში ინდუსტრიის როლისა და ფუნქციის შესახებ ლენინის შეხედუ-

ლებებს, ინდუსტრიალიზაციის ლენინურ თეორიის თავს დაეხსენნ ყველა ჟურნალის ტრიაქსტები და მემარჯვენები. იმ დროს ზენაა ბარტოშო ი. ბ. სტალინი იყო ის მთავარი თეორიული ძალა, რომელიც ლენინიზმის მტრებთან ბრძოლაში იცავდა და ავითარებდა ლენინის მომდევნებას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ. ის, როგორც სკვპ ც-ის ვენერალური მდივანი, ერთი მთავარი ორგანიზატორთაგანი იყო ლენინის ინდუსტრიული გეგმის განხორციელებაში. სტალინი თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებსა და საბჭოთა ეკონომიკის კომუნისტური პარტიის ყრილობებსა და პლენუმებზე, კომუნისტური ინტერნაციონალში გამოსვლებში კრატის ქარცეხლში ატარებდა ტრიაქსტულ და მემარჯვენულ თვალსაზრისს. ის დაწმენებული იყო, რომ საბჭოთა ხალხი, უზირველესად საბჭოთა პროლეტარიატი, თავისი დიდი შემოქმედებით უნარის გაშლის შედეგად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, შესძლებდა ლენინის ანდერძის განხორციელებას. ლენინის გარდაცვალების შემდეგ, იგი იყო პიროვნება, რომელიც ასაბუთებდა და ავითარებდა სოციალისტური ეკონომიკის მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. სტალინი დასაბუთდა, რომ საზოგადოდ წარმოების საშუალებათა წარმოების უზირატის განვითარება ერთი უძირითადი კანონზომიერებათაგანია სოციალისტური წარმოების აღმავლობისა. სტალინი აღნიშნავდა, რომ არავითარი სერიოზული ცვლილებები არ შეიძლება მოხდეს შრომის ნაყოფიერებისა და მწარმოება მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლებაში, თუ ეს სოციალისტური წარმოება არ დაეყრდნობა უაღრესად განვითარებულ და უმაღლეს ტექნიკას, რომ სოციალიზმი მაშინ შეძლებს მნიშვნელოვნად ამაღლოს მწარმოელი მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული დონე, თუ ეს საბჭოთა ხალხი შეძლებს სწრაფად წაწოის წინ საწარმოო ძალთა განვითარება და შექმნას სოციალიზმის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკურა ბაზა. სტალინი გესწავლიდა, რომ შიმში ინდუსტრიის განვითარება აუცილებელია საერთაშორისო თვალსაზრისითაც, რომ ამას, უწინარესად, მოითხოვს ქვეყნის თავდაცვის, მსოფლიო კომუნისტური მომხარობის აღმავლობის ინტერესები, რომ, თუ მსოფლიო იმპერიალიზმი დაამარცხებს პირველ და ერთადერთ სოციალისტურ ქვეყანას, დიდი ხნით გადაიღება მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების საქმე. სტალინი ნათლად დასაბუთდა, რომ ინდუსტრიული ქვეყნად ჩვენი ქვეყანა სწორედ უმოკლეს ვადაში, და სწორედ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გამო უნდა იქცეს. სტალინი ნათლყო, თუ რამდენად მანებელი იყო საერთოდ ინდუსტრიალიზაციზე ლაებობა ვადების გაუთვალისწინებლად. სტალინი აღნიშნავდა, რომ

ან ჩვენ შევძლებთ უმოკლეს ხანაში მოახდინოთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ანდა, თუ ეს ჩვენ ვერ შევძელით, გავსვრყენენ მსოფლიო იმპერიალისტიზმის სტალინის ისტორიული დამსახურება ამ შემთხვევაში ის არის, რომ მან მთელი სსრკ-ის ნათელი გახადა კომუნისტური მოძრაობის წინაშე ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების მნიშვნელობა, იღუვრად გაანადგურა ლენინიზმის მოწინააღმდეგენი ამ საკითხებში და, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდიანმა, დიდი წვლილი შეიტანა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის სრულ რეალიზაციაში.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლენინური პრინციპების შესახებ საქართველოშიაც დიდი იღვრის ბრძოლები გაიმართა ადგილობრივ ქართველ ტროცისტებსა და მემარჯვენეთა წინააღმდეგ, რომელთაც არ ესმოდათ ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობა, არ სწამდათ ჩვენი ხალხის დიდი შემოქმედებითი ძალა და გამოდიოდნენ ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების ლენინური გეგმის წინააღმდეგ. მათი სიყალბის მხილებაში დიდი როლი შეასრულეს განზეთა „კომუნისტმა“, ეურნალმა „საქართველოს ეკონომისტმა“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. კერძოდ, ეკონომიკურმა ფაქულტეტმა, რომელსაც ცნობილი ძველი ბოლშევიკი პროფესორი ალექსანდრე ვრკო-მაიშვილი ხელმძღვანელობდა, ეურნალ „საქართველოს ეკონომისტში“, რომელსაც აბუაშიძე და კ. ორაგველიმ რედაქტორობდნენ, იბეჭდებოდა წერილები, რომელთა ავტორები იყავდნენ მარქსისტულ-ლენინური კლავშარბოების თეორიის და, კერძოდ, ახალგაზრდნი ლენინის ინდუსტრიული გეგმის პრინციპების პროპაგანდას.

სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის ერთი ძირითადი ნაწილითავეანია სოციალისტური მშენებლობაში გლეხობის ჩაბმა, წერილგლეხურ მეურნეობათა მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად გარდაქმნა. სოციალიზმი არ შეიძლება დაეურდნოს სოფლად წერილგლეხურ მეურნეობათა არსებობას.

ქ. მარქსი თავის გენიალურ კმნილებაში — „კაპიტალში“ გვიჩვენა, რომ წერილი წარმოება ზღუდა შრომის ნაყოფიერების დონის ზრდისა, რადგან წერილ მწარმოებელ გლეხს არ შეუძლია გამოიყენოს თავის მეურნეობაში მოწინავე ტექნიკა, რომ წერილი გლეხური წარმოება კომპერაციულ შრომას კი არ ეყრდნობა, არამედ გლეხის ინდივიდუალურ, იზოლირებულ შრომას.

მარქსი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კაპიტალისტური განვითარების შედეგად გლეხობა: ნადგურდება, რომ კაპიტალიზმის განვითარებას სოფლის მეურნეობაში წარმოების კონცენტრაცია-ცენტრალიზაცია ახასიათებს, რომ

მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებასთან კონკურენციულ ბრძოლაში წერილი გლეხურ მეურნეობა ჩინავდება. მარქსმა აბეჭუდებულ წერილში, რომ გლეხობა არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მხოლოდ რეაქციული ძალა კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ფ. ენგელსმა თავის მხრივ დიდი უტრუდლები მიაკეთა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გლეხობასთან დამოკიდებულობას და გაარკვია გლეხურ მეურნეობათა სოციალისტურად გარდაქმნის საკითხები. ლენინი დაეკრძინა რა მარქსისა და ენგელსის შეხედულებებს ამ საკითხებში შეიმუშავა კომპერაციის საშუალებით გლეხურ მეურნეობათა სოციალისტურად გარდაქმნის გზები. ლენინის კომპერაციულ გეგმაში ნაშეველებია, თუ კომპერაციის სათანადო ფორმების განვითარების შედეგად, რა თანდათანობით შეიძლება გლეხური მეურნეობები გარდაქმნათ მსხვილ სოციალისტურ მეურნეობებად. ლენინმა დაასაბუთა, რომ, როგორც პროლეტარიატის, ისე გლეხობის ინტერესები მოითხოვს მათი მეურნეობების სოციალისტური გზით განვითარებას. ლენინმა ნათლად ვეიჩვენა, რომ კაპიტალიზმის პირობებში გლეხობა თავს ვერ დააღწევს ბარბაროსული ექსპლოატაციის ფორმებს, თუ არ დადგას სოციალიზმის მხარეზე. მხოლოდ სოციალიზმი ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც გლეხს სიღატაკისა და განადგურებისაგან იხსნის. ლენინმა დაასაბუთა, რომ წერილი მეურნეობის შენარჩუნების პირობებში სოციალიზმი ვერ შეძლებს მნიშვნელოვან ამაღლოს მშრომელთა ცხოვრების დონე, შექმნას სახალხო მოხმარების საგნების სიუხვე, რადგან დაქსაქსული და არაკონცენტრირებული სოფლის მეურნეობის პირობებში, რომელშიაც შესაძლებელი არ არის მანქანათა გამოყენება და კომპერაციული შრომა, შეუძლებელია შრომის ნაყოფიერების აღმავლობა. წერილი წარმოების პირობებში, მშრომელი გლეხობა ვერაძლებს ვერ დააღწევს თავს მატერიალურ ზღუდვად. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, თუმცა მემარჯვენენი და ტროცისტები წინააღმდეგობას უწევდნენ, როგორც ცნობილია, განუტრუდლად განამორციელა ლენინის კომპერაციული გეგმა. საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ განსაკუთრებით დიდი დისკუსია გაიმართა 1930-იან წლებში. ტროცისტები და მემარჯვენეები, სხვადასხვა პოზიციებიდან, გამოდიოდნენ ლენინის კომპერაციული გეგმის თეორიული საფუძვლებისა და მისი განმორციელების წინააღმდეგ. საქართველოს კომუნისტურ ორგანიზაციაში ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლეწილი მ. ცხაკაიასი, მ. ორაბელაშვილისა, ს. ორაგველიძისა, ფ. მახარაძისა და სხვა პოლიტიკური მოღ-

ვაწეებისა, რომლებიც მაშინ ამიერკავკასიისა და საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებას ხელმძღვანელობდნენ. ლენინს კომპერაციულმა გეგმამ ფართო პოპულარიზაცია მხოლოდ ფ. მასარაძის პუბლიცისტკაში.

ქართულ ეკონომისტ მეცნიერთაგან ლენინს კომპერაციული გეგმის თეორიული დაცვისა და პოპულარიზაციაში განსაკუთრებულად ამასობრება მიუძღვის პროფესორ ა. ერჭოშიაშვილს. მან თავის კომპერაციის თეორიულ კერსში და უნივერსიტეტში მოყოლობილ დისკუსიებში ლენინური იდეების პოპოლიდან გაკარტიკა ტრაქციისტა, შემარჩვენეთა ანტი-ლენინური შეხედულებები, გამოაშვლავნა აგრეთვე წერილობრივად და საზოგადოდ კომპერაციული სოციალიზმის მთელი სიყაღბე. ცხადყო, რომ კამიტალიზმის პირობებში, თუ კლასობრივი ბრძოლა ფარგლავით, მშვიდობიანი კომპერაციული მოვლავიებით, როგორც ამას ფიქრობდნენ დიდი სოციალისტ-ტოპისტი რომერტ ოუენი და სხვები, შეუძლებელია მუშათა კლასისა და მშრომელთა განთავისუფლება, რადგან კომპერაციული შრომის ეროვნულ ფარგლებამდე განვითარებას ხელს უშლის ბურჟუაზიული საბელმეფო და მხოლოდ პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობის პირობებში შეიძლება კომპერაციამ მიიღოს საბელმეფოებრივი მხარდაჭერა და მისი განვითარება პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში მართლაც რომ სოციალიზმის განვითარება. ლენინის კომპერაციული გეგმის ძირითადი დებულებების პროპაგანდაში დიდი როლი შეასრულა ეჭრნალმა „საქართველოს ეკონომისტმა“. ეჭრნალმა დაასაბუთა, რომ ვლუზობის სოციალისტური კომპერაციული განვითარების გზებზე გადაყვანა უნდა ეყრდნობოდეს ღარწმუნების, მავალითის მიცემასა და თანდათანობის პრინციპს, კომპერაციის დაბალ ფორმების მასობრივი გავრცელების შემდეგ საწარმოო კომპერაციაზე, კოლმეურნეობებზე ჟრბობილი გადასვლის პოლიტიკა. ეჭრნალში დასაბუთდა დებულება, რომ კოლმეურნეობები ძირითადი ფორმა ვლუზობის კომპერაციებისა, რადგან მათში საზოგადოებრივი ინტერესი შეხამებულია პირად ინტერესებთან. ეჭრნალში ამავე დროს დასაბუთებულია, რომ კოლმეურნი მურნეობები სოციალისტური ტიპის მურნეობებია, რადგან მათში არსებობს წარმოების ძირითადი საშუალებების კოლექტიური საკუთრება, არ არსებობს ექსპლოატაცია, და მატერიალური დოვლათის განაწილება ხდება დაბარწელი შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. უნდა შევნიშოთ, რომ თბილისის უნივერსიტეტმა ლენინური იდეების

სულისკვეთებით ქართული ახალგაზრდა ეკონომისტების მნიშვნელოვანი ძაღმწეველები უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომისტურ აკრონომიული ფაკულტეტის ეჭრნალმთავრებულებმა დიდი როლი შეასრულეს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნაში, ლენინის კომპერაციული გეგმის განხორციელებაში.

დაასრულ უნდა აღინიშნოს შემდეგი: თავის მხრივ ლენინი არგად იცნობდა ქართული პოლიტიკური აზრის ნაკადებს, ია პირადად აწარმოებდა პოლემიკას ქართული მეწველების წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომლებიც ამავე დროს მეორე ინტერნაციონალის თეორეტიკოსებიც იყვნენ. ამასთან ერთად, ლენინი აღნიშნული აქვს, რომ მეოცე საუკუნის უმადვეს ქართულმა რევოლუციურ-მარქსისტულმა აზრმა გაამდიდრა მარქსისტული მსოფლმხედვლობა ეროვნული საყიობის დამწვევებით და სხე.

ერთ საეჭრნალ სტატიაში შეუძლებელია სრულად აღინიშნოს ლენინური იდეების გავლენა ქართულ საზოგადოებრივ აზრზე, ჩვენ აღინიშნავთ, რომ ლენინიზმმა ახალ თვისობარტ საეჭრნალზე აიყვანა ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური, ფილოსოფიური და ლიტერატურული ესთეტიკური აზრი. ლენინის იდეებით შეიარაღებულმა ქართულმა განმათავისუფლებულმა მოძრაობამ ნათელი პერსპიკტივები დუცასა ქართულ ხალხს, ღარაზმა იგი სოციალიზმის გამარწვენათვის ბრძოლაში. საქართველოს განმათავისუფლებულ მოძრაობას შეუძლია იამაყოს იმით, რომ მის წრეში აღიზარდნენ და გამოიღდნენ ლენინის ერთგული მოწვეენი, კომუნისტური მოძრაობის მსოფლიო მამტაბის მოღაწენი, რომელთაც ლენინის გარდაცვალების შემდეგ განაგრტეს ლენინის საქმე, და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სოციალიზმის გამარწვევის საქმეში. ქართულმა განმათავისუფლებულმა მოძრაობამ დიდი ძალეზა მისცა საბჭოთა ქვეყნის თავდაცვას, მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სოციალისტური სამხედრო აზრის, სტრატეგიისა და ტაქტიკის დამწვევებაში. ლენინის ხელმძღვანელობით სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარწვა საქართველოში და მე-20 საუკუნე საქართველოსათვის თავისუფლების დიად საუკუნედ იქცა. ამიტომ არის, რომ ჩვენი ხალხი, მისი დიდებული მწერლები, სხვა ხალხებთან და მწერლებთან ერთად, შარავანდედით მოსაყენ ლენინის სახელს, სამართლიანად მიანიშათ იგი ყველა ხალხის, მათ შორის ქართული ხალხის ჭეშმარიტ მეგობრად. ლენინის სლოვა მუდამ იცოცხლებს ქართველ ხალხში.

მ. სავაძე, კ. შაველაშვილი

3. ი. ლენინის საყვარელი მწერლები

გენიალური მთარგმნე, მსოფლიო პრო-
ლეტარიატის დიდი ბელადი და მისწავლებე-
ლი ვ. ი. ლენინი თავის ძირითად პროფე-
სიად მუდამ ასახელებდა „ლიტერატორი“.
ეს სრულიად არ იყო შემთხვევითი მოვლენა,
ამას მეტად ღრმა ფესვები ჰქონდა.

ლენინური ესთეტიკური მეშვიდრეობა, ლე-
ნინის გამოხატული ლიტერატურისა და ხე-
ლოვნების საკითხებზე, და უწინარეს ყოვე-
ლისა, სტატია „პარტიული ორგანიზაცია და
პარტიული ლიტერატურა“, ეს არის იმ შეუ-
რიგებელი იდეური ბრძოლის გაგრძელება ახალ
ისტორიულ პირობებში, რომელსაც აწარმო-
ებდნენ მარქსი და ენგელსი მხატვრულ შე-
მოქმედებაზე იდეალისტურ, ბურჟუაზიულ შე-
ხედვებათა წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინმა ბრწყინვალედ განავითარა კ.
მარქსისა და ფრ. ენგელსის ესთეტიკური
მოდერნობა, გაითვალისწინა რა მხატვრული
აზროვნების ის მნიშვნელოვანი მონამოვარი,
რომელიც კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის ეპო-
ქის შემდგომ პერიოდში შექმნა კაცობრიო-
ბაში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ
ვ. ი. ლენინის მდიდარ მეშვიდრეობას ნათელი
ზოლოვით ატყვია გამოცდილი, დიდად განს-
წავლული, ღრმად მოაზროვნე მწერლისა და
ლიტერატორის ხელი. ამას ყველა შეამჩნევს,
ვისაც ერთხელ მიიწევს გადაუცილებლად ვლადი-
მერ ილიას ძის ფილოსოფიური და ეკონო-
მიური ხასიათის შრომები, მის მიერ შედგე-
ნილი პარტიული და საბჭოლწიფოებრივი დო-
კუმენტები, ლექციები და რეფერატები, მოხ-
სენებები და სიტყვები, საქმიანი წერილები
და ერთი შეხედვით თვით უბრალო, მო-
კითხვის პარათებიც კი.

იშვიათად იპოვით ლენინის ისეთ ნაშრომს,
რომელშიც არ გვხვდებოდეთ მითოლოგიური ან

ლიტერატურული პერსონაჟები, მხატვრული
სახეები, ფრთხანი ფრაზები, ხატოვანი სიტყ-
ვა-გამოთქმები, ანდაზები და აფორიზმები. ლე-
ნინის უკუდავ თხზულებებში დასტურდება
75 მწერლის მხატვრული გამონათქვამების გა-
მოყენების ათასზე მეტი შემთხვევა. ვლადიმერ
ილიას ძემ შესანიშნავად იცოდა როგორც რუ-
სული, ისე მსოფლიო ლიტერატურა. მის ნა-
წერებში გვხვდება ბერძენი და რომაული, ინგ-
ლისელი და გერმანელი, ესპანელი და იტა-
ლიელი, ფრანგი და რა თქმა უნდა, რუსი
მწერლების ციტატები, მხატვრული სახეები,
პასაჟები.

ნ. კ. კრუპსკიანა გადმოგვცემს: „...მე მხოლოდ
ციმბირში ვაგვიც, რომ ვლადიმერ ილიას ძეს
ჩემზე ნაკლებ როდი წაუციობავს კლასიკოსე-
ბი, არამც თუ წაუციობავს, არამედ ჩამდენ-
ჯერმე გადაუციობავს, მაგ. ტურგენევი. ციმ-
ბირში მე თან წაიღე პუშკინი, ლერმონტოვი,
ნეკრასოვი. ვლადიმერ ილიას ძემ თავის სა-
წოლთან, პეველის გვერდით დააღაგა ისინი
და კვლავ და კვლავ კითხულობდა საღამომობია
ხველაზე მეტად პუშკინი უყვარდა“.

ერთი დეტალიც: ვლადიმერ ილიას ძის მე-
ოღლე იგონებს: „მის გარდაცვალებამდე ორი
დღით ადრე, საღამოს, მე მას წაუციობავს ქვე
ლონდონის მოთბრობა — ის ახლც მაგიდაზე
დღეს მის ოთახში — „საყვარული სიციცხლა-
სადმი“... ილიას ეს მოთბრობა ძალიან მოე-
წონა. მეორე დღეს მოთბოვა ვანმგვრძო ქვე
ლონდონის მოთბრობების კითხვა“...²

ვ. ი. ლენინმა, როგორც თანამედროვენი
გადმოგვცემენ, ჯერ კიდევ ვიმზნობის საშუალო

¹ ლენინი კულტურისა და ხელოვნების შე-
სახებ, გვ. 594.

² ლენინი კულტურისა და ხელოვნების შე-
სახებ, გვ. 597.

კლასებში ვადიკატობა კლასკოსებში... და სოციალისტური უკანასკნელ დღეებშიც ლიტერატურული გამოცემით სუნთქავდა... მეტად დაზნაობათგან... აღამიანი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ხალხთა ბედნიერებას, მშრომელთა უკეთეს მარშის შესწორა, იყო პროფესიით და არა მარტო პროფესიით, არამედ მთელი არსებით ლიტერატორი მარტო ეს ხარკი, ეს დეტალი დიდ მოვალეობას აკისრებს ჩვენს მწერლებს, პოეტებს, მხატვრულ სიტყვის ოსტატებს — ლიტერატორებს.

მ. ი. ლენინი, როგორც კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, ხშირად იყენებდა თავის თხზულებებში ლიტერატურულ მხატვრულ სახეებს, რათაც ახსოვდებოდა მსჯელობას, უფრო გარკვეულად გადმოსაცემად ახრსა და ჩანათყურს. ვლადიმერ ილიას ძის ნაწერებში გვხვდება ისეთი ცნობილი ლიტერატურული პერსონაჟები, როგორც აბიან: მოღალაღნი და რემბოლივი, ფამუსოვი და სკალოზები, ნოზდროვი და კროზობრაქა, პეტრუშკა და ჩაჩაკოვი, დერკიმოზა და ლესტაკოვი, დობინსკი და ბობინსკი და მრავალი სხვა. ესენი ლენინის უკუდავ თხზულებებში სულ სხვა სიკაცებით სუნთქავენ, მათ ძირითადად ერთად შექმნილი აქვთ კიდევ დამატებითი თვისებები. შტრიხები, განსაკუთრებული პოლიტიკური სტრუქტურა, ამიტომ არის, რომ ლენინის ისეთი შრომები, რომლებშიც მხატვრული სახეები გამოყენებულა, განსაკუთრებულ სიხადებს, ნათელ გამოშავებულობას, უდიდეს მხატვრულ და ემოციურ სიძლიერებს იძენს.

ლენინი მხატვრულ საშუალებებს იყენებს სოციალური მოვლენების, ცალკეული პარტიების, გარკვეული მიმდინარეობების სახეობრივი ილუსტრაციისათვის და ამასთანავე თვითონვე იყენებს ლენინი, როგორც კ. მარქსი, ზუსტად იყენებს და წესს: შექმნიერული ან უბედულსიტრული ნაწარმოები წარმოადგენს მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ საბრძოლველ მძლავრ იარაღს და ეს იარაღი უნდა იყოს მხატვრი, უნაკლო, ერთი მიზნისაკენ მიმართული; უნდა იყოს ისეთი, რომელიც მოქმედებას ახდენს მკითხველის არა მარტო გონებაზე, არამედ ემოციებზეც.

ახრის უფრო: გასაგებად და თვალსაჩინოდ გამოხატვის მიზნით, როგორც მარქსი და ენგელსი, ლენინი ხშირად იყენებდა თავის შრომებში მხატვრული ნაწარმოების ციტატებს. ეს ციტატები, მხატვრული სახეები, თუ ცალკეული პასაჟები, გამოყენებულა ლენინის უკუდავ შრომებში, მკითხველში იწვევს ძლიერ ემოციებს, შთაბეჭდილებებს. ისინი ბეჭდის თვლივით სხედან ნაწარმოების საერთო ქსოვილში, ძლიერი შთაბეჭდილებების გზით შექმნილი წარმოდგენა, რასაც ეს მხატვრული სახეები იწვევენ, უფრო ღრმა კვალს ტოვებს

9. „მთაბი“ № 6.

ჩვენს მხესიერებაში, ნათლად აღიბეჭდებ ნაწარმოებში.

მ. ი. ლენინის თხზულებებში რად ვხვდებოდა შედარისიული მხატვრული სახეები. მეორე ადგილს იჭერს გოგოლო, შემდეგ ჩეხოვი, გრიბოედოვი, კრილოვი, ტურგენევი, ნერასოვი...

წინამდებარე წერილში ჩვენ ძალიან მოკლედ წარმოვადგენთ ლენინის საუყარელო მწერლების მხოლოდ მცირე ნაწილს.

მ. ი. სალინიკოვ-შინდრინი

შინდრინის უკუდავ რეალისტურ ნაწარმოებებს დიდად აფასებდნენ მარქსიზმის კლასიკოსები: კ. მარქსს თავის ბიბლიოთეკაში შინდრინის რამდენიმე ნაწარმოები ჰქონდა, ამ დიდი სატირიკოსის ნაწარმოებებს მარქსს სისტემატურად აცნობდა ნ. ფ. დანიელსონი (1844-1918 წ) — რუსი გერმანიისტი და პუბლიცისტი, ნაროდნიკობის ერთ-ერთი იდეოლოგი, რუსულ ენაზე „კაპიტალის“ I ტომის მთარგმნელი (გ. ა. ლობატინთან ერთად).

ფ. ენგელსი ნ. ფ. დანიელსონისადმი მიწერილ ბარათში, რომელიც დათარიღებულია 1887 წლის 18 თებერვლით, წერდა: „დიდი მადლობა შინდრინის „ზღაპრებისათვის“, რომლის წაყიბვისაც მე შევედგები პირველი შესაძლებლობისთანავე“.

ლენინი დიდად აფასებდა შინდრინის მხატვრულ შემოქმედებას. ამ გენიალური მწერლის მითხრობებს, რომანებს, ზღაპრებს პატარა ვალოდა ქერ კიდევ გონაზობის წლებში გაეცნო. შემდეგში, რევოლუციის ფართო შარავახზე გამოსულს, არაერთხელ გამოუყენებდა შინდრინის მხატვრული სახეები თავის იდეური მტრების წინააღმდეგ. კიდევ მეტი, ლენინი უჩვენებდა თავის მოწაფეებს საფუძვლიანად შეესწავლათ მხატვრული სიტყვის ამ გენიალური ოსტატის თხზულებები, რომლებშიც მდიდარი მასალა იყო წარმოდგენილი, საერთოდ, მშრომელი ხალხის მტრების წინააღმდეგ.

შინდრინი ლენინის ერთ-ერთი უსაყარლესი მწერალი იყო, ალბათ, მით აიხსენება, რომ შინდრინის მხატვრული სახეები რაოდენობით ლენინის თხზულებებში პირველ ადგილს იჭერს. 1912 წლის 8 სექტემბრით დათარიღებულ წერილში, რომელიც ლენინმა გახეთ „პრაკვის“ რედაქციის გაუგზავნა, სხვათა შორის, წერდა: „საერთოდ კარგი იქნება დროდადრო გაიხსენოთ, განმარტოთ „პრადეში“ შინდრინი და „ძველი“ ნაროდნიკული დემოკრატიის სხვა მწერლები და მოვიყვანოთ მათგან

1 კ. მარქსი და ფ. ენგელსი ბელგენების შესახებ, ტ. I, გვ. 505.

ციტატები „პრადეს“ შეითხველისათვის — 25.000-სათვის — ეს სასარგებლო, საინტერესო იქნებოდა და მუშათა დემოკრატიის ახლანდელი საქითხვის სხვა მხრიდან, სხვა ხმით გამოქვეყნებული გამოვიდოდა.¹

როგორც აღინიშნა, ლენინი ყველაზე ხშირად თავის ნაწერებში შჩედრინის მხატვრულ სახეებს იყენებს. ამ შეხვედრით მხატვრულ სახეებს ისეთი ნაწარმოებებიდან, როგორცაა „ბატონი ვოლოვილივი“, „დღევანდელი სიტყვები“, „დროების ნიშნები“, „ბატონი ტამარტელევი“, „ერთი ქალაქის ისტორია“, „ველური მემამულე“ და მრავალი სხვ. საემარსია აღინიშნოს, რომ ლენინის, თხზულებებში ვხვდებით შჩედრინის 27 ნაწარმოებიდან ციტირების 340-ზე მეტი შემთხვევა. ამის მიზეზის გახლავთ, რომ შჩედრინის ნაწარმოებებში მოსიხის ძლიერი სატირიკოსი, მწერალი გენლანი ირონიით აღწერს ემდროინდელი რუსეთის ბიუროკრატიული წყობის ჭეშმარიტ სურათს — ბატონყმობის საზინულებს, თავდაზნაურთა გადაყვარებას, კაპიტალიზმის განვითარების უღვგად კულაკობის წარმოშობასა და ბიურ-რატული მმართველობის სისტემის უკუღრეს ფორმალაზმასა და სისპატყეს.

ლენინი შჩედრინის „ბატონი ვოლოვილივი“ მხატვრულ სახეებს იყენებს თითოებურ ნაწარმოებში ჩვიდმეტჯერ. „რანი არიან ხალხის მფლობერბი“ ლენინი სქოლოში, ახასიათებს რა რუსეთის ბიუროკრატიას, რომლის რიგებს უმთავრესად „რაზნოიანცები“ ავსებენ, მიუთითებს, რომ რუსეთის ბურჟუაზიას თავის უძლურს ამოყანად მიაჩნია მემამულის და ბურჟუის ინტერესების შეთანხმება. „ესა იუღუშა, რომელიც თავის მემატონურ სიმართიებსა და კავშირთთერითობას მუშებისა და გლეხების მოსატყუებლად იყენებს... ესა ფრად საშიში ფარისველი, რომელიც გამოტმამდელია რეაქციის დასავლეთეგროპელი ისტატების გამოცდილებით და მოტერხებულად მალავს თავის არაქვეყნებურ ზრახვებს ხალხთმოყვარელობის ფრაზების საფარველით.“²

ეს მხატვრული სახე ლენინმა გამოიყენა ცხიერების სინონიმად. იუღუშეა გეოისტია, უნე-ბისყოფო, უზნეო, ზარმაცი და ლოთი, ამავე დროს ტყნოი; მეგობრები იუღუშეას არა ჰყავს. ის მოწყვეტილია ხალხს, საზოგადოებას და ისე მიღის ამ ქვეყნიდან, რომ მისგან არაფერი რჩება. ლენინმა მშვენივრად გაავლო პარალელი ამ მხატვრულ სახესა და რუსეთის ბურჟუაზიას შორის, მუშათა კლასის მტრებს შორის.

ლენინი, აკრიტიკებს რა „ფინლიანდესკია გაზეტას“ ცდას თავისი ქვეყნის კოლონიური

და უფლებო მდგომარეობის ფარისველურად დაფარვის შესახებ, ნაშრომში „მხლოტყეობა ბრძოლა და პოლიტიკანონში“³ წერს, რომ ამ განუთის სიტყვები „ფარისველური ლიტონისტყვაობა იუღუშეა გოლოვილივის ყაიდაზე“.⁴

სტატიაში „მოზეიმე უხასობა ანუ მოყადტო ესტრეა“ (1907 წ.) ლენინი წერდა: საიწუხა-როა, რომ შჩედრინი ვერ მოესწრო რუსეთის „დიდ“ რევოლუციას. იგი იღბათ, ახალ თავს მიუმატებდა „ბატონი ვოლოვილივიებს“, იგი გვიჩვენებდა იუღუშეას, რომელიც აშვილებს გაწყველილ, ნაკემანვემ, მშვიდ, დამონებულ გლეხს: შენ უეუესობას მიუღო! შენ გულუტეხილი ხარ, იმიტომ რომ არ შეეცლილა წესები, რომლებიც ეყარება შიმშილს, ხალხის დატერტას, წებულის და მათრახს“⁵ ასე მშვენივრად საჩაქოვა ლენინმა იუღუშეას მხატვრული სახე 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის ცხოვლად წარმოგვეყნის მიზნით.

პირვერობა და ფარისველობა იუღუშეას ნიშანდობლივი მხარეებია. ამიტომ არის, რომ ლენინი იუღუშეას უწოდებს ტროციის დერთ თავის სტატიის ასე ათთერება: „იუღუშეა ტროციის სიტყვილის სიწითლის შესახებ“⁶ იუღუშეას ეძახის რენეგატ კაუციუს, შენ-შევიც ო. ა. იუშევიის და სხვებს.

შჩედრინი მთელი არსებით ებრძოდა მეფის ხელისუფლებას, სასტიკად დასცინოდა ჩინოვნიკებს და საამუშაოზე გამოტმონდა მათი ნამდვილი სახე, დამაწერებლად ხატავდა დესპოტ, ეგოისტ და შერტამე მოტყუებებს. „...შჩედრინი დაუზოგავად დასცინოდა ლიბერალებს და სამუდამოდ გააქრა ისინი სამარცხენო ბოზე. ფორმულია: „სისამკლისადმი შეგუებით“. — წერდა ლენინი სტატიაში „კილდე ერთი ლაშქრობა დემოკრატიის წინააღმდეგ“⁷ ამ ლენინი იყენებს გამოთქმას შჩედრინის ზღაპრიდან „ლიბერალი“, რომელშიც მწერალი დასცინის რუსეთის ლიბერალურ ბურჟუაზიას. მწერალი ამ ზღაპარში მოკვიბირობს, რომ ერთ ქვეყანაში ლიბერალი ცხოვრობდა ყოველი საზოგადოების საფუძელად იგი თვლიდა, სამ ფაქტორს: თავისუფლებას, უზრუნველყოფას და თვითმოქმედებას. მაგრამ ეს ლიბერალი არ მოითხოვდა ძალადობას, ექლში ხელისწაჭვებს. არამედ ყველთერის „შეძლებიანდაგვარად“.

ერთ დღეს ლიბერალი მეგობართან ერთად ქებაში მიდიოდა. უცხად ლოყაზე წინწყლები დეცია, გაუკვირდა. წვიმა არ მოდიოდა, სიიდან მოვიდა ეს წინწყლები?

1. ვ. ი. ლენინი, ტ. 6, გვ. 310.

2. ვ. ი. ლენინი, ტ. 12, გვ. 415.

3. ვ. ი. ლენინი, ტ. 17, გვ. 35.

4. ვ. ი. ლენინი, ტ. 18, გვ. 377.

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 35, გვ. 42.

2 ვ. ი. ლენინი, ტ. I, გვ. 343.

— აი გახედვ, ერთხელე ვილაც კაცი მიმალულა, უბასუხა მეგობარმა: — ეს იმის საქმეა სურვილია აიტანა მოეფერებენინა შენთვის შერი ლიბერალური საქმეების გამო, ხოლო პირდაპირ ეს ვერ ჩაუდენია, ვამბედაობა არა ჰყოფნის, და აი „ფლოდობასთან შეფარდებით“ ერთხიდან ქურდულად გააფურთხა და ნიავეა წინწკლები მოგაყარა“. ამიტომ უყვარდა ეს მშვენიერი ზღაპარი ლენინს და სოციალიზმის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ხშირად იყენებდა მას.

შენდრინს აქვს მშვენიერი ნაწარმოები „კარჩხანა თევზი იდეალისტი“, რომელშიც უბუნური რადიკალიზმის სოციალისტური სახეა განზოგადოებული, მწერალი დამაცივის სწორედ იმას, რასაც ლენინმა „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი“ უწოდა.

შენდრინის მხატვრული სახე „კარჩხანა თევზი“ ღრმად შეიჭრა რუსულ სასაუბრო და წერით მტრეფელებში. იგი ვახდა სიმბოლო იმ ადამიანისა, რომელიც თავნება და ყოყობა, რომელსაც რეალური ცხოვრების არაფერი ესმის. ლენინმა ამ ზღაპრის მხატვრული სახე გამოიყენა 1911 წელს ნაშრომში „ჩვენი გამოუქმებელი“, რომელშიც ვკითხვლობთ: „...ალბათ, საქმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, კადეტების პოლიტიკური მოღვაწეობა არ იქნება „უნიყოფი — ანუ მარტო ვეზულების რეაქციული „დიდნყოფიერების“ გამო, არამედ იმის გამოც, რომ, ვიღრე დემოკრატის პოლიტიკური კარჩხანა თევზები ჰყავს, ლიბერალიზმის დღევნასაც ვეცხოვრებათ. ვიღრე ასეთი მერყეობა სოციალიზმში, ასეთი მოღუნება დემოკრატიაში, რაც მეტად თვალნათლივ გამოხატულია პორტრეტისთანა პირებით, მანამდე ლიბერალიზმის „ემპირიკოსებს“ ყოველთვის ეყოფათ მთხერტება ამ კარჩხანების დესაქტირად“.¹

მ. გორკი თავის „რუსული ლიტერატურის ისტორიაში“ წერდა, რომ შენდრინმა ყველაზე კარგად ასახა რუსეთის ინტელიგენციის ისტორია 50-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე. იგი ღვირვირებულად უყვარებდა ცხოვრებას, მწარედ დამციროდა ყველას და ყვოლაფერს, მისა სიცილი იყო გოგოლის სიცილზე უფრო გამაყრებელი და უფრო მართალი, უფრო ღრმა და ძლიერამოსილიო.

როგორც ცნობილია, შენდრინმა „პოშეხონის ძველ ამბებში“ ძალიან მწარე, მაგრამ სრულიად მართალი სიტყვა თქვა ბატონყმობის საშინელების შესახებ. ავტორი აღწეოთებულა იმით, რაც რუსეთში ხდება, ყმების საში-

ნული მდგომარეობა, დამცირება, უხევე გეფელება და ანერად აედება, მებატონეების თავხედობა ყოველგვარ საზღვარს სტრეფელებს.

ეს ნაწარმოები მეფის რუსეთის დესპოტიზმის წინააღმდეგ მიმართული ნამდვილი საბრძოლველო აქტია, რომელშიც ნათლად ჩანს გასული საუკუნის 50-იანი წლების რუსეთი, „ხალხთა ეს საპყრობილე“. ვ. ი. ლენინი ს. ი. ცდებრბაუმისადმი მიმართულ წერილში (1901 წლის ივლისში) შენიშნავდა, რომ საქორა და რასმულობა, „...საერთო-რუსული საქმის გაძლოლა. ნაცვლად ამისა კვლავ კენტარული მუშაობის, ადგილობრივი შეზღუდულობის წახალისება და საერთო — რუსულის ნაცვლად რადაც პოშეხონურა სოციალ-დემოკრატის განკითარება, — ეს მხოლოდ პოშეხონერობა იქნება, ეს არ შეიძლება სხვა რამე იყოს“.¹

ლენინს შენდრინი მიაჩნდა, უნივერსალ მწერლად, მხატვრული სიტყვის გენიალურ ოსტატად, რომელიც დიდი სიმართლით აღწერდა მემამულურ-თავადახნაურული რუსეთის ყოფა-ცხოვრებას. ილინს მოსწონდა შენდრინის წერის მანერა, მისი სატრა. შენდრინის შემოქმედების საფუძვლიანი გაცნობა დაეჭმარა ლენინს უკეთ შეეცნო ცხოვრება, იმდროინდელი ყოფა, ზნე-ჩვეულებანი, სხვადასხვა სოციალური წგუფის ადამიანთა კულტურული და მორალური ფიზიონომია, ლენინი თვლიდა, რომ შენდრინის სატრა დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობისა იყო. ღრმა შინაარსა, სიმართლე, ჭასიათის გახსნის ორიგინალური მანერა, სრულყოფილი მხატვრული ფორმა — აი, შენდრინის ნაწარმოებთა ეს ძირითადი იდეურ-ესთეტიკური თვისებები ზიბლავდა ლენინს მთელი ცხოვრების მანძილზე.

ლენინი წერაღში ს. ი. გუსევისადმი აღნიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატ მწერლები მოწყვეტილი არიან ხალხისაგან და მოპკონდა შენდრინის ცნობილი გამოთქმა „ქრული წერილებიდან“, სადაც იკითხება: «Что литератор подписывает, а он, читатель почитывает» ამ გამოთქმის გამოყენებით ლენინმა გვიჩვენა ბერკეუახიულ საზოგადოებაში ის უფსკრული, რომელიც მწერალსა და მკითხველს შორის არსებობს.

ლენინის მიერ შენდრინის მხატვრულ სახეთა გამოყენების ყველა შემთხვევის აღნიშვნა ძალიან შორს წაიყვანდა. მაგრამ არ შეიძლება არ შეეჭრდეთ იმაზე, თუ რა მიზნით მიმართავდა იგი უკვლავ „პომბადერების“ ცალკეულ პასაჟებს.

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 17, გვ. 58.

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 34, გვ. 75.

„პოპმადურებში“ შჩედრინი დიდი ვაზღველობით აშქარავებს მისდროინდელ სახელმწიფოებრივ წყობას, მეფის მოხელეებს, ბიუროკრატთა სიბრძევეს და მათი გონებრივი განვითარების სიჩუნივს, შჩედრინის სატირა მუდამ ეყოლია ზემოქმედებას ახლენდა მასებზე. „პოპმადურების“ შესავალში, რომელსაც ეწოდება „აეტროსიანა“, შჩედრინი წერდა, რომ „ჩვენი ახალგაზრდა „პოპმადურები“ ხშირად მოჰპარტავენ ხოლმე განმარტებისათვის, ამათუ ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცეთო, ეს მომართვები ერთობ ისე მდგომარეობაში მყოფებენ, ვინაიდან მე არც მდინებნი მყავს და არც კანცელარია მაქვს, რის გამოც იძულებული ვარ ხოლმე უსუსობად დაეტოვო ამ წერილების უმეტესობა“.

ვ. ი. ლენინს თავის ნაშრომებსა და სტატიებში „პოპმადურების“ მხატვრული პასაჟები ცამეტჯერ აქვს გამოყენებული.

შჩედრინისაღმა ლენინის პატივისცემაზე ისიც მიგვიჩივებს, რომ ელადიმერ ილიას ძის პირად ბიბლიოთეკაში, კრემლში, დღემდეა დაცული შჩედრინის თორმეტობიანი, ცალკეული ნაწარმოებები და აგრეთვე კრიტიკული ლიტერატურა მხატვრული სიტყვის ამ გენიალურ ოსტატზე.

6. 3. გოგოლი

გოგოლს პატივს სცემდნენ და დიდად აფასებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის, კლასიკოსები. ცნობილია, რომ მარქსი და ენგელსი, ჩერნიშევსკის გარდა, რუსი კლასიკოსებიდან იცნობდნენ გოგოლს, ლერმონტოვს, ტურგენევისა და სხვ. პოლ ლაფარჯის მოგონებებიდან ვგებულობთ, რომ მარქსი რუსი პოეტებისა და პროზაიკოსებისაგან ყველაზე უფრო აფასებდა პუშკინს, გოგოლსა და შჩედრინს.

დიდი ბედად თავის თეორიულ გამოკვლევებსა თუ საერთაო და საგანგებო წერილებსა და სტატიებში ხშირად, ძალიან ხშირად იყენებდა გოგოლისეულ მხატვრულ სახეებს. ლენინი მათ მიმართავდა ლიტერატურული პოლემიკისას ნაროდნიკებთან, გენოზისიტებთან, ლევაღერ მაქსისიტებთან, მენშევიკებთან თუ მუშათა კლასის სხვა მტრებთან ბრძოლაში.

ლენინის თხზულებებში ცოცხლობს გოგოლის მრავალი მხატვრული სახე. ცხოვრობენ ისინი მრავალი სხვა შერლის მხატვრული სახის გვერდით, ზოგჯერ ერთად, ზოგჯერ კიდევ ცალ-ცალკე. მაგრამ უნდა შევინიშნოთ, რომ ლენინურ სტრატეგიაში მხატვრული სახე ცხოვრობს თავისი განსაკუთრებული სიციხილით, ისინი ადვილად გამოიყენებიან, მაგრამ ინარჩუნებენ რა ძველ ნიშან-თვისებებს, რომლებიც ზვეთვის კარგადაა ცნობილი ვერ კიდევ სასკოლო მერხიდან, ისინი მანც ღრმად ახ-

ლებურიც, სულ სხვაა. აღსაქვს სხვაგვარი შინაარსით. ეს სხვადასხვაობა მჭიდროდ შეინარჩუნებს ნაარსი კარგად შეინიშნება მხატვრული სხვადასხვა ნაშრომში გამოყენებულ გოგოლის ერთსა და იმავე მხატვრულ სახეში.

ზემოთაუ აღნიშნეთ, რომ გოგოლს ძალიან ხშირად მიმართავს ლენინი ციტირებისათვის. ამ მხრე პირველობა, მართალია, შჩედრინს ეკუთვნის, მაგრამ მეორე ადგილზე მიიწე „რევიზორის“ ავტორია. ლენინის თხზულებებში გვხვდება გოგოლის მიერ შექმნილი ოცდაათი ტიპი: მანილოვი, ნოზდრიოვი, ხელსტაკოვი, სოხავეიჩი, კორობოჩკა, ივან ივანოვი და ივან ნიკოლოვიჩი, ტრიპინიჩი, პეტრუშკა, ოსაპი, პოზინსკი და დოზინსკი, ივან ფედოროვიჩ შონკა, დერემორდა, აფანია ივანოვიჩი და პულხერია ივანოვანა, გოროდინი, ჩირიკოვი, აქაი აკაიევიჩი, სულელი პოპრიშინი, კიფა მოკიევიჩი, ავთია ტიხონოვანა, უნტეროვიცის ქვრივი და ქალი, ყოველმხრე სასიამოვნო. ამასთან ერთად ლენინი ხშირად ასეთ გამოთქმებსაც: „გოგოლის ტიპები“, „გოგოლისეული ჩინონიები“ და სხვა. ლენინის თხზულებებში 150-ზე მეტი გოგოლისეული ციტატაა შესული.

ლენინი ნაშრომში „მენშევიზმის კრიზისი“ (1906 წ.) იყენებს გოგოლის ერთ მხატვრულ სახეს მოთხრობიდან: „ივან ფედოროვიჩ შონკა და მისი დედა“, სადაც გოგოლი ხატავს უწინაა მუშაშულეს შონკას რეალისტურ სახეს. როცა მას 37 წელი შეუსრულდა, დეიდამ ვაღაყიჯია მისთვის ცოლის შერთვა. შონკა შეხვდა საცოლეს, ერთი საათი მოუნდა იგი თქმას, რომ „ზაფხულზე ძალიან ბევრია ბუზი“. შონკას პიროვნების უღარღლეობა, მოუქნელობა, ინდიფერენტულობა მშვენივრად გამოიყენა ლენინმა იმის ნათელსაყოფად, რომ მენშევიკები რეალისტით დინტერესებული არ არიან. ზემოთაუხებულ ნაშრომში ლენინი წერდა: „პასიურბა მწიბურტყეობილი ინტელიგენციის თვისებაა და არა რეალისტისა. პასიურნი არიან ისინი, ვინც აღიარებს არმის ავსებას უმყოფილო სოფლის ელემენტებით, მუდმივი მუღყარებისა და მცირე ბრძოლის აუცილებლობას, — და ამავე დროს ივან ფედოროვს ძე შონკის უღარღლეობით ანუ ვებს მუშათა პარტია: „არსითონ რეალისტია აწანების გზით არ მიდისო“!

ლენინი განმარტავს, თუ რა არის მანილოვობა? და წერს: „ერთი საგანგებო შენიშვნის გამო“ (1897 წ.) აღნიშნავს, რომ ნ. ლევიტსკის „წინადადებანი წარმოადგენენ იმ ჭეშმარიტად მანილოვისებური პრაქტიკურობის კიდევ ერთ, და თანაც მეტად მკაფიო მაგალიტს, რომელსაც ნაროდნიკობის უბლიკისტებმა

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 11, გვ. 412.

2 ვ. ი. ლენინი, ტ. 1, გვ. 382.

შიაჩვენებს რუსეთის საზოგადოებას.¹ ვ. ი. ლენინი ამ წერილში, სხვა ადგილას, კიდევ ურჩევრ იყენებს მანილოვის მხატვრულ სახეს. დამკვიდრებული ნაწილში ვითხოვლობთ: „ყოველ ნაროდნიკში მანილოვი ზის“.² ვ. ი. ლენინი ამ დრამის დედაზრს ასე ხსნის: „სინამდვილის რეალური პირობების და ნამდვილი გეგმობით, იგი ევოლუციონურად უფრო მეტად, რუსეთის საზოგადოების ცალკეული კლასების რეალური ურთიერთ-დაპირისპირებების ინტერესებს ვ. ი. ლენინის სტრუქტურის უქონლობა, სამშობლოს „საქირობებისა“ და „სევებუღე“ ზემო და ამსჯელობის ჩვეულება, რუსეთის თემებისა და არტისტებში დარჩენილ შეთავაზებებში კავშირთა უბადრეო ნაშთებით უყოფლობა, უფრო განვითარებული კაპიტალიზმის დამახასიათებელი გაცილებით უფრო განვითარებული კავშირთა უფრო მეტად დაკავშირებით, — ყველა ამ თვისებებს ამა თუ იმ ზომით უოველ ნაროდნიკში იბრუნეთ.“³ ამ ნაწილში გოგოლისეული მხატვრული სახის პოლიტიკური მიზნებით გამოყენების კლასიკური ნიმუშია მოცემული. ლენინს ღრმად ესმის მანილოვის სახის არსი. მან იგი რეაქციონერი ნაროდნიკების ილუზიების კრიტიკისათვის გამოიყენა. მართლაც, მანილოვი თვითმკაცრად ფილისტერია, რომელსაც არავითარი მიზანი არ ამოძრავებს: იგი ტყვება უქმი ცხოვრებით, ზარმაცთა და უქნარა, არსებითად იგი მედარის სულია. მანილოვი არავითარი საზოგადოებრივი ინტერესები არ ამოძრავებს, არ უყვარს სწავლა-განათლება, წიგნები, ორი წელია მის კაბინეტში დევს წიგნი, მე-14 გვერდზე გადაშლილია. მანილოვზე უმეტესად იტყობა კაცი: „არა ჯანდაბა, დასწევროს ღმერთმა“, და მოწონებდებოდა მანილოვს, ან, თუ არ მოწონებდებოდა, იგარანობდათ საშინელ მომხრეებს.“ — წერს გოგოლი. მანილოვი ზრდილობიანი, მეოცნებე, უსაქმური, შვილების მოყვარული, მოჩვენებით — ნატი მუდღეა და სტუმართომობით მამობელი. მის ირგვლივ მოვლენების ვითარება ძალიან მდორეა, კეს ნაპოვით, მემამულური ტემპით.

პირველად მანილოვის სახე ლენინთან გვხვდება 90-იან წლებში, როცა რუსეთში ზრდება მეშათა მოძრაობის ზრდა.

ლიბერალური ნაროდნიკები თავიდან ბოლომდე მოკიდებენ იყენენ, ფანტაზიორები, უტოპისტები და საბოლოო მასშტაბით — რეაქციონერები. ღიბს, მანილოვი-ნაროდნიკები არიან რეაქციონერები, რომლებიც ისტორიის ჩარხს უკან ეწევიან, რევოლუციურ ბრძოლას ამხრებენ. მანილოვი-ნაროდნიკი უფრო მეტი მწვავე სოციალური მინაპრითაა გატენილი, ვინც

„მეკადარი სულებს“ მანილოვი, ამ აზრით ვამბობთ ჩვენ, რომ ლენინის თხზულებებში მანილოვის გმირები ახალი სოციალური მხარეობის მხარეა.

უკანასკნელად მანილოვი ლენინის თხზულებებში ჩანს 1917 წლის რევოლუციის ეპოქაში. ამ ისტორიულ საფეხურებზე მანილოვი-შინამ ახალი, ყველაზე მწვავე აზრი მიიღო: მანილოვი-შინის ევოლუციონის დებულებები კარგად აღემატება და რევოლუციონისტების — რევოლუციონის გამცემლები, პროლეტარიატის საშინო მტრები.

ლენინმა გვიჩვენა, რომ მანილოვი-შინა უფრო მეტი მოვლენა ჩადია. არამედ რეაქციული, სოციალურად მანე მოვლენაა, რომელსაც უოველნიარად უნდა ევბრძოლოთ.

მანილოვი-შინა უნიდავო მეოცნებობას, უმოქმედო-განდრჩეველ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი. ერთგან ლენინი შენიშნავს, რომ „...ჩვენ მტრები ვართ უხანაშ მანილოვი-შინა“.

სობაკევიჩი მხატვრულ სახეს ვ. ი. ლენინი იყენებს ნაშრომში „კაბინეტის განვითარება რუსეთში“ (სქოლიოში). ამ ნაშრომის მეორე გამოცემაში ლენინმა სქოლიო შეასწავა. პირველი გამოცემის შენიშვნაში მანილოვი და სობაკევიჩი ერთმანეთს გვერდით იყო უბრალოდ მოხსენებული. ეს იყო მე-19 საუკუნის 90-იანი წლების დასასრულს. ნაშრომი „კაბინეტის განვითარება რუსეთში“ იწერებოდა 1896-1899 წ. 1907 წელს, როცა ლენინმა ხელახლად გამოსცა ეს ნაშრომი, გვარებს — სობაკევიჩი და მანილოვი დაუმატა მათი „პარტიულობა“ — კადები მანილოვი და შვარცხელი სობაკევიჩი. ამით ლენინმა ხაზი გაუსვა მათს ერთიან კლასობრივ ინტერესებს: ორივე ეს ტიპი ერთსა და იმავე საქმეზე ზრუნავს — კაბინეტის განვითარების პრუსიული ზვის შენარჩუნებაზე. მომდევნო წლებშიც ლენინის ნაწერებში გვხვდება სობაკევიჩი, შვარცხელი უკვე გარემოებასთან დაკავშირებით. ნაშრომში „ისკრის რედაქციონი“ ვასილის გარემოებათა შესახებ“, რომელიც დაწერილია ენევაში 1904 წლის 20 თებერვალს, ლენინი აკრიტიკებს მარტოვის, აქსელროდისა და პლეხანოვის პოზიციას და აღწერს იმ მიზეზებს, რომლებმაც განაზღვრეს მისი ვასილა „ისკრის“ რედაქციონი. ბოლოს დასძენს: „ამგვარ სადავო საკითხებს დაწერალებით შეეცხები ბროშურაში, რომელსაც ახლა ვამზადებ დასამუშავდ. ჭვრეტრობით კი... ჭვრეტრობით ვი დაფათვლიერათ გოგოლის ტიპების გაღერვა. გახსნილი ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოს მიერ, რომელმაც წესად გაიხადა მთავრებისათვის გამოცანების მიცემა. ვინა ჰგავს სწორ-ხაზოვან სობაკევიჩს, რომელიც ყველას ფებს

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 2, გვ. 387.

² იქვე, გვ. 395.

³ ვ. ი. ლენინი, ტ. 2, გვ. 395.

1. ვ. ი. ლენინი, ტ. 19, გვ. 447.

ნოების ბაგეებს მივაყვებთ ივანე კუზმინის ცხვირს... მე მაშინ ვავთხოვდებოდი“.

ლენინის ნაშრომებში ხშირად მოხსენიებულ მხატვრულ სახედა ვალერეას გვეთვის ვოგოლის „რევიზორის“ პერსონაჟები. ერთი რეჟისორი კრიტიკოსი „რევიზორზე“ წერდა: იმდენი რამ მსმენია ამ კომედიის შესახებ, რომ შორიდან შეეცემა მისი მყარად სენი. აგრეთვე გამოვგონებია რაღაც ახარებელი რუსეთი და შიგ რაღაც საკვირველი ქალაქი, სადაც მას თავი მოუყრია ყველა სისამაგლისათვის, რომლებსაც მხოლოდ აქა-იქ თუ შეხვდებოდა ცივი ნამდვილი რუსეთის ზედაპირზე. რამდენი გაიჭიკინა, რამდენი ზნედაცემულობა და უმწყობრება დაუგვარებია ავტორს. ჩვენი ბოიარები იცინიან, ისინი უსაქმური ხარბებუები არიან, რომლებიც პეტერბურგისა და მოსკოვის იქით რუსეთს აღარ იცნობენო.¹

„რევიზორს“ ვოგოლი ეპიგრაფად ასეთა ხალხური ანდაზა წაუძმღვარა: „სარკეს რას უმართლებს თუ საზე მოდრეკილი გაცქისო“, ხალხი ერთ-ერთ წერილში „რევიზორის“ ავტორი წერდა: „დაციენის ეშინია თავით იმასაც კი, ვისაც ქვეყნად აღარავისა ეშინია“.² დიდი ლენინი აღნიშნავდა რა სიცილის მომაცვედინებელი ძალის შესახებ, წერდა: „მართლაცდა, ჩანს რომ კაცური ისეთ ქვეყანაში წერს, სადაც პოლიცია ხალხს უკრძალავს „გროვად“ სიცილს, თორემ კაცური სიცილით იქნებოდა მოკლული“.³

ლენინიან გვხვდება ვოროდინის მხატვრული სახე. იგი სამხატვრო დახერხებული საყმაოდ ტყვიანი აღამაინა. მეჭობაშეა, მაგრამ თავი ყოველთვის დარბაისლურად უქირავს, რეზონორია, ლაბარავოს, არც ხმაშაღდა, არც ხმაშაღდა. არც ბეგრსა და არც ცოტას. შიშიდან ხიშხაღებუზე და სიშხაღიდან შედიდებობაზე გადასვლა სწრაფად იცის. ასე ახასიათებს ამ ტიპს ვოგოლი. ლენინი სტატიის „სინანული და სირცხვილი“ (1917) ლიბერალური ბურჟუაზიის აღარებს ვოროდინის: „ლიბერალური ბურჟუაზია კარგოვრ ვოროდინის მიერ შენიშნული ვაჭურვანა, ლარტულად უკან-უკან იხევს და უკანდახვევისს ბურჟუნებს: მე უნაშაბ, მე მრცხენია... რომ თქვენ ასე ახურად მიგვლებთო“.⁴

ბ. პ. ჩახოვი

ლენინის უფროსი დის — ანას მოგონებებიდან ვიცით, თუ როგორი ძალადარი ზეგავლენა მო-

ხდინა ვალოდიაზე ჩეხოვის მოთხრობის „პალატა ჩინის“ კითხვამ. ანა ილიას ასული ვალოდია გვეცხე: „მეხსიერებაში დამჩნა ვალოდია სახეობარი იმ პერიოდში ერთერთ — ეტრნალურ დაბეჭდილ ჩეხოვის მოთხრობასთან დავაშინებრებით („პალატა ჩინი“). ამ მოთხრობის წაქითხვის შემდეგ ვალოდიამ თავისი შთაბეჭდილება შემდეგი სიტყვებით გადამოსცა — გუშინდამ როცა ეს მოთხრობა წავიკითხე, ისე საშინელ გუნებაზე დავდებქი, რამ თითხნი ვერ მოვიცადე. ვარეთ გამოვედი. ისეთი ვრმობა მჭონდა, თითქოს პალატა ჩინში შე ვიქექე. ეს იყო გვიან საღამოს, ყველას ეძინა. ვალოდისა არ შეეძლო თავისი შთაბეჭდილება ვინმესათვის გეზიარებდა...“

პ. ი. ლენინი თავის უკვდავ თხზულებებში ხშირად იყენებს ჩეხოვის მხატვრულ სახეებს. ნაშრომში „ბოლშევიკის წინააღმდეგ“ (1907 წ.) იგი აზრგაღებს რუსეთის რევოლუციის ბელოვრის სათაბბროს ბოიკოტის გამოცდალებას. ლენინი წერს: „მთელ მენშევიკურ ლიტერატურაში, განსაკუთრებით 1905 წლის ლიტერატურაში (ოქტომბრამდე), წითელ ზოლად ბრის გატარებული „პირდაპირობის“ დაბარლება ბოლშევიკებისათვის, დარეგებანი მათ მიმართ იმის შესახებ, რომ საჭიროა ანგარიში გაუწიოს მთხვეულ-მოხვეულ გზას, რომლითაც ისტორია მიდის. მენშევიკური ლიტერატურის ასეთი ხასიათიც ნაშეში იმაზე მსგელობისა, რომ ცხენები შერასსა სუამენ, რომ ეოლგა კასიის ზღვას ერთვის. — მსგელობისა, რომელიც უდგავს კემპარბრების დეკლეთ აბუნდოვანებს იმის დედაარის, რაც საღადავაო“.¹ ამ მშვენიერად არის გამოყენებული ჩეხოვის მოთხრობის („სიტყვიერების მასწავლებლის“) მოქმედი პირის — გეოგრაფიის მასწავლებლის ბოლიტენ ბოლიტენ მე რიცივის მხატვრული სახე. იგი, როგორც ნაწარმოებიდან ვიცით, „ან სდუმდა, ანდა ლაპარაკობდა იმის შესახებ, რაც ყველამ დიდობანა იცოდა, მაგ. ეს მასწავლებელი ამბობდა: „ტანსაცმლით დამოლა არ შეიძლება. ამით ტანსაცმელი ფუქვდება. უნდა დავაძინოთ ქვეშაგებში გახდილი, ეოლგა ერთვის კასიის ზღვას, ცხენები სუამენ ქერსა და თივას, საყვების გარეშე აღამაინებს არ შეუძლიათ არსებობა“ და პ. შ. ლენინმა ეს სატირული ტიპი მშვენიერად გამოიყენა ხალხის მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. ილინი იმავე ნაშრომში ერთხელ კიდევ ამახილებს ყურადღებას ჩეხოვის მხატვრულ სახეზე და მოუთითებს: „ერთი შეხედვით, მენშევიკების პოზიცია ამ საკითხში მართლაც შეიძლება ისევე უდავოდ მოგჩვენოთ, როგორც იმ აღამაინის პოზიცია, რომელიც თვითმკაცოფილებით ასწავლის და-

¹ ფ. ვოგელი, ჩანაწერები, 1928, ტ. 11, გვ. 327. რუს. ენაზე).
² ფ. ვოგელი, თხზ. მოსკ., 1952, გვ. 399.
³ პ. ი. ლენინი, ტ. 28, გვ. 288.
⁴ პ. ი. ლენინი, ტ. 17, გვ. 218.

1. პ. ი. ლენინი, ტ. 13, გვ. 10.

ვის მოყვასთ, ცხენური შერჩის სპაშენოთ.¹ მომდევნო ვეგრძნე ლენინი კიდევ უფრო აფორკეტებს ჩეხოვისეული მხატვრული სახის დედნაბრს: „აქსეროლოდია და პლენარისთვის ამონებებელი კემშარიტება ისევე მცირედ ვგანათლებთ ამ საკითხებში, როგორ მცირეა იმისი ცოდნა, რომ ცხენები შერჩის სპაშენ, შესაფერის ცხენის ასარჩევად და ცხენოსნობის ცოდნისათვის.“²

ვენიკლურ ნაშრომში „სახელმწიფო და რევოლუცია“ (1917 წ.) ლენინი, აკრიტიკებს რა კავუცის ოპორტუნისშს, მიუთითებს, კავუცის მიერ მოყვანილი საბუთები „ისევე თავისთავად ცხადია, როგორც ის კემშარიტება, რომ ცხენი ჰამს შერჩის და რომ ეოლვა ერთვის კასპიის ზღვას.“³

ვ. ი. ლენინი ჩეხოვის მშვენიერ მოთხრობაში „სულოკო“ დაინტერესდა კოლევკის ასესორის პლემიანიეოვის ქალიშვილის ოლენკას (ზედმეტ სახელად სელიკო) სუსტი ხასიათით. ოლენკის საიდუმლოს დამალვა არ ეტერხებოდა, საყუთარი აზრი არაფერზე არ ჰქონდა და სხვისას თეთიყუმივით იმერობდა. ამ მხატვრულ სახეს იყენებს ვ. ი. ლენინი მენშევიეების ერთ-ერთი ლიდერის, პოტრესოვის დასაბასიათებლად და თავის პატარა მაგრამ ღრმამინაარსიან სტატიას ასე ასათურებს „სოციალ-დემოკრატიული სელიკო“ (1905 წ.), რომელიც იმდენად საყურადღებო შინაარსისაა, რომ მთლად შეგვეავს:

„სოციალ-დემოკრ.“ სასიხარულოდ ამხ. სტაროვერი ახალ „ისკრაში“ განავრძობს იმ ცოდნის ზონანობას, რომლებიც მას (უგუნურობის გამო) ძველ „ისკრაში“ ზონაილეობით ჩაუდენია ამხ. სტაროვერი ძალიან წაავგეს ჩეხოვის მოთხრობის „სელიკოს“ გმირ ქალს. სელიკო ჯერ ანტრპრენიორთან ცხოვრობდა და ამბობდა: მე და ვანიჩკა სერიოზულ პიესებს ვვრდებით. შემდეგ ის ცხოვრობდა ზე-ტუის ვეპართან და ამბობდა: მე და ვასიჩკა აღმფოთენული ვართ ზე-ტუის მაღალი ტარაფითო. პოლოს, ის ევტერიანართან ცხოვრობდა და ამბობდა: მე და კოლიჩკა ცხენებს ვმყურნალობთ. ასევე იქცევა ამხ. სტაროვერი „მე და ლენინი“ მარტინოვს ვავინებდითო. „მე და მარტინოვი“ ლენინს ვავინებდითო. ძვირფასო სოციალ-დემოკრატიული სელიკო! ხეალ ვისადა ჩაეკონება?⁴

ლენინი აკრიტიკებს პოტრესოვს, რომელმაც 1905 წლის ნოემბერში სტაროვერის ფსევდონიმით მენშევიურ ვაზეთ „ისკრაში“ მოათავსა ფელეტონი „ჩვენი მარცხი“. პოტრესოვი განუდგა ლენინსა და პოლშევიებს. პოლშევიე-

რი „ისკრის“ ძვირფას ტრადიციებს სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ვ. ი. ლენინმა დაწერა ზემოთდასახელებული სტატიები.⁵

ჩეხოვის მხატვრული სახტემადანსტრუქტურადა ვ. ი. ლენინი მიმართავდა ბელიკოვს, გიმნაზიის მასწავლებელს („კაცო ფეტლიარში“). თავის თხზულებებში ამ მხატვრულ სახეს 21-ჯერ მიმართა. ვინ იყო ბელიკოვი, რატომ დაინტერესდა ვ. ი. ლენინი ამ მოქმედი პირით? ბელიკოვი გიმნაზიის მასწავლებელი იყო „იგი ყოველთვის, მშვენიერ დარზიაც კი, კალოშებით, ქოლგით და უამწილად დაბამებულ, თბილი პალტოთი გამოდიოდა. მას ქოლგაც შალითაში ჰქონდა, საათაც ნაცრისფერი ნატის შალითაში ედო, როდესაც ჯობის დანას ამოიღებდა ფანქრის წასათლელად, დანაც კი პატარა შალითაში იყო და ასე გვეგონებოდათ, თითქოს სახეც კი შალითაში აქვსო, ვინაიდან მისი სახე მუდამ ჩააბლული იყო აწეულ საყელოში. ის შავ სათიარეებს ხმარობდა, ფუფაია ეცემა ყურებს ზამთით იცობდა და, როდესაც ეტლიმ ვდებოდა, ეტლის ზედს აწევენებდა ხოლმე. ერთი სიტყვით, ამ კაცს ემჩნეოდა მუდმივი და გდაუღუბავი მისწრაფება იმისადმი, რომ გარსი შეექმნა თავი ირგელო, გაეკეთებინა თავისი თავის, ასე ვთქვათ, ფეტლარო, რომელიც ვანამარტოვებდა მას, ღაცავდა გარემუ გავლენისაგან, სინამდილე ანერგელებდა, აწინებდა. მუდამ ამფოთებდა და, შესაძლებელია იმისათვის, რომ გაემართლებინა ეს თავისი სიმძალე, თავისი ზიზღი აწყოსადმი, მუდამ აქებდა წარსულს და იმას, რაც არასოდეს არ ყოფილა, ძველი ენებაც, რომლებსაც ის ასწავლიდა, მისთვის არსებობდა იგივე, კალოშები და ქოლგა იყო, რითაც ემალბოდა რველურ ცხოვრებას“. ბელიკოვს ყველაფერი აწინებს. ის ყოველთვის იმის ფაქტშია: „მაგრამ ვაი თუ რამე მოხდება“.

მეოთხე ტომში შეტანილია სტატია „მთვარის მოტყევაზე“. კინდლერის ლექსიკონში ეს მე-ოთხე ინფორმაციაა კ. გამსახურდიას ქმნილების ირგვლივ. მეორე ტომში შეგვხვდა სტატია — „აღმოსავლეთის მარჯვენა“ (გვ. 1231). არც ერთ ამ წერილში არ არის მო-ცემული რაიმე მნიშვნელოვანი ცნობა. აქ მხო-ლოდ ინფორმაციები ქმნილებათა დაწერასა და დაბეჭდვაზე და წინაარსთა რამდენადმე უხტა-გადმოცემა უდავოდ ვახვადებულაა კ. გამსა-ხურდიანზე ევროპისა დაკავშირებული ლიტერატუ-რის გავლენის ფაქტი და მცდარია მითითება ამ გავლენის ვითომც დადებითი მნიშვნელობის შესახებ.

განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენი-ლი მსჯელობა „ქილილასა და დამანას“ შესახებ. ამ ძველის ქართული ვერსია გარჩეულია მთელ მსოფლიოში გავრცელებული ვერსიების ფონ-ზე. სტატიაში აღნიშნულია, რომ ეს წიგნი ინ-დური ზღაპრების კრებულია, შემდეგ აღმოსავ-ლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში გავრცელებ-ული. ნაჩვენებია ინდური წყაროების საფუ-ძველზე წიგნის თანდათან შექმნისა და შემდ-გომი დამუშავების პროცესი, აღნიშნულია, რომ არსებობს „ქილილას და დამანას“ ორი რედაქ-ცია: აღმოსავლური და დასავლური. და რომ ეს რედაქციები კვლავ ვერსიებად იყოფა, კერძოდ, აღმოსავლური რედაქციაში შედის: ორი სირიული, ორი არაბული, ორი ირანულ-ახალსპარსული, ორი ებრაული, სამი თურქული, ერთი ქართუ-ლი, და ორი მალაიური, სულ შვიდი ვერსია

(გვ. 254—263). დასავლურ რედაქციაში გაერთიანებულია: ბერძნულ-ბიზანტიური, სლავური, ორი ესპანური, ორი შუასაუკუნეობრივი, გერმანული და ორი იტალიური, სულ ექვსი ევრსია (გვ. 263—270). მამსალამე, კინდღერს ლექსიკონში გარჩეულია „ქილილას და დამანას“ 13 ევრსია.

ზუნებრივია, რომ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ქართულ ვერსიასთან დაკავშირებული ცნობები (გვ. 260-261).

ქართულთა შორის—ნათქვამია სიტყვარში—დღეს გაერცლებულა „ქილილა და დამანას“ მეფე დავითსა და მეფე ვახტანგ VI მიერ თარგმნილი ვარაზტები. თუმცა, აღზათ ბევრად ადრე, ვერ კიდევ მე-11-12 საუკუნეებში იქნებოდა იგი თარგმნილი სპარსული ენიდან. ეს პირველი თარგმანი დღეს დაკარგულად უნდა ჩითვალს. მეფეთქსმეფე საუკუნის დასასრულისათვის — ნათქვამია ცნობარში — მეფე დავითმა დაიწყო „ეჟერი სოპილის“ ქართულად თარგმნი, რაც ვერ დაამთავრა ვარდაცვალებას გამო. შემდეგ 1710 წელს, ვახტანგ VI ორ არც თუ სახელოვან სწავლულს დაავალა ამ ნაწარმოებების ხელახალი თარგმნა. ეს საქმე მათ ოთხი წლის შემდეგ დაასრულეს, მაგრამ ვახტანგ VI არ იყო კმაყოფილი თარგმანით, თუმცა თავიდანვე ასწორებდაო მას, დიდად განათლებულმა და ნიჭიერმა მწერალმა მეფე ვახტანგ VI 1714—1716 წლებში დაიწყო მეშობა საუთარ თარგმანზე, რომელიც შემდეგ ვადაამუშავა და გაჩაღა „უღბან-საბა ორბელიანმა, სწორედ საბას უნდა ვუმაღლოდეთ თარგმანის სტილისტურ შვენიერებას და შესავალს. წერილის ავტორი იყნობს და იყენებს „ქილილა და დამანას“ უკანასკნელ გამოცემებს და მათზე დაწერილ უახლეს გამოცემელებს.

ჩვენ მეტად საინტერესოდ მოგვეჩვენა „ქილილა და დამანას“ გერმანული ვერსიის შესახებ შეცემული ინფორმაცია და, ვფიქრობთ, არ იქნებოდა მეცნიერულად უინტერესო ქართული და გერმანული ვერსიების ურთიერთთან შედარება და მსგავსება-განსხვავების აღდგენა. ასეთი ოპერაციის ჩატარება ცხადყოფდა ერთი და იმავე მასალისადმი ორი ხალხის დამოკიდებულების ნაირობას.

სარეცენზიო ტომებიდან ორი სტატია მიემდუნა ილია ჭავჭავაძის ქმნილებებს. მესამე ტომში გარჩეულია „გლახის ნამშობი“, ხოლო მეოთხეში — „ეკია აღამიანი?!“ მოთხრობილია „გლახის ნამშობის“ დაწერის ისტორია, ხოლო უფრო ადრე აღნიშნულია, რომ ავტორმა თავისი მამული გაუნაწილა საუთარ ყმა გლეხებს და, როგორც საქართველოს პირველმა დიდმა რეალისტმა მწერალმა, ადგილი დაიკავა სოციალური და რევოლუციური მოძრაობის ცენტრში. მწერალმა „გლახის ნამშობში“ გამოიყენა მცვე-

თრად გამოყვეთილი რომანტიკული მასალა, რომ ნაწარმოები შექმნა ადრე დამწერელს მცვერამ დაუმთავრებელი მოთხრობის დასრულებამდე. მასში გამოყენილია რომინ ზედის მსგავსი პიროვნება, რომელიც ვერ უახლად იქცა ნოქალიური უსამართლობისადმი პოტიესტის ნიშნად, ხოლო შემდეგ — საბარლო გლახად, დავრდომილ და სწეულ ადამიანად, რომელიც სოცდლის წინ უტხო კაცს უყვება თავისი ცხოვრების ამბავს. სტატიაში მოთხრობილია გარბო და დათიკოს ურთიერთობის ძირითადი ეპიზოდები და აღნიშნულია, რომ დათიკოს თავნება და მხოლოდ პირადი სიამოვნებისათვის მიძიებელი პიროვნებაა, რომელმაც ბევრი ადამიანი, მათ შორის სიყრმის მეგობარიც კი გააუბედურა და რომელმაც სოცდლილი მოიძიო. ●

ი. ჭავჭავაძის ამ მოთხრობაშიც, აღნიშნულია სტატიაში, ომის პოტიესტი მდიდართა თავნებობისა და ღარიბთა უფულებობის წინააღმდეგ, პოქმეფება და ხასიათების ნაირობა შეფერხილია თავისებური რომანტიკული ელფერით. აქ, სტატიის ავტორის აზრით, არ არის მძულვარება, და თვით დათიკოს მოკლეც მასსავე მკვლედა მხოლოდ თანაგრძობის აღქმავს და არა თვითმწყყოფილებას, რადგანაც ვახტარ იძულებულია შეასრულოს მხოლოდ ჰეპიანსადმი მიეცეული სიტყვა.

ოდნე განსხვავებულია ინფორმაცია „ეკია აღამიანი?!“ გარშემო. მასში ნათქვამია: მხოლოდ გავრანებულსა და დახვეწილ მამულში ნებავტორენ თავადი ლუარსაბ თათქარიძე და მისი მეუღლე დარეჯანი, რომელიც შემორჩენილით ერთადერთი დაუოკებელი ვნება — ღობრეუკლობა. კარგი სადღის შემდეგ მათ სტლი ამოდღება იმ დონემდე, რომ კედელზე ითვალონ ბუბები, მაგრამ უფრო მეტ სიამტებობილას მათ ყმა ვგო-ბიქების დაწოკება ჰვერით.

ადრე „მნათობში“ დაბეჭდილ სტატიიში ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ „კინდღერის ლიტერატურული ლექსიკონის“ დირსება-ნაყოფივანებზე. ამერიკად კი დაეშტებთ მხოლოდ შემდეგს: სხვა გერმანულ ლექსიკონებთან შედარებით აქ მრავლად და ვრცლად არის წარმოდგენილი ქართული მწერლობის ძეგლები, განსაკუთრებით თანამედროვე ლიტერატურის ნიმუშები, მაგრამ ერთი უხერხელობა მაინც შეიმჩნევა: ზოგჯერ უუთადღებოდ არის დატოვებული მცირე ზომის, მაგრამ თავისთავად მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, მაგ. „ლექსიკონში“ მსჯელობის საგნად არის ქეუელი ნ. ბარათაშვილის „ბუდე ქართლისა“, მაგრამ არაფერია ნათქვამი მხოლოდო პოეზიის უბრწყინავლეს ნიმუშზე — „მერანზე“. კინდღერის ახალი ტომების გამოსცეამ ერთხელ კიდევ ცხადყო ვერსიული მეცნიერებისა და სოცდლებების მზარდი ინტერესი ქართული მწერლობისადმი.

გზაპირის ახალი სივრცე

იმ უბრალოდ და უმდიდრეს სულიერ საგანძურში, რასაც ხალხური შემოქმედება პეტი, რაც ათეული საუკუნეების მანძილზე ხიზლავდა და კვებავდა ადამიანის გონებასა და გრძნობას, ერთი ყველაზე წარმტაცი, მომავადობეული, უბერებელი იყო და არის ზღაპარი. მას ერთნაირი გულისყურით ისმენენ კოცონთანაც და სასთუმალთანაც, თანაბარი ვატიცებით უწყალობან ბავშვებიცა და პოზრდილებიც. ზღაპარი თანა სდევს ადამიანს მთელი მისი ცხოვრების მანძილზე, ამის მიზეზი მარტო ის არ ვახლავთ, რომ ზღაპარს რაღაც ქალღმერთი კვეყანაში გადაუყვარათ და ამით ჩვენს ფანტაზიას უჭვად კვებავს. ეს უფრო ბავშვებს იტაცებს ზღაპარში. ვატილებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამ თითქმის გასართობად, თავის შესაქცევად შეიძლება დაუჭერებელ ამბავში მტყწილად დიდი ცხოვრებისეული სიბრძნეა ჩატეული. ამით კი ზღაპარი უკვე მოზრდილებს აკთხებს თავს. მაგრამ არის კიდევ ერთი რამ ზღაპარში, რაც შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს, ესაა მასში გამოხატული ჰუმანიტარული ეროვნული სული. სწორედ ამან ათქმევინა პუშკინის მშობლიურ ზღაპრებზე „რუსლან და ლუდმილას“ პირველ სიმღერაში «Там русский дух, там Русью пахнет». ხალხის მხატვრული გენიის ნაყოფში, ზღაპარში, ახ ამ სამი უმნიშვნელოვანესი თვისებით მოპოვება მართლაც ქალღმერთი ძალა და ადამიანის ცხოვრების მედ-მე თანამგზავრად იქცა.

და რაკი ასეა, ვინა შეიძლება ზღაპარი მხოლოდ ფოლკლორის კუთვნილებად დარჩენილიყო? ხალხური შემოქმედება ერთი უნო-ყურესი საზრდო იყო ყოველი ეროვნული ლიტერატურისათვის, განსაკუთრებით იმ ეპოქებში როცა მწერლობა ახლად იღვამდა ფეხს. თუმცა არც შემდგომში აერიდებია პირი უკვე მომძლავრებულ მხატვრულ ლიტერატურას ისე-

თი ანკაბა და უზრგეტი წყაროსათვის, როგორცაა ხალხური სიბრძნე, კერძოდ კი ზღაპარი. ამის უკედვე ნიმუშებად ვსოპენ იგავები, აბუ-ლუის „ოქროსი ვიზი“, სულხან საბა ორბელიანის „სიბრძნე სიკრთისა“, პუშკინის, გოეთეს, დიკენსის, ვეა ფშაველას და ვინ მოსთვლის რამდენი გენიალური მწერლის შემოქმედება გამოდგება. მაქსიმ გოჩი კატეგორიულად აცხადებდა, მხატვრული ლიტერატურა რომ ფორმალურად, სუვეტურად და დიდპეტყურად ბევრადაა დავალუბელი ზეპირი ხალხური შემოქმედებისაგან, ეს სრულიად უეპევილი და მეტად საგულისხმო რამააო.

მწერლობამ მარტო ეს არ იქმარა და დი-წყო ლიტერატურული დამუშავება, ზღაპრების, მერმე კი ახალი ლიტერატურული ზღაპრების შექმნა. თითო-ორილა ნიმუში ამისა შენ-საუკუნეებშიც გვხვდება. მაგრამ ყველაზე ნა-ყოფიერად ამან მეცხრამეტე საუკუნეში ირინა თავი. ფრანგი შარლ პერო და დანიელი ანდერ-სენი, მთელი მსოფლიოს ბავშვების (და ვინა მხოლოდ ბავშვების?) ერთობა უსაყვარლესი მწერლები, თავდაპირველად სწორედ ხალხურ ზღაპრებს ამუშავებდნენ ლიტერატურულად და მერე იწყეს საკუთარი ზღაპრების წერა, რამაც ამხელა სახელი და დიდება მოუტანა მათ.

მეოცე საუკუნეში ცივილიზებულ სახელმწი-ფოებში, მათ შორის პირველ რიგში ჩვენში, როცა ფოლკლორის განვითარების პერსპექტი-ვა შენეულა, საგრძნობი ვახდა მხატვრული ლი-ტერატურის დაინტერესება მითოლოგიით (გა-ვიხსენოთ, რომ მითოლოგია ასევე ძალუმად კვებავდა სულ ადრე ზღაპრებს) და ფოლკლო-რული სუვეტებით. თანამედროვე ზღაპრები მხოლოდ ლიტერატურაშია თუ იხადება, რადგან ფოლკლორში მათ დაყარვს ერთი ბირ-ველი განმსაზღვრელი თვისება — ისინი აღარც კოლექტიურად იქმნებიან, აღარც კოლექტიუ-

რად ინახებიან და აღარც ზეპირად გადაიცივან. ფოლკლორმა წიგნებში შეგროვილი და დაბეჭდილი ზღაპრების სახით უცვლადი ვანძი დაუტოვა კაცობრიობას და ესტაფეტა მხატვრულ ლიტერატურას გადასცა.

საბჭოთა ლიტერატურას ამ მხრივაც ვაიხნია თავისი საკმაოდ მდიდარი ტრადიციები. საყოველთაოდაა ცნობილი მაქსიმ გორკის ლიტერატურული ზღაპრები, მისი დანკო კი, ეს ზღაპრული სახე, ხალხს თავისუფლებისათვის თავგანწირვისა და ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. ასევე უაღრესად საინტერესოა ის სატირული ხასიათის ზღაპრული პოემები და ლექსები, რომლებიც ვლადიმერ მაიაკოვსკიმ დავეტიტოვა შემდეგ. წლების მანძილზე შენეულა ყურადღება ამ განრისადმი, რადგან ბევრს გულბრწყინვით მიაჩნდა, რომ ზღაპარი ეს რაღაც არწველი რამა და სრულად შეუთავსებელია რეალიზმის, მათუმეტეს სოციალისტური რეალიზმის ეპოქასთან.

ამ მედარ ტენდენციასთან კარგა ხანს მოუხდა ბრძოლა საბჭოთა მწერლობას, მიუხედავად იმისა რომ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ერთერთი ყველაზე დიდი ფუნქციონირებელი მაქსიმ გორკი თავის დროზე ზღაპართან დაკავშირებით სრულიად ვარკვევით ამბობდა: «Здесь большой простор фантазии, большой простор творчеству, простор реализму, которые не исключают широких взлетов воображения»¹.

აქ ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას — სწორედ რეალიზმისათვის ზღაპრის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებდა გორკი. ზღაპრებისადმი ამ მედარი, ნიალისტურ დამოკიდებულებას ეკამათებოდა ალექსანდრე ფადევი, როდესაც წერდა: «Жизнь нашу и завтрашний день наш можно изображать и в форме, родственной классическим реалистическим ромалам, то есть на бытовой основе и в форме родственной «Фаусту» или «Демону», то есть в форме романтической или сказочной, или условной, — в общем в любой форме, позволяющей видеть правду»².

ცხადია, ზღაპარმა მაინც ვაიჯათა თავისი გზა საბჭოთა მწერლობაში, რადგან შეუძლებელი იყო განრი, რომელიც ასერივდ აღვივებს დამანის შემოქმედებით ფანტაზიას მიქმალულიყო და ჩამყვადარყო. ვერაფერია ხელოვნური არტებები ვერ აძივლენდა საბჭოთა ლიტერატურას უარი ეთქვა პირობითობაზე, ზღაპრულ ფანტასტიკაზე, რაც სწორედ რეალური ცხოვრების მხატვრულად ორიგინალურად გახსნისა-

თვის სჭირდებოდა მას. ამის ერთი საუკეთესო ნიმუში ვახდა ტეარდოსესკის საუფელთაოდ ცნობილი და აღიარებული პოემა „სტრანე პერრაია“, რასთან დაკავშირებითაც თავად პოეტი ვულწრფელად გამოხატუდა მკითხველს: «Условность хотя бы фантастического сюжета, преувеличение и смещение деталей живого мира в художественном произведении перестали мне казаться пережиточными моментами искусства, противоречащими реализму изображения»³.

ამ შესანიშნავ პოემას მოჰყვა ბულგარეთის „მასტერ ი მარგარიტა“, ბაევის „მალახიტოვია შკატელა“ და სხვა წიგნები. ხალხმა აიტაცა ეს ბრწყინვალე ნაწარმოებები, მძალად შეფასება მისცა მათ სალიტერატურო კრიტიკამაც და ყველასათვის ნათელი ვახდა, თუ რა მრავალმიოიონიანი მკითხველი ყავდა ამ ტიპის მხატვრულ ლიტერატურას. ამის შემდეგ აღიარების დაუყენებია სერიოზულად ეპეს ქვეშ ზღაპრის, ან სავრთოდ პირობითობის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე ლიტერატურაში.

სულ უკანასკნელ წლებში ჩვენ ყველანი მოწყვეტი ვიყავით იმ დიდ ნაწარმებებსა, რაც წილად ზედა შეარცის „შეიველ მეფეს“, ანდერსენის ცნობილი ზღაპრის მიხედვით დაწერილ პიესას, რომელიც თეატრმა „სოვრემენიკა“ წარმოადგინა, ნახუცრიშვილის „კინკრაქას“ რუსთაველის სახელობის თეატრში, ფილმს „ლონდრეს“, რომლის ატორებიც არიან რეჟისორი თამაზ მელიაია და პოეტი თათარ კილიაე, როლან ბიკოვის ფილმს „აიზოლიტი-66“, ამ პიესებისა და ფილმების ჩადონსერ თუ ზღაპრულ სიუჟეტებში მაყურებელი დღევანდელი ცხოვრების ცალკეული მხარეების მხატვრულ გააზრებას ზედავდა, თანამედროვე ადამიანების ძლიერი თუ სუსტი მხარეების მინიშნებას ვაჩნობდა და ამიტომაც მიიტანა ვულთარ აზროვნების ეს მხიარული და, ამასთანავე, სიბრძნით სავსე ნაწარმოებები.

თუ მოზრდილი მკითხველი და მაყურებელი ასეა მოწყურებული ზღაპრის ტიპის ნაწარმოებებს, მით უფრო მეტად ეტყობა მათ ბავშვებზე, მოზარდებზე, ვისთვისაც ვაიფინსერი და ფანტასტიკური სამყარო ყოველთვის იყო და იქნება ყველაზე მიმზიდველი რამ. კონსტანტინე პეტროვისკი იგონებს: 1899 წლის 31 დეკემბრის საღამოს მათ ოჯახში საბალწლოდ ემზადებოდნენ, შორთულ-მოკაზმულ ნაჭის ზესთან მას საჩუქარი დახვდა — ანდერსენის ზღაპრები, მომავალმა მწერალმა გადაფურცლა წიგნი და თვალი ვერ მოწყვიტა მშობლები ცოტა განაწყენებულნიც კი დარჩნენ, როცა ვულარც ბენგალის სათლებით ვაიზარდნებელი ნადის-

¹ А. М. Горький, Собрание сочинений, т. XXVII, сс. 438.

² А. А. Фадеев, За тридцать лет, Избр. статьи, речи и письма, М., 1957, сс. 127.

³ А. Твардовский, Стихотворения и поэмы, т. I, М., 1951, сс. 10.

ხათ მიიქციეს ბავშვის ყურადღება, იგი მთლიანად გადასახლებულიყო ანდერსენის ზღაპრების სამყაროში და ირგვლივ ეღარაფერს და ვეღარაიეს ამჩნევდა.

ჩვენი მომავალი თაობა დღესაც ასე გატაცებით ეწევა ზღაპრებს და ყველა ვინც კი ამ ჯადოსნურ სამყაროს აზიარებს ბავშვებს, მათი უსაყვარლესი მწერალი ხდება. ამას მშვენივრად ვაჩვენებდა კორნეი ლეოქოვი, ვინც „უკიმი აიბოლიტი“, ეს განუყრელი თანამგზავრი ახუქა ბავშვებს. ამან შთააგონა ალექსი ტოლსტოის იტალიური სიუჟეტი გამოყვანებისა და თავისი „ბურატინოს თავგადასავალი“ დაწერა. ასევე მოიქცა იერი ნავიბინი, ზალტენის წაპტაკი ტყის ზღაპარი „ბუმბი“ რომ ვადმოარუესლა. აიბოლიტი, ბურატინო, ბუმბი, პინოქიო, ჯანი როდარის ჩაპოლინო, მათი სეველიანი თუ მზიარული თავგადასვლები მოზარდთა თაობის ყველაზე ძვირფასი საკითხავი რამაა და ერთობელ კიდევ გავარწმუნებს იმ ქვეშაირტებაში, რომ ზღაპრის გაერმე ბავშვის ცხოვრება, მისი სულიერი ფორმირება უზარალოდ შეუძლებელია.

ვიფიქრობ, არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ ზემოთხილთვლილ ზღაპრულ გმირებს ღირსეული მომე შეემატათ არჩილ სულაჟურის სალამურას სახით. ქართულმა ბავშვებმა უკვე შეიყვარეს ეს საზრიანი და კეთილი გმირი სულაჟურის ზღაპრისა. იმედი უნდა ეიქონიოთ, რომ სალამურას თავგადასავალი ისევე ვაიტაცებს სხვა ეროვნების ბავშვებსაც, როგორც ქართულ ბავშვებს იტაცებს პერსის, ანდერსენის, ზალტენის, ლეოქოვის, ჯანი როდარის თუ სხვების ჯადოსნური სამყაროს გმირები. სალამურას მოგზაურობა შორეულ გზებზე უკვე მაშინ დაიწყო, როცა გამოიქვმლობა „ნაჯადღმა“ ქართულთან ერთად რუსულ ენაზეც გამოსცა სულაჟურის ზღაპარი. კია-შიიების მწევესი ქართული ბიჭუნა ალბათ დაამახსოვრდება ყოველ ბავშვს, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს იგი, ვინც კი მის საოცარ თავგადასავალს ვაივებს.

შემთხვევითი არ არის, რომ „სალამურას თავგადასავალითან“ დაეკავრებით უმაღლესი გვახსენდება ბურატინოს, ჩაპოლინოს თუ პინოქიოს თავგადასვლები. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ერთი ტიპის ნაწარმოებებია, შავრამ მხოლოდ ამის გამო არ შეიძლება ვიფიქროთ, როგორც ეს ზოგიერთ აპკარებულ დასკვნების მოყვარულთ შეიძლება მოევიდეთ აზრად, თათქოს არჩილ სულაჟურის ზღაპარი ამ საყვალთათად აღიარებულ საბავშვო წიგნების გველენითაა დაწერილი.

„სალამურას თავგადასავლის“ ერთი უბრველესი ღირსება სწორედ ისაა, რომ ქართული ხალხური ზღაპრების ტრადიციებზეა შექმნილი და სრულად ირიგინალურია შარტი თავისი

ფაქტურითა და სტილით კი არა, მხატვრული ვაზრებითაც, სახეთა სისტემითაც. მწერლეს დამოკიდებულებითაც ყველაფერი სრულყოფილია და საყვება.

ქართულმა მწერალმა, თუკი იგი ზღაპრის დაწერას გადაწყვეტს, ბუნებრივია პირველ რიგში საყვარლ ფოკლორის უნდა მიმართოს.

ქართული ხალხური ზღაპარი ჩვენი ეროვნული კულტურის ერთი ბრწყინვალე ფურცელია და ასეთი შემეცნებლობის პატრონს სხვა ერის ფოკლორზე არ შეიძლება თვარი დარჩეს. ყოველი წიგნის ღირსება, ბავშვებისათვის იწენება იგი დაწერილი, თუ მოზრდილთათვის, უბირველესად მისი ეროვნული სახით განისაზღვრება. სწორედ ეს ანიჭებს მას იმ განუმეორებელ სულსა და მიმზიდველობას, რაც მხატვრული ნაწარმოების ერთი აუცილებელი პირობათაგანია. არჩილ სულაჟურს ეს უზნალო, შავრამ მნიშვნელოვანი ქვეშაირტება კარგად აქვს ჩანერგული და ამიტომაცაა, რომ გამადიდებელი შუშები არ სჭირდება ქართული ხალხური ზღაპრების ტრადიციების შემჩნევას და მიყვლება „სალამურას თავგადასავალში“.

ჯერ შარტი ის ვარეშობა, რომ სულაჟურის ზღაპრის გმირი მწევესია და მს სალამურა ჰქვია, უკვე თავიდანვე მიგანიშნებს ნაწარმოების ეროვნულ საწყისებზე. უკვე ამით ხდება ცხადი, რომ მწერალს ქართული ზღაპრების პერსონაჟები ედგა თვალწინ, როცა თავის ჩანაფიქრზე მუშაობდა. შართაც კარგად მიგნებულ სახელია. რაყალა ამ მიგნებამე ჩამოყარდა სიტყვა, საერთოდ უნდა ითქვას, რომ მწერალი შესანიშნავად, მახვილგონივრულად ურჩევს სახელებს თავისი ზღაპრის პერსონაჟებს. ასე მაგალითად, მოკრივე მიდი შოადე, ჯამბაზი ალუ შოპ, მშვედელი დაკა-დაკა, ხამაზი ცომი ზელია, ფეხბურთული კვანტი დაედე და ბევერი სხვა თავისი საყვარლი სახელით უკვე ვამკვირვალეს ხდის გმირის ხასიათს. აქ იუმორისტულად, თანაც ტრადიციულად ზღაპრულად თავიდანვე მინიშნებულია და ვაცხადებელი ამე თუ იმ პერსონაჟის პიროვნებაცა და ბუნებაც. მაგრამ დაეზრბრდელთ ზღაპრის მთავარ გმირსა სალამურას.

ქართულ ზღაპრებში მწევეშები საყოლო ხშირად ვვხვდებიან და როცა კი ვვხვდებიან, ყოველთვის თავისი განუყრელი სალამურით არიან. მუხსიერების ყოველგვარი დაშბების ვარემე ვახსენდება მაქცის მის გონებაში ბავშვობიდან ღრმად ჩარჩენილი შესანიშნავი ზღაპარი „წიქარა“. აქვე უსათუოდ უნდა შეენიშნო, რომ რატომაცაა ზოგიერთ სქელტანიინ, საყვალოდ სრულ კრებულებში ეს ზღაპარი არ არის შეტანილი, რაც მეტად ვასაკვირი რამაა, რადგან არამცთუ დიდ კრებულებში, ან რჩეულ ქართულ ზღაპრებში, არამედ რჩეულთა შორის

რჩევლებშიც კი შეთქმული უნდა იყოს შიის გამოტოვება.

„წიქარას“ პერსონაჟსა, საწყალ, დაჩაგრულ, მიგდებულ და მიტოვებულ გერ ბიჭუნასა და არჩილ სულაკაურის ზღაპრის გმირის შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ მათ აერთიანებთ ისეთი მნიშვნელოვანი რამ, რაც გრძნეული საღამურისა და ამიტომაცაა, რომ პირველი ქართული ზღაპარი, რომელიც კი გვახსენდება „სალამურას თავგადასავალით“ დაკავშირებით, სწორედ „წიქარას“. ხალხურ ზღაპარში, როგორც ყველას კარგად ვეახსოვს, საღამურის მზიარული პანგები აძლევენ შევას ბნელი ძალებისაგან განსაცდელში ჩაგდებულ ობოლ ბიჭუნას და იმავე საღამურის სვედიანი ხმა უბოძის მის ერთადერთ მშველელსა და ქომავს წიქარას.

არჩილ სულაკაურის გმირიც მუდამ თავის განუყოფელ საღამურთან ერთადაა და ქართველი მწვემის ეს აუცილებელი ატრიბუტი აქაც დიდ როლს თამაშობს მოქმედების განვითარებაში. სწორედ თავისი საღამურის წყალობით გაიყნობს და დაუშვებობს საღამურა ციციანაელებს მწვემს გოგონას ბაიას და იმავე საღამურის ხელშეწყობით შეძლებს დაიხსნას თავისი მუთუნახაგი ქონდარეთის საპყრობილედან. ხალხური ზღაპრის პერსონაჟის მსგავსად, არც საღამურას შეუძლია უსალამუროდ ცხოვრება. როცა საღამურა თოვზე მოსიარულეთა ქალაქში როგორც იქნება გაეცემა დესპოტ მწერთხელს, ყოფილ ქაშაზს ალუ ჰოპს და მეგობრები უკვე ზეიმობენ გამარჯვებას, ამ დროს საღამური ჩაუვარდება ძირს და იგი არჩევს კვლავ ალუ ჰოპის ტყვეობაში დატყვევდეს, ვიდრე თავის განუყოფელ საღამურს გამოეშორებოდა.

ხალხური ზღაპრების პერსონაჟები გამარჯვებას ყოველთვის თავისი საზიარებლობისა და უნარის წყალობით აღწევენ. ისინი მარტო ჯალოსნურ კეთილ ძალებსა და ბედს კი არ აიიან მიწოდობენ, მათ თავისი თავის იმედიც აქვთ. მათ კარგად ემარჯვებოთ ბრძოლა და შრომა, ამიტომაც ახერხებენ მძიმე სიტუაციებიდან უვნებლად გამოსვლას. ამის ნიმუშად ბევრი ქართული ზღაპარი გამოდგება, თუნდაც ისეთი საყოველთაოდ ცნობილი, როგორცაა „ხუთკუნძული“.

ზღაპრებში გმირები უპირველესად დიდი ეთიკური ღირსებებით გამოირჩევიან და მერმე კი ხალხის შრომისადმი სიყვარულს და ერთგულებას გამოხატავენ. ეს იმდენად ორგანული რამაა ქართული ფოლკლორისათვის, რომ ნაყლებ ცნობილ და ნაყლებად მნიშვნელოვან ზღაპრებშიც კი აშკარად სჭვივს. მკითხველს ამის საილუსტრაციოდ ერთი ქართული ზღაპარი მინდა გვახსენო, რომელსაც ჰქვია „ამბავი ხელმწიფის შვილისა, ქალი რომ არ მისთხოვდა,

სანამ ხელობას არ ისწავლო“. ხელმწიფის შვილს ერთი ღარიბი გლეხის ქვამხეცის გოგო მოეწონება და ცოლად შერთვას, ქვამხეცს ქალი ეტყვის, არ გამოგყვები ვიდრე ხელობას არ ისწავლი, რადგან დღეს შეიძლება ხელმწიფედ იყო, ხვალ აღარა და მერე რილათი გინდა იცხოვრო. ხელმწიფის შვილი ნაბდების თელვას ისწავლის და, მართლაც, განსაცდელში ჩაგარდნილი სწორედ თავისი ხელობით დაიხსნის თავს.

ხალხური ზღაპრები, რომელთაც დიდპეტრა არ აკლავთ, დაბეჭდებით არწმუნებენ მსმენელთ შრომის, ხელობის კარგად ცოდნის აუცილებლობაში. საღამურაც ამ მხრივ ბევრადაა დავალებული ხალხური ზღაპრების ამ დიდამ ტრეტი გაველენისაგან. ისიც ბევრით ემარჯვება და სწორედ ამის წყალობითაა, რომ გამარჯვებული გამოდის ათას ეთიანსწორთ ბრძოლაში. ალუ ჰოპთან შესწავილი ქაშაზობა და მიდი მოადეს კრეის გაყვითლება მის საოცრად გამოადგება ზღაპრის ფინალში.

თუმცა არჩილ სულაკაურის ლიტერატურულ ზღაპარში დევები არსად ჩანან, ქართული ხალხური ჯალოსნური ზღაპრების ეს თითქმის აუცილებელი პერსონაჟები აქც პოეტობენ თავის გამოხატულებას. ძნელი არ არის ანალიზის გაღება საღამურას ბრძოლასა ქარბობა-ბალსთან და ხალხურ ზღაპრებში უმეტესი ვაყების მრავალთავიან დევებთან შერყინება შორის. კიდევ მრავალი მგავალითის მოტემა შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, არც ნათქვამია უყმარი იმისათვის, რომ დაერწმუნდეთ, თუ რა ორგანულადაა ამოზრდილი არჩილ სულაკაურის „საღამურას თავგადასავალი“ იმ ნოველი ნიადაგიდან, რასაც ქართული ხალხური ზღაპარი ჰქვია.

ერთი რამ მაინც აუცილებელია კიდევ აღვნიშნოთ. არჩილ სულაკაური განზრახ უახლოვებს თავისი თხრობის მანერას ფოლკლორულ ტრადიციებს და ამით ერთგვარ იღუბნას გვიქმნას, თითქოს საქმე ლიტერატურულ ნაწარმთან ერთად კი არა, სწორედ ხალხურ ზღაპართან გვქონდეს. „საღამურას თავგადასავლის“ პირველივე ფრაზებიდან ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს წიგნი კი არ გვიღვესო წინ, არამედ მოქმედი გვიჩის და გვიყვება ამ საოცარ ამბებს. ეს მეტ უშეალობას, ტრადიციულ ელფის და მიწხიდველობას აძლევს ამ ლიტერატურულ ზღაპარს.

მაქსიმ გორკი სამართლიანად შენიშნავდა რომ ზღაპარი მწერალს მარტო ფანტაზიას, გამომგონებლობის უნარს კი არ უეთხარებს, არამედ ენასაც საოცრად უმჯობრებსო. იგი ურჩევად მწერლებს ზღაპრებიდან შევესოთ თავისი უმწიკო და არ ახელოდნენ საკეთარი „სიტყვა-ქმნალობის“ ცდუნებას. მართლაც, ზღაპრების ენა საოცრად სადა, მიწხიდველი, ამასთანავე,

მუეე და ხატოვანია, ფრაზა — სხარტი, მოქნილი, ტყვადი, თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში გვაქვს თითო-ორთლა ნიმუში იმისა, თუ ხელოვნური ენით, მართლაც „სიტყვაქმნადობით“ დაწერილი ლიტერატურული ზღაპარი ჩა მალე დავიწყებას სწორად იქნის გამო, რომ მათი ავტორების ორიგინალურობის აკვიატებულმა სურვილმა ეს უპირველესი ტრადიცია მოეშალა. არჩილ სულავერის „სალამურას თავგადასავალის“ მიმზიდველობა ბევრწილად იმან განაპირობა, რომ მწერალმა განზრახ, შეგნებულად დაუხლოვა თავისი ენა ქართული ხალხური ზღაპრის ენას და ამით შეტი უზრალეობა და სინაჲე მისცა ლიტერატურულ ნაწარმობებს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ „სალამურას თავგადასავალს“ ენა საოცრად პოეტურა, ამაღლებული, ლამაზი, მდიდარი და, ამასთანავე, სადა და უბრალოა ეს ოსტატური შეწრწევა ენის სიმდიდრის და სისადავისა მწერლის ერთი მნიშვნელოვანი წარმატება.

ყოველი ერის ხალხურ ზღაპრებში ტრადიციულად ერთმანეთს უპირისპირდება ორი ძალა — კეთილი და ბოროტი ძალა. თანაც, მხატვრული ლიტერატურისაგან განსხვავებით, იქ ეს სრულიადაც არ არის შენიღბული. ბძობა სიკეთესა და ბოროტებას შორის, როგორც წესი, ფოლკლორში გამოშვლებულად, აშკარად, თვალნათლივ არის წარმოდგენილი და ჩვეულებრივ სიკეთის გამარჯვებით შთაგრდება.

არჩილ სულავერის „სალამურას თავგადასავალი“ არც ამ შემთხვევაში დაღატობს ტრადიციებს. ეს ზღაპარი ორი ნაწილისაგან შედგება, პირველს „გენასიდელო“ ჰქვია, მეორეს — „საქმენი საგმირონი“. პირველ ნაწილში მწერალი როგორც იტყვიან, საქმის ვითარებას გვაცნობს, აწვდებებს კეთილსა და ბოროტ ძალებს, უპირისპირდება მათ და აწვიფებს იმ კონფლიქტს, რამაც უნდა განსაზღვროს მოქმედების შემდგომი განვითარება. აქ მწერალი მოკეთხრობს იმაზე, თუ როგორ შეხვდა და გაეცნო კია-მათების მწყემსი სალამურა ცოცხათელების მწყემს გოგონას, მხოლოდნავე ბაიას. თავისთავად, უკვე ეს ორი უცნაური მწყემსი სუსტიკეთის, სინაზის, სიკეთის პოეტური მინიშნებაა. მაგრამ ორთავეს წინ დიდი განსაცდელი ელით: ბაია ქონდარეთის ხელმწიფის უფლისწულმა მოატყვებინა და სასახლის ინტრიგების წყალობით იგი მალე საპყრობილეში აღმოჩნდა. სალამურამ კი ბევრი დავიძვარაბა გადართანა, ეიდრე ბაიას კვალს მოაგნებდა.

ზღაპრის მეორე ნაწილში კი იწყება სალამურას საქმენი საგმირონი. იგი მკედელ დაპა-დაპასთან ერთად ამხედრებს ქონდარეთის ჩაგრულ მოსახლეობას და საკუთარი საზრისიანობით, უნარის, მამაცობის, მოხერხების წყალობით მძლევეს ბოროტ ძალებს. ქონდარეთის ხელისუფლებს, დიხსნის თავის შეგობარ ბაიას

და ქონდარეთში კი ბედნიერ ცხოვრებას მასცემს დასაბამს. აი, ამ სიუჟეტურ ქარაგში მწერალი ათას სანტერესო მსტორიას უკვეთს. შევებს, საიდნავს მათ მხოლოდ სრუტის სიმეჭიოის, მართლისტქმის, მეგობრობის, სიმამაცის და ბევრი სხვა რამ სასარგებლოს მხატვრული გაკეთილი შეუძლიათ მიიღონ.

სალამურას მოელ ამ თავგადასავალს მომიხიბლობას ისიც ანიჭებს, რომ მწერალი დიდი სიყვარულით, საოცრად თბილი იუმორით გვიყვება მას, ხოლო ბოროტი ძალებს — ქონდაართუბეცის, უფლისწულის, ქარბორბალას, მიდი მოადეს და სხვების მხატვრული სახეების ხატვის დროს შეტად მახვილგონივრულ და მწვევე სატირას მიმართავს.

ვფიქრობ, ზემოთ საგმოდ ითქვა იმ მხარეებზე, რაც „სალამურას თავგადასავალს“ ხალხურ ზღაპრებთან ახლოებს. ამით ახლა ისეთი შთაბეჭდილება არ უნდა შეგვექმნას, თითქმის ეს ლიტერატურული ზღაპარი თუმცა ნიჭიერადაა დაწერილი, მაგრამ მაინც ფოლკლორული განზრის უშუალო მიმატეთ შეიქმნა. ამ სხვაგვარების გაჩემე, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, ზღაპარი საერთოდ წარმოდგენილია. ჯადოსნური სამყაროს, დიდაქტიკის, კეთილისა და ბოროტის დამირისპირების გაჩემე ზღაპარი არ არსებობს. ბუნებრივია, არჩილ სულავერის ყოველივე ამას გვერდს ვერ აუხვევდა. თუ მთელი რიგი სხვა მხარეებითაც „სალამურას თავგადასავალი“ ქართულ ხალხურ ზღაპრებს ეხმარება, ეს მხოლოდ მის სასარგებლოდ ლაპარაკობს და დიდადაც უწყობს ხელს ნაწარმოების პოპულარიზაციას.

ამასთანავე ერთად, და ესეც არანაკლებ დასაფასებელია, არჩილ სულავერის არსად იმეორებს და იყენებს ქართული ზღაპრების სიუჟეტებს. კიდევაც რომ ასე იყოს, ამაში არაფერი იჭნება დასამრახისი. პეროშაც და ანდერსენმაც ბევრ ხალხურ ზღაპარს ახალი სიცოცხლე მინიჭეს იმით, რომ საფუძვლად გამოიყენეს და ლიტერატურული დამუშავების შემდეგ თავისი ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფად აქციეს. ამას თვითონაც არ მალედენენ, ან კი რა არის ამაში დასაძალი. პირიქით, ისინი ხაზს უსვამდენ თავიანთი შემოქმედების ამ თავისებურებას.

არჩილ სულავერის „სალამურას თავგადასავალი“ თავისი სულით აშკარად ქართული ხალხური ზღაპრებიდან გამოდის, მაგრამ ამასთანავე არსად იმეორებს მათ და იგი მთლიანად მწერლის ფანტაზიის ნაყოფია. და ეს დამსახურება არ შეიძლება დაეუკარგოთ მწერალს.

„სალამურას თავგადასავალის“ ერთ მთავარ ღირსებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ იგი საშური ზომიერებისა და იუმორის გრძნობით არის ვათანამედროვებული. ამანდის ბიურო, პინჯ-პონჯი, ბადმინტონი, ფეხბურთი, ცხვირის

ჭირთრგია, ერთი ლექსის საღამო და ბევრი სხვა რამ ამ ჯალდონურ სამყაროს თანამედროვე ცხოვრების აქსესუარებთან ავსებს და კიდევ უფრო ნათელს ხდის მის პირობითობას.

ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ ლიტერატურული ზღაპრების მეტ ნაწილში ჯალდონური სამყაროსა და იქ დატრიალებული საოცარი ამბების გარდა, რაც ასე დტაცებს ბავშვებს, ყოველთვის ამოიკითხება კვეტექსტი, აშკარად შეიმჩნევა ის მინიშნებები, რაც მათ მოზრდილთათვისაც საინტერესო საკითხავსა ხდის. ასეა არჩილ სულაყურის ზღაპარშიც. აქ ჩვენ ბევრ რამეს შევნიშნავთ ისეთს, რაც თანამედროვე ყოფის ნიშანდობლივ თვისებად მოგვეჩვენება. ავტორი მახვილვინიერულად დასცინის თანამედროვე აღმამის მესმანურ ჩვევებს, ქედმადლობას, პატივმოყვარეობას, ხელოვებურ რესპექტაბელურობას, ფლიდობას, თვალთმაქცობას და ბევრ სხვა უარყოფით თვისებას, რასაც საეხებით ძალდაუტანებლად ამოიკითხავს მოზრდილი მკითხველი ამ ზღაპარში, განსაკუთრებით კი იმ ეპიზოდებში, სადაც სასახლის კარია აღწერილი. რაც შეეხება პოეტების ქვეყანას, რომელიც ერთი საუკეთესო თავია ამ წიგნში, ის, ჩემი ღრმა რწმენით, აშკარად უფრო მოზრდილთათვის არის აქ წარმოდგენილი, ვიდრე ბავშვებისათვის. ავტორის სარკაზმი აქ უფრო ჩვენი მიხვედრის უნარზეა გაანჯარიმებული.

ერთი პრინციპულად საინტერესო რამ უნდა აღინიშნოს კიდევ, რაც ასე განასხვავებს არჩილ სულაყურის „სალამურას თევზადსავალს“ არა მარტო ხალხური ზღაპრებისაგან, არამედ იმ ნაწარმოებთაგანაც, რომლებიც ჩვენ საეხებით ბუნებრივად გავიხსენებთ სალამურასთან დაკავშირებით.

საერთოდ ცნობილია, რომ თავიდან ხალხურ ზღაპრებში წარმოდგენილი ფანტასტიკური გამონაკონი ხალხის სამყაროზე წარმოდგენების გამოხატულება იყო, ხალხს სჭაროდა იმისი, რასაც თვითონვე თხზავდა ზღაპრებში. ცხადია, თანდათან ქრებოდა მისი ეს რწმენა, რადგან აღამიანი სულ უფრო სწორ წარმოდგენებს იქმ-

ნიდა რეალურ სამყაროზე. და ბოლოს, ფანტასტიკის დანიშნულებად მხოლოდ ისღა დარჩა, რომ იგი იქცა პოეტურ პირობითობად, რაც ლიტერატურის იდენტურ-მხატვრული მიზნებისათვის გამოიყენებოდა. იმ ჯალდონური სამყაროთი, რასაც თანამედროვე ლიტერატურული ზღაპარი მიმართავს, უბრალოდ, უფრო თანამედროვეად, პიპერბოლიზებულიად, პირობითად არის გამოხატული რეალური ცხოვრება, კეთილსა და ბოროტის ის კონკრეტული გამოხატულება, რაც თანამედროვე აღამიანებს აქვთ. ამასთანვე ზღაპარს არ დაუკარგავს ის უცილობელი რამ, რომ იგი რაღაც ნათელ-სენტენციის მატარებელი უნდა იყოს. შარლ პერო ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ „მორალი ყოველი სახის ზღაპარში ძირითადი და განმსაზღვრელია, და სწორედ მის გამოსახატავად იწერება ზღაპარი“.

არჩილ სულაყურისათვის თავისი სათქმელი ბავშვებს სიყვითს, მეგობრობის, სიბეჭითის, გულადობის და ბევრი სხვა დადებითი თვისების შესახებ სწორედ ფანტასტიკის, მოგონილი სამყაროს, ქონდარეთის სახელმწიფოში დატრიალებული საოცარი ამბებით მოუთხოო, მაგრამ ბოლოს, როცა თავის მიზანს მიაღწია და სათქმელიც ამოწერა, მახვილვინიერულად გააქრო მის მიერვე შეთხზული სამყარო და მკითხველი ცხოვრების რეალურ სურათებს დაუბრუნა. ეს კარგი, ორიგინალური პოეტური ხერხია იმისათვის, რომ მთელი წიგნის მანძილზე ბავშვები დატყვევებული გუყვდეს შერეული შექმნილი ჯალდონური სამყაროსი და შერე კი, ისე ფრთხილად და დიდი ტაქტით დაუბრუნო ნორჩი მკითხველი რეალურ გარემოს, რომ მწერლის ლამაზი სიტყვის დაკარგვით გული არ ატყინო მას.

არჩილ სულაყურის „სალამურას თევზადსავალი“ აშკარად ახალი და ორიგინალური სიტყვია ქართულ მწერლობაში. მაგრამ მარტო იმაში როდია მისი ღირსება. რაც მთავარია იგი უადრესად სავიწრო და სასარგებლო წიგნია ქართველი ბავშვებისათვის. არც მოზრდილებს კითხულობენ მას ნაკლებ ინტერესით. და ამაზე დიდი გამართლება კი მწერლის ნაწარმოებს სხვა არაფერი შეიძლება ჰქონდეს.



ტანუტარი თუ ოსტიგანი?

მალე ცხრა საუკუნე შესრულდება მას შემდეგ, რაც 1083 წელს ტაოელმა ქართველმა გრიგოლ ბაქურიანის-ძემ, რომელსაც დიდი პატივი ჰქონდა მოპოვებული და უადრესად საპაუხისმგებლო თანამდებობა ებურა ბიზანტიის იმპერიაში, დაარსა ქართველთა მონასტერი პეტრიწონში, სადაც ააგო სამი ეკლესია (ღვთისმშობლის, იოანე ნათლისმცემლისა და წმ. გიორგის სახელზე) და საქალაქო.

გრიგოლ ბაქურიანის-ძე! პატივით (წოდებით) სევასტოსი იყო და თანამდებობით დიდი ღირსი (ქართული გამოთქმით: დემესტრიოსი) ანუ მწავარსარდალი, ამირსპასალარი ბიზანტიის იმპერატორის დასავლეთ ნაწილში. რეზიდენცია მას ჰქონდა ბოლგარეთში, ქ. ფლიობოროში (დღევანდელ პლოდევში) ხოლო ქართველთა მონასტერი დააარსა თავისი სამყოფელ ადგილის ახლოს, როდოპის მთებში, სტანიმაკიდან (დღევანდელი ასენოვგრადიდან) 9-ოდე კილომეტრის მანძილზე. მაშინ ტაო მოწყვეტილი იყო საქართველოს და საბერძნეთის ფარგლებში შედიოდა. იმავე საბერძნეთს ეკავა მაშინ ბოლგარეთიც. დღეს ეს მონასტერი ბაქოვოს მონასტრის სახელით არის ცნობილი (ბაქოვო სოფელია მონასტრის ქვემოთ, ერთი კილომეტრის დაშორებით).

გრიგოლ ბაქურიანის-ძის ნაგებობათაგან ჩვენამდე მოაღწია საქალაქო, რომელიც ფერდობზეა აშენებული და ქვემო მხრიდან ორ-

სართულიანია, ზემოდან კი ერთსართულიანი, ეკლესიები და სენაკები მთლიანად ვადაკეთებულია მე-17 საუკუნეში.

ხსენებულ საქალაქო გადასვენა გრიგოლმა თავისი ძმა აბაზი, რომელიც სხვადასხვა ადგილას მსახურობდა და შავისწყლის პატივი ჰქონდა (იგი მონასტრის აგებამდე გარდაიცვალა). შემდეგ თვით გრიგოლიც იქ დაშორეს (1086). ორივე ძმის სურათი შემონახულია ამ საქალაქის ერთ კედელზე.

გრიგოლ ბაქურიანის-ძემ თავის დაარსებულ მონასტრის აუგო სასწრაფო (საადამიერო), სამი სასტუმრო სხვადასხვა ადგილას, შესწირა სოფლები გლეხებითურთ, ციხე-ქალაქები, საძოვრები, ზვრები, სათევზაო ტბა და ბერი სხვა რამ, რითაც მონასტერი ეკონომიურად უზრუნველყო. ამის გარდა, გრიგოლმა მონასტრის შესწირა საეკლესიო წიგნები (ქართული და ბერძნული), ხატები, ჯვრები, სამღვდლო შესამოსელი და დაუარსა სკოლა, სადაც ექვსი ახალგაზრდა სწავლობდა ყველაფერს, რაც საჭირო იყო საეკლესიო მსახურებისთვის. მოსწავლეები სასმელ-საჭმელსა და ტანსაშობს მონასტრისგან იღებდნენ. სწავლის დასრულების შემდეგ, ვინც ღირსი იქნებოდა, ეკლესიის მსახური ხდებოდნენ.

მონასტრის დაარსების მეორე წელსვე (1084 წ.) გრიგოლმა თავის მონასტრის დაუწერა ტიპიკონი ანუ წესდება, რომელიც დაუმტკიცა თავის ხელის მარწერით. წესდებაზე ხელი მოაწერინა აგრეთვე იერუსალიმის პატრიარქს ეფთვიმეს, რომელიც საზავო საქმეებზე იყო მიწვეული საღონოში ბერძნებსა და ნორმანებს (ფრანკებს) შორის ატეხილი ომიანობის

1 გრიგოლ ბაქურიანის-ძე ბერძნულად (ქვედან კი ვერძულად) საქმეებზე ლიტერატურაში) გრიგოლ პაკეტიანად არის ცნობილი.

ვაშო და შინ¹ გაბრუნებისას სტუმრად იყო ვრიგოლთან მის ფილიპოპლის სასახლეში.

წესდებაში აღნიშნულია, რომ ვრიგოლმა თავისი მონასტერი გაათავისუფლა ყველაგვარი გადასახადისაგან და აგრეთვე თავისი ნათესავების რაიმე ჩარევისაგან მონასტრის ქონებასა და საქმეებში. ასე რომ პეტრიწონის მონასტერი, დაარსებული ქართველისაგან და ქართველებისთვის, ყველაფრად თავისუფალი და დამოუკიდებელი იყო.¹

აღსანიშნავია, რომ წესდების 24-ე მუხლის თანახმად, ვრიგოლმა აუკრძალა ბერძენებს მონასტერში დამკვიდრება, ვარდა ერთი მწერლისა, რომელსაც მიწერ-მოწერა უნდა ეწარმოებინა ადგილობრივ ხელისუფლებასთან. და ეს იმით დასაბუთა, რომ ბერძენები შერჩიანი ხალხია და ვაითუ ხელთ იგდონ ეს ქართველების საეპარქო. ვრიგოლმა შინი საფუძვლადი იყო: მართლაც, შემდეგში ბერძენები თანდათან დევპატრონდნენ ამ ქართველების მონასტერს.

წესდება დაიწერა ორ ენაზე, ქართულად და ბერძნულად. ბერძნული ტექსტი დაწერეს ორ ცალად, რომელთაგანაც ერთი შინიანეს კონსტანტინოპოლში წმ. პანაგოისის მონასტრის ბიბლიოთეკაში, მაგრამ ბერძნული ტექსტის ამ მეორე ცალმა ჩვენამდე არ მოაღწია. პირველი ცალი და ქართული ტექსტი ინახებოდა თვით პეტრიწონში, მაგრამ, წარსულ სურათში, როცა ბოლგარეთი განთავისუფლდა თურქთა ბატონობისაგან და დაისვა საკითხი, თუ ვის ხელში უნდა გადასულიყო პეტრიწონის ქართველთა მონასტერი, სადაც ქართველების ნაცვლად კიი ხანია მოკალაოებულნი იყვნენ ბერძენები, ეს ხელნაწერი გაჭრა მონასტრიდან და არ იცოდნენ, რა მოვიდა. გაჭრა იმიტომ, რომ ეს ტპიკონი ერთბაშად გადაწყვეტდა სადაცო საკითხს ბოლგარებს სასარგებლოდ და არ გამოაჩინეს, კიდევ კარგი, რომ არ მოსურს, თურმე ტპიკონი ვადუციათ კოჩარის სახელობის ბიბლიოთეკისთვის ექნებულ ხილზე.

ვიღერ ძველი ხელნაწერი ჯერ კიდევ პეტრიწონში იყო, გ. მუსეოსს, რომელსაც ანტიერესებდა ვრიგოლ ბაქურიანისძის ცხოვრება და მოღვაწეობა, პეტრიწონის მონასტრის წინამძღვარმა გამოუჩინა არა ძველი ტექსტი, არამედ ახალ ბერძნულ ენაზე მე-18 საუკუნეში (1772 წ.) ნათარგმნი ტექსტი, და მუსეოსი იძულებული იყო, ტექსტი გამოეცა ამ ახალ თარგმანის მიხედვით 1888 წელს.

შემდეგ ბუქარესტის ხელნაწერთა ერთ კოლექციაში აღმოჩნდა ძველი ტექსტიდან მე-18 საუკუნეში გაკეთებული პირი, რომე-

ლიც 1904 წელს გამოსცა ფრანგმა ლუი პეტიტმა (Louis Petit) რუსეთის პეტრიწონის მონასტრის დასახლებად და ამის შემდეგ ეს ბერძნული ტექსტი გახდა ყოველმხრივი შესწავლის საგანი.

რაც ვრიგოლ ბაქურიანის-მე დიდი თანამდებობის პირი იყო საბერძნეთში, მის შესახებ ცნობები ბერძნულ წერილობით წყაროებშიც მოიპოვება, სხვათა შორის, ანა კომნინის „ალექსიადა“-შიც, სადაც მან უბრალოდ ბაქურიანი ეწოდება. ანა მუდის ალექსი კომნინის (კომნინანოსის) შვილი იყო და იმ წელს დაიბადა, როცა ვრიგოლმა დააარსა თავისი მონასტერი. ეს ის ალექსი კომნინია (კომნინანოსია), რომლის სამეფო ტახტზე ასვლის ხელი შეუწყო ვრიგოლ ბაქურიანის-მეცა. ანა კომნინმა თავისი მამის მოღვაწეობა ვრცლად აწერა და სხვათა შორის, აღნიშნა, რომ ბაქურიანი დაბალი იყო, მაგრამ გულადი მეომარი და წარმოშობით იყო სომეხთა ბრწყინვალე გვარიდანაო. არავინ დაეკვიბებოდა, რომ ანას შეიძლება შეცდომა მოსვლოდა და ქართველი სომხად წარმოედგინა. ამიტომ მისი ცნობა სხვადასხვა გამოკვლევაში ვადავია, სხვათა შორის, ა. ალექსიკოს უსპენსკის ნაშრომშიც.² მაგრამ, გ. მუსეოსი რომ შეუდგა პეტრიწონის ტიპიკონის ტექსტის გამოცემას ახალ ბერძნულ ენაზე (1888 წ.), გაოცდა, როცა შეგ ამოიკითხა, რომ დიდ დომესტიკოსი ვრიგოლ თავის თავს ქართველს ეძახის, გაოცდა მით უმეტეს, რომ ტპიკონის ცნობის თანახმად, წესდება სომხურად დაიწერა და ხელიც სომხურად მოაწერა მის მონასტრის დამფუძნებელმა. ბერძენმა მკვლევარმა ველარ ვაიკო, ქართველი იყო ვრიგოლი, თუ სომეხი. საზაგვიროდ, 1904 წელს რომ ლ. პეტრიწონი დაბეჭდა ძველი ბერძნული ტექსტი (ბუქარესტის გვიანდელი ვადომწერის მიხედვით), მან აღნიშნა: ანა კომნინი რასაც ამბობს ვრიგოლის შესახებ, ყველაფერი მართალია, ვარდა იმისა, რომ თითქმის იგი სომეხი იყო წარმოშობით: ბაქურიანის სამშობლო, — გვიცნობს ვრიგოლ ტიპიკონის დასაწყისში. — იყო არა სომხელი, არამედ საქართველო, იგი იყო ქართველთა უბრწყინვალესი გვარიდან. მისი მამა პაქურაანი იყო ერისთავთ-ერისთავიო. ცოტა ქვემოთ ლ. პეტრიტი ამბობს: ვრიგოლს თავი მოაქვს, რომ მას არ დაუზოგავს შრომა, თავისი სისხლიც კი სახელმწიფოს სასახურში: მაგრამ ის დარჩა გულთ ქართველი, მხურვალე პატრიოტი, თითქმის ფანტიკოსიო. ასე დარწმუნებით აცხადებს ბერძნული ტექსტის გამოცემული ფრანგი მკვლევარი დიდი დომესტიკოსის ქართველობას.

¹ წერად ლუი პტი-საც, ლუი პტი-საც.

¹ ასეთი უფლებები ჰქონდა მინიჭებულა ჩვენში შიომღვიმის მონასტერს.

² Ф. Успенский. История византийской империи, т. III, М.—А., стр. 75.

ამის შემდეგ გავიდა ერთი წელი და ნიკო მარმა იმავე «Виз. Временик»-ში (1905 წ.) მოხრდილი გამოკვლევა დაწვდა ამ სათაურით: Аркаун, монгольское название христиан в связи с вопросом об армянах-холодедоницах, რომელიც იმ ნაწილში, სომეხ ქალკედონიანებს რომ ეხება, სულ შედარ დებულებებზე აგებული. ამ წერილში მან ის აზრი გაატარა დავიანებით, რომ გრიგოლ ბაქრაიანი სომეხი იყო, მაგრამ მართლმადიდებელი, ქალკედონიტი (ქალკედონიანი). მიმდევარი იმ მსოფლიო კრების დადგენილებათა, რომელიც 451 წელს შედგა ქალკედონში, კონსტანტინოპოლის ახლოს. ამ მსოფლიო კრებაზე ქრისტოლოგიური საკითხები იჩნეოდა და გაიმარჯვეს დიოფიზიტებმა, ე. ი. იმ მიმართლებამ, რომელიც ქრისტეში იმ პრინციპში იმ ბუნებას სცნობდა — ლეთაბრიესა და კაცებრიეს, და უკუაგდეს მონოფიზიტური მიმართლება, რომელიც ქრისტეში მარტო ერთ ბუნებას ცნობდა — ლეთაბრიეს სომეხთა ეკლესიის წარმომადგენლები ამ კრებაზე არ ყოფილან, ამ დროს სომეხებს სპარსელებთან ჰქონდათ ომი და ქრისტოლოგიური საკითხებისთვის არ ეცალათ. მხოლოდ შემდეგ, 70-5 საუკუნის 70-იანსა და 80-იან წლებში, როცა თვით კონსტანტინოპოლში დაეწყეს ეპის თვითლთ ეკბრა ქალკედონის კრებაზე მიღებულ დადგენილებას, ამ ახალ მიმართულებას სომეხებმაც დაუჭირეს მხარი და ისინი ბოლომდე დარჩნენ მონოფიზიტებად.

მაგრამ სომეხებში მაინც ურევნენ დიოფიზიტები, ე. ი. ისეთი სარწმუნოების მიმდევარნი, რომელნიც ბერძენებთან და ქართველებთან ერთად დიოფიზიტობდნენ. ნ. მარმა ამბობს, აი ასეთი იყო გრიგოლ ბაქრაიანიცო, რომელმაც პეტრიწონის მონასტერი ააშენათ. ბაქრაიანი ტაოელი იყო, ტაოში სომეხები ცხოვრობდნენ, რომელთაც თავი ქართველებად მოქმედდათ სარწმუნოების მიმდევრთა. ამით აიხსნება, რომ ბაქრაიანმა წესდება სომეხებად დაუწერა თავის მონასტერს და ხელიც სომეხურად მოაწერათ. ამიტომ სახეებით ფეკვილია (безукоризненно верно) ანა კომპონის ცნობა, რომ გრიგოლ ტაოში სომეხი იყო... იმას კი არ მივაქცია ნ. მარმა უტრადლები, რომ სომეხ ისტორიკოსს მათეოზ ურბაელს, (ანუ მათე ედესელს, რომელიც 1140 წლის ახლო გაჩაღებულა მოხუცებული და რომელიც ქართველებსა და სომეხებს კარგად არჩევდა), «გრიგოლ ბაქრაიანის-მე» ქართულად ჰყავს დასახელებული («გრაიკი ანკვა»). ამასთანავე ისიც აღსანიშნავია, რომ იმავე ნ. მარმა ლუი პეტრესაც კი უსაყვდურთ:

1 ნ. მარმა ეს თავისი მცდარი დებულება შემდეგაც გაიმორა იოანე პეტრიწის შესახებ დაწერილ ნაშრომში (1911 წ.).

საკვირველია, რომ ბაქრაიანს ქართველად იტყობდა და სრულიადაც არ გავიხსენებულა ის სომეხური ხელმოწერაო. **შეხვედრის** უნ იცის, როგორი შეხედულება დამკვიდრდებოდა საბილოდ, რომ ქართული ტექსტი არ აღმოჩენილიყო, მაგრამ, ზედად, ქართული ტექსტიც აღმოჩნდა და ერთბაშად შეტრიალდა საქმე.

1949 წლის მარტში ჩვენმა მეცნიერებათა აკადემიამ სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო პეტრიწონის მონასტრის საკითხების შესასწავლად. (ასეთი შედეგნილობით: ნ. ბერძენიშვილი, იოანე გვიგინიშვილი და მე) ექსპედიციის წევრები, რომინეთზე გაუღით, სოფის მივედით და იქედან ბოლგარელი მეცნიერების თანხლებით, პეტრიწონს ვეწვით. იქ ძველის ნაშთი აღრათერი დაგვხვდა ვარდა საჭალოსა, სადაც გრიგოლ და აბაზ ბაქრაიანის-ძეების ხატია ერთ კედელზე. სამეცნიეროდ სოფის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა პატარა ტანის ხელნაწერი, რომელიც დაბეჭდილ კატალოგში აღნიშნული იყო, როგორც სომეხური ხელნაწერი უცნობი შინაარსისა. გავშალეთ და აღმოჩნდა პეტრიწონის მონასტრის წესდების ქართული ტექსტიც. ეს ხელნაწერი ახალია, იგი ვაღმოსურება ასო-ასოდ და სიტყვა-სიტყვით ძველი დედნიდან ქართული ენისა და ქართული წერის უცოდინარ პირს. ამიტომ შიგ ბეერი შეცდომაა. მაგრამ ჩვენთვის ეს ამბავი მაინც დიდად გასახარელი იყო.

უმაღვე ჩვენი უტრადლება იმან მიიპყრო, რომ შიგ ამოკეთებთ: ეს ტაიკონი დაიწერა ქართულად და ბერძენულად. არაფერი იყო ნათქვამი, რომ იგი სომეხებადც ყოფილიყოს შედგენილი. არც ის ეწერა, რომ გრიგოლმა სომეხურად მოაწერა ხელიო.

სოფლაში ყოფნისას ამ ხელნაწერიდან ამოეწერე ზოგი რამ, მთლიანად კი ტექსტი ვაღმოსურეე თბილისს დაბრუნების შემდეგ ფოტოსურათებიდან, რომლებიც გადაუღებინეთ მიკროფილმიდან. ეს მიკროფილმი კი სოფის სახელმწიფო ბიბლიოთეკის დარეკციამ დაგვითმო თავიზიანად.

1951 წელს სოფის უნივერსიტეტის პროფესორმა ეს. ნიკოლაევმა დაბეჭდა ორი გამოკვლევა ბოლგარულად (რუსულ-ფრანგული რეზუმეით) ბოლგარეთის მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ორგანოში. იქიდან გავიკეთე, რომ ძველი ხელნაწერი ტიბეკიანის ქართულად და ბერძენულად დაცული ყოფილა ენძელ ზოისზე. მისი ფოტოსურათების მიღება ეცადე 1953 წელს რუსეთის მეცნ. აკადემიის საშუალებით, მაგრამ ვერას ვავხდი. შემდეგ ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის საშუალებით ეთხოვეთ (მაშინ ბიბლიოთეკას სათავეში ედგა ვ. უზნაძე, მეტად ენერგიული მოღვაწე). მიწერ-მოწერა

დღემანს გაგრძელდა. საქმე დააბრკოლა იმ გარემოებამ, რომ ხიოსის ბიბლიოთეკაში ქართული ხელნაწერის სიმბერია ჰონგნობლით, როცა გაუგებრობა. გველანტო, ზოლოს მიწველეთ კარგად შესრულებული ფოტოსურათები ქართული ტექსტისა (კერ ბერძნული ვეკონ-და მიღებული). ხელნაწერში პირველად ქართული ტექსტი ყოფილა მოთავსებული და შემდეგ — ბერძნული და ორივე ერთ წიგნად შეკრული.

ქართველ მეცნიერთა ექსპედიციის წევრებზე ადრე (1936 წ.) სოფიაში ყოფილიყო და იქაური ქართული ხელნაწერი ენახა არქიმანდრიტ ვრიგოლ ფრაქეს, რომელიც მაშინ ვარშავის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა. მისთვის ძველი არ იყო, დაედგინა, რომ ეს არის პეტრიწონის მონასტრის ტაბიკონი, რომელიც შემდეგ (1954 წ.) რომში მოღვაწე მიხეილ თარხნი-შვილმა, გამოსცა და ლათინური თარგმანი დაურთო.

ქვე კიდევ ძველი ქართული ტექსტი არ იყო მიღებული ხიოსიდან, რომ მე სოფიაში საუერ-ნალო წერალი გავაზავე. იგი დაიბეჭდა ბოლ-ვარეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ორგანოში 1958 წელს (ბოლგო-რულად). წერილში ახრი გამოთქვი, რომ ტაბიკონის ქართული ტექსტი მოღწეულია იმ სახით, როგორც ის დიოქრას თავის დროს, ბერძნულში კი შემდეგ ჩაუბატებიათ, რომ წესდება თითქო სიმბერადაც იყო.

ძველი ქართული ტექსტის ფოტოსურათები რომ ხიოსიდან მივიღეთ, მე იგი შევედარე ჩემს ვადმონაწერის სოფის ახალი ხელნაწერი-დან, შევასწორე ტექსტი და მოვაზაღე გამო-საცემად რუსული თარგმანით. ხოლო ბერძნული ტექსტის სურათები გადავიცე ს. ყუბხიშვილს. ამ ფოტოსურათების მიხედვით მან 1963 წელს გამოსცა ტაბიკონის ბერძნული ტექსტი და იგი თარგმნა ახალ ქართულზე, თარგმანი დაეყენა პირაპირ ბერძნულ ტექსტს, წაუმძღვრა შესავალი და დაურთო შენიშვნები და ფოტოსურათები. ს. ყუბხიშვილმა ცოტა უცნაური დასკვნა გააკეთა: „ჩვენ წინაშე ბერძნული რედაქციის ვარიანტი, რომელსაც ეყუდ ვანუცლია ცვლილება შედარებით პირველ დედანთან. ამ ინტერპოლაციასთან კი არა ვაქვს საქმე, არც ვისიმე ზოროტი ვანზრახ-ვით ტექსტის „დამახინჯებასთან“, არამედ აქ ვაქვს ტექსტის შევსება, გამოწვეული ახალი სკიპროებით (მართლმადიდებელი სომხების ბერად აღკვეცილ პეტრიწონის მონასტერში)...“

ამას რომ წერდა ს. ყუბხიშვილი, ვარაუ-დობდა, რომ თავიანთვე პეტრიწონში მართლაც არ ყოფილან მართლმადიდებელი სომხები,

მაგრამ 20-30 წლის შემდეგ ისინიც დაწყვიდრ-დნენ მონასტერში. ასეთ მტკიცებებს საბუთო-ბი უნდა ახლდეს, მაგრამ ასეთი რამ არა ჩანს.

ამჟამად მდგომარეობა ასეთია: ჩვენამდე მო-აღწია პეტრიწონის ტაბიკონის ორივე ტექსტ-მა, ქართულმაც და ბერძნულმაც. ქართული ძველი ტექსტი (მაგრამ არა პირვანდელი, არა-მედ მე-13 საუკუნეში გადაწერილი) ხიოსის კენძულზეა დაცული, მისი ტექსტი მე მაქვს დამზადებული გამოსაცემად რუსული თარგმანითურთ და მთელ ვადეცემას სტამბას დასაბეჭდად, ხოლო იგივე ტექსტი სოფის ვად-მონაწერის მიხედვით გამოსცა ბელგიაში 1954 წელს სკრულმა მიხეილ თარხნიშვილმა. კა-თოლიკე მღვდელმა, რომელიც რომში მოღვაწე-ობდა, მან თავის გამოცემას დაურთო ლათინური თარგმანი, ასე რომ ქართული ტექსტის შინა-არსი გასაგებია მეცნიერთათვის ამ ლათინური თარგმანის მიხედვით.¹

რაც შეეხება ბერძნულ ტექსტს, იგი სამეგრეო გამოსცეს. პირველად ვ. მუსესომა 1888 წ. პეტრიწონში მიღებული ახალი ბერძნული თარგმანის მიხედვით, მეორედ — ლეო პე-ტიშმა ბუქარესტის ხელნაწერთა ერთ კოლექ-ციაში მიგნებული მე-18 საუკუნის ვადმო-ნაწერის მიხედვით (ძველი ტექსტიდან), ხოლო მესამედ — ს. ყუბხიშვილმა 1963 წელს ხიოს-ზე დატული ტექსტის მიხედვით, რომელიც მან ქართული თარგმნა. ასე რომ დღეს ქართული ტექსტისა და ბერძნული ტექსტის ცნობილია მეცნიერთათვის.

ქართული და ბერძნული ტექსტი პეტრიწონის მონასტრის წესდებისა ერთი და იგივეა საერთოდ, მაგრამ არის განსხვავებაც: ქართულ-ში მოიპოვება ზოლოს ერთი თავი, სადაც ვადმონაწერითა, თუ როგორც უნდა ვედგინას-წადლათ წელიწადში 12 საუფლო დღესასწაუ-ლი და იქ აშენებული სამი ეკლესიის წმიდათა ხსენების დღეები (ღვთისმშობლის მამიანება, იოანეს თავის კვეთა და გიორგობა), თანაც რამდენი ფული უნდა მისცემოდა ეამის მწირ-ველებს, როგორც სუფრა უნდა ვაემალათ და გლახაკათთვის როგორც უნდა ეხურნათ. ექვს საუფლო დღეს უნდა ეწირათ თვით გრიგო-ლისთვის (ხარებას, შობას, მიგებებას, ვანცხა-დებას, ფერისცვალობას, ზობას), ოთხ დღეს მისი მშის პაპ მაგისტროსისთვის (დიდ შაბათს, აღესებას, ამადლებას, სულაწმინდის მოყენას), ერთ დღეს მათი მამის ბაქრაინისთვის (დიდ ხუთშაბათს).

ხარება თვით გრიგოლის მონასხსენებელი დღე იყო, ხოლო დიდი ხუთშაბათი, რომელიც

¹ მ. თარხნიშვილის გამოცემული ტექსტი გა-დმობეჭდა ი. დოლიძემ „ქართული სამართლის ძეგლებში“ III ტომში, რომელიც ამა 1970 წლის მასში გამოვიდა.

¹ პეტრიწონის წესდება: Georgica, V, 1963, გვ. 275.

მოძრაე დღესასწაულია, მისი მამის ბაქური-
ნისთვის იყო დაწესებული. ამიტომ შენიშენა
აქეს გაყვებელი: თუ ხარება დიდ ზეთშაბათს
დაემთხვეს, ექვსი წამის მწირველ მღვდელთა-
ვან სამმა უნდა წაროს ბაქურიანისთვის (მამი-
სათვის), სამმა კი გრიგოლისთვისო — (შვი-
ლისათვისო).

მთავარი რედაქციული განსჯევება ბერძნულ
ტექსტსა და ქართულს შორის შემდეგია:
ბერძნულში ნათქვამია, რომ ტიპიკონი სომ-
ხურადც დაიწერა და ბაქურიანმა რომ და-
ამტკიცა თავისი დარსებული მონასტრის
წესდება, ხელი სომხურად მოაწერაო. ქარ-
თულში კი არაფერი ამის მსგავსი არ მოიპო-
ვება. ნათქვამია მხოლოდ შემდეგი: „დაიწერა
უკუ და დამტკიცა წესი ესე განგებისა ამის
პატრიარქისა მონასტრისა ზენენისა ღმრთის
მშობლისა პეტრიწონისა ბრძანებითა ჩემ გრი-
გოლ სევასტოსისა და დიონისა დემესტიკოსისა
უოვლისა დსავალისა ძისა ბაქურიანისათა,
მაშენებლისა ზემო თქმულისა ამის მონასტ-
რისა და ეკლესიისა, წერილითა ბერძნულ-
ითა და ქართულთა“. შემდეგ ნათქვამია,
რომ ეწეა ტიპიკონი (ერის ქართულს და
ორს ბერძნულს, ახლავს ჩემი ხელს მოაწერა,
ხოლო ბერძნულს ჩემს შემდეგ კიდევ ევ-
ლემე იერუსალიმის პატრიარქი აწერს ზელსაო.
აქ არსად არ არის ხსენება წესდების სომხური
ცალისა, არც სომხურად ხელმოწერის შესახებ,
ბერძნულში კი ნათქვამია: „დააწერა ბერძნულ-
ად ქართულად და სომხურად და ხელ-
მოაწერა ილია თვითონ ჩემ მიერ სომხური ასოე-
ბითო“.

იერიდიული ძალის მქონედ გრიგოლმა ბერ-
ძნული მიიჩნია, ხოლო ქართულადაც რომ
დაიწერა იგივე ტექსტი, მან ეს დასაბუთა:
„და ქართულად (ამისთვის დაიწერა), რამეთუ
მონაზონნი მონასტრისა ჩემისანი გუარად
ქართველნი არიან და არა იციან ბერძნული
წაკითხვად და ჟერ არს რამათა ქართულად წე-
რილსა აღმოიკითხვიდენ და გულისკმაყოფილენ
აღწერილსა განაზღვრებულსა ამას შინა
ტიპიკონსა“-ო. ამის ნაცვლად ბერძნულში ნა-
თქვამია: „დაიწერა ბერძნულად, ქართულად
და სომხურად, რადგანაც ამ მონასტრის მონა-
ზენები ქართველები არიან და არ იციან ბერძ-
ნული კითხვა; ამიტომ საჭიროა ეს ტიპიკონი
შესარულებულ იყოს ქართულადაც და სომხურ-
რადაცო“.

ორში ერთი: ან ქართულ ტექსტშიც იყო
თავდაპირველად სომხურის ხსენება და შემდეგ
ამოიღეს, ან პირველად ბერძნულ ტექსტშიც
იმგვარად იყო მოთხრობილი, როგორც ქარ-
თულშია, და შემდეგ ჩაუმატეს შიგ, თითქო
წესდება სომხურადაც იყო დაწერილი და
თითქო გრიგოლმა სომხურად მოაწერა ხელი

წესდებას. რომელი ამათგანი ახაზავს საქმის
ნამდვილ ვითარებას?

ამ საკითხს საგანგებო წერილში შევხვედ-
პირელი მერაღიანმა, რომელმაც თბილისისა-
უნივერსიტეტში საქანდიდატო დისერტაცია-
დაიცა სომხე-ქართველთა ლიტერატურული-
ურთიერთობის საკითხებზე 1963 წელს და მო-
ღვაწეობს ერევანში. მისი წერილი დაიბეჭდა
სომხურად „ამბა-ბანასირაკან პანდეს“-ში
(ისტორია-ფილოლოგიის ყურნალში) 1968 წ.
(№ 1, გვ. 103-118) და ახლავს რეზუმე რუ-
სულ ენაზე (გვ. 118). წერილში არსებითდ
ნ. მარის დებულებანია განმეორებული და,
სხვათა შორის, ავტორი ამტკიცებს, რომ
1) გრიგოლ ბაქურიანი სომეხი ქალაქდონიტ-
იყო ქართული აღსარებისა;
2) ბერძნული რედაქცია ტიპიკონისა შემო-
ნახულია პირვანდელი სახით, ქართულ რედაქ-
ციის კი აწინა მერმინდელი გადაცემების კვა-
ლი;
3) ტიპიკონი შედგენილი იყო სამ ენაზე
(ბერძნულად, ქართულად, და სომხურად) და
იგი სარწმუნო წყაროა სომეხ ქალაქდონიტთა
მოღვაწეობისათვის (გვ. 118).

ნამდვილად კი სულ სხვაგვარად არის საქმის
ვითარება. თვით ბერძნულ ტექსტში მოიპოვება
იდგილი, რომელიც აშკარად შერე გადანა-
კეთებია.

პეტრიწონის მონასტერში, სადაც სამი ეკლეს-
ია იყო აშენებული, მოღვაწეობდა 51 კაცი.
ამთგან 1 წინამძღვარი იყო, 2 აკონომოსი, 1
დეკანოზი, 6 მწირველი მღვდელი (ათთო ეკლეს-
სიაზე ორ-ორი), 2 მთავარდიაკონი, 2 კერძო
დიაკონი, 1 მეპეტრე, 1 მწათე, 1 კელარი
ანუ ოსტიანი, 1 შემარნე, 1 მეტრაბე, 1 მე-
სტრეტი, 2 მეუღლეთი, 1 ზედამხედველი,
1 მეპეტრე, 1 მწარეთი, 1 მეკარე, დანარჩენე-
ბი კი იყვნენ მგალობლები და მეფსალმუნეები.
თანამდებობათა პირუბის ღირსება და მოვა-
ლუბა განაზღვრული იყო წესდებას მიეჭვეს-
თაში. ამ თანამდებობის პირთგან ზვენთვის
ამეამად საყვარადლება ოსტიგანო, რომ-
ლის პირად ღირსება და მოვალუბოა ასეა
განაზღვრული: „და ერთი იყოს კელარდნი
რომელ არს ოსტიგანი, წესისებრ მონასტრი-
სა უზაყუველი და ერთგული, რომელსა ჰქონ-
დის ქელსა თვისსა პური და უჭდური და სიწუ-
ნე (საწვენი) და ზეთი და თაფლი და სხუად უო-
ველიყო საზრდელი და თათ წარაგებდეს შიშო-
თა ღმრთისათა“. აქ მოცემულია როგორც
ბერძნული წოდება ამ თანამდებობის პირისა

1 კ. მერაღიანის მ დებულებბდან მოგვყავს
მხოლოდ სამი უმთავრესი.
2 კელარი (ბერძნ. კელარის) — ბერი,
რომელსაც აბარია მონასტრის სტრასთი (თვით-
ბერძნულში ეს სიტყვა ლათინურიდან მოდის).

(„ეკლარია“), ისე მისი ქართული შესატყვისი (ოსტიგანი). ამ მუხლში ნახუნები „უძღური“ არის რძის ნაწარმი (ყველი და სხვა); „საწენე“ — რისგინაც წვენი კვადება (ლობო, ცერცვი, მზალი და სხვ); მამსადამე, კელარი ანუ ოსტიგანი უნდა ყოფილიყო პატრიარქის კაცი („უზაყველი და ერთგული“), თანაც ღვთის მოშიში, რადგანაც მის ზღვში იყო ყოველგვარი საქმელი მონასტრისა: პური, ყრბო-კარკი, საწენე, თაფლი, ზეთი და სხვ.

ახლა ვნახოთ, რა არის ნათქვამი ამის შესახებრისად ბერძნულ ტექსტში. მოვიყვანოთ ს. ყუბინიშვილის თარგმანი: „ხოლო სხვა კიდევ იყოს ეკლარად, რომელსაც იყერი ტანეტერს ეძახიან ის მონაზონთა და მონასტრთა წესისამებრ უნდა იყოს უზაყველი და ერთგული და თავის განქარავლებიანში ქმონდეს როგორც პური, ისე შექმანდეს და ყოველგვარი საყაზში, მაგალითად, ზეთი და თაფლი, და სხვა ამთი მხგავსი და თვით ვასცემდეს თავის დროზე და წესიერად ღვთის მოშიშობით“. აქაც ორი ტერმინია: ბერძნული („ეკლარია“) და მისი ქართული — შესატყვისი („ოსტიგანი“).

როგორც ვედავით, ეკლარს, რომელსაც ბერძნული ტექსტის მიხედვით ქართულად თითქმის ტანეტერი ეწოდება და ქართული ტექსტის მიხედვით — ოსტიგანი, ერთნაირი მოვალეობა აწევს თავს: მას აბარია მონასტრის სურსათ-სანაწილე. რადგანაც ბერძნულ ტექსტში ნათქვამია, რომ ეკლარს ქართულად ტანეტერი ეწოდებოდა, ზოლო ქართულში კელარის სინონიმად ოსტიგანი იკითხება, ორში ერთი: ან „ტანეტერი“ და „ოსტიგანი“ ერთი და იგივეა მნიშვნელობით, ან არადა არამეორე ტექსტში (ქართულში ან ბერძნულში) აღვლიო შესწორებულა: ან ორივეში იყო ოსტიგანი, და ქართულში დარჩა, ზოლო ბერძნულში ტანეტრად გადააკეთეს შემდეგ; ან კიდევ ორივეგან ტანეტერი იყო და ბერძნულში დარჩა, ხოლო ქართულში შემდეგ ოსტიგანი გადააკეთეს.

ეს ორი სიტყვა რომ სინონიმები იყოს, შეუძლებელია. ისინი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებია. ნ. მარის დროს მხოლოდ ბერძნული ტექსტი იყო ცნობილი და მან აღნიშნა, რომ „ტანეტერი“ ტერმინი იხმარება ბაგრატ IV-ის სიგელში და არავითარი ეჭვი არ შეჰპარება, რომ ეს სიტყვა აქ აღვლიოსათვის შესაფერისი ან გამოსადეგი იყოს. სამეგრეოთ, მ. მურადიანმა აღნიშნა, რომ ქართულ ტექსტში პირველად „ტანეტერი“ ეწერა და შემდეგ „ოსტიგანად“ გადაკეთებიათ. აი მისი სიტყვები: „თუ ქართველები ნამდვილად „ტანეტრის“ ეძახდნენ, ამა რატომ ქართულ რედაქციასი არ იქნა დაეთვა ეს ფორმა, არამედ შეიცვალა „ოსტიგან“-ით? (გვ. 110). ვანგიხილთ ვულდასმით და სიწყნარით.

გამოსარკვევია: სად, როდის და რა მნიშვნელობით იხმარებოდა ქართულში „ტანეტერი“? იგი XI საუკუნეში მართლაც იხმარებოდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ პროვინციებში — ტაოსა და კლარჯეთში, როგორც ეს ჩანს ბაგრატ IV-ის სიგელიდან, რომელშიც აღვლილ-მამულის სარჩელზეა საუბარი. ბაგრატმა ვაზირმა მიწაპროვინციისა და ომიხის მონასტრის ბერების სარჩელი, მან დააკვირვებოდა ორივე მხარე და თავის ბრძანებაში აღნიშნა: „აქ ეიცეა მნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი შემდგომთა ჩუენთა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, ტაოსისა და კლარჯეთისა ტანეტერთა და ყოველთა ქელის-უფალთა და საქმის მოქმედთა, დუმტკიცეთ და ნუენ კელპოფთ შლასა და შეცეალებასა ამისსა“. მამსადამე, ტაოსი და კლარჯეთის ტანეტერს ყოფილა ქელისუფლთაგანი, იგი საერო პირი იყო და არ შემადგებოდა ყოფილიყო მონასტრის თანამდებობის პირი. პირიქით, მის სასარგებლოდ გადასახადს იხდიან მონასტრები და ეკლესიები. ასეთი გადასახადი სდებოდა კორიდეტის ღვთისმშობლის ეკლესიასა და მისი ხეცები გაუთავისუფლებია ერისთავთ-ერისთავს ბეშქენს თავის რძლის ზეაშქის თხოვნით, როგორც ეს ჩანს განთქმული კორიდეტის ოთხთავის ქართული მინაწერებიდან, რომლებიც პირველად მ. ბროსემ გამოსცა, შემდეგ მ. ვანაშვილმა და უკანასკნელ, ნ. მარმა. აქ იკითხება, რომ ამ ქუთხის მთავარმა ბეშქენმა აძარცვა („გაუწეა“) სატანეტრო დრამის გადახდა კორიდეტ ხეცებს, რაც მათ უნდა მოეხმარათ თავის შესამოსად. ასე რომ „ტანეტერი“ ტაოსა და კლარჯეთში მონასტრის თანამდებობის, პირი არ ყოფილა. აქედან ჩანს, რომ პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ბერძნულ ტექსტში ნახმარი „ტანეტერი“ სიტყვა სრულებით არ შეეფერება იმ პირს, რომელსაც აბარია მონასტრის სურსათ-სანაწილეს საქმე. მამსადამე, ეს სიტყვა ბერძნულ ტექსტში უაღვლია.

ებლა ვნახოთ, რას ნიშნავს ოსტიგანი. სულხან ორბელიანის ლექსიკონით ოსტიგანი არის „სასმელ-საჭმელთ მწე“ ან „სასმელ-საჭმელთ მყველი“, ან კიდევ „მჭეუქნავე“. სულხანს ახსნილი აქვს აგრეთვე საოსტიგანო, რომელიც საეკლესიო არისო. მაგრამ ამასთანავე მას ლექსიკონის აღრიხდელი რედაქციის ზღვანაწერებში შემდეგი უწერია: „საოსტიგანო ეწოდების — პური, ღვინო და

1 კორიდეტის მღებარეობს კანფთში, კოროხის მარცხენა შენაკადის, მურდულის მარჯვენა მხარეს.

2 Н. Марр. Грузинские приписки греческого евангелия из Коридии: Известия ИАН, 1911, № 226.

ყოველივე სამარხავი ერთს სახლსა შინა და-
მარხულ იყოს და ერთისა კაცსა მიერ წარ-
გებოდეს. მას კაცსა ოსტიგანი ეწოდების.¹
აქედან ჩანს, რომ ოსტიგანი სურსათ-სა-
ნოვავის საქმის გამგე ყოფილა. არსებითად
იგივეა „სასმელსაქმელთა მწე“-ც. სწორედ
ისეთი სახელი შეეფერება ქართულ ზალად
ბერძნულ „კელარს“, როგორც ეს XI საუკუ-
ნის ქართული მონასტრის წესდებაშია მოხსე-
ნებული.

აღსანიშნავია, რომ ათონის ქართველთა მონ-
ასტერში მხოლოდ „კელარი“ იცოდნენ („ოს-
ტიგანი“ არ არის ნახსენები), ათონზე დიდი
მონასტერი იყო და ორი კელარი იყო, რომელ-
თა საურავს შეადგენდა: აფთიაქი, ბოსტანი,
წისკვილები, ხილი (ზეთის ხილი, ნიგოზი და
სხვა, ვარდა უტრძინისა), ათონის შთაზე მოსენავე
ბერებს თუ რაიმე მორჩეობდათ, არ ჰქონდათ
ნება, სტვისთვის მიეცათ, არამედ კელარისთვის
უნდა დაებრუნებინათ: იკონომოსს „რამცა (საქ-
მელი და ხილი) დაუშთის, საეკლროსავე წარ-
სცას!“ (საკელონი — ბერძ. კელარიონ).

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემ-
დეგი: გიორგი ბერძნულემ რომ გრიგოლ ხანძ-
თელის „ცხოვრების“ წიგნი შეადგინა 951
წელს, მან, სხვათა შორის, შემდეგი ეპიზოდი
შეიტანა შიგ: ხანძთაშიო „ნეტარმან გრიგოლ
პირველად აღაშენა ძელსა ეკლესიაჲ (ე. ი.
ხის ეკლესია) და შემდგომად — საყოფელი
თხრი და თითო სენაკები ძმათა მათთჳს მცირე
და ერთი სენაკი საოსტიგანედ დიდო“. ნ. მარმა
ეს ადგილი ისე ვაჯო, თითქო „საოსტიგანე
იყოს სატარპეზო ან მისაღები ოთახი, დარბა-
ზი: Собственно зал для настоятеля, пред-
назначавшийся для собраний при приемах
во время общей трапезы и т. п.“² и а с т о г а -
т е л я სიტყვას იმტოვრებ ვუხსნა ხაზი ნ. მარმა,
რომ მას ოსტიგანი, ეს სპარსული წარმოშობის
სიტყვა (რომელიც სომხურადაც იხმარება
ოსტიგანის ფორმით). ვერ წარმოუდგინა
შინაარსის ისეთი ცვალებით, რომ სასმელ-
საქმლის მოტრანს მნიშვნელობა მიეღო; მას
რომ ზელთ ჰქონოდა პეტრიწონის წესდებებს
ქართული ტექსტი, აღარ დუწყვებდა კამათს
ს. ორბელიანს და თავის მცდარ თარგმანსაც
შეასწორებდა ამ ნაწილში, რადგანაც ესლა
ცხადია, გრიგოლ ხანძთელს დიდი სენაკი
რომ აღუენებია, ეს ყოფილა სასურსათო სა-
წყობი და არა зал настоятеля.

¹ გიორგი მთაწმიდელი. ცხოვრება
იოანესის და ევთიმესის. გამოსაცემად დამზა-
და ივ. ჯავახიშვილმა (ძველი ქართული ენის
ძეგლები. 3). 1946, წგ. 98, 100, 101, 103, და
33, 107-108.

² Г. Мерчул. Жизнь Григория Хандзтий-
ского, გვ. XX.

იმვე ნ. მარმა რომ 1904 წ. შეემთქვალა-
რეთი იმოგზაურა, მან აწერა პეტრიწონის
წერეები და ერთ დიდ სათავისს მიჰქვეყნე-
რადღება, რომელიც დაახლოებით სიგრძით
18 მეტრი იყო და სიგანით 12 მეტრი. ნ. მარმა
ივარდდა, ეს უნდა იყოს საოსტიგანო. ეგგები
ვგრძე იყო, მაგრამ არა წინამძღვრის დარბაზი,
როგორც მას ეგონა, არამედ სასურსათო სა-
წყობის შენობა, საეკლო.

ამგვარად, ოსტიგანი და საოსტიგ-
ნე (ან საოსტიგნო) ქართულში ხმარებუ-
ლი სიტყვები იყო X-XI საუკუნეებში და
ამჟამად არავითარი ეჭვი არაა, თუ რას ნიშ-
ნავდა იგი ამ დროს: იგი იყო საეკლო. „სა-
ოსტიგნის“ ახსნასა. ნ. მარმა ცდებოდა იმის
გამო, რომ „ოსტიგანი“ უფრო ადრე საქართ-
ველთა და სომხეთში (სპარსეთსა და შემდეგ
არაბების პატონობის დროს) აღნიშნავდა
ცენტრალური ხელისუფლებებს წარმომადგე-
ნელს პაროქიისაში, ეთხის უფროსს, მთავარს.
სიტყვა ფალსურია წარმოშობით და ჩვენში
X საუკუნისთვის მიუღია სასურსათო საქმის
გამძღოლის მნიშვნელობა. ასეთი შეცვლა
მნიშვნელობისა, ალბათ, ასე მოხდა: პირვე-
ლად საოსტიგანე აღნიშნავდა ოსტიგნი-
სთვის, ე. ი. ადგილობრივი მმართველისთვის
შესაჯრებელ გადასახადს ნატურით (პური, ღვა-
ნი, თაფლი, ზეთი, ხილი და სხვ.); შემდეგ ამ
გადასახადის შესანახავ სათავსოს. ეს სახელი
(საოსტიგანე) ასეთ სათავსოს მაშინაც
შეპირა, როცა ოსტიგანობა გადავიდა და მა-
შინ უნდა დარქმეოდა მის გამგეს „ოსტიგანი“.

ცხადია, რომ პეტრიწონის მონასტრის წეს-
დების ოსტიგანი იგივეა, რაც ხანძთის
მონასტრის საოსტიგნის გამგე კელარი: ამიტომ
არავითარი ეჭვი არ არის, რომ ქართული
ტექსტის ტერმინი ოსტიგანი თავის ად-
ვილებზე, იგი თავიდანვე უნდა ყოფილიყო
პეტრიწონის მონასტრის წესდებაში და დარბა-
ზი. მეორე მხრით, ზემოთ ვნახეთ, რომ მისი
ზადალი სიტყვა ბერძნულ ტექსტში არ შეიძ-
ლება „ტანტერკი“ ყოფილიყო. მაშასადამე,
ცხადია ისიც, თუ სად არის გადაკეთებული
პირვანდელი ტექსტი, ქართულში თუ ბერძ-
ნულში.

რაც დოკუმენტალურად დამტკიცდა, რომ
გადაკეთება ამ ნაწილში ბერძნულ ტექსტს
ვანუცდია და ისეთი სომხური სიტყვა ჩა-
უნახავი („ტანტერკი“), რომელიც ტაოს მხარეს
კი იხმარებოდა, მაგრამ არა იმ მნიშვნელობით,
რომელიც აქ არის საჭირო, ამა ვინ დიჯერებს,
რომ ბერძნულ ტექსტში არ იყო ჩატარებული,
თითქოს სომხურადაც დაიწერა ტანპიონი? ან ეს
რა ლოღოფური მსჯელობაა, ბერძნულ ტექსტში
რომ იკითხება: „დაიწერა ბერძნულად, ქართუ-
ლად და სომხურად, იმტომ რომ ამ მონასტ-
რის ბერები ქართველები არიან და არ იყიან

პერძნული კითხვა, ამიტომ საჭიროა ეს ტიპი-
კონი შესრულებული იყოს ქართული და სომ-
ხური წერილითაც? ან ვინ დაუჭერებს ასეთ
ვადამკეთებელს, რომ სომხურად მოეწეროს
ზელი გრიგოლ ბაქურიანს, მხტრვალე ქართველ
პატრიოტს, რომელიც პერძნებსაც კი არ უშ-
ვებდა თავის მონასტერში, და რომელიც მე-
წიეთის „მარხეანში“ ნახუნებია, როგორც „ყო-
ველთა ნათესავთა, ზეენთა მასპინძელი ქართ-
ველთა“ და რომელმაც გიორგი მეფეს გადასცა
შანამდე ბიზანტიის ელენილი კარის ციხე
(ყარსის ციხე) და მისი მიმდგომი ქვეყანა?
არის კიდევ რიგი საკითხებისა, რომელთაც
პ. შტრადიანი ეხება, ნ. მარზე დაყრდნობით,
შავალითად, თითქო სომხები თავიდანვე იყვნენ
პეტრიწონის მონასტერში და თითქო იქ ფსალ-
მუნება სომხურადაც სრულდებოდა, ან კიდევ
რომ პეტრიწონის მონასტრის დაარსების და-

ნიშნულზე იყო პავლიკიანთა წინააღმდეგ
პრძოლათ და სხვა, მაგრამ მნთ მენახუნს სხვა-
გან მოგახსენებთ და აქ აღმა გუნეაქრძიმ ჩაუ-
ბარს. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ არავითარი
ეჭვი არ არის, რომ გრიგოლ ბაქურიანსკე
იყო ტაოელი ქართველი და თანაც მხტრვალე
პატრიოტი, რომელსაც ძალიან აწუხებდა ფიქ-
რი, ვაითუ პერძნებმა ჩაივდონ ხელში ეს ჩემი
ქართველთათვის დაარსებული მონასტერი, და
წესდების 24-ე მუხლში პირდაპირ აღკვეთა
მათი მონასტერში დამკვიდრება, გარდა ერთი-
სა, რომელსაც მიმოწერა უნდა ეწარმოებინა.
ისტორიამ გაამართლა გრიგოლის შიში: თანდა-
თანობით ამ მონასტერს პერძნები დაეპატრონ-
ნენ და მხოლოდ 1894 წელს გადავიდა იგი
ბოლგარლების ხელში.



საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის დამარიღებისათვის

ჩვენს მიზანს შეადგენს მოკლე მიმოვიხილეთ მეთერთმეტე საუკუნის მიწურულსა და მეთორმეტე საუკუნის დასაწყისის საქართველოს პოლიტიკური ვითარების ზოგიერთი საკითხი და არსებული ისტორიული მასალის გაანალიზების საფუძველზე, თანამედროვე საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევების გათვალისწინებით, ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვათ საქართველოს ისტორიის სხვადასხვა მოვლენების თუ ფაქტების დათარიღების დაზუსტების მიზნით.

აღებული საკითხების არც იფარგლება XI საუკუნის მიწურულში დიდგვარიანთა გამოსვლის, თურქებისადმი, ხარკის შეწყვეტის, პერეთ-კახეთის შემოერთებისა და კლდეკარის საერისთავოს ვაჭკმებასთან დაკავშირებული მოვლენების განხილვით.

საქართველოს სამეფო კარმა XI საუკუნის ბოლოს მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა დიდგვარიან ფეოდალებს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მალიქ-შაის სიკვდილსა და ლიპარიტის განდგომას ერთმანეთთან აკავშირებს. „მოკლდა სულტანი მალიქ-შა და ლიპარიტ ამირან-მან იწყო მათვე მამულ-საპერთა კუალთა სლუა.“¹ მალიქ-შაი 1092 წ. გარდაიცვალა (გაგეფდა 1072). ე. ი. ლიპარიტის ეს განდგომა 1092 წლის შემდგომ უნდა მომხდარიყო, კერძოდ 1093 წელს. ამას დავითის ისტორიკოსიც ადასტურებს — „ამა ვითარებასა შინა (ლიპარაკთა დავით აღმაშენებლის მეფობაზე, რ. მ.) გარდაჰდა წე ლიქადი ოთხი...“² ე. ი. დავით აღმაშენებლის გამეფებიდან ოთხი წელი გასულა (1089+4=1093 წ.) ლიპარიტის გამოსვლამდე მეფის წინააღმდეგ.

ამგვარად, ლიპარიტი საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ 1093 წელს გამოსულა.

დავით აღმაშენებელმა თავისუფალი ქვეყნის

დომის იწება „გაწყრთა“ და შეიპყრო იგი. საქართველოს მეფეს, რამდენიმე ხანს („გამ რაოდენმე“) შეპყრობილი ჰყავდა ლიპარიტი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვით მეფეს იმდენ ხანს ჰყოლია უფლებიპყრილი ეს დიდგვაროვანი ფეოდალი „რომელი კმა იყო განსასრულელად გონიერისა ვისმე“.³ უნდა ვიფიქროთ, რომ „გონიერისა ვისმე“ განსწავლისათვის არც ისე დიდი დროა საჭირო და დავით აღმაშენებელსაც ალბათ არც ისე დიდხანს ჰყავდა ტყვეობაში ლიპარიტი. მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელსაც მოუწინააღმდეგეობა ცოცხალი საქართველოს მეფემ „მოუღო დიდებითა აღიდა (ლიპარიტი, რ. მ.) და არა შეუცვალა“.⁴ ე. ი. ლიპარიტი გარკვეული მონაწილეობის შემდეგ „მომტყვებული მრავალთა და მტკიცეთა ფიცთა მიერ“⁵ გაათავისუფლდა და ყველა მისი ძეგლი უფლება შეუცვლელად სცნო. ლიპარიტის გათავისუფლება 1093 წელსვე უნდა მომხდარიყო.⁶ როგორც ჩანს, ლიპარიტმა თავისი ფიცი და პირობა არ შეასრულა და საქართველოს მეფეს კვლავ გაუორგულდა — „განაცხადა მტერობა და უკეთურებასა იწურითა“.⁷

საქართველოს მეფე დარწმუნდა რა, რომ ლიპარიტის მორჩეულება ისევე არ შეიძლებოდა, „რამეთუ ედღი ძაღლისა არა ვანმართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“.⁸ კვლავ შეუწყურია. ეს აქტი ლიპარიტის განთავისუფლების მეორე წელს მომხდარა („მოგონესა წელსა კუალად შეიპყრა“⁹ ე. ი. 1093+1/1094 წელს. თანაც ორი წლის განმავლობაში პატიმრობაში ჰყოლია („ორ წელს ჰყრობილ ყო“),¹⁰ შემდეგ კი საბერძნეთში გაუშვევია, სადაც გარდაცვლილა კიდევ ლიპარიტი.¹¹

ამრიგად, თუ კი ლიპარიტი განმეორებით 1094 წელს იქნა შეპყრობილი, მას პატიმრობა-

კიდებლობა სწორედ მაშინ იქნა აღდგენილი, როცა ხაჩკის მიცემა შეუწყვიტეს თურქებს. როდის მოხდა ეს აქტი?

ჩვენს სამეცნიერო ისტორიულ ლიტერატურაში²⁰ გაბატონებული აზრის მიხედვით (ივ. ჯავახიშვილი,²¹ შ. მესხია²² და სხვ.)²³ ხაჩკის შეწყვეტა 1097 წელს მოხდა. უფლა ისტორიკოსი, საცხებით მართებულად, საქართველოს გაძლიერებას განიხილავს იმ ეპოქისათვის გარკვეულად ობიექტურ კანონზომიერებად, რაც გამოიხატებოდა საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესებასა (დაიწყო ჯვაროსანთა ლაშქრობები და თურქ-სელჩუკები იძულებულნი იყვნენ ჩარეულიყვნენ მასში) და თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს შინაურ არე-დაჩუქებაში.²⁴

მოხდა კი თურქებისთვის ხაჩკის შეწყვეტა 1097 წელს?

აქედ. ივ. ჯავახიშვილი მიმოიხილავს რა XII საუკუნის მიწურულის მსოფლიოს (კერძოდ ევროპისა და ამიერკავკასიის) პოლიტიკურ მდგომარეობას, იმორწმუნს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს²⁵ („ამას ეამსა გამოცდელს ფრანგნი, აღიდეს იერუსალიმი და ანტიოქია... შემდეგ მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლანა სპანი. და არა არა მისცა სულტანსა ხარაჯა“²⁶) და ავითება დასკვნას: „მამანადამე, საქართველოს სრულად დამოუკიდებლობის აღდგენა 1007 წ. მომხდარა; რაც ან ამ როითგან მოყოლებული საქართველომ სულტანს ყოველ-წლიური ხარაჯის ძღვევა მოუხაო“²⁷ (ხაზგასმა ჩემია, რ. მ.).

ნ. ბერძენიშვილის, ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას ავტორობით გამოსულ „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოში მოცემული საკითხის ირგვლივ არაფერია ნათქვამი (პარაგრაფი, რომელშიც დავით აღმაშენებლის შესახებაა მოთხრობილი, ივ. ჯავახიშვილი (!) ეკუთვნის²⁸). „საქართველოს ისტორიის“ დამხმარე სახელმძღვანელოში ხაჩკის შეწყვეტის თარიღად და ამხედ დროს დავითის მეფობის პირველი ხანის დასასრულად 1097 წელი მიჩნეულია.²⁹

პროფ. აბ. კეციძე პირდაპირ ამბობს „1097 წელს ჯვაროსნებმა აიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, და თურქ-სელჩუკების პოლიტიკური ბრწყინვალების ლამაზიც ჩაქრა... 1097 წელსვე დავით აღმაშენებელმა თურქებს ხაჩკი შეუწყვიტა და საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობაც აღადგინა“³⁰.

აღნიშნული თარიღი ყოველგვარი კომენტარების გარეშე მოყვანილია ჩვენი წიგნი³¹ დავით აღმაშენებელი³² და იგი მიჩნეულია თურქებისადმი ხაჩკის შეწყვეტის წლად.³³

ასევე, სულ უკანასკნელ ხანს ჩვენი რედაქციით გამოსულ შ. მესხიასა და ე. გუჩუას „საქართველოს ისტორიის“ საშუალო სკოლის სახელმძღვანელოში დაბეჭდილია ნათქვამი:

„შექმნილი ვითარებით (ჯვაროსნული ომებმა მხედველობაში, რ. მ.) ისარგებლა დავითმა (დაღმაშენებელი, რ. მ.) და 1097 წელს თურქებს ხაჩკის მიცემა შეუწყვიტა“³⁴ იგივე ნათქვამი დოკ. ვ. კობალინის გამოცევაში „საქართველოს ურთერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიათან“ (XI-XII სს).³⁵

ჩვენი აზრით, აღნიშნული თარიღის ასეთი გაბატონებული მდგომარეობა აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრების უშუალო გავლენით უნდა აიხსნას, თუმცა ზოგიერთი ისტორიკოსი გარკვეულად მსჯელობს კიდევ და დამოუკიდებლად მიღის აღნიშნულ დასკვნამდე.³⁶

საქმე იმაშია, რომ დავით აღმაშენებლის იატორიკოსი ხაზგასმით, ყოველგვარ ორპოტენზიასა და ყოყმანის გარეშე ამბობს: „ამას ეამსა გამოცდელს ფრანგნი, აღიდეს იერუსალიმი და ანტიოქია“ და შეეშენითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლანა სპანი. და არა არა მისცა სულტანსა ხარაჯა“³⁷ აქედან ნანს, რომ დავით აღმაშენებელმა ხაჩკის მიცემა თურქებს შეუწყვიტა ჯვაროსნების („ფრანგნი“) მიერ იერუსალიმის აღების შემდგომ. ეს რომ ასეა, ამაზე თვით აკად. ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს, მიიჩნევს რა თურქებისადმი ხაჩკის შეწყვეტის წლად ანტიოქიასა და იერუსალიმის აღების თარიღს. იგი აღნიშნავს — „და მართლაც ანტიოქია და იერუსალიმი ფრანგებმა 1097 წელს აიღეს“³⁸.

ამრიგად, ის ფაქტი, რომ ქართველთა მიერ თურქებისადმი ხაჩკის შეწყვეტა ანტიოქიისა და იერუსალიმის აღების შემდეგ მოხდა, სადაო არ ყოფილა აკად. ივ. ჯავახიშვილისათვის და, აღბნთ, საერთოდ ძნელი იქნება ვინმე შეეცადოს საწინააღმდეგოს დამტკიცებას, რადგან „ცხოვრება შეფუთ-მეფისა დავითისი“ ამაზე სრულიად გარკვეულ პასუხს იძლევა.³⁹ რაც შეეხება თარიღს (1097 წ.), იგი არასწორია, რადგან არც ანტიოქია და არც იერუსალიმი ამ წელს არ ყოფილა აღებული.

ჯვაროსნების პირველი ტალა კონსტანტინოპოლმა 1096 წლის 1 აგვისტოს ნახა.⁴⁰ ეს იყო შეტად არაორგანიზებული ნაწილი გერმანელი, რაინდებისა და, როგორც მოსალოდნელი იყო, განადგურებულ იქნა თურქ-სელჩუკების მიერ 1096 წლის ოქტომბერში.⁴¹ ჯვაროსანთა ამ ანგეული ბზბოს მწაბე მარცხმა კონზე მოიყვანა გერმანელი რაინდები და ნორმანთა, ფრანგთა, ფლანდრთა და ლოტარინგთა მთავრების შეთავრებით დიდძალი ლაშქარი დაიბრა კონსტანტინოპოლისაკენ.⁴² ეს უფვი სპერიოდია, როცა თურქ-სელჩუკთა დიდი სახელმწიფო დასუსტებული იყო და იშლებოდა.

1097 წელს ჯვაროსნებმა მწაბე ბრძოლი აიღეს რუმის სასულთანოს დედამამქი ნიკეია.⁴³ ამის შემდეგ თავს დაესხნენ სირიას, პალესტინას და 1097 წლის 21 ოქტომბერს ანტიოქიამ მიიტანეს იერაში, რომელიც დიდი

და ხანგრძლივი, მძიმე ბრძოლების შედეგად მხოლოდ 1098 წლის ივნისის(!) თვეში იქნა აღებული,⁴⁴ მის შენარჩუნებაზე არადაცლები ძალა იქნა დაბრუნებული. 1099 წლის ივლისში იერუსალიმი აიღეს ჯვაროსნებმა.⁴⁵

ზემოთქმულთან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ დავით აღმაშენებელმა ხარკის გადახდა შეუწყვიტა თურქ-სელჩუკებს არა 1097 წელს, არამედ 1099 წელს. უნდა ეთიქტოთ, რომ 1097-98 წ. წ. საქართველოს მოშენება-მომშლავრების პროცესი ძირითადად დასრულდა. „მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განაპრავლნა სპანი“.⁴⁶ და უკვე მომშლავრებულ ქუეყანას შეეძლო უარი ეთქვა მტრისათვის ხარკის გადახდაზე, რადგან მის უკვე ძალიან გააჩნდა და შესაძლებლობაც იმისა, რომ თითონ გადასულიყო შერტყეაზე. ზოგიერთი ისტორიკოსის ვარაუდი იმის შესახებ, რომ სრულებითაც არ იყო სავალდებულო საქართველოს ვერაპლეთა ომების შედეგებისათვის, კერძოდ იერუსალიმის აღებისათვის, დევიდა⁴⁷ და შერტყეაზე ხარკი, მთლად მართებული არ უნდა იყოს. საქმე ანტიოქიისა და იერუსალიმის აღების დაცდაში კი არ იყო, არამედ იმ ობიექტურ სინამდვილეში, რაც იმდროინდელ წინააზიასა და ევროპაში იქმნებოდა. კერძოდ იმაში, რომ ჯვაროსანთა ტალღა ძლიერდებოდა, თურქ-სელჩუკთა სახელმწიფო კი დაშლა-დამცრობის გზაზე იდგა. 1097 წლისათვის, მართალია, თურქ-სელჩუკების სახელმწიფო დაშლილი და წინანდებურ ძლიერებას მოკლებული იყო, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ დასუსტებული (მოვიგონოთ 1096 წლის დამლევისათვის ჯვაროსნების დამარცხება, თუნდაც ის, რომ ანტიოქიის აღება თითქმის მთელი წელი მოუხდნენ ჯვაროსნები, და მის შესანარჩუნებლად დიდი ბრძოლება გადაიხტა).⁴⁸ (აღბათ ამ პერიოდისათვის მთლიანად არც საქართველო იქნებოდა მხედ სერთაშორისო პოლიტიკურ სარბიელზე. საქართველოს სამეფო კარმა ანტიოქიისა და იერუსალიმის აღებას კი არ დაუცდა, არამედ ანტიოქიისა და იერუსალიმის აღებით ლხვარაჩვენებლი თურქ-სელჩუკების მდგომარეობის აწორ-აწონისა და პოლიტიკური შეფასების შემდეგ (ბუნებრივია, შესაბამისად საერთო ძლიერებას გათვალისწინებთაც.) შესაძლებლად ჩათვალა ხარკის გადახდა შეწყვიტა.⁴⁹

ამგვარად, თანამედრ შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ დეარტული დამოუკიდებლობა აღადგინა 1099 წელს, თურქ-სელჩუკებისადმი ხარკის მიცემის შეწყვეტის შემდეგ.

ასეთი დიდი პოლიტიკური წარმატების შემდეგ საქართველოს სამეფო კარს მთელი სივრცე-სივრცით უნდა გაეშალა მუშაობა ქუეყანაში ძალთა უდრეგრესი მობილიზაციისათვის. ბუნებრივია, ასეთ პირობებში პერეთ-კახეთის სა-

ქართველოს ერთიან სახელმწიფო ორგანიზაციაში შემოყვანის საკითხი უაღრესად აქტუალური იყო.

დავით აღმაშენებელი მჭიდროდ მოქმედებდა გადვიდა. რა გასაკვირია, რომ უკვე ძლიერ ქუეყანას დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია კახეთის მეფე კვიციანი (საკუთარ მეფობისავე თანა მეფე-ქმნელი ვნებთა ზედა და ჭეშმარიტი ქრისტიანი).⁵⁰ დავით აღმაშენებელმა საქმე ზედაზნის აღებით დაიწყო, რადგან იმდროინდელი კახეთისათვის ამ ციხეს შერტყე და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. „მოსცა ცაში ლმერომან მეფესა დავითს და წარულო კვრიეს ციხე ზედაზნი“.⁵¹

ზედაზნის ციხის აღების თარიღად ავად. ივ. ჯავახიშვილი 1101 წელს ასახელებს.⁵² ეს თარიღი უფოგანოდ ვაიმეორებს ს. მაკალათიამ, აბ. კიკვიძემ, რ. შერტყეველმა და სხვ. და დღეს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში სავსებით მიღებულია ითვლება.⁵³

საქმე იმაშია, რომ ზედაზნის ციხის აღების თარიღი როგორც ავად. ივ. ჯავახიშვილმა დამატაცია (წინააღმდეგ თ. ეორდანიასა და ეთაყიშვილის მოსაზრებებისა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ თითქმის ეს ქრონიკონი პირველად ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებას“ ხელდაწერს იყო შერტყეაში), მომავლში ანა დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში“⁵⁴ და იგი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ეკუთვნის. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს კი გარკვევით აქვს ნათქვამი, რომ ზედაზნის აღებას „ქრონიკონი იყო სამას ოცდასამი“.⁵⁵ ე. ი. 1103 წელი (780+323), რაც შეეხება ზედაზნის აღების თარიღად 1101 წლის მიჩნევას, იგი არ უნდა იყოს სწორი.⁵⁶ სამწუხაროდ, შემდგომში არც ერთი ისტორიკოსი არ შეეცდია ღრმად ჩახეხდა მოცემულ საკითხში და თარიღი შეემოწმებინა.

ამრიგად, დავით აღმაშენებლის მიერ კახეთის შემოერთებისათვის ბრძოლისას, სამხედრო თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობის მქონე ბუნქტის, ზედაზნის ციხის აღება მოხდა არა 1101 წელს, არამედ 1103 წელს (როგორც ისტორიული მასალა მიგვანიშნებს).

ჩვენ, ზემოთ დავით აღმაშენებლის მიერ კლდეკარის საერისთავოს გაუქმების საკითხის განხილვასას აღენიშნეთ, რომ ეს მოვლენა, ქართული ისტორიული, წყაროების მიხედვით, ემთხვევა — ზედაზნის ციხის აღებას და თარიღის დასახელებისაგან თავი შეეცავით, ეიღრე არ გაეაჩვენებოდ და დავაუხსტებლით აღნიშნული ციხის აღების წელს, ამჯერად კი, ჩვენი აზრით, სრული უფლება გვაქვს კლდეკარის საერისთავოს გაუქმებასა და მისი საქართველოს სამეფოსათვის შემოერთების წლის განსაზღვრისა. მაგრამ ჯერ ვნახოთ მოცემული საქმის ეთარება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან: „მოსცა ცაში ლმერომან მეფესა და-

ვიოს და წარუღო კვრიცს ციხე ზედაზენი. ჭრონიკონი იყო სამის ოცდასამი. და წარემბატებოდა დიდებოთა და განმარტებულობითა. რომელთა თანა ესეცა იქმნა: მოკუდა რატა, ძე ლიპარტისი, კაცი ორგული და ნანდვლევი ნაშობი იქედნისი. ესრეთ დასარულდა სახლი ბაღვაშთა, სახლი განმარტებულთა... და არღარავინ დამთა საყოველთაო მათთა მკუდრი(1)... და მამული მათი აღიღო მეფემანა.⁵⁷ მაშასადამე, ზედაზენის ციხის აღებისთანავე (როგორცა თანა ესეცა იქმნა⁵⁸) გარდაცვილია რატა ლიპარტისი ძე. დავით აღმაშენებელს მისი მამული (კლდეკარის საერისთავო) თავის მფლობელობაში მოუქცევია.

ბუნებრივია, თუ ჩვენს მიერ ზემოთ შემოტანილ ზედაზენის ციხის აღების წელს მართებულად ჩავთვლით, რატა ლიპარტის ძის სიკვდილი და კლდეკარის საერისთავოს სამეფო ჭონება-სამფლობელოდ გამოცხადებაც ასევე უნდა დავათარილოთ.

ამრიგად, XII საუკუნის დასაწყისის საქართველოს შიდაელაზობრივი ბრძოლის ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი აქტი — კლდეკარის საერისთავოს გაქმნება და საქართველოს სამეფოსათვის მიერთება, 1103 წელს მოხდა. შემდგომში, როგორც ირკვევა, საქართველოს მეფეს კლდეკარი, ლიპარტის უფიცილი მამული, გელათისათვის შეუწირავს. დავით აღმაშენებელი იმთავითვე ზრუნავდა გელათის მატერიალურ კეთილდღეობაზე და სწორედ ამიტომ „მისცნა დედასა ღმრთისასა სამსახურებლად მისსა წინაშე მტკომელთა მისათათსა“⁵⁹ მრავალი სოფელი. როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს, „სხუთთა მრავალთა და სპარტოლიანთა უსარჩულელ-მთებუქმელთა სოფელთა თანა“⁶⁰ საქართველოს მეფეს გელათისთვის შეუწირავს „მამული ლიპარტითი“, რომელიც იმ დროისთვის „უმკუდროდ დარჩომილ იყო“.⁶¹

ამ შეკრულებით გელათის მსახურთ საქართველოს სამეფო კარმა „უზრუნველი ტრაპეხი განქმნა“.⁶²

ამგვარად, კლდეკარის ერისთავების სამეფო-ლობლო მამული საეკლესიო (გელათის) საკუთრება გახდა.⁶³

რას უნდა ნიშნავდეს, კლდეკარის საერისთავოს გაქმნებისა და საქართველოს სამეფოსადმი შემოერთების შემდეგ, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა: „ხოლო თრიალეთი და კლდეკარნი ჰქონდეს თევდორეს, ჭყონდიდელისა დისწულსა, კაცსა გონიერსა და დიდად მყოფსა“.

ვარაუდი იმისა, რომ მე-12 საუკუნის ათიან წლებში (კლდეკარის საერისთავოს საქართველოს სამეფოსადმი შემოერთების შემდეგ) „თრიალეთი და კლდეკარნი“ ცალკე სივამეფო ერთეული წარმოადგენდა,⁶⁴ არ უნდა იყოს მართებული. ეს წინააღმდეგება იმ გადმწყვე-

ტილებს, რომელიც საქართველოს მეფემ მიიღო. რაც შეეხება ზემოთ მხუჭყნდურ ცნობებს, იგი სრულებითაც არ უნდა მტკიცებდეს იმასზე, რომ ეს პროვინცია ცალკეა გამოყოფილი სამეფოდან.

ჩვენი აზრით, მას შემდეგ რაც ლიპარტი-სეული სამფლობელო საეკლესიო საკუთრება გახდა (იგი გელათის მონასტრის გადაეცა), მისი მეთვალყურეობა საეკლესიო პირებმა მიანდეს თევდორეს, რადგან აღნიშნულ სამფლობელოს შემოსავალი რომ მიეცა ეკლესიისათვის, გონიერა მართვა-მეთვალყურეობა სჭირდებოდა. ეკლესიამ, საქართველოს ეკლესიის შესავეურებმა გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესსა ეს საქმე მიანდო „კაცსა გონიერსა და დიდად მყოფსა“. თევდორეზე არჩევანი აღმათ იმიტომ გაკეთდა, რომ იგი, გარდა თავისი (გელათის მონასტრის), ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ახლობელი პირი, მისი დისწული იყო და ამასთანავე საქართველოს სამეფოს ერთგულება ჰქონდა (მას ჩვენ გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესთან, აბულთთან და ივანე ორბელიანს ერთად ვხედავთ სამშვილდის აუბნის მოთავედ).⁶⁵

ამგვარად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა ისე უნდა გავიგოთ, რომ თევდორეს საქართველოს ეკლესიის მიერ ჰქონდა მინდობილი მეთვალყურეობა კლდეკარისა და თრიალეთისა, ხოლო ეს უკანასკნელი ეკლესიის (გელათის მონასტრის) საკუთრებაში იყო გადაბრუნდნ და, ბუნებრივია, დამოუკიდებლად არ არსებობდნენ. შემთხვევითი რაც ის უნდა იყოს, რომ აქედან მოყოლებული (XII საუკუნის ათიანი წლებში) არავითარი ცნობა კლდეკარის საერისთავოს დამოუკიდებლურ ერთეულად არსებობის შესახებ არ მოიპოვება.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 1104 წელს გარდაიცვალა⁶⁶ (და ანა 1102 წელს, როგორც საისტორიო ლიტერატურაშია მიჩნეული)⁶⁷ კახეთის მეფე კვირიკე. მის ნაცულად კახთა მეფე გახდა კვირიკე მისიწული აღსართანი, რომელსაც, განსხვავებით თავისი წინამორბედისაგან, არავითარი მონაცემი მეფობისა არ ჰქონია, ქარაფშუტა, უშეცრად უსამართლო ყოფილა.⁶⁸ ასეთი მმართველის ხელქვეითი მყოფი კახეთის შემოერთება, ცხადია, საქართველოს მეფისათვის აღარავითარი სიმძირს არ წარმოადგენდა, რადგან დავით აღმაშენებელს ამ მიმართულებით უკვე გატარებული ჰქონდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, პეტრეთ-კახეთში საქართველოს მეფე დიდად ავტორიტეტი სარგებლობდა და ბერის დიდებული მის პოლიტიკის მხარს უჭერდა, მით უმეტეს, როცა ეს პოლიტიკა საქართველოს გაერთიანებას ისახავდა მიზნად. 1104 წელს დიდად აზნაურებმა ქავთარ ბარამის ძემ და მისმა დისწულებმა არიშინამა და ბარამმა შეიპყრეს და საქართვე-

ლოს მეფეს გადასცეს კახთა მეფე აღსართანი. დავით აღმაშენებელმა ჰერეთი და კახეთი დაიკავა („და აღიბუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი“).⁶⁸

საქართველოს მეფის ასეთი მოქმედება ვერაფრად ეპიტანავა სულთანს, რადგან ჰერეთ-კახეთი მისი მოხარკე იყო და ამ ქვეყნის დიკარგვა დიდ დანაკლისს წარმოადგენდა სასულთანსათვის — სუსტდებოდა თურქების პოზიცია აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. სულთნის დიდმოხელე, ვანაძის ათაბაგი, მრავალრიცხოვანი ლაშქრით გამოემართა დავით აღმაშენებლის შესაბრძოლებლად და ჰერეთ-კახეთიდან გასადევნად. როგორც ჩანს, ეს გამოლაშქრება დავით აღმაშენებლისათვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო და იგი მომზადებული დაუხვდა მტერს. ბრძოლა გაიმართა ერწუხში (ახლანდელ საინგილოში), 1104 წელს და ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა („ერწუხს ქმნა წყობანი დიდი და ქმა-გასამწილი იგი დიდი ძლევით“). (ისტორიკოსი აღტკლებით აღწერს დავით აღმაშენებლის უშუალო მონაწილეობას ერწუხის ომში, ტომედიც არა თუ ვითარცა სხვა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თვსთა, ანუ შორით უზახებდა... არამედ უპირატეს ყოველთას თჳთ წინა უვიდოდა და ვითა ლომი შეუზახებდა კმითა შაღლითა და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა...) ⁶⁹

ამგვარად, დავით აღმაშენებელმა შემოიერთა ჰერეთი და კახეთი და „ნაბეგრად აღიბუნა ცხენი და სიმავრენი მათნი“.⁷⁰ ეს მოხდა 1104 წელს. ჰერეთ-კახეთის შემოერთებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის, ამ უკანასკნელის ეკონომიური და სამხედრო ძალების შესამწინვად გაზრდის თვალსაზრისით. ამიერიდან უკვე აშკარად ძლიერ, ერთიან საქართველოს შექმნის თვალსაზრისით მასწავლებლის ქმედითად ვატარება — ეკონომიური ხასიათისა — იქნებოდა თუ პოლიტიკურისა. მართლაც, აქედან (ჰერეთ-კახეთის შემოერთების შემდგომ) მოყოლებული საქართველოს სამეფომ ბევრი ისეთი გრანდიოზული ნაბიჯი გადადგა, რომელშიც ქვეყანა იმ დროინდელს წინაზიასა და კავკასიაში ერთ-ერთ გავლენიან და მოწინავე სახელმწიფოდ აქცია. ამ საქმეში გარკვეულად მნიშვნელოვანი წილი მიუძღოდა საქართველოს სამეფო ხელისუფლებას, მის თვითმპყრობელ მეფეს დავით აღმაშენებელს. სერთოდ, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა წარმოადგენს თანმიმდევრულად აღმავალ ერთ მილთან ხაზს და რაიმე პერიოდების გამოყოფა მის მეფობაში უღირესად ხელოვნურად ჩანს. მაგრამ თუ კი მის მოღვაწეობას პირობით ორ პერიოდად გავყოფთ (როგორც ეს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში კეთდება⁷¹), მაშინ, ჩვენი აზრით, უღეარად პერიოდებს შორის დადებული უნდა

აქნას არა 1097 წელი, არამედ 1104 წელი. სწორედ 1104 წლიდან მოყოლებული, როცა თავდასული საერო (ლიბარიტო, პეტრე, მკვენი და სხვ.) თუ სასულიერო (1103 წელს რუმის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებით რომ განიდევნენ) ფეოდალები დათრგუნვილი იყვნენ და ჰერეთ-კახეთი საქართველოს სამეფოს შემოუერთდა, დაიწყო ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი საქართველოს ცხოვრებაში — ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ხანა.

ამდენად, დავით აღმაშენებლის მეფობას თუ ორ ხანად გავყოფთ, პირველი მოდის 1089-1104 წ. წ., ხოლო მეორე პერიოდი იწყება 1104 წელს და გრძელდება მის გარდაცვალებამდე.

1089-1104 წლები საქართველოს ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი დროა, როდესაც თურქ-სელჩუკებისაგან დათრგუნვილი ქვეყანა და მისი მოსახლეობა ფაქტობრივად გათავისუფლდა მომხდურ დამპყრობელთა უღლისაგან და აღმავლობის ცხით წავიდა.

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 325 დავითის ისტორიკოსის მიერ ლიბარიტს ამი რად მოხსენება იქნებ არ იყოს შემოხვევითი. ამას შემდგომი გამოკვლევა სჭირდება. ამ საკითხის ირგვლივ თავისი მოსაზრებები გამოთქვამს მარი ბროსემ (იხ. მისი, Histoire de la Géorgie, I, 1849, გვ. 352.), დმიტრი ბაქრაძემ (იხ. მისი შენიშვნა ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორიის“ მიმართ — ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა, თბ. 1885, გვ. 173, დ. ბაქრაძის შენიშვნა სქოლიოში), ამ ბოლო დროს ე. კობაიაძე (იხ. მისი საკანდიდატო დისერტაცია „ქალაქთაზის საერისთავო“; ხელნაწერი, გვ. გვ. 211-214).

² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 325.

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 195.

⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 325.

⁸ იქვე.

⁹ იქვე.

¹⁰ იქვე.

¹¹ ბალეაშთა საგვარეულოს შესახებ (ცერძოთ მათი წარმომავლობის და მოქმედების შესახებ არაერთ ისტორიკოსს გამოუთქვამს თავისი მოსაზრება (მ. ბროსესა და დ. ბაქრაძის შესახებ ზემოთ უკვე შევთითეთ). ივ. ჯავახიშვილი (იხ. მისი „ქართველი ერის ისტორია“, II; თბ. 1965), ს. ჯანაშია (იხ. მისი ბარათიშვილთა გენეალოგიისათვის. შრომები, II, 1952, გვ. 477), მიხ. კახაძე (იხ. მისი, ლიბარიტ ლიბარი-

ტის ძე და მისი ძალი აღმოჩენილი თხზულება, ენიშნის მოამბე, XIV, თბ.; 1944, გვ. გვ. 23-91), ს. ერემიანი (იხ. მისი, *კარაი ყირა ქარის ხე წრა სარეიხერე* ერევანი, 1947). ვ. კობალიანი (იხ. მისი „კლდე-კარის საერისთავო“, ხელნაწერი). სხვადასხვა დროს მოკლებულ პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხენ. ჩვენ საჭიროებისამებრ ვითვალისწინებთ მათ შეხედულებებს.

¹² აკად. ივ. ჭავჭავაძის „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნში ლიბარიტის საქართველოდან გაქცევას თარიღად მიიხსენებს არა 1096, არამედ 1097 წელს, თუმცა მასვე საყვებით მართებულად მოკლებული აქვს, რომ ლიბარიტო შეპყრობილი იქნა (1093 — 1 1094 — 5 წწ.). (ივ. ჭავჭავაძის, ქართველი-ერის ისტორია, 1965, II, გვ. 195). ხოლო შემდგომი მსჯელობისას განსაზღვრებული შეცნობები მიუთითებს, რომ ლიბარიტმა პატიმრობაში 1096-97 წლებში გაატარა (წ). ბუნებრივია, რომ თუ კი ლიბარიტო 1094 (თუნდაც 1095) წელს იქნა შეპყრობილი, იგი ორ წელს 1094-1095 წ. წ. (თუნდაც 1095-1096 წ. წ.) საპყრობილეში გაატარებდა და ყველა შემთხვევაში მისი გაქცევა 1096 წელს ვეიან არ მოხდებოდა.

¹³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 325.

¹⁴ იქვე.

¹⁵ Бернгард Куглер, История крестовых походов, перевод с немецкого, 1895, 33-34, 52-56; История крестовых походов, С.-Петербург, 1901 г.; Ф. И. Успенский, История Византийской империи, III, 1948.

¹⁶ ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. გვ. 154-155.

¹⁷ აღნიშნული წყაროს უაღრესად დიდი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის (ერძოდ XI-XII საუკუნეების) კვლევას საქმეში უდავოა.

¹⁸ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისა და მისი თხზულების „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისის“ სანდოობა და განსაკუთრებული ქრონოლოგიური თანმიმდევრულობა საყვებით საფუძვლანად დაამტკიცა აკად. ივ. ჭავჭავაძის „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, (V-XIII ს. ს.) თბ.; 1945, გვ. გვ. 208-219).

¹⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 325. იქვე, 33, 326.

²⁰ ქართლის ცხოვრება, გვ. 326.

²¹ იქვე.

²² იქვე.

²³ ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 195.

²⁴ შ. მესხია, ვ. გუჩუა, საქართველოს ისტორია, VIII-X კლასებისათვის, თბ., 1969, გვ. 65.

²⁵ ვ. კობალიანი, საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან (XI-XIII ს. ს.) თსუ შრომები, ტ. 125, თბ., 1968, გვ. 52, აგრეთვე რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 35.

²⁶ ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, ვ. ნ. გაბაშვილის რედაქციით, თბ. 1957, გვ. 134.

²⁷ ივ. ჭავჭავაძის, ქართველი ერის ისტორია, II, თბ.; 1965, გვ. 195.

²⁸ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 325-326.

²⁹ ივ. ჭავჭავაძის, დსაბ. ნაშრ., გვ. 195.

³⁰ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჭავჭავაძის, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბ., 1946, გვ. 180-182.

³¹ ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე და სხვ.; საქართველოს ისტორია, I, თბ.; 1958, გვ. 154.

³² აბ. კაციაძე, დავით აღმაშენებელი, თბ., 1942, გვ. გვ. 5-6.

³³ რ. მეტრეველი; დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 35.

³⁴ შ. მესხია, ვ. გუჩუა, საქართველოს ისტორია, VIII-X კლასებისათვის, თბ., 1969, გვ. 65.

³⁵ ვ. კობალიანი, საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან (XI-XIII ს. ს.) (თსუ შრომები, ტ. 125 თბ.; 1968, გვ. 92.

³⁶ ვ. კობალიანი, დსაბ. ნაშრ., იქვე.

³⁷ ქართლის ცხოვრება, თბ., 1958, გვ. 325-326.

³⁸ ივ. ჭავჭავაძის, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 195.

³⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 325-326.

⁴⁰ Ф. И. Успенский, История Византийской империи, III 1948, стр. 143.

⁴¹ Ф. И. Успенский, იქვე გვ. 144.

⁴² Г. Ф. Герберг, История Византии, пер. Г. В. Безобразова, 1896, стр. 269. ჯვაროსანთა ლაშქრობების შესახებ მნიშვნელოვანი ვა. მოკლებულია მ. ა. ზაბოროვის «Крестовые походы» (მოსკოვი, 1956) და მისივე «Введение в историографию крестовых походов» (მოსკოვი, 1966).

⁴³ Г. Ф. Герберг, დასაბ. ნაშრ., გვ. 271.

⁴⁴ Бернгард Куглер, დასაბ. ნაშრომი, გვ. 52-56; М. А. Заборов, «Крестовые походы», М., 1956, стр. 85-88.

⁴⁵ Бернгард Куглер, დასაბ. ნაშრ., გვ. 64; М. А. Заборов, დასაბ. ნაშრომი, გვ. 103.

⁴⁶ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 326.

⁴⁷ ვ. კობალიანი, საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან (XI-XIII, თსუ შრომები, ტ. 25, თბ., 1958, გვ. 92.

⁴⁸ უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც ისტორიული წყაროები აღსატყობენ და თანამედ-

როვე ისტორიოგრაფია მიიხსნეს, ანტიოქია გაცემით იქნა აღებული.

რულ კავსის ცნობით, ანტიოქიის ემირის მიერ ერთ-ერთი ციხე-კოშკის დაცვა დაავადებული ჰქონდა სომეხ ფირუსს, რომელმაც მტერთან (ჯვაროსნებთან) მოლაპარაკების შემდეგ, დასთმო პოზიცია და ჯვაროსნები ქალაქში შეუშვა. ამის შემდეგ დაეცა ანტიოქია (H. Glaesener, L'. Escalade de la tour d'Antioches — «Revue du Moyen Age Latin», II, 1946, გვ. 139-148. M. A. Заборов, Введение в историографию крестовых походов, М., 1966, გვ. 51, მისივე, Крестовые походы, М., 1956, გვ. 88).

ამგვარად, ანტიოქიის დაცვა არ ყოფილა გამოწვეული დაცვის სისტემით, აქ თავი იჩინა დღევანდელი და ალბათ გადამწვევები როლიც ითამაშა.

რაც შეეხება ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას, ხარკის შეწყვეტის შესახებ, იგი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიდან უნდა მომდინარეობდეს, თუმცა ვახუშტი ჯერ ხარკის შეწყვეტის ფაქტს ასახელებს, ხოლო შემდეგ იერუსალიმის აღებას. თარიღები კი როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევისა საერთოდ უკან აქვს გადაწვეული (მაგალითად, იერუსალიმის აღებას 1101 წელს ასახელებს). ეიშვორებთ, თუ იმასაც გაითვალისწინებთ, რომ მისი ცნობა დავითის ისტორიკოსიდან გამომდინარეა) ამის მტკიცების საშუალებას თვით მისი ტექსტი ძლევია, რომელიც სიტყვა-სიტყვით არის გადმოღებული „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისიდან“, მხოლოდ გადაადგილებულია წინადადებებში, შეიძლება დავასკენათ, რომ ამ შემთხვევაში (თარიღის დადგენა გააქვს მხედველობაში). არ არის ყურადსაღები (იხ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, II, გვ. 195).

⁵⁰ ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1958, გვ. 326.

⁵¹ ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1958, გვ. 326.

⁵² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 195.

⁵³ აღნიშნული თარიღი შეტანილი იქნა ნ. ბერძენიშვილის, ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას „საქართველოს ისტორიაში“, გვ. 182.

⁵⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1965, გვ. 195.

⁵⁵ ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1958, გვ. 326.

⁵⁶ აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ ეახტანისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი ცნობები თარიღად 1101 წელია დასახელებულია. მართლაც შეფუძნებულია დავით კვიციანის ციხე ზედა-ზენი „და იყო ქაიხიჯია“ (იხ. თ. ჯორდანიას, ქრონიკები, I, 1892, თბ., გვ. 236). მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილმა დაამტკიცა, თუ ჩვენ ეახტანისეულ ხელნაწერში ანა დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ მოგვეპოვებოდა უფრო ზუსტი თარიღი (რადგან იგი დავითის ისტორიკოსს ეკუთვნის), ბუნებრივია, მას უნდა ვენდობო.

⁵⁷ ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1958, გვ. 326.

⁵⁸ იქვე, გვ. 330.

⁵⁹ იქვე.

⁶⁰ იქვე.

⁶¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330.

⁶² არ არის სწორი თ. ჯორდანიას ცნობა, თითქოსდა ლიპარიტის მამული 1101 წელს (ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო რატი ლიპარიტის ძე და მამულიც მის საკუთრებას შეადგენდა) შეეწიროს გელათისათვის. უფრო საფიქრებელია, რომ ეს ფაქტი გელათის კომანდისის მშენებლობის დაწყებისას უნდა მომხდარიყო (1106 წ.).

⁶³ ე. კომპლიანი, კლდეკარის საერისთავო, ზელნაწერი, გვ. 216.

⁶⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 331.

⁶⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 326. „და შემოდგომად წელიწადისა ერთისა (ზედაზენის აღებისა და კლდეკარის საერისთავოს საქართველოს სამეფოსათვის შემოერთების შემდგომ, რ. მ.). მიიცილა მეფე კვიციანი, ე. ი. კვიციანი გარდაიცვალა 1103 წლიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ (1103-1) 1104 წელს. როცა ისტორიკოსები ზედაზენის აღების თარიღად 1101 წელს სთვლიდნენ, ბუნებრივია, კვიციანს გარდაცვალების თარიღად 1102 წ. მიიხსენებდნენ.“

⁶⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 195.

⁶⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 326.

⁶⁸ იქვე, გვ. 328.

⁶⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 328.

⁷⁰ ქართლის ცხოვრება, გვ. 329.

⁷¹ იქვე.

⁷² ნ. ბერძენიშვილი, ე. ღონღუა, მ. დუმბაძე და სხვ., საქართველოს ისტორია, დამზარე სახელმძღვანელო, თბ., 1956, გვ. 154.

იოანე პეტრიწის „სათნოებათა კიბის“ გამოცემის გამო

XI-XII საუკუნეთა ცნობილი ქართული ფილოსოფოსისა და ღვთისმეტყველის, იოანე პეტრიწის ჩვენამდე მოღწეულ თხზულებათაგან დღემდე გამოცემული იყო მხოლოდ ორი: პროკლე დიაღობოსის ფილოსოფიური თხზულების — „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“ — თარგმანდ პეტრიწის ვრცელი „განმარტებითურთ“ და ნემესიოს ემესელის თხზულებას „ბუნებისათვის კაცისა“² თარგმანი. მათ რიცხვს ენიშნება იოანე სინელის „კლემავსის“ ჭადვქსი. ლი თარგმანი „სათნოებათა კიბე“. იგი გამოსცა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ივ. ლოლაშვილმა, რომელმაც ტექსტს დაურთო შენიშვნები, ლექსიკონი და ვრცელი ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა.

იოანე სინელის „კლემავსი“ ანუ „კიბე“ ქრისტიანული ასკეტიკურ-მისტიკური ზნუნსწავლულების სახელმძღვანელოა. იგი ოცდაათი თავისაგან — სიმბოლურად „აღსავალი ხარისხისაგან“, კიბისაგან შედგება. თითოეული თავი შეიცავს მორალურ შეგონებებს სათნოებათა შესახებ: „კიბის“ თითო ხარისხი თითო სათნოებას ეხება და თხზულებას მინანიც სწორედ ადამიანის მიერ ამ ხარისხთა აკლას, სულის განსაწმენდი მორალური პრინციპების მიხედვით ადამიანის ზნეობრივი აღზრდაა. ეს ნაწარმოებები ძირითადად ქრისტიან ბერ-მონაზონთათვის იყო განკუთვნილი. იგი შუა საუკუნეებში დიდად პოპულარული იყო და ამიტომაც ქართულ ენაზე სამეგრეო თარგმანითაა პროზაულად.

„კლემავსის“ ერთი თარგმანი (IX თუ X საუკ.)

1 იოანე პეტრიწი, შრომები, ტომი I: ქართული ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმ. ყუბხიშვილმა, თბილისი, 1940.

2 ნემესიოს ემესელი, „ბუნებისათვის კაცისა“, გამოსცა ს. გორგაძემ, თბილისი, 1914.

უცნობი მთარგმნელისა, მეორე ექვთიმე მთაწმიდელს ეკუთვნის, შესაძის მთარგმნელად კი სამეცნიერო ლიტერატურაში პეტრე გელათელი იყო მიჩნეული. ივ. ლოლაშვილი ანტონ კათალიკოსისა და ჯავთ რეკტორის ცნობებზე დაყრდნობით ცდილობს მეცნიერულად დასაბუთოს, რომ ეს პროზაული თარგმანი (ხელნაწ. № 39), რომელიც პეტრე გელათელს მიეწერებოდა, ეკუთვნის იოანე პეტრიწს. მეორე შესწორება, რომელიც შეკვლევას ამ საკითხთან დაკავშირებით შეაქვს სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ შეხედულებაში ის არის, რომ იოანე პეტრიწის მიერ ვაღვქსილი „კლემავსი“ პეტრიწის ორიგინალური ფილოსოფიურ-დიდაქტიკური ნაშრომია.

ივ. ლოლაშვილი ასაბუთებს, რომ იოანე პეტრიწი, იყენებს რა იოანე სინელის „კლემავსის“ ექვთიმე მთაწმიდლისეულ თარგმანს, არ იზღუდება განსაკუთრებულ ტექსტით. „იგი მის ბაზაზე, ახსნა, ორიგინალურ ნაშრომს, რომელიც პირველი წყაროსაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. 302 სტროფიდან პროზაულ დედანს ემთხვევა მთლიანად ან ნაწილობრივ 186 სტროფი. სხვა დანარჩენი — ორიგინალურია“ (გვ. 97). „ასეთია — ამბობს სხვა ადგილას ავტორი. — 116 სტროფი (ისინი გამოცემაში აღნიშნულია ვარსკვლავით)“ გამოკვლევის ავტორის სამართლიანი დასკვნით „სათნოებათა კიბე“ (ავტორმა თვითონვე შეარჩია სათაური), რომელიც იოანე სინელის „კლემავსის“ თავისუფალ გადამუშავებას წარმოადგენს, იოანე პეტრიწის ორიგინალური ფილოსოფიური დიდაქტიკური ნაშრომია“ (გვ. 99).

თვით ტექსტი მეცნიერულად არის გამოკვლეული. მის დასადგენად გამოყენებულია 9 ძირითადი ხელნაწერი. ტექსტს ატლავს სქოლიოები, სადაც ვარიანტებია მითითებული, ავრთხვე, ექვთიმე მთაწმიდლისეული პროზაული

თარგმანიც, ბოლოში დაბრუნდა აქვს ხელნაწერებთან დაკავშირებული შენიშვნები და, რაც მეტად დასვენება, საკმაოდ სრული ლექსიკონი. ცალკეულ სიტყვათა განმარტებიდან სადავო მხოლოდ რამდენიმე სიტყვას ახსნა.

დამსკუთღული ავტორის ახსნილი აქვს, როგორც „ღურსმანი მიჰედებელი, დაღურსმელი“. ამ განმარტებას, სხვათა შორის, იგი გამოკვლევაში იყენებს, იმ ადგილას, სადაც ამტკიცებს, რომ იოანე პეტრიწის „ერთი“ განხრებულმა ქრისტიანული თვალთახედვით: „იგი ხან მამა ღმერთია... ხან ძე — ღმერთი...“ (გვ. 141), ე. ი. ქრისტე. ამის დასადასტურებლად ავტორს მოჰყავს კონტექსტი, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ სიყვდილი შეუცნობელი ქერდია, „რომელი სელსა სხეულთაგან წარიყვანს და, სადა ერთი დამსკუთღული არს, მენ მიჰყავს“. აქ ივ. ლრუაშვილს დამსკუთღული ესმის როგორც „დაღურსმელი“ და ამ კონტექსტს ასე ხსნის: „ცხადია, ეს ერთი დამსკუთღული არს იესო ქრისტე, რომელიც ებრაელებმა ღურსმით გააკრეს (დასპქაღეს) ყვარზეო“ (გვ. 142).

მართალია, ძველ ქართულში დამსკუთღული ნიშნავს „ღურსმანს“, მაგრამ მოცემულ კონტექსტში „დამსკუთღული“ არ ნიშნავს „დაღურსმელს“, არც პირდაპირ და არც ალუგორულად, არამედ იგი ნიშნავს „დამკვირვებულს“. პეტრიწი პროკლეს „კავშირის“ განმარტებაშიც ხშირად ხმარობს ამ სიტყვის, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა „დაღურსმელი“-ს, არამედ „დამკვირვებულ“-ს მნიშვნელობით (მაგ.: „ეინაჲ ერთობით ყოვლობაჲ საყოველთაისა შორის ეჲსა დამსკუთღული“ (II, 118), რაც ნიშნავს: „ამიტომ ერთისა საშუალებით ყოველთა ზოგადობა (ყოვლობა) მუდმივ (სახოგადო) ღროში დამკვირვებულა...“

განცდა — ავტორის ახსნილი აქვს მხოლოდ როგორც „ღანახვა“. ეს ახსნა ნაწილობრივ სწორია. ეს სიტყვა ძველ ქართულში და ხშირად პეტრიწთანაც, მართლაც „ღანახვის“ მნიშვნელობით გვხვდება (საბაც ასე განმარტავს მას „ღანახვის“ მიხედვით). მაგრამ, გარდა ამ მნიშვნელობისა, პეტრიწის შრომებში მას აქვს ფილოსოფიური მნიშვნელობაც: „აღქმისა“ და ავტოთე. „გონებით ჭკერტის, წედომისა“ (созеряние) პეტრიწი თავის ფილოსოფიურ შრომებში უფრო ხშირად სწორედ ამ მნიშვნელობით ხმარობს მას. ასევე „სათნობათა კიბუნიც“:

„რათა კეთილად მძიები განიცდიდე, მოღუაწეო, შენ წრფელითა გონებითა“ ამის მიხედვით განუცდიელი — იქნება „გონებით მიუწვდომელი“.

მოდრეკა — მართალია, „გადახრას“ ნიშნავს, მაგრამ პეტრიწთან იგი „მოძარბობის“

მნიშვნელობით იხმარება. აქედან — მ ი ე ლ რ ე ე ე ლ ი — „უძრავია“ „უძრავი“ „უძრავი“ — როგორც ფილოსოფიური ტერმინი, ნიშნავს გონებით წარმოდგენას, წარმოსახვას და არა „ზმანებას“, როგორც ეს ავტორის აქვს განმარტებული („ზმანება“ — ჩვეულებრივი მნიშვნელობითა).

გუარბი — გარდა ავტორისეული განმარტებისა (სახე, მოდგმა, ნათესავი), პეტრიწის ნაწარმოებებში ნიშნავს „იდეასაც“. სწორედ ამ მნიშვნელობითაა იგი ნახმარი „სათნობათა კიბის“ 301-ე მუხლში: „სწავლულთა არს...“

უსხეულოთა გუარბა გულის-ქმის-მქმნელი — („უსხეულოთა იდეათა“ ანუ „აბსტრაქტულ იდეათა“ და არა „უსხეულო მოდგმათა თუ სახეთა“, როგორც ავტორი ხსნის).

როგორც ზემოთაჲ ვთქვით, ტექსტს წინ უძღვას ვრცელი ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა.

გამოკვლევაში განხილულია და სრულიად ახლებურადაა გაშუქებული იოანე პეტრიწის პაროქენებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა.

ჩვენ ნებას მივცემთ თავს გამოთქვათ ჩვენი მოსაზრებანი ზოგიერთი მათგანს ირგვლივ.

გამოკვლევის ავტორი შესავალშივე გამოიკვეთს იმ საკითხებს, რომელთა გარკვევაც აუცილებელია იოანე პეტრიწის ბიოგრაფიისა თუ შემოქმედების ცალკეული პრობლემების განხილვამდე. ეს საკითხებია: 1. ტრადიციული ცნობები ი. პეტრიწის შესახებ და მათი მეცნიერული ღირებულება; 2. იოანე ჭიჭიამელის, იოანე საღმრთო ფილოსოფოსის, იოანე ტრიჭინოსის, არსენ ბერის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის, იეზუიტელის, პეტრე გელათელის ეინაობა და მათი მიმართება იოანე პეტრიწთან (გვ. 10).

იოანე პეტრიწის შესახებ ტრადიციულ ცნობათა შორის ყველაზე უფრო სანდოდ ივ. ლოლაშვილი სამართლიანად მიიჩნევს ანტონ კათალიკოსის ბიოგრაფიულ მიმოხილვას „იოანესათვის პეტრიწისა, ფილოსოფოსისა მოკლედ მოქსენებაჲ, თუ ვინ იყო იგი, ანუ ვითარ იყო“. ზოგიერთი შემდგომ განვითარებული მოსაზრება ავტორისა ანტონის სწორედ ამ „მოკლედ მოქსენებისაგან“ (და აგრეთვე სხვა ტრადიციულ ვალმეორემებისაგან) იღებს სათავეს. მაგ., აზრი იმის შესახებ, რომ იოანე პეტრიწის საბერძნეთიდან მიიწვია არა პეტრიწონს, არამედ ონიზს, რომ ამონიოს ერმისის წიგნი „მოსაყენებელი ხუთთა ქმათადმი პორტიკა ფილოსოფოსათაჲ“ თარგმნა პეტრიწმა, რომ იოანე სინელის „კლამესი“ მის მიერ ორგანიზდა არა: გადმოღებულ: პროზაულად და იამბიკოდ, რომ იგი (პეტრიწი) იყო მოძღვარი ეფრემ მცირესი... ძირითადად ანტონისა და სხვა ტრადიციულ ვალმოცემებს (გვიანდელ ხელნაწერთა ანდერ-

ძებნ, მინაწერებს) ეყრდნობა ავტორი მაშინაც, როდესაც იოანე პეტრიწისა და იოანე კიშკიშვილის იგივეობის წინათ არსებულ აზრს უბრუნდებდა.

XI-XII საუკუნეთა ქართულ მწერლობაში რამდენიმე იოანე გვხვდებით: იოანე პეტრიწი, იოანე კიშკიშვილი, იოანე ტარიელისძე. აქედან — იოანე ტარიელისძის შესახებ ორი აზრი არ არსებულა. მის სამეცნიერო ლიტერატურაში ცალკე პიროვნებად მიიჩნევენ, ხოლო რაც შეეხება იოანე პეტრიწისა და იოანე კიშკიშვილს, ისინი ხელნაწერთა ტრადიციულ, XVIII-IX საუკუნოვან მწერლობაში ანტონ კათალიკოსის, გერმანე ხუცეს-მონაზონის, დავით რექტორისა და იოანე ბატონიშვილის ცნობათა მიხედვით ერთ და იმავე პირადაა მიჩნეული.

ნ. მარის აზრითაც იოანე პეტრიწი და იოანე კიშკიშვილი ერთი და იგივე პიროვნებაა (Н. Я. Марр, Иоани Петрикий грузинский неологитоник XI — XII века, 1909). ადრე ამბავ აზრისა იყო აქად, კ. კეკელიძეც ც. კეკელიძე, იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან, ვერნ. „პრომეოე“, 1918 № 1), მკვრამ შემდეგ შეცნეირმა უარყო ეს აზრი და გამოკვლევაში, რომელიც დართული აქვს მის შიგერ გამოცემულ ტექსტს „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე, ზმურნელ მიტროპოლიტისაჲ აღნიშნა: საკითხში უფრო ღრმად ჩახედვამ დაგვაჩუქმენა, რომ იოანე პეტრიწი და იოანე კიშკიშვილი ორი სხვადასხვა პირი და სხვადასხვა დროის მოღვაწეაო“ (გვ. LVIII).

„ეტიოდ, ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის სამწერლო-სამეცნიერო და საეკლესიო-საზოგადოებრივი მოღვაწეობა დაწვებულა მეთერთმეტე საუკუნის საზოგადოათიან წლებში... მანასადაში, უნდა ეიფიქროთ, რომ, ყოველ შემთხვევაში, დავით აღმაშენებლის მეფობას ის ვერ გადასცილდება. რაც შეეხება ფილოსოფოსს იოანე კიშკიშვილს, მის სახელს ეხედებათ თამარ მეფის ნიკორიკოსის თხზულებაში, ამ თხზულების შესავალში ნათქვამია, რომ იოანე კიშკიშვილს შესხმის სახით აუწერია დიმიტრი მეფის კველობა და მხნეობა. თავისთავად ცხადია, რომ იოანე პეტრიწი დიმიტრი მეფის (1125—1156) თავადასახალა და საგმიროს საქმეებს ვერ აღწერდა, თუ, რასაკვირველია, იმას პატრიარქალურ დღეგრძელობას და მთელსალობას არ მივაწერო“ (გვ. LX—LXI). ამის გარდა, კ. კეკელიძის აზრით, იოანე კიშკიშვილს თითქოს სიტყვაც კი წარმოუთქვამს თამარის დაკრძალვაზე. „ყოველ შემთხვევაში, — წერს მეცნიერი — როგორ უნდა გავიგოთ (თამარის) ისტორიკოსის სიტყვები იოანე იტყვს კიშკიშვილიო“, როდესაც ის თამარის სიყვდილისა და დასაფლავების აღწერისას ასახელებს რამდენიმე პირთ, მათ შორის იოანე კიშკიშვილსაც, რომელთაც მის ცხედარზე სიტყვა წარმოუთქვამთ? განა წარმოსადგენია, რომ იოანე პეტრიწს თამარის

გარდაცვალებაზე (1213-1214 წწ.) ეთქვა „სიტყვაჲ“ (იტყვე). ამ საბუთებზე, სტენდემსლუჲ კ. კეკელიძე ასკვნის: „აუცილებელად მკვამრება ტანულოა, რომ იოანე კიშკიშვილი არაა იოანე პეტრიწი“ (გვ. LXI). ემავე დისკენა კ. კეკელიძემ შეიტანა ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ (ტ. 1, გვ. 316—317), და ამგვარად, აღიარებულ იქნა მოსაზრება, რომ იოანე კიშკიშვილი და იოანე პეტრიწი სხვადასხვა პიროვნებაა.

როგორც ეთქვით, ივ. ლოლაშვილი უბრუნდება პეტრიწისა და კიშკიშვილის იგივეობის აზრს. ამ შემთხვევაში იგი ძირითადად ანტონ კათალიკოსისა და სხვა ტრადიციულ ცნობებს ეყრდნობა. გამოკვლევის ავტორის აზრით მათ ცნობას საფუძვლად უნდა ჰქონოდა „რღაც ძველი ლიტერატურული წყარო, რომელიც XVIII საუკუნეში არსებობდა, დღეს კი დაკარგულია“ (გვ. 26); თუმცა ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ეს ტრადიციული ცნობები ზოგჯერ ზუსტი და სანდო არ არის. ეს კი იქიდან ჩანს, რომ ზოგი მათგანი ერთმანეთში ურეებს რამდენიმე ისტორიულ ფაქტს. ასე მაგ. დავით რექტორს პეტრიწი მიანიჩა ბავრატ პირველის (IX საუკ. I ნახ.) თანამედროვედ („ესე წარმოგზავნა მეფისა მიერ ბავრატ პირველისა საბერძნეთად ათინად“); ქალკედონის კრება (451 წ.) გავმოაქვს პეტრიწის ეპოქაში; პეტრიწის მოწაფეებდ აცხადებს დავით უძლევეს (VI) და მოსე ხორეველს (VIII ს.); იოანე ბატონიშვილს იოანე ფილოსოფოსს — კიშკიშვილისთვის ზედწოდების — „პეტრიწის“ შერქმევის შესახებ აშკარად ლეგენდარული ამბავი მოჰყავს. ამის გარდა, ტრადიციული, ცნობების მიხედვით (ანტონის გამოკვლებით), იოანე პეტრიწი ათინას იქნა გაგზავნილი სასწავლებლად, რაც სინამდვილეს არ შეეფერება (იოანე პეტრიწი ფილოსოფოსს კონსტანტინეპოლში, მინგანის აკადემიაში ეუფლებოდა).

ამგვარად, მხოლოდ ტრადიციულ ცნობებზე დაყრდნობა არ შეიძლება, ამიტომ მკვლევარი, როგორც კეკელიძე ენახავთ, მათ თავის არგუმენტებსაც აშუქლებს.

მეორე საბუთი ავტორისა ისევე ტრადიციულ ცნობას ეყრდნობა: გერმანე ხუცეს-მონაზონის მიხედვით იოანე ფილოსოფოსი იყო „სანახებო თანე სამცხისა, დაბით ქირკიშით“. ეს ცნობა მკვლევარს ნიშნადობლივად მიანიჩა, რადგანაც ე. თაყაიშვილის ცნობით ტომში მართლაც მდებარეობს დაბა ქირკიში, რომლის მოსახლენი თავის თავს კიშკიშვილებს უწოდებენო. ივ. ლოლაშვილის აზრით ამას მხარს უჭერს თმოგვის ეკლესიის XI საუკუნის მეორე ნახევრის ერთი წარწერაც, რომელშიც, ფარსმან ერისთავთ-

1 ამ უკანასკნელი საბუთის შესახებ იხ. კვეპით.

ერისთავი ივანეს ძე კიმიშვილია მოხსენებელი. თუმცა ეს ცნობა თავისთავად არაფერს გვეუბნება იოანე პეტრიწთან კიმიშვილის ურთიერთობის შესახებ (რომ არ ყოფილიყო გერმანულ ხელის-შეწინააღმდეგობის ცნობა იოანე პეტრიწის დედა პიტრიშვილიან წარმოშობის თაობაზე!) მაგრამ მკვლევარი მინც შესაძლებლად თვლის ამ საფუძველზე დასკვნას, რომ „შეიძლება იოანე ფილოსოფოს-კიმიშვილს მოგვევლო კიმიშვილთან რაიმე ნათესაური ურთიერთობა ჰქონდა. ვინ იცის, იქნებ თმოგველი იყო პაპა ჩვენი ფილოსოფოსისა? (გვ. 27). ამ მიზნიდანვე კომოთენის შეცნობებულ დამტკიცება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

შესაძლებ, ეკვე საეკლესიო საბუთად ივ. ლოლა-შვილი იმას თვლის, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდში აღმოჩნდა თეოფილაქტე ბულარელის თხზულების „იოანეს სახარების განმარტების“ ფრაგმენტი (№ 1090 ლ), რომელსაც XI საუკუნის მიწურულთ თუ XII-ის დასაწყისით ათარიღებენ. ამის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ ამ თხზულების მთარგმნელი — იოანე კიმიშვილი — XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეა. მაგრამ სწორია თუ არა წინამძღვრები ამ დანასკვნაზე: 1. მართლა კიმიშვილია თუ არა იოანეს სახარების განმარტების მთარგმნელი? და 2. ზუსტია თუ არა ფრაგმენტის დათარიღება XI-XII საუკუნეთა მიჯნით? რა საბუთს უყრდნობა ავტორი, როდესაც იოანეს სახარების განმარტების მთარგმნელად მანიჭადმართვ იოანე კიმიშვილს მიიჩნევს?

1918 წელს ავად. კ. კეკელიძემ, აღბნთ იმის საფუძველზე, რომ თეოფილაქტე ბულარელის „მარკონისა და ლუკას სახარებათა განმარტებების“ მთარგმნელად ხელნაწერთა ტრადიციებით იოანე კიმიშვილი იყო ცნობილი, გამოთქვა აზრი, რომ „იოანეს სახარების განმარტების“ მთარგმნელი იოანე პეტრიწი — კიმიშვილია. (კ. კეკელიძე, იოანე პეტრიწის სალიტერატურო მოღვაწეობიდან, ეურნ. პრობლემა, 1919, № 1). მაგრამ შემდეგ მანვე უარყო ეს შეხედულება, რადგანაც „გადმოთარგმნელი ამ უკანასკნელი თხზულებისა ზნაათა მრავლობითი რიცხვის მეორე და მესამე პირში სხარად ხმარობს — ყ ე ნწილიაჲს, რაც კიმიშვილის უკულობელს ზრომებში არ გვხვდებაო“¹.

სხვა რაიმე ცნობა, რომ „იოანეს სახარების განმარტების“ მთარგმანი იოანე კიმიშვილს ეკუთვნის, ჩერყურობით თითქოს არ მოგვეპოვება.

ახლა, რაც შეეხება ახლად აღმოჩენილი ფრაგმენტის (1090 ლ) დათარიღებას. იგი მიმართებითაა, გამოსარკვევია, მართლაც XI-XII საუკუნეთა მიჯნისა თუ არა ფრაგმენტი.

ამგვარად, არც ერთი წინამძღვარი იმის დასამტკიცებლად, რომ კიმიშვილი XI-XII საუკუნეთა მიჯნის მოღვაწეა, არსებობს.

შეიძლება საბუთად პეტრიწისა და კიმიშვილის იგივეობის დასამტკიცებლად ავტორის მოიქცეს ის ფაქტი, რომ იოანე კიმიშვილს სახარების განმარტებებში ტექსტად აღებული აქვს არა გიორგი მთაწმიდლისიველი (კანონიერი) თარგმანი, არამედ სხვა — ავტორის აზრით, იოანე პეტრიწის თარგმანი, რასაც თითქოსდა მართლაც ადასტურებს ტექსტობრივი შეხვედრები, ერთი მხრივ, მარკონის, ლუკას და იოანეს სახარებათა განმარტებებსა და მეორე მხრივ, პეტრიწის პროლოგის „ავთორისა“ განმარტების ბოლოსიტყვაობაში და „კალიმაქსის“ პროზაულ თარგმანში (რომელიც ივ. ლოლა-შვილის აზრით პეტრიწს უნდა ეკუთვნოდეს) სახარებიდან მოტანილ ციტატებს შორის.

მაგრამ განა ამით შეიძლება დაამტკიცოთ ის, რომ სახარების „ავთორებთან“ მთარგმნელი და იოანე პეტრიწი ერთი და იგივე პირია? განა არ შეიძლება, რომ იოანე კიმიშვილს, როგორც პეტრიწის სკოლის მიმდევარს, გუზიარებინა მისი მთარგმნელობითი პრინციპები, მსოფლმხედველობა და გამოყენებინა პეტრიწისიველი თარგმანში სახარების ტექსტისა? ეს საკლები შესაძლებელია. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იოანე პეტრიწმა დიდი გავლენა მოახდინა მის თანამედროვე და მომდევნო ხანის მწერლობაზე როგორც მსოფლმხედველობის, ისე ენის მხრივ.

ამგვარად, არც უკანასკნელი საბუთი, რომელიც ტრადიციული ცნობების გარდა, ივ. ლოლაშვილს თავის მხრივ მოჰყავს პეტრიწისა და კიმიშვილის იგივეობის დასამტკიცებლად, დამაყრებელი არ არის. ვფიქრობთ, რომ პეტრიწისა და კიმიშვილის იგივეობის დამტკიცებისას უფრო მნიშვნელოვანია სწორედ ის „ნაქლები“ ტრადიციული გადმოცემები და მინაწერები XVIII საუკუნის ხელნაწერებზე, ვიდრე ავტორისიველი შეცნობები საბუთები. ერთი, XVIII საუკუნის ხელნაწერთა ანდერძები თუ მინაწერები და ამ დროის მოღვაწე-მწერალთა გადმოცემები, როგორც თვითონ ივ. ლოლაშვილი აღნიშნავს, აუცილებლად უყრდნობა რომელიღაც, ჩვენითვის ახლა უცნობს, მაგრამ უტყუარ ლიტერატურულ წყაროსს.

მეტად დამაფიქრებელია და ბევრის მომგელია ის ფაქტი, რომ ეს გადმოცემები კიმიშვილისა და პეტრიწის აიგივეებენ. ზოგჯერ ერთი და იმავე იამბიკოს ავტორობა ერთ ხელნაწერთა იოანე კიმიშვილს მიეწერება, მეორეში კი — იოანე პეტრიწს (კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ., I, 1960, გვ. 318); ან, მაგ., იოანე ბატონიშვილი „კალიმაქსის“ ამბობს, რომ პეტრიწმა „მთარგმნა სახარების თარგმანნი ლუკასი და მარკონისა თაენი“². მაშინ, როდესაც თვით თარგმ.

¹ კ. კეკელიძე, თარგმანებზე ეკლესიასტისაჲს მიტროფონე, ზეჰრენელ მატროპოლიტისაჲს, 1922, გვ. XXIV, ქართ. ლიტ. ისტ., I, 1960, გვ. 317.

ანთა ხელნაწერები ასე იწყება: „იოანე ფილოსოფოსის მიხედვით კიმპიშელმა ელადელთა მისიან სპანთ მოსახელედ ქმალ გარდაიღო...“; ამ გადმოცემებთან ერთად, თამარის ისტორიის ავტორიც კიმპიშელს „იოანე ფილოსოფოსად“ იხსენებს, მაშინ, როდესაც ასეთად იოანე პეტრიწი იყო დასახელებული... ამდენად, თუმცა ტრადიციულ გადმოცემათაგან მოწოდებული ცნობები ანგარიშგასაწყევია, მაგრამ მათ დამატკიცებლად მეცნიერული საბუთები წერაწერობით არ არის დამამყარებელი ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ პეტრიწისა და კიმპიშელის იკუევობის აღიარებას ხელს უშლის „ისტორიისა და აზმათა“ ერთი ცნობა: ადგილი, საიდანაც ირყევა, რომ იოანე კიმპიშელს დაუწერია დემეტრე მეფის „შესხმა მითხრობა“.

ასწის კითხვა ასეთ შემთხვევაში რამდენადაა შესაძლებელი იოანე პეტრიწისა და კიმპიშელის გაიკვივება?

მაგრამ ივ. ლოლაშვილი „ისტორიისა და აზმათა“ ამავე ადგილის სხვაგვარი წაკითხვის საფუძველზე ასკენის, რომ იოანე კიმპიშელს დაუწერია არა დემეტრე მეფის, არამედ დავით აღმაშენებლის „შესხმა — მითხრობა“ და ამგვარად, დავით აღმაშენებლის ისტორიის ავტორი — იოანე პეტრიწია.

ენახით, რამდენად საფუძვლიანია მკვლევარის დასკვნა. მოვიყვანოთ სადავო ადგილი თამარის ისტორიიდან:

(თამარის) „მამა იქმნა გიორგი, მეფე მეფეთა, ძე დიმიტრი მეფისა, რომელსა დავითაც ეხება ძედ, ძმა დავითიანისა, და აღმოსავლეთისა და კერძო — ჩრდილოეთისა მეციხოვნისა და ზღუართა დამდებელისა და ზღუართა ზღუამდინ მპყრობელისა, რომლისა დიდებითა, სიმკნითა და გუარითა ცხოვრებასა აღმოაჩნნ იოანე ფილოსოფოსისა კიმპიშელისა შესხმა — მითხრობა“ (ქ. ცხ. ტ. II, გვ. 3).

აქ დასახელებული „შესხმა — მითხრობის“ ობიექტად ისტორიოგრაფიაშიც და ლიტერატურის მკვლევარებშიც მიჩნეული იყო და არის დემეტრე მეფე (ნ. შარი, ი. ჭავჭავაძე, ს. გორგაძე, კ. კეკელიძე, პ. ინგოროვიცა). რადგან აღ დემეტრეს შესახებ მსგავსი წყაროები ჩვენამდე არ მოღწეულა, ამიტომ ეს „შესხმა-მითხრობა“ დაკარგულად მიიჩნიათ. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ივ. ლოლაშვილის აზრით, მოცემულ ნაწყვეტში „შესხმა-მითხრობის“ ობიექტად ნაგელისხვევია არა დემეტრე მეფე, არამედ დავით აღმაშენებელი. როგორც ავტორი ამბობს, აქ „შინაარსიდან ჩანს, რომ დავითიანი და აღმოსავლეთისა და კერძო-ჩრდილოეთისა მეციხოვნე და ზღუართა დამდებელი და ზღუათა(გან) ზღუამდის მპყრობელი არის დავით აღმაშენებელი“ (გვ. 61), რომელიც საბუნებრივად უნდა იყოს იოანე პეტრიწის, ანუ ისტორიის ავტორის მოხსენიებული, არა-

მედ ეპითეტებით. ასეთი განმარტების შემდეგ ავტორის შესაძლებლად მიჩნდება ტექსტში ამ ეპითეტების ნაცვლად სრულიად თამამად ჩასვას დავით აღმაშენებლის სახელი და წიკთხოს ასე: „...რომელსა დავითაც ეხება ძედ, ძმა დავით აღმაშენებლისასა...“ (გვ. 61) ავტორი იშველებს იმ არგუმენტსაც, რომ კიმპიშელი დიმიტრი მეფის ცხოვრებას ვერ აღწერდა იმის გამო, რომ იგი მოცუწრო მისი მეფობის მხოლოდ დამაწყისსა. მაგრამ ეს არგუმენტი მხოლოდ მაშინ გამოადგებოდა, თუ იოანე პეტრიწისა და იოანე კიმპიშელის იკუევობას დამატკიცებლად ჩავთვლიდით. მკვლევარს ეს, ცხადია, დამატკიცებლად მიანია და შესაძლებლად თვლის მისი დამარებით ამოხსნას კიდევ ერთი ახალი უცნობი: თუ ვინ არის დავითის ისტორიკოსი.

„ისტორიისა და აზმათა“ ზემოთ მოტანილი ნაწყვეტიდან სრულიადი არ გამოდინარებოდა ის დასკვნა, რომელსაც ივ. ლოლაშვილი გეთავაზობს. ამ ნაწყვეტში „აღმოსავლეთისა და კერძო-ჩრდილოეთისა მეციხოვნედ და ზღუართა დამდებლად და ზღუათა ზღუამდინ მპყრობელად“ დავით აღმაშენებელი რომ იგულისხმებოდა, მაშინ აქ ბოლო მართლი მსაზღვრელი — „მპყრობელისა“, ისევე, როგორც პირველი მსაზღვრელი — „დავითიანისასა“ შეთანხმებული უნდა იყოს თავის საზღვრულთან — „ძესა“. მიუხედავად ბრუნვაში — იმ მარტივი წესის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ძველ ქართულში მოსტპოზიციური წყობის მსაზღვრელი (მით უფრო, თუ იგი რაღაცენიმე მსაზღვრელს მოსდევს და რიგით უკანასკნელია) ბრუნვაში ეთანხმება საზღვრულს. ასეთ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო: „რომელსა დავითაც ეხება ძედ, ძმა დავითიანისასა... ზღუათა ზღუამდინ მპყრობელისასა...“ და არა „მპყრობელისა“. როგორც ტექსტში, ეს კი ანკარად გვიჩვენებს, რომ „მპყრობელისა“ და ყველა მის წინ მდგომი ეპითეტი დაკავშირებულია დიმიტრი მეფესთან. ამგვარად, ამ ნაწყვეტის სწორი წაკითხვა ასეთია: „...ძე დიმიტრი მეფისა (რომელსა დავითაც ეხება ძედ, ძმა დავითიანისასა და) აღმოსავლეთისა და კერძო-ჩრდილოეთისა მეციხოვნისა და ზღუართა დამდებელისა და ზღუათა ზღუამდინ მპყრობელისა, რომლისა... ცხოვრებასა აღმოაჩნნ იოანე ფილოსოფოსისა კიმპიშელისა შესხმა-მითხრობა“.

მაშასადამე, „ისტორიისა და აზმათა“ შოუვანილი ნაწყვეტი გეაწვდის ცნობას, რომ კიმპიშელმა და-

1 ეს მოთვარში ჩართული განმარტებითა დამოკიდებული წინადადებაა, რომელსაც დიმიტრი მეფის ენაობის დამაზუსტებელი დანართიც ახლავს თან: „ძესა დავითიანისასა“.

სტრუქტურა

წერა დემეტრეს ცხოვრება (ჟე-
დან, ცხელი, აღარ გვაქვს უფლება
ვთქვათ, რომ ჭიშკიშელი დემეტ-
რეს მეფობის მხოლოდ დასაწყ-
ისს მოესწრო).

ამგვარად, ივ. ლოლაშვილის მტკიცება, თი-
თქოს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი იოანე
პეტრიწია, საფუძველს მოკლებულია. იმის
თაობაზე, თუ ვინ არის დავით აღმაშენებლის
ისტორიკოსი, „ისტორიათა და აზმათა“ მოტა-
ნილ ნაწევრში არაფერია თქმული, ამ ნაწევ-
რის მიხედვით დავით აღმაშენებლის „ცხოვრე-
ბის“ ავტორად ვერ მივიჩნევთ ვერც ჭიშკი-
შელს და მით უფრო, ვერც იოანე პეტრიწს.

ძალა არ ეყარება ისტორიოგრაფიასა და
ლიტერატურისმცოდნეობაში დამკვიდრებულ
აზრს, რომ იოანე ჭიშკიშელს აუწუ-
რია დემეტრე მეფის ცხოვრება.

ქუშინის თუ არა ეს ხელს იოანე პეტრიწისა და
იოანე ჭიშკიშელის ერთ პირთვებად ცნობას?
ფიქსიონ ივ. ლოლაშვილის აზრით ჭიშკიშე-
ლს — პეტრიწი დიმიტრი მეფის ცხოვრე-
ბაზე ვერ აღწერდა, იმიტომ რომ იგი მოესწრო მისა
მეფობის მხოლოდ დასაწყისს. მაგრამ რადგა-
ნაც ზომარის ისტორია აშკარად გააჟღერებს ცნო-
ბას, რომ სწორედ ჭიშკიშელმა დაწერა
დიმიტრის მეფის შესწავლა — მითხრობა. ხოლო.

ივ. ლოლაშვილის და სხვათა აზრით კი პეტ-
რიწი მოესწრო მისი მეფობის მხოლოდ და-
საწყისს, გამოდის, თითქოს, რომ პეტრიწი და
ჭიშკიშელი სხვადასხვა პიროვნებაა. მაგრამ
ჭიშკიშელისგან განსხვავებული, რო-
გორც ამას კ. კეკელიძე ფიქრობდა. ზემოთ ენა-
ხეთ, რომ კ. კეკელიძემ ჭიშკიშელისა და პეტ-
რიწის იგივეობა უარყო ერთი იმ საბუთ-
ზე დაყრდნობით, რომ თამარის ისტორიაში
ჭიშკიშელი მოხსენებულია დიმიტრი მეფის
„ცხოვრების“ ავტორად. რაც შეეხება მეცნიერ-
ის მეთრე საბუთს, რომ თითქოს ჭიშკიშელი
თამარ მეფის თანამედროვეა და მას სიტყვაც
კი წარმოუთქვამს მის დაქალებაზე, ეს ადრე
საფუძვლიანი საბუთებით უარყოფ ივ. ლოლა-
შვილმა. „ისტორიათა და აზმათა“ ბოლოში მი-
წერა ილი „არსენი იტყვს იყალთოელი“ მისი
იამბიკოთი და „იოანე იტყვს ჭიშკიშელი“
მისი შიარით, თამარის ისტორიის შემცველ
ერთ-ერთი ძველი ხელნაწერის ბოლოში შე-
წერია გადამწერს და ამ ლექსებს არავითარი
კავშირი არა აქვს თამარის ისტორიასთან.

ამგვარად, პეტრიწისა და ჭიშკიშელის იგივეო-
ბის მტკიცებისას დამაბრკოლებელ ფაქტად
არნება მხოლოდ ის, რომ თამარის ისტორიაში

ჭიშკიშელს დიმიტრის „წიგნიშვილს“ ავ-
ტორობა მიეწერება.

დავითის ისტორიკოსის ვინაობასთან დაკავ-
შირებით ავტორი ეხება საკითხს არსენ ბერი-
სა და არსენ იყალთოელის ურთიერთობის შე-
სახებაზე.

XI-XII საუკუნეთა ლიტერატურულ საქარ-
თველოში რამდენიმე არსენია ცნობილი: არსენ
იყალთოელი, არსენ ვანგისე, არსენ კალიპოსე-
ლი და არსენ ბერი. აქედან პირველი ორი —
არსენ იყალთოელი და არსენ ვანგისე სამეც-
ნიერო ლიტერატურაში ერთ პიროვნებადაა მი-
ჩნეული. არსენ კალიპოსელს მხოლოდ ზოგი-
ერთი თელის იმევე იყალთოელად. ზოგიერთ
შეკვლევარს (თ. ქორდანიას, ზ. ჭიჭინაძეს, ალ. ხა-
ხანაშვილს) არსენ ბერიც არსენ იყალთოელად
მიიჩნია. მაგრამ ეს მოსაზრება უარყოფ კ. კეკე-
ლიძემ და აღნიშნა, რომ არსენ ბერი სხვაა, იგი
ტბეთის საზარებებს ანდერაში მოხსენებული დი-
მიტრი მეფის მწიგნობარი არსენი უნდა იყოს.
გვარად საღირსისყო.

არსენ ბერი დავით აღმაშენებლის თანამე-
როვეა. იგი ცნობილია, უპირატესს ყოვლისა,
როგორც ავტორი დავით აღმაშენებლის 1122
და 1125 წლების ანდერძებისა, „როცა უბრ-
ისს ძველისწერისა“ და ხობისა „მეფესა და
ეთის მონაზონი არსენი“, ისტორიოგრაფიაში
განსაზრებულა მოსაზრება იმის შესახებ, რომ
არსენ ბერი არის ავტორი დავით აღმაშენებ-
ლის „ცხოვრებისა“.

ივ. ლოლაშვილი გარკვეულ საბუთებზე დაყრ-
დნობით უარყოფს კ. კეკელიძის მოსაზრებას,
რომ არსენ ბერი გვარად საღირსისყო. იგი აღ-
დავებს აზრს არსენ ბერისა და არსენ იყალთო-
ელის იგივეობის შესახებ. ამისათვის შეკლე-
ვარს მოჰყავს რამდენიმე საკმარის მნიშვნელო-
ვანი საბუთი: 1. აღორძინების ხანის მწერლო-
ბაში არსენ ბერი ცალკე არ იხსენიება; 2. არ-
სენ იყალთოელი, ისევე, როგორც არსენ ბერი,
შეომღვიმის მონასტერში მოღვაწეობს; 3. არ-
სენ ბერმა შეომღვიმის მონასტერში შემოიღო
შავი მთის სამონასტრო ტიპიკონი. მისივე თხო-
ვნით დავით აღმაშენებელს სვიმეონ საცივი-
ველიძემღვიმის მონასტრისათვის ზოგადი შიუ-
წიწავს. ავტორი ამას სამართლიანად უკავში-
რებს არსენ იყალთოელს მოღვაწეობას შავ
მთაზე, სვიმეონ-საცივირველიძის მონასტერ-
ში. 4. ყოველივე ამასთან ერთად მნიშვნელო-
ვნიჭება, იმასაც, რომ როგორც ე. გუენაშვილ-
მა გამოარკვია, დიდი სქულის კანონის იყალთო-
ელისეული თარგმანი რუს-ურბნისის ძველის
წერის (ავტორი—არსენ ბერი) წყარო ყოფილა.

ამ საბუთებზე დაყრდნობით ავტორი ასკე-
ნის, რომ არსენ ბერი და არსენ იყალთოელი

1 ივ. ლოლაშვილი, არსენი იყალთოელისა და
იოანე ჭიშკიშელის იამბიკოები, ვახ. „ლიტ. და
ხელოვნება“, 1950, № 35. ს. ყუბინიშვილი,
ქართლის ცხოვრება, ტ. II, გამოკლევია, გვ. 012.

1. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ.: 1960 გვ-
273.

ერთი და იგივე პირობებშია. თუ ეს ასეა, მაშინ საფუძველი ედება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ ანგარიშგასაწევ მოსაზრებას, რომ „დავითის ცხოვრების“ ავტორი არსენ ბერია (ს. კაკაბაძე, ე. კვეციანი, ე. ოდიშელი), რადგანაც არსენ იყალთოელი „ცხოვრებაში“ ქება-დიდებათაა მოხსენიებული, რის გამოც მის ავტორობას დიდი ხანია გამოართვავენ. არსენ ბერის (ივ. ლოლაშვილის აზრით, იგივე არსენ იყალთოელის) ავტორობის გამოარქივის შემდეგ მკვლევარმა, როგორც ზემოთ ვნახეთ, წინააღმდეგ მცდარი დებულება, რომ დავითის ცხოვრების ავტორი იოანე პეტრიწიაო, ავტორი შეეცადა თავისი აზრის მტკიცებისას ენობრივი მასალა მოეშველებინა. იგი რამდენიმე სიტყვით დავითის „ცხოვრების“ სტილისტურ მხარესაც ეხება და სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ მართალია, მისი ნაყვამ შეინიშნება „ართოდ პერიოდული წინადადებები და ის ენობრივი ნიშნები, რომელთაც, ჩვეულებრივ, პეტრიწულს უწოდებენ, მაგრამ „ცხოვრებაში“ გვხვდება ერთი სტილისტური თავისებურება, რომელიც, რამდენადაც ეიცობ, პეტრიწის ენისთვისაა დამახასიათებელი. როდესაც იოანე ფილოსოფოსი რაიმე უცვლელ მსჯელობას ამოაგრებს, ზოგჯერ იქვე ჩაბოვს ფრაზას ან გამოთქმას, რომლითაც შეითხველს ახალ მსჯელობაზე გადასვლას მაინიშნებს. მაგ., „და ესე ამისთვის, ..ესე ესრეთ... და სხვ. ამგვარსავე თქმებს ვხვდებით დავითის „ცხოვრებაშიც“ (გვ. 62). ეს მართალია. და კიდევ დავამატებთ, რომ არა მხოლოდ ეს თავისებურება აქვს საერთო დავითის ისტორიკოსსა და იოანე პეტრიწს. მათ შორის ბევრი სხვა ენობრივ-სტილისტური მსგავსებაც შეინიშნება (განსაკუთრებით სინტაქსის სფეროში: მიმდებარე და მასალური კომპარტუტების ხმარება, სიტყვათა და ნაწილაკთა რიგის თავისებური შერჩევა, „და“ კავშირის ხმარება „ც“ ნაწილაკის ნაცვლად და სხვ.), მაგრამ ასეთი სტილისტური მსგავსებანი პეტრიწისა და დავითის ისტორიკოსის იგივეობაზე დაბეჭიბილი არაფერს გვეუბნება (მით უფრო მას შემდეგ, რაც გარკვეულია, რომ „ისტორიისა და ამბობა“ ავტორი იოანე ჰიმნოგრაფი დემეტრე მეფის „შესახებ-მოთხრობას“ მიწერს და არა დავით აღმაშენებლისას). ზემოთ ვთქვი, რომ იოანე პეტრიწს უდიდესი გავლენა ჰქონდა დავითის დროის და მომდევნო ხანის მწერლობაზე (სხვათაშორის უფრო მეტი მსგავსება შეინიშნება, როგორც შოკლემბედელობის, აზროვნების, ისე ენობრივ-სტილისტური თვალაზრისით იოანე პეტრიწის ნაწერებსა და რუს-ურბნისის ძეგლისწერას შორის, რომლის ავტორადაც ერთხმად მიიჩნევენ არსენ ბერს და სხვ.) ამ ენობრივ-სტილისტურ მსგავსებათა საფუძველზე გარკვევითობით მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შე-

იძლება, რომ დავითის ისტორიკოსი იოანე პეტრიწის თანამოაზრე, მის სკოლაში მოღვაწეობდა პირი ყოფილა.

XI-XII საუკუნეების ავტორული წყაროების დევლობისა თუ ენობრივ-სტილისტური თვალაზრისით ბევრი რამ აქვთ საერთო. ამიტომ, სანამ არ არის დაწერილებით და საფუძვლიანად შესწავლილი XI-XII საუკ. ავტორთა თხზულებანი ენობრივ-სტილისტურად, სანამ შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე არ არის გამოყოფილი თითოეული მწერლის ძირითადი სტილისტური მახასიათებლები, მანამ ჩამოვლიმ ანონიმი ავტორის ენობრაზე რაიმე აზრის გამოთქმა შეუძლებელია.

გამოკვლევის ავტორი სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც ეხება. ეყრდნობა ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის, იოანე ტარიჭისძისა და იოანე პეტრიწის ურთიერთობის საკითხებს. ახლებურად აშუქებს (ძირითადად ისევე ტრადიციულ ცნობებზე დაყრდნობით) იოანე ფილოსოფოსის ზედწოდების „პეტრიწის“ წარმომადგენლის საკითხს და აქედან — მისი ბიოგრაფიის ერთ მომენტსაც.

საფუძვლიანი და დამაყრებელია ის აზრი, რომ თარგმანი ამონიოს ერმისის ორი თხზულებისა — „მოსაქსენებელი ხუთთა კმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“ და „მოსაქსენებელი ათთა კატეხორიკათადმი არისტოტელისთა“ ეკუთვნის არა იოანე ტარიჭისძეს (როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღიარებული), არამედ იოანე პეტრიწს. ამ შემთხვევაშიც ავტორი ძირითადად ეყრდნობა ანტონ კათალიკოსის ცნობას, რომლის მიხედვითაც იოანე პეტრიწმა ბერძნულიდან ქართულად გადმოიღო „წიგნი ამონიოს ერმისისა, რომელ არს განმარტება პორფირი ფილოსოფოსისა ხუთთათჳს კმათა და არისტოტელის შესწავლათა“.

ანტონის მოწმობის სისწორის დასამტკიცებლად მკვლევარი იშველიებს ლიტერატურულ პარალელებს იოანე პეტრიწის ნაწერებსა და ზემოთდასახელებულ „მოსაქსენებელთა“ შორის. რასაკვირველია, ლიტერატურული პარალელი არ კმარა, მაგრამ ამ მოსაზრებას მხარს უჭერს იოანე პეტრიწის ნაწერებსა და „მოსაქსენებელთა“ აშკარა ენობრივ-სტილისტური იგივეობა.

ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენ შემთხვევა გვექონდა გავტომობილთ განსვენებულ დოქ. ნ. კეკელიძის მიერ დასაბუთად გამოადგებულ ქართულ თარგმანს ამონიოს ერმისის ძის თხზულებისა „მოსაქსენებელი ხუთთა კმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“. ენობრივ-სტილისტური შეპირისპირების შედეგად მიღებული სურათის საფუძველზე, იოანე პეტრიწის ავტორობა ჩვენთვის ეჭვიუბრუნებელი ვახდა, მაგრამ, სანამ ამ აზრს დაბეჭიბილი გამოვთქვამდეთ, როგორც უკვე ვთქვი, საჭიროა გერ შევისწავლოთ XI-XII

საუკ. სხვა ავტორების თხზულებანი ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით.

ივ. ლოლაშვილის შემდგომ მსჯელობას იმ მოსაზრებაზედ მივყავს მკითხველო, რომ იოანე პეტრიწი და იოანე ტარიჭისძე ერთი და იგივე პიროვნებებია. თუმცა ამის დასამტკიცებელი პირდაპირი საბუთები არ არსებობს და ავტორიუც ფრთხილად გამოთქვამს ამ აზრს, მაგრამ მისი თანმიმდევრული და საბუთებიდან ლოგიკურად გამომდინარეობის ასეთი დასკვნის შესაძლებლობა. თუ ამონიოს ერმისის თხზულებათა მთარგმნელი იოანე პეტრიწია, მაშინ გამოირიცხვლი არ არის, მართლაც, რომ სახელი „იოანე ტარიჭის ძე გვიანდელი ზანის მწერლებს ვრევით იოანე პეტრიწის სახელში“.

მეტად-საყურადღებოა ქართული ლიტერატურის ისტორიის გარკვეული ეტაპის (XI—XII სს.) მნიშვნელობის სწორად შეფასებისათვის ივ. ლოლაშვილის მოსაზრება ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის ურთიერთობის ირგვლივ.

ავტორი დამაყრებელი საბუთების საფუძველზე (ამოსავლად თვით ეფრემ მცირის ანდერძია აღებული) მიღის იმ დასკვნამდე, რომ „იოანე პეტრიწი აღუზარდია ეფრემს, როდესაც მას ცნობილი ფილოსოფოსის სახელი მოუხვეჭავს, იგი გამხდარა მოხუცებული მოძღვრის მოძღვარი“ (გვ. 42) მას. იოანე საღმრთო ფილოსოფოსს, „ფსევდო-დიონისეს საღმრთოთა სახელთა თარგმანების“ გადმოქართულებაში ეფრემისთვის, დახმარება გაუწევია (გვ. 40). ამ მნიშვნელოვან

აზრს მზარს უკერს იოანე პეტრიწისა და ეფრემ მცირის ტერმინოლოგიის შედარების საფუძველზე მოაოვებული შედეგები.

საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს შვედური ი. პეტრიწის ბიოგრაფიის¹ ავტორმა ქმონაქვეთთან დაკავშირებით. კერძოდ, იგი ცდილობს დაასაბუთოს, რომ იოანე პეტრიწი საბერძნეთიდან გადავიდა ოპიზაში და არა პეტრიწონის მონასტერში და რომ მისი ზედწოდება არ მომდინარეობს პეტრიწონის მონასტრის სახელწოდებიდან, მაგრამ ავტორის მიერ მოხმობილი საბუთები არსებითად ვერ უარყოფენ იოანე პეტრიწის პეტრიწონში მოღვაწეობისა და მისი ზედწოდების პეტრიწონის მონასტრიდან წარმოშობის შესაძლებლობას¹.

გამოკვლევაში განხილულია არა მხოლოდ ლიტერატურულ-ისტორიული საკითხები, დაკავშირებული იოანე პეტრიწის სახელთან, არამედ იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ-თეოლოგიური მსოფლმხედველობის რთული პრობლემებიც, რომელთა გარკვევას ქართული ლიტერატურისა და ფილოსოფიის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა აქვს.

¹ ს. უაუხნიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბილისი 1963, გვ. 262; ე. გიუნაშვილი, დიდი სჯულის კანონის პეტრიწისეული მინაწერი, საქართველოს ზელნაწერთა ინსტიტუტი, სამეცნიერო სესია, XI, მუშაობის გეგმა და მოხსენებთა თეზისები, თბ., 1969 წ., გვ. 6-7.

ბანახლებული მთის მომღერალი

თელი რაზმისაშვილი თავის ერთ ლამაზ მო-
თხრობაში ასე აფიქვრის განახლებულის/მოახლო-
ების შთაში: „თითქოს ზარბაზნი დაუცალესო,
უცებ საშინელი ვრიალი მოესმა მთიელ ფო-
ცხვერას, რომელიც უნაგრის ტატასა სთლი-
და... — ზევი გადმოსქდა, ლაშარის ქვრის მად-
ლმა! — წამოიყვია ვახარებულმა და ბანზე
ფარდა, ცქერა დაუწყო მთიდან დაქანებულ
ზეავს: — ხატის მადლა, შენ, უკან ვედარავან
დავაბრუნოს!.. ახლა კი ახლო ვახატული...“

ფერწერული ოსტატობით დახატული ბუნე-
ბის ეს გრანდიოზული სურათი მართლაც რომ
განახლებულის მოახლოებაზე შეტყვევებს, მაგრამ
ის განახლებული რომელიც განახლებულ ცხოვე-
ლებას მოჰყვა შთაში, სულ სხვა განახლებული
იყო. აღექსნადრე გომიაშვილმა სწორედ ამ
ახლო განახლებულს დამკვიდრებას უძღვნა თა-
ვისი პირველი სიმღერები და ამიტომაც მოხდა,
რომ იგი უსოდენ თბილისი ხმით შემოვიდა ქა-
თულ საბჭოთა პოეზიაში.

— როცა ლაღში აფეთქებულ კლდეს ნაფ-
ლეთებად ასერის ზევიდან ზევიში, მაშინ სიმღე-
რაც კლდეების ზღინას უნდა ჰგავდესო, აცხა-
დებდა აეტორი „მლათის აღმართში“, ანდუზი-
ტის სიმღერების ცნობილ ციკლიდან. მოკლე-
ჯილ ზევათა გრიალის ნაცვლად, იგი დიდად ვა-
ნახლებულს მხარობელში ნაღმებისა და ლა-
ღემების ჰევა-ქეხილსა გულისხმობდა.

გაჰყავდათ გზები, აგრევედნენ ანდუზიტის
ფრიალო კლდეებს, ხავსიან კოშკთა საშფლოზე-
ლოში ბალავარი ეყრებოდა ახალ ცხოვრებას.
ეს კი ახალგაზრდა კომპოზიტორულ პოეტს უსა-
ზღერო სიხარულს ჰკვირდა, ხიზავდა, უნერ-
გავდა მომავლის ნათელ რწმენას, ანდუზიტის
თვითურდ ლოდს იგი სოციალიზმის მტკიცე
ფურად სთვლიდა.

პოემაში — „ნანგრევთა შორის“, აეტორი
ერთმანეთთან პაეტრობაში იწვევს ორ მთიელს—
მოხუცსა და ახალგაზრდას. ამ ნაწარმოებში
აეტორისათვის მთავარია კიდილი ძველსა და

ახალ შორის. მოხუცი კრულეთი იხსენიებს იმ
იღამიანთა თაობას, რომელსაც გზები გაჰყავს
მიუვალ მთებში. მოხუცის ეს გულისწყრომა
იდელი მისახვედრია ახალგაზრდა კაცისათვის,
— პატრიარქალური ცხოვრების წარმოადგე-
ნელს არ სურს, რომ ამ გზებით რკინის ქარავ-
ნები შემოვიდნენ ბარის მხრიდან, ჭალაქების
ცეცხლი ავიადღეს მთის ორწოხებში, ფრიალო
კლდეებსა და საფიხნეობებზე.

მოხუცი მისტიკოს ოქა-ქრახის დაქანებულ
ფარ-ხმალს, ზევისბერთა ევენიანი ღროშების
ელრიალს, ბეთლემის მუდრობებს, ღროშო-
მულ ადითებს, შეისაყენებორიე სიმამაცესა და
რაინდობას. მას ვერ წარმოუდგენია სხვაგვარად
ცხოვრება, ქვეყნის დაქვევად ეჩვენება ყოველ-
გვარი სიხლე. იგი საქართველოს უკანასკნელ
ზევისბრობას ნემულობს და ახალი წართობის
აღმამანს მიმართავს, თქვენ თუ ამ მთებში რკი-
ნის მადანს მიაგენით, იყოფეთ, უბრალო ქვასაც
არ ვავატანთო. მოხუცი მუქარაზე გადადის:

მუწინარებიდან იმდენი შეავს ქერ კიდევ
მომამე,
რომ შემოიღია გაყინული მაქის გაღობა:
სად გაგონილა, ბებერ მთების მუხლმავარ
ბოძებს
ტყეის უშენდეს გუშინდელი
ახალგაზრდობა!..

ახალგაზრდა მთიელს არ აშინებს გაჰაერებუ-
ლი მოხუცის რისხვა. მან კარგად იცის, რომ იგი
დროისაგან განწირულია და გესლით საესე შისი
სიტყვები უკანასკნელ დღადებს წარმოადგენს.
მაგრამ მან ისიც იცის, რომ სასიკედილოდ დაქ-
რალი ნადირი მუდამ სახიფათოა და მზად არის,
ყოველ წუთში მტერთან შესარკინებლად.

მასალის კონკრეტისადაც, პოეტური სიხვე-
ბის დახვეწილობით, ნათელი მზანდსახულები-
თა და მხატვრული განზოგადების თვალსაზრი-
სით კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ სიქაბუცის
დროინდელი ლექსები, რომელთა კითხვის დროს
თვალწინ გვესახება კავკასიის თეთრმუხარაღი-
ანი მწვერვალები, ილანის უღამაზესი ველები,

გადქროლა მაყრონმა არაგვის ქალებს,
მიწუდა სიმღერა, გზაზე მხოლოდ ნამქარი
წივის...

და მაგონდება ამ ქალების ქარბქში შწარედ
გულამაყარია... შემოდგომა... შენი ქორწილი...

როგორც ნაწარმოებებიდან ჩანს, იმ ქალის ქორ-
წილში თვითონ ავტორიც ყოფილა მაყარად. თი-
თქოს სიხარულია და სიამის მეტი არაფერი არ
უნდა ავაფორებდეს პოეტს ამ მოგონებასთან,
მაგრამ სინამდვილეში ასე როდია, ის ქალი მის-
საც ჰყვარებია...

ისი წლის შემდეგ დამიბრუნებს შენი დანახვა
ჩემი ბავშვობის სიყვარულსა და

სიუმაწილეს! —

ამბობს პოეტი და ამ სიტყვებში სიხარულთან
ერთად გრძნობთ მწუხარებასაც. მას არ ავი-
წყდება მაყრონის ცხენთა ჰენება, ზედვას მთი-
დან დამრულ ზვავებსაც, ბურსაქიანის ვიწრო-
ებში რომ იჭედებიან, და მათ ველურ ხმაურში
უკანასკნელად გაისმის აფორიანებული პოეტის
შეძახილი:

შენ კი სადა ხარ? შენზე ფიქრობს შენი
მაყარი,
შენმა მაყარმაც შეიყვარა გულამაყარი...

ლექსში „შავი კლდე“ პოეტი იგონებს თავის
ბავშვობას, როდესაც იგი სხვა პატარა მწყემ-
სებთან ერთად მღეროდა ცნობილი ხალხური
ლექსის სტრიქონებს: „შავ კლდესა შავი ყორა-
ნი ჩავა და ჩაქვანება“... მას შემდეგ ოცმა წელ-
მა გაჩვლო, ქვეყნად ბევრი რამ შეიცვალა, პა-
ტარა ნამწყემსარი ბიჭი დავაგვადო, პოეტურ
სიტყვასთან ჰაღილში ლულო ვაიტანა, მაგრამ
ის პირვანდელი სიმღერა მას მაინც არ ავიწყ-
დება:

ახლაც შავ კლდეზე დამდგარა ბავშვი,
ეს შე ვარ, შე ვარ მოხვეე მწყემსო, —

და იმ უმაწილის გრძელ სიმღერაში
ჩემი ბავშვობის ტყვიელი ქაქუჩის ხეული
გონილი...

მოგონება თითქოს სიცხადეში გადადის, სე-
რათი სურათის სველის. პოეტთან ერთად თქვენც
ზედავთ შავ კლდეზე ტყვიისაგან თავგახერხებულ
ყორანსა და მის დანგრეულ ბუდეს. სურათი
კვლავ იცვლება:

მტერად დამდგარა მხოლოდ შავი კლდე,
ბნელ უფსკრულებში ნისლი მიღლავს, —
და არაგვის მისდევს დაბლა ფშავისკენ
ცხვრების ფარა და მწყემსის სიმღერა.

განახლებული მთის ცხოვრების, განახლებუ-
ლი მთის ბეიზაყებისა და თანამედროვე მთიელ
ადამიანთა სულიერი ღრთოვის ვრცელსა და
რთულ პანორამას გვთავაზობს პოეტი დასაბე-
ლებულ პერიოდის კიდევ ორ ნაწარმოებში.
პირველია ლექსი „ჩიხვი“, მეორე კი პოემა —
„თქმულება ამირანზე“. ეს ორი ნამდვილად
ქარგი ნაწარმოები საშუალო ზღვარსა სდებს
სიკაბუტის დროინდელ ლექსთან — „ამალამ
მთვარე არ ამოვა“, რომელშიც ამტყველებუ-
ლია მოხვეე ქარგი ჯიდაურის ძველი მწყემსე-
რი ფიქრი და ოცნება:

მთას იჭითელა ქალათ.
გაყკაცო მოვლევ ლატანებს;
ფოსტა არ არი? წერილი
არწივებს გამოტანე!..

განახლებული მთის ერთგული მომღერალი
პოეტის ბოლოდროინდელ ნაწერებიდან მკითხ-
ველთა საერთო მოწონებით სარგებლობენ „აღ-
გილის დედა“ და „წუთისოფელი“, აგრეთვე
ფრაგმენტების სახით წარმოდგენილი ისტორი-
ული პოემა „სამასი არაგველი“... „მონადირის
სიკვდილისა“ და „სინაიპერის სიყვარულის“ ივ-
ტორი პოეტურ სიტყვასთან დღესაც კაბუტური
ხარხოშით მიდის და ღრმა აზრით დატვირთუ-
ლი ლექსები ემოციის მაღალ სფეროში აყავს.

ზალვა ამინულაშვილი.

„ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე“

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“
გამოაქვეყნა პროფ. იასე ცინცაძის მონოგრა-
ფია „ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველო-
ზე“. უკვე ის ფაქტი, რომ შემოხსენებული
წიგნი მეორედ გამოიცა და სწრაფად გასაღდა
ბაზარზე, ნათლად მოწმობს მკითხველი საზო-

ი. ცინცაძე, „ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა სა-
ქართველოზე“. „საბჭოთა საქართველო“, 1969.

ვადობის დიდ ინტერესს იმ ლიტერატური-
საღმი, რომელიც საქართველოს ისტორიას
ეძღვნება.

1795 წელი ქართველი ერის ისტორიაში სა-
ბედისწერო აღმოჩნდა... საქართველოზე ალა-
მაჰმად-ხანის თავდასხმა ჩვენი მრავალტანჯუ-
ლი ქვეყნის ცხოვრების ერთ-ერთ ტრაგიკულ
ფურცელს წარმოადგენს. ამავე დროს. 1795
წელი სამშობლოს დასაცავად ქართველთა თავ-

განწიარული, გვირგული ბრძოლის მკაფიო მკა-
ლითია. კრწანისის გმირთა სახელი ქართველი
ხალხის გულში უკვდავია. ზენენ ისტორიის
სწორად ამ ფერტელს, რომელიც დამატის-
მითა და გმირული პათოსითა აღსავსე, მი-
უძღვნა პროფ. ი. ცინცაძემ თავისი სპეციალ-
ური გამოკვლევა.

წიგნი დიდი ინტერესით იკითხება. ავტორის
უმოთერესი დამსახურება ის არის, რომ მან
მოკვდა უოველმხრავი ღრმა ანალიზი იმ სა-
ისტორიო წყაროებისა და ლიტერატურისა, რომ-
ელიც საკვლევ ბრობლემას ეხება. ამ მხრივ
განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფ. ი.
ცინცაძის მიერ მოცემული კვლამარტივად სწორი,
მეცნიერული მიდგომა და კრიტიკული შეფა-
სება პეტრე ბუტკოვისა და არტემ არარატე-
ლის მიხედვებზე, რომლებიც გაჩვეული
პოლიტიკური მოსაზრებით, კრწანისის ბრძო-
ლის ტრავედიას ქართველებს შორის უთანხ-
მოებდა და ურთიერთლალტს მიაწერენ. დიდ-
ძალი მასალის კრიტიკული ანალიზის საფუძ-
ველად პროფ. ი. ცინცაძე აღადგენს მოვლე-
ნათა განვითარების რეალურ სურათს და წარ-
მტყალ მოვითხრობს ისტორიულ ამბებს.

იმდროინდელ საერთაშორისო ურთიერთო-
ბათა ისტორიის ფონზე ავტორი დეტალურად
განიხილავს ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარ-
ეობას და ვრცელ მეორის მიერ ჩატარებულ
მრავალმხრავ თავდაცვით ღონისძიებებს. წიგნი-
ში ნაჩვენებია ირანის სხელმწიფოს მდგომარ-
ეობაც. მოცემულია აღა-მაჰმად-ხანის დახა-
სითება და საქართველოზე მისი თავდასხმის
მიზეზები და მიზნებია გაშუქებული. „ირანი
და თურქეთი, — წერს პროფ. ი. ცინცაძე, —
ფარულად რუსეთის წინააღმდეგ შეეჯობრდნენ
და რუსეთის მფარველობაში მყოფ ქართლ-
კახეთის სამეფოზე კბილებს ილესავდნენ. არ-
სებითად ეს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას
ნიშნავდა. ირან-თურქეთის ასეთი შეეჯობრება
ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიის მუშაობის
გარეშე არ მომხდარა. თბილისის დაქვეყნაში
არანაელები ბრალი ინგლის-საფრანგეთის დიპ-
ლომატიასაც ედება. ევროპის დიპლომატიი-
სათვის, თვითმპყრობელური რუსეთის ამიერ-
კავკასიიდან ფუხის ამოსავეთად ჩატარებულ
ციდს ღროს აღა-მაჰმად-ხანის მხეცევი ბუ-
ნება მხოლოდ ხელსაყრელი შემთხვევია იყო“
(გვ. 119-120). რუსეთის იმპერიის პოზიციების
გარკვევისას კი ავტორი აღნიშნავს, რომ 1792-
1795 წლებში რუსეთის დიპლომატიის მიზანი
ამიერკავკასიაში Status quo-ს შენარჩუ-
ნება იყო (გვ. 124). თვითმპყრობელობა, გა-
წავრობის პროფ. ი. ცინცაძე, კავკასიის პრობ-
ლემის თავის სასარგებლოდ გადამწყვეტან

მხოლოდ ღროს საკითხად თვლიდა. რუსეთი
იმხანად, თავის მეტოქეებთან შედარებით, იმ-
დუნად ძლიერი სახელმწიფო იყო, რომელსაც
წინსვლას ამიერკავკასიაში ირანისა და თურქეთის
გაერთიანებული ძალებიც კი ვერ შე-
ანერებდნენ (გვ. 135). მანამდე კი ამიერკავკა-
სიაში Status quo-ს შენარჩუნებას რუსეთის
იმპერიის მესვეურნი ანერბაიჯანელი მფლობე-
ლებისა და ქართლ-კახეთის მეფის ძალებით
ფიქრობდნენ, რაც საქართველოში არ იყო (გვ.
124-127).

პროფ. ი. ცინცაძე საესებო მართებულად
შენიშნავს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს და-
ხვერვა იშვიათი ისტორიით მუშაობდა და
აღა-მაჰმად-ხანის მიერ გადადგმული თითქმის
ყველა ნაბიჯი ღროულად იცოდა. ქართლ-
კახეთის სამეფოს მხეცრავებს, ზოგჯერ, თვით
აღა-მაჰმად-ხანის მიერ ზელმწიფრილი საიდუმ-
ლო დოკუმენტებიც უეარდებოდათ ხელთ, რომ-
ელთაც მუდგ ვრცელ ჩრდილოეთ კავკასია-
ში მყოფ რუსთა ქარების სარდალს გენ. გუდო-
ვიჩს უგზავნიდა. ასე, მაგალითად, ვრცელ მე-
ორემ გუდოვიჩს გადაუგზავნა თვით აღა-
მაჰმად-ხანის ხელთ დაწერილი საქართველო-
ზე თავდასხმის გეგმა (გვ. 130).

პროფ. ი. ცინცაძის სამართლიანი თქმით,
ქართველი დიპლომატებს ეჭვი არ ეპარებოდათ,
რომ აღა-მაჰმად-ხანი საქართველოს დალაშქე-
რას ამბებდა და ამიტომ ყოზლარსა და მე-
ტეხტურბურში შეიკრეს შეიკრეზე გზავნიდენ.
მუდგ ვრცელ, აღნიშნავს ავტორი, ეპატორინე
შეიკრისაგან გეორგიევსკი 1783 წელს დად-
ებული ტრაქტატიც გათვალისწინებულ სამხედ-
რო დამხარებას მოითხოვდა (გვ. 142). მაგრამ
გუდოვიჩის უხვირობის გამო რუსეთის იმპე-
რიის მთავრობაში საკითხია ქეროვანდ შეს-
წავლილი არ ყოფილა (გვ. 123). უბედურე-
ბაც ის იყო, დასძენს ავტორი, „რომ ამიერ-
კავკასიაში მოვლენები იმაზე უფრო სწრაფად
ვითარდებოდა, ვიდრე პეტერბურგი გადა-
წყვეტილებას მიიღებდა და თავისი ბიურო-
კრატიული აპარატიც „კავკასიის ხაზზე“ გენ.
გუდოვიჩს მოაწოდებდა. საქართველოშიაც
მდგომარეობა ყოველდღიურად იცვლებოდა,
პეტერბურგიდან გუდოვიჩამდე, ხოლო გუდო-
ვიჩიდან თბილისამდე მოღწეული განკარგულე-
ბა სრულიად მოჭველებული იღმორდებოდა.
საქართველოსა და რუსეთის ცენტრებს შორის
არსებული მანძილი მე-18-ე საუკუნის ოთხმო-
ცდაათიანი წლების საქართველოში მიმდინარე
მოვლენებზე თავისებურ უარყოფით გავლენას
ახდენდა. ოთხი სექტემბრის რესკრიპტი (სა-
ქართველოში დამხმარე ჯარის გაგზავნის ნე-
ბართა — გ. 3.) გენ. გუდოვიჩმა მაშინ მიიღო,
როცა თბილისი აღა-მაჰმად-ხანს უკვე დარბე-
ული ჰქონდა“ (გვ. 133-134).

სების შემცველი ნაშრომი. უპირველეს ყოვლისა, ძველი კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების შესახებ ეს არის პირველი და ამასთანავე საინტერესო მონოგრაფია. წიგნის დამუშავებისას გამოყენებული მრავალი მასალა: სამეცნიერო ლიტერატურა, წერილობითი წყაროები, ემიგრაციული ძეგლების მონაცემები, მატერიალური კულტურის ძეგლები, გამოყენებული და გამოქვეყნებული, ე. ი. დამუშავების მეთოდური თვალსაზრისით ნაშრომი უნაკლოა. მ. ინაძეს აქვს საკუთარი საკმაოდ გამართული კონსტრუქცია აღმოსავლეთ შვეიცარიისპირეთის ქალაქების წარმოშობის, განვითარებისა და ზღვების მიმართ. შრომა კარგად არის აგებული, მწკრივით სტრუქტურა აქვს. ავტორი წერს ძალიან მკაფიოდ; თვალსაჩინოა, რაა მისი მონაბოგარი და რა მიიღო სტვა მკვლევართაგან: ენა წიგნიერი, მარტივი და ლაკონური; ნაშრომი ძალიან მომჭირნედ არის დაწერილი.

მ. ინაძის ნაშრომს აქვს ნაკლები მხარეებო.

წიგნში ხშირია გამოკრებები, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ცალკეული თავი ცალკე საკითხავად არის ნაგარდდები.

შრომა ძალიან აგებს იმის გამო, რომ საძიებელი არ ახლავს.

ავტორი კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების წარმოშობისა და განვითარების პრობლემის შეუწყველლობის მიზეზად მიიჩნევს «в недостаточности их археологического изучения и скудности письменных источников» (გვ. 5. დაახლ. იგივეა გვ. 70). ეს, როგორც ჩანს იყო მანამ, ვიდრე მ. ინაძე მოკიდებდა ამ საქმეს ხელს, მაგრამ შემდეგ ფართოდ გაშლია არქეოლოგიური მუშაობა, მ. ინაძეს გუთუაღისწინებია ეს მასალა, მაგრამ იგი არც საკუთარი მუშაობის შემდეგ დარჩენილა ბოლომდე მკაფიო (გვ. 5).

ეს ორი დაბაკოლება (წერილობითი წყაროების სიღარიბე და არქეოლოგიური მასალის უქმარისობა) რომ მართლა არსებულიყო, მაშინ პრობლემის გადაწყვეტა თავიდანვე განწირული იქნებოდა და მ. ინაძეს ასეთი თვისებათვის ხელი არ უნდა მოეკლა. მაგრამ ნაშრომიდან ჩანს, რომ საქმე მთლად ასე არაა. აშფირ წერილობით წყაროებს ავტორი უძღვნის მთელ სპეციალურ თავს (გვ. II «Обзор письменных источников»), რისაც დაახლოებით 60 გვ. უჭირავს, მაშინ როდესაც არცერთი სხვა თავი ამ შრომისა ასეთი მოცულობის არაა, ხოლო ადრე «საკმარისად შეუძნაველი», უკანასკნელ წლებში კი უხვად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა გამოყენებულია და დამოწმებული ნაშრომის თითქმის ყველა გვერდზე.

ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რაც მ. ინაძის მონოგრაფიასთან დაკავშირებით ისმის, არის შავი ზღვის სანაპიროების ბერძნული

კოლონიების საკითხი. ეს საკითხი, თუ მანამდე არა, ბილბელის შრომის მერე... ჩინოვ კულტურალებს სამეცნიერო ლიტერატურაში და, როგორც მ. ინაძის წიგნის მიხედვითაც ჩანს, ისე მართლად გადასაწყვეტი არ არის — ვარდაუვლი კანონები არ არსებობს კოლონიათა მიმართ და თითოეულ კოლონიის თავისი საკუთარი თავისებურება და კანონზომიერება ახასიათებს. თანაც, ძალიან მკვეთრი გამოჩენა კოლონიებისა და ემიგრირებისა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ვერ ხერხდება.

მ. ინაძის აზრით, კოლხიდის ზღვისპირა ქალაქთა შორის ფასისი, დიოსკურია და გვიენოსი ბერძნული კოლონიები იყო, ხოლო სხვა ქალაქები — ბათონი, ფიქენარი, ურგია — ემიგრირების (გვ. 120 და შმდ.) ამ დიფერენციისათვის ავტორს მხოლოდ ერთი საბუთი აქვს — ბერძნულ-რომაულ წერილობით წყაროებში ხსენება იმისა, რომ ფასისსა და დიოსკურიაში მიღებულმა კოლონიები დააარსა. ჩვენ რომ მხოლოდ წერილობითი წყაროების მიხედვით შეგვეძლოს კოლონიების საკითხის გადაწყვეტა მაშინ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ამა და ამ ძველ წყაროებში, მაგ., ფასისი მიღებულთა დაარსებულ კოლონიად ითვლებო, მაგრამ არც აქ არის ცნობებში ერთგვარი შეფასება მოცემული — თუ სტრაბონის მიერ ფასისის ემიგრირებად მოხსენებას ახსნა ექვზენება, პიოკრატე ასევე ემიგრირონ უწოდებს და არა კოლონიას იმ ქალაქს, სადაც ფასისის მიღებულების მცხოვრებლები ნაევით დადიან. ეს ცნობა ზომ რამდენიმე საუკუნით აღრინდელთა სტრაბონის ცნობაზე, ე. ი. იმდროინდელია, როდესაც მ. ინაძე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე კოლონიების არსებობას ვარაუდობს. დღესდღეობით კოლონიზაციის საკითხის გადაჭრა უნდა მოხდეს არა მარტო წერილობითი წყაროების, არამედ მატერიალური კულტურის ძეგლების მიხედვითაც. მ. ინაძე, რა თქმა უნდა, ამ გზას ადგას. კომპლექსური მასალის შესწავლის შედეგად თითოეულ ამობს, რომ მოსულა, ბერძნული ელემენტები რა როლში იყო, არაა შესწავლილი (გვ. 136). მანამდე (ე. ი. ძვ. წ. VI ს-მდე) ე. წ. კოლონიებში სულ ადგილობრივია ყველაფერი, ძვ. წ. VI ს-ის შემდგომი მასალა გავრძელება ძველის, რაზე საგანგებო ნიშანთვისებები მას არ გააჩნია; ფიქენარში მთელი რაიონია ბერძნული მისახეობით (გვ. 138) და ის მინც ემიგრირონია, დიოსკურიის ის ზოლი, სადაც ბერძნული მისახეობა და ნეკროპოლი უნდა ყოფილიყო, ამგანად ზღვის ფსკერზეა და შეუსწავლელი (ერთმა სტელამ როგორ გადასტრია ყველა პრობლემა?), ხოლო ძველი ფასისი ქვრიაც არ არის ანაკონი და, მაშასადამე, შესწავლელი, ის მასალა კი, რაც არქეოლოგიურმა ექსპედი-

ციებმა მოიპოვა, ჯერჯერობით საერთოვე ფასის მსახლად არ ითვლება, ხოლო კიდევაც არსი ნაითვალის, არა მგონია, ისეთი რაღაცე თვისებები ჰქონდეს, რომ უტყუარად კოლონიის არსებობაზე მიუთითებდეს და ფასის ემპირიონობას კატეგორიულად უარყოფდეს. ჯერჯერობით თავი უნდა შევიკავოთ ზუსტი განსაზღვრებისაგან, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც რომელიმე წყარო პირდაპირ მიგვითითებს, აქა და იქ მიღებულებმა კოლონია დააარსეს. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთ-ორ წყაროს, სადაც უფრო კონკრეტული ცნობებია კოლონიზაციისა თუ ოკუპაციის შესახებ, ყველა სხვა შემთხვევაში ავტორები ჩვეულებრივ იძლევიან ჩამოთვლას ქალაქებისა და იქ გარჩეულია: ქალაქი, ელინური ქალაქი, ბარბაროსული ქალაქი, სიმაგრე და სხვ. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ე. წ. „ელინური ქალაქი“ კოლონიაა და რომ ესა თუ ის ძველი ავტორი კარვად ხედავდა განსხვავებას კოლონიასა და ემპირიის შორის. მინაძე, რომელიც საქმოდ კრიტიკულად არის განწყობილი წერილობითი წყაროების მიმართ, ამკარავდ მისთვის უჩვეულო ნდობით ეკრება იერიოდ ვანცხადებას

არისტოტელეს „ფასისელთა პოლიტიის“ ფრაგმენტის მონაცემების მიხედვით, მ. იხადე ავითებს ძალიან სერიოზულ დასკვნას: ბერძენებმა მოიტანეს კოლხიდაში საქალაქო ორგანიზაცია (გვ. 155, 165) და რაჟი ფასისში ახეთი, ბერძენული ტიპის საქალაქო ორგანიზაცია არსებობდა, სხვა „პოლიტიათა“ შორის ისიც აღწერა არისტოტელემ. ამ ფრაგმენტის 1 ნაწილი არის ისტორიული და იგი სანდო არაა (რამდენადაც ფასისელი ჰენიოხების ვილურობაზეა ლაპარაკი), ხოლო 11 ნაწილი სისტემატური, სანდოა, იგი შეკრებილია ათენში დამარუნებული ფასისში ნაყოფი მოგზაურების შინაწარმოების მიხედვით (გვ. 60-69).

ჩემი აზრით, ეს ფრაგმენტი მხოლოდ ასეთი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა: არისტოტელემ სხვა „პოლიტიათა“ შორის აღწერა „ფასისელთა პოლიტიაც“ იმიტომ, რომ მის დროს ფასისი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო და მისი მმართველობის ტიპი საინტერესო იყო არისტოტელესთვის, ცივილიზებული ელინური სამყაროსთვის არც ისაა უდავო ჰუმანიტეტმა რომ არისტოტელემ მხოლოდ იმ ქალაქთა „პოლიტიას“ აღწერდა, რომელთაც ბერძენული წყარო

ჰქონდათ. ყველა (156) ქალაქი „პოლიტიას“ რომ ერთნაირი ყოფილიყო, ვერცხედავს, მათ შესახებ ცალ-ცალკე არ დაწერია. დამოკიდებულებებია ერთი-ორი და შემდეგ ჩამოთვლილია სხვა ქალაქებს, იქაც ასევეათ. უფროდ „ფასისელთა პოლიტიაც“ ისევე იქნებოდა დამუშავებული, როგორც სხვა პოლიტიები, ამის ნიშნები ამ ფრაგმენტში არის. ფრაგმენტო საინტერესოა იმით, რომ რაღაც დროს ფასისში ჰენიოხებს უცხოვრიათ (სხვა წყაროებშიც არ არის). „პოლიტიას“ ვარკვევთ აღნიშნავს იმას, რომ ფასისში ადრე ცხოვრობდა ადგილობრივი მოსახლეობა (ჰენიოხები) და შემდეგ ამ დასახლებულ ადგილას მოსულნი მიღებულები. ფრაგმენტში არავითარი ნიშანი არ არის იმისა, რომ ფასისში მოსული ბერძენი კოლონიზატორები მერ მოტანია საქალაქო ორგანიზაცია იყო. და საერთოდ არ ჩანს სრულებით, რანაირი იყო ის საქალაქო ორგანიზაცია, რომელიც ფასისს ჰქონია, ლაპარაკი მიღებულთა სტრუქტურითაა ორგანიზაციაზე გამოძახილია იმ საერთო ცნობისა, რომელსაც ლაპარაკი უკლებლად ყველა ბერძენულ-რომაულ წყაროში ვხვდებით, რომ შვიი ზღვა ადრე იყო „ქსეანოს“ და შერე ვახდა „ევქსეანოს“.

დამატებითი ისაა, რომ მიღებულები იმით, ვისაც ზელს უმართავენ, იმა ვინც მათთან ნავსადგურში მოსულა თუ მოხვედრილა, 3 მნას აბდევინებენ და ისე უშვებენ.

მე გგონია, მეტი დასკვნის გამოტანის საშუალებას ეს დიდად მნიშვნელოვანი ფრაგმენტი არ იძლევა. ძალიან ძნელია იმის თქმა, მას თავდაპირველად რა სახე ჰქონდა და რა უნდა ყოფილიყო კიდევ შივ დაწერილი; ანალიზები (მაგ. ტანიის, გვ. 158, ანდო ტიერანავტორის მიხედვით, გვ. 172) მსჯელობა ამ შემთხვევაში არაფერს გვაძლევს და რომელიმე ქალაქის პოლიტიის დასადგენად მიიწვევს წერილობითი მასალაა საჭირო, მითუმეტეს, რომ ევრც მ. ინაის დამოწმებული ანტიკოლოგიური მასალა (ჯერ დაუდგენელი ფასისის-ტირტიაროიდანი) შეეღის ამ საქმეს.

შემდეგი ჩემი შენიშვნა ეხება ნაშრომში ბერძენულ-რომაული წყაროების გამოყენების საკითხს. ავტორი ბერძენულ წყაროებს იწვევს ლოკოგრაფიის თხზულებებით და თან აცხადებს, რომ «Первые письменные сведения о Восточном Причерноморье... появились лишь после того, как греки завязали с местным населением торгово-экономические отношения и основали здесь свои поселения» (გვ. 40). ჩვენ ასეთ პირველ წერილობით ცნობებად მიგვაჩნია ჰესიოდესა და ევმელოპის მიერ (ძვ. წ. VIII-VII სს.) ხსენება ფასისისა და კოლხისა.

წყაროთა მიმოხილველ განყოფილებაში, დასახლებულ ავტორთა შესახებაც შექცა

1 „ფასისში თავდაპირველად ჰენიოხები ცხოვრობდნენ. კაცობაშია და ადამიანთა ტყვეის გამოღელი ტომი, შემდეგ კი მიღებულები, ხოლო ესენი სტრუქტურითაა ორგანიზაციაში არიან ისე, რომ ამარაგებენ მათ, ვისაც გვიმნი ელთებთათ: (დაზარალებულნი) სამ მნას აძლევენ (მიღებულებს) და ზღვითვე მიემგზავრებიან“.

რამდენიმე შენიშვნა: ჰეკატაოს მიღებულთან დაკავშირებით მ. ინაძეს აქვს საინტერესო დაკვირვებებიც და ჩემი აზრით, არც მთლად მართებული შეხედულება (გვ. 41-44). ავტორის აზრით, ჰეკატაოსის მიზანი იყო ბაბილონის ქვეყნების ვაცნობა ელინთათვის; ამიტომაც, რომ მის ნაშრომში არ გვხვდება ცნობები ბერძნული სამოსახლოების შესახებ კოლხიდის სანაპიროზე. ადვილი შესაძლებელია, რომ ჰეკატაოსის მიზანი მართლაც ასეთი იყო, მაგრამ ჯერ ეს ერთი, მისი ტექსტის „დაცულობის“ პირობებში ძალიან ძნელია მისი გამოკრევეა, რას ამბობდა და რა უნდოდა ჰეკატაოსს, მით უმეტეს ამას არ უნდა იყოს ლაბარაჟი მაშინ, როდესაც კოლხიდის შესახებ ნაწილი მთლად დაკარგულია. მეორეც, ისე არაა საჭმე, რომ ჰეკატაოსი სულ არ ახ-ენებდეს ე. წ. ელინურ ქალაქებს: ჰეკატაოსის შემოტანილ ფრაგმენტებში არის ხსენება მოსინოპეების მხარეში ქოპრადესისა (შემდეგი ხანის კერასუნტის), ხოლო ხალიბების ქვეყანაში სტამენის; იგივე ქალაქები ფსევდოსკლაქსის ელინურ ქალაქებად აქვს გამოცხადებული (სხვითა შორის, სტეფანე ბაზანტიონელი ჰეკატაოსს ამოწმებს ამ ქალაქების განმარტებისას და არა, ვთქვათ, ფსევდო-სკლაქსს):

ჰეკატაოსს მიღებულის ნაშრომი ამდენად ფრაგმენტულია, რომ ამ ფრაგმენტების მიხედვით შეიძლება ავტორის რაიმე კონკრეტულ კოლხინზე ვიღამარცხოვო და არა მის მიზანდასახულებასა და შრომისხედველობაზე. უფრო ჭკვიანთ, როდესაც მ. ინაძე აღგვანს ფსევდო-სკლაქსის წყაროებს (გვ. 50-58), უარყოფს ჰეკატაოსს, როგორც მის წყაროს და ამ წყაროდ დაბეჭდებითაც იცხადებს სკლაქსე კარბანდულს. დღესდღეობით ჩვენ ისე ცოტა ნაწყვეტები გვაქვს სკლაქსის (და ასევე მცირე ჰეკატაოსის), რომ ძალიან ძნელია პიპოთეზების იქით წაყვლა. ფსევდო-სკლაქსის ნაშრომისა და სკლაქსე კარბანდულის ფრაგმენტებს შორის მე პირადად ვერაფერი ენახე საერთო და რა-გორ შევეძლია ზოგადი, თეორიული, აბიორტული მოსაზრების წამოყენების გარდა, რაიმე საქმიანი, საბუთიანი მტკიცება? ჰეკატაოსის ფრაგმენტებსა და ფსევდო-სკლაქსის ტექსტს შორის შეგავსება კი თვალსაჩინოა, თუმცა საკითხავია (და ჯერ სრულიად გაურკვეველია), რას წარმოადგენდა ჰეკატაოსის ტექსტი თავდაპირველი სახით, თუთ მას რა წყაროები ჰქონდა და ა. შ.

წარმოდგენილ ნაშრომში საკმაო დიდი ადვილი ეთმობა ფსევდო-სკიპონის პერიფეგის მიმოხილვას (გვ. 70-75) და მის ცნობათა შორის შეტანილია ავტორისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ცნობა ქალაქ ფასისზე (გვ. 72). ეს

ცნობა ასეთია „...მდინარეში რომ შედგებოთ, ფასისის მარცხნივ მდებარეობს ქალაქი ელინური ქალაქი, რომელსაც ფსევდო-სკიპონი და რომელსიც, ამაზონ, ჩამოღის სამოცი ტომი, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე; მათ შორის ამაზონენ, რომ ზოგნი არიან ბარბაროსები ინდოეთიდან და ბაქტრიანიდან“... ავტორის სტილოში აქვს მცირე შენიშვნა იმის შესახებ, რომ ეს ცნობა დაცულია V ს-ის ანონიმური ავტორის „პერიპლუსში“.

ფსევდო-სკიპონის ტექსტის არც ერთ გამოცემულ პერიფეგისში მ. ინაძის მიერ მოყვანილი ადგილი არ შეაქვს. ეს არის ანონიმი ავტორის პერიპლუსიდან, § 3, რაც ანონიმის გამოცემულმა კ. მძულერმა (FHG, V, გვ. 175) სიტყვების გადასამავადროსმით ლექსად იამბიკოდ. წარმოადგინა: მისი გამოკვლევის თანახმად, ანონიმის ერთ-ერთი წყარო ხომ ფსევდო-სკიპონის იყო და ეს ნაწილად მან ანონიმის ტექსტის გამოცემაში ფსევდო-სკიპონის პერიფეგისიდან აღებულად მიიჩნია. მ. ინაძე: კარგად შეაშინა, რომ ამ ნაწყვეტის დასაწყისი არის არა „პერიფეგისიდან“, არამედ არაანუ-„პერიპლუსიდან“; ისე რომ კ. მძულერი უკვე სცდება ამ ნაწილის ფსევდო-სკიპონისადმი პიკოტუბებაში; რაც შეეხება მეორე ნაწილს, რომელსაც მ. ინაძე უტოვებს ფსევდო-სკიპონის, ჩემის აზრით, არც ის არის ფსევდო-სკიპონისა, საერთო სტილით, ცნობის ხასიათით ეს ნაწყვეტი არ უნდა მოდიოდეს ფსევდო-სკიპონიდან.

რაც შეეხება ანონიმთან დაცულ ცნობას კ. ფასისზე, როგორც მ. ინაძეც აღნიშნავს, ამათრი ცნობები აქვთ: არტიმიდორესაგან „ტრაბონს, პლინიუსს (დიოსკორიაში ტომთა თავმოყრის შესახებ) და არც ადვილი შესაძლებელია მომდინარეობდეს ტიმოსთენესგან. ამასთანავე, შესაძლოა დიოსკორიის შესახებ არსებულ ცნობასთან იყოს არეული ეს ცნობა — დიოსკორის ამბავი ფასისზე ვალმოიტიანეს, ხოლო რა გზით მოხვდა ის ანონიმთან, ეს არ ვიცით (სულ არაა, სხვათა შორის, სავალდებულო ფსევდო-სკიპონის შეამალოება), ამავე დროს, ისიც უნდა შევნიშნო, რომ კ. მძულერის გამოცემული ანონიმის ტექსტის შედარებად ფსევდო-სკიპონისთან, სახელობარ იმ მასალამ, რაც საქართველოს ტერიტორიასა და მის უშუალო მეზობლებს ეხება და რაც ანონიმთან კ. მძულერს გამოყოფილი აქვს როგორც ფსევდო-სკიპონის პერიფეგისიდან მომდინარე (59 3, 9, 14, 24) სრულიად აშკარად დამარწმუნეს იმაში, რომ ეს ცნობები ანონიმს ფსევდო-სკიპონის პოემიდან არ აუღია. კ. მძულერიც, როგორც ჩანს, პიპოთეზებისა და ვარაუდების სფეროში იყო, როდესაც ანონიმური „პერიპლუსი“ ასეთ სნატოპირებას ახდენდა. მ. ინაძეს რაღაც სტირდებოდამ ამ ტექსტის მოყვანა, ან უნდა ის ანონ-

ნიშნის „პერიპლუსის“ ერთნილად გამოცხადებინა, ან უნდა დამტკიცებინა, რომ ის სხვა-დო-სკიპონოსისაა, ან არა და ის მაინც უნდა ეთქვას, რომ ასე დაადგინა კ. მადელარმა.

პერაკლის ისტორიკოსი მეშინი ერთ-ერთი საინტერესო ავტორია. სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხანს იყო აზრი იმის შესახებ, რომ ის I-II სს-ის მოღვაწეა; დღესდღეობით მეორე თარიღს ეძლევა უბირატესობა — შემოინი და-ახლოებით სტრაბონის თანამედროვედ არის მი-ჩნეული. მ. ინაძე ნაშრომის 239 გვ-ზე ყოველ-გვარ შენიშვნის გარეშე მეშინის I-II სს-ის ავ-ტორად აცხადებს.

რომელი ავტორია შორის ი. ინაძისათვის საინ-ტერესო საკითხების გადასწავლად დიდი მნიშ-ვნელობა ენიჭებათ, პომპონუს მელასა და პლი-ნიუსს.

მ. ინაძე ეკამთება პომპონუს მელას დიოს-კურიოს შესახებ (გვ. 85), პომპონუს მელას აზრით, დიოსკურია პენიობთა ქვეყანაში დააარ-სეს კასტორმა და პოლიდეკემ, რომლებიც ია-სონთან ერთად იყვნენ მოსულნი (De chor. I, 111). ცხადია, ამ ვადმოცემაში შერწყმულია მი-თი სინამდვილესთან, მაგრამ პირობით ერთ-სეულებს: მართალია, დიოსკურია მეტი წილი ავ-ტორების აზრით კოლხების ტერიტორიაზე მდებ-არეობდა (მაგრამ როდის?), მაგრამ თუ კი ქ-ფასისი შეიძლება ყოფილიყო პენიობთა ტერი-ტორიაზე (და ამაზე არ ეამათობს მ. ინაძე), ზა-ტომია ვამოიციხელი ის, რომ დიოსკურია იკ-ოვლდაე პენიობთა ქვეყანაში იყო? მე მამა-ნია, რომ ასეც შეიძლება დასავსე საკითხი (პე-ნიობთა განსაზღვრის საკითხიც რომ ერთ-ერთი ქრეც ვადამტკიცე საკითხთაგანია); ზღაპრული ელემენტები პომპონუს მელას ნაწარმოებში არის, მაგრამ მასში ისტორიული მარცვლები უნ-და ეეწებოთ (იასონის, ე. ი. არგონავტთ ლაქ-რობის დროს იმ ადგილას, სადაც მეჩე ქ. დი-ოსკურია იყო, ცხოვრობდნენ პენიობები).

124 გვ-ზე (შენ. 85 მ. ინაძე მსჯელობს გვიე-ნოსის (Püenos) შესახებ, იხსენიებს სტე-ფანე ბიზანტიონელთან დამოწმებულ ფორმებს Püenis და Tüenis-ს, არქანჯლო ლამბერტის Tguana-ს, ველას დენანდლანას-ს და აე-თებს დასკვნას: ადგილობრივ სახელწოდებ-ს თავში რაღაც რთული ბგერა ჰქონდა, რაც შემ-დგ სხვადასხვა ავტორებმა სხვადასხვა ბგერით გადმოსცეს. სულ ადვილი შესაძლებელია, რომ ადგილობრივ სახელი ამ გეოგრაფიულ პუნქტ-ს რთული ქართული ბგერით თუ ქართული ბე-რათოკმპლექსით ეწყოზდა (რისი ასახვააა დღ და Tg —), მაგრამ რომ Püenis და Tüenis იგვევა რაც Püenos, ეს სადავო არაა, მხოლოდ

და მხოლოდ დაწერილობის ნიადაგზე შეიძლე-ბა G. T. P-ს აღრევა, ფუნქციონირე-სისანი ერთმანეთის მონიცელობაზე უკრე [საქმედენე. იმავე რიგისა უნდა იყოს კვინიფოსი-ც და კვი-ნოსი-ც, ეს საკითხი ვაცილებით უფრო მარტე-ნია, ვიდრე წიგნის ავტორი მას წარმოადგენს.

რაც შეეხება პომპონუს მელასა და პლინი-უსის Cygnus-კიენოსს, მე პირადად იმ აზრის, ვარ, რომ ეს „კიენოსი“ იგივე „ვიენოსია“ (ე. ი. სამებარია თანამედროვე თანამხირეს მიდამო-ში), მ. ინაძე ნაშრომის 124-ე გვერდზე მდ. ფა-სისის შესართავის მახლობლად ეძებს კიენოსს. პომპონუს მელას ტექსტის შესაბამისი ადგი-ლის (1.110) შემოწმებამ სრულიად არ დადას-ტურა ის, რომ კიენოსი ფასისის შესართავთანაა. პომპონუს მელას აღწერის მიხედვით ამჟერა, რომ კიენოსი ფასისზე ჩრდილოეთითაა და მე-ლანბლენეს და კორაქსებზე სამხრეთით. კორაქ-სები ბზიფოს მიდამოში, ბიჭვინტასთან მეგვლე-ბიან, ხოლო რაც შეეხება „სანამპროს მოსახვე-ვის დასაწყისს“, ვერაფერს ვიტყვი დამტკიცე-ბით, თუ რა ვითარება იყო 20 საუკუნის (ან სულად 25 საუკუნის წინ). მაგრამ აქამაღ უნ-დავლსაზინო მოსახვევი (რუკის მიხედვით) დრან-დასთან არის დაახლოებით და არა ფოთთან. ფოთიდან ირამხირემდე შედარებით სწორხაზო-ვანია სანამპრო, ისე რომ მ. ინაძის მტკიცე-ბა, კიენოსი რიონის დაბლობზეა სამებარო, მე ვა-უპართლებლად მიამანია.

ბიჭვინტის მოზაიკის წარწერა (ნაშრომის გვ. 251, 260) პალეოგრაფიული და ენობრივი ნიშნებისა და იმ ფორმულის მიხედვით, რასაც ის წარმოადგენს, ჩემს მიერ აბ. წ. V-VII სს-ით არის დათარიღებული, V ს-ზე ადრეულად მისი მიჩნევა ძალიან გამიჭირდება (სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, 1955, XVI, № 1):

ლ. მაცულეინიმა (ВДИ, 1956, № 4) ის IV ს-ით დათარიღა.

მ. ინაძეს წარწერის წაკითხვა და ინტერ-პრეტაცია ჩემი მიუღია, მაგრამ თარღი ლ. მაცულეინისა; ისე შეიძლო ავტორს ამ მასა-ლისთვის გვერდის ავლა რადგან ეს უკვე ქრისტიანული ხანის ძეგლია (რომელი საუკუ-ნისაც არ უნდა იყოს), ძველი კოლხიდის მზ-ლოდ შემკვიდრეა და არა მონაწილე და შექმ-ნილი იმ ეულტურისა, რომლის შესწავლაც წარმოადგენილ ნაშრომს ევალებოდა.

მ. ინაძის წიგნი «Причерноморские города древней Колхиды», საინტერესოა და საკითრე მონოგრაფიაა და დიდ დახმარებას გაუწევს ყვე-ლას, ვისაც ექნება სურვილი კოლხური ზღვი-პირა ქალაქების ისტორიის შესწავლისა.

6. 7/137
3260 80 433.

ИНДЕКС
76128
001000000
0000000000

«МНАТОБИ»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ